



ISSN 0132-1699

ენციკლოპედია



8

1988



ენათოში



ქველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 64-ე

№ 8

აპრილი, 1988 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობის კავშირის ორგანო

შინაარსი

პროზა, პოეზია

თამაზ ბილაძე — ლექსები	3
ოთარ ჩხეიძე — ზამოცხადებანი, რომანი, გაგრძელება	8
ივარ კვიციანი — ლექსები	39
ენვიკ ნიშანაძე — ლექსები	44
ვალერიან ჩუბინაძე — ვალანს ბედი, მოთხრობა	46
ნინო მღვიმანი — ორი მოთხრობა	52
ზალვა მთაწკრიანი — ლექსები	56
დარეჯან ბატიაშვილი — ლექსები	57
ელა გოციანი — ატყნებადნი ან ატყნების შემდეგ, ლექსი	59
ნაწილი გოციანი — ზეც იმენა მირი, რომანი, გაგრძელება	62
თან კომპოზ — ადამიანის ხმა, სტრანგულიდან თარგმანი მანანა მიქელაძე	94

181

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ჯემალ ქარაბაძე — მოწოდება დიპლომატიიდან	104
გიორგი მერაბიშვილი — რამდენიმე მოგონება სერგო კლდიაშვილზე	121
ნოდარ პოლომბაძე — გიორგი ჯიბლაძე	130

მუსიკარეა

ბაბაკ ვიზინიანი — „მოცვივა ბართლისა“-ს მონოლოგი	134
---	-----

მოგონებანი, ფაქტები

ჯემალ ბეთაბერი — ბანდოლი და ბადაბანი	145
--------------------------------------	-----

ივ. მეორე გვერდი



საზღვარგარეთის ლიტერატურა

ს. მისაილიძე-ლორთქიფანიძე — ნოზაელის კამიის კიკვილი ლაურეანტი აზრიანის კონტინენტზე 164

წიგნების მიმოხილვა

აკოლონ ტანაშა — დედა ქოჩუტის მკონი ქართულ ენაზე 168
გურამ განიტაშვილი — ისტორიულ-ეთნოგრაფი მაცნობრების მნიშვნელოვანი შენაძენი 172

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაძე

სარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამფუჯელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გო-
მიანაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურიცა, მ. ლიპანიძე,
ე. მაღრაძე, ლ. მრეღალაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქ-
ტორის მოადგილე), რ. პატარაძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ზი-
ლაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ლ ე ქ ს ე ბ ი

• • •

სიმწარე წვიმის, ყინვის და ქარის,
დაფლეთილ აფრის, გამწყდარი თოკის,
სიმწარე ღამით დარეკილ ზარის,
სიმწარე ხელში გამსკდარი თოფის.

სიმწარე უქმად დაქცეულ მელნის,
ამო ღელვის, ამო შფოთვის,

სიმწარე, როცა არავის ელი,
სიმწარე, როცა არავინ მოდის.

წასულან წლები, ჩამავალ მზეში
იმღვრევა ზღვები, უდაბნო, მთები.
და გაზაფხულის შეშლილი თქეში
საით მეძახის გაშლილი ფრთებით?..

• • •

ზღვა იყო მშვიდი... და შენ უსმენდი...
ზღვა იყო შენს წინ... მზე ჩადიოდა...
ვით გამოცანა ამოუხსნელი —
ზღვა იყო შენს წინ... მზე ჩადიოდა...

და მაგნოლიის მძიმე ფოთლები,
როგორც სიზმარში, უხმოდ ცვიოდა...

• • •

დანა და ტყვია, ან შხამის წვეთი
მეტისმეტია, ოპ, მეტისმეტი!

ერთი ჩურჩულით ნათქვამი სიტყვა,
ერთი გულგრილი ღიმილიც კმარა,
რომ შეამტვრიოს ამ გულის კარი
დანაზე უკეთ, ტყვიაზე ჩქარა...



ეროვნული
განათლების

აი, გიყურებ და ველარ გზედავ
და ქუჩის დიდი საათის ისარს
ურდულად ვუყრი ფიჭვის გალიას.

აი, ვილაცა დგას და შექანის,
განათებული ცისფერი ალით,
აი, ტრამვაი წკრიალებს ბნელში,
განათებული ცისფერი ალით.

აი, ვარსკვლავი ეცემა კრამიტს,
განათებული ცისფერი ალით.
აი, ფანჯარა იღება უხმოდ,
განათებული ცისფერი ალით.

და ღამე წვეთავს სიზმარში ისევ,
მე კი მგონია, რეკავს საათი,
მე კი მგონია — საათი რეკავს,
განათებული ცისფერი ალით...

• • •

გაუქმებული ეკლესიის მშვიდი
ზარები...

იქნებ გახსოვარ?..

სუნთქავს ფათალო,
როგორც სიჩუმე...

და ეფენების წყნარი წკრიალი,

და ეფენიანი თხების არკე
მიდის აღმართში...

როგორც საღამოს — ჩუმი წვიმა —
აკრთობს ფათალოს...

• • •

ამალამ მაინც ვერ დავიძინებ,
თითქოს სიცოცხლე ვიგრძენ ნამდვილი,
მაშ, ჩამოკარი ჩონგურის სიმებს
თითები ციდან ჩამობარდნილი.

რუხის ციხიდან ანათებს მთვარე
და ემატება ენგურს ზვირთებად...
რა უცნაურად ანათებს მთვარე...
იმღერე, დედა ნუ მოგიკვდება!..

• • •

უცნაურია სახელი — ანა!
მე ის მაგონებს მაღალ სამრეკლოს,
ტბის ზედაპირზე ნაზად არეკლილს...
უცნაურია სახელი — ანა!

დგას მარტოხელა კვიპაროსივით,
ჩამავალი მზის შუქით მოსილი...

დგას საღლაც, თითქოს ქვეყნის კიდეზე...

• • •

გაუბედავი ხელების თრთოლვით,
თითქოს კლავიშებს დაეცა თოვლი.

ეს შენზე დარდი იცდის ჭიუტად,
სიცოცხლეს მსხვერპლად როდის
მივუტან...

თეთრი სიზმარი მოჩანს სარკეში
და იმ სიზმარში ელავს ანკესი —



ეროვნული
წიგნების
კავშირები

სულ ერთი წამით

სულ ერთი წამით, თითქოს სადგურის
ბაქანზე გნახე ფანჯრიდან... ლამით,
თითქოს შეხვედრა გვქონდა დაბრუნებული
სულ ერთი წამით, სულ ერთი წამით.

და იმ ერთ წამში, როგორც უკანასკნელ
ჩატყვევებულა შენი ღიმილი...
ის უცნაური გრძნობა განგაშის...
და მატარებლის მწარე კივილი...

მარი პერმანჟოვას

შენი სახლია ეს ცა, მარია,
ცის გასაღებიც შენ გაბარია,
დიდიხანია, დიდიხანია,
დიდიხანია გეძებ, მარია.

ბინდ-ბუნდში წვეთავს სპილენძის ზარი,
ვლტავას ტალღებზე პრიალებს ქარი...
გალებას არ გთხოვ, ღმერთო, მაჩვენე,
იმ სიზმრის თუნდაც დაზნული კარი...

პოეტის ძაგლი

თითქოს თოვლში იწვა
და თოვლიდან შუბლი მოუჩანდა.

შუბლზე ყინულის ჩიტი ეჭდა
და ყინულის ნისკარტს უკაცუნებდა.

ოღონდ, მისი დიდი,
ცისფერი თვალები
ცრემლით იყო სავსე
და ამიტომაც ყველას
ცოცხალი ეგონა...

• • •

როცა იფიქრებ, რომ ველარ შესძლებ,
როცა იფიქრებ, ველარ მოასწრებ —
დაუეკუნო კარზე მეგობრებს
და უთხრა, როგორ ძლიერ გიყვარდა;
ნეტავი, მხოლოდ მაშინ გეთქვა
ის, რაც კი აღრე

დაუფიქრებლად,
უდარდელად
ამოისროლე...

სიმღერა მხოლოდ იმ სიტყვას ჰქვია,
რის სათქმელადაც დრო აღარ გყოფნის...

• • •

ზედაზნის თოვლით გამთბარო,
ცისკრის ვარსკვლავო — ია,
დაბერებულო ზამთარო,
მეტე არ შემოძლია.

თოვლით გამთბარო ოცნებაე,
შენი ჭრილობა ღია,
ო, რა წვალეებით ხორცდება...
მეტე არ შემოძლია!..

• • •

ბრიალებს თეთრი ქარი,
თეთრი ღრუბელიც ბრიალებს,
ისევ იღება კარი
და თეთრი ქარი ბრიალებს.

ცაში მიფრინავს ქორი...
და ყინულივით წვეთავს
გ უ ლ ი —
ვიღვიძებ მგონი...
და თეთრი ქარი ბრიალებს...

მოდის თერგი და, თითქოს მთვარალია,
ეჭაჭვურება კლდეებს და ჭაგებს,

არ მოიხვეწებს, სანამ დადგინდება
საინძენსავეთ ძალით არ ჩაბეწეს...

მცნაურის მისტერია

რა დაგესიზმრა? იასამანი?
და თეთრი ირმის თქრიალა ცური?
ტანს რა გეფარა? ჳინჭრის საბანი?
თავქვეშ რა გედო? პრიალა ცური?

ვითომ მიართვი ირმის რძე უფალს?
იასამნებით მოურთე ტახტი?

ვითომ იცოდი, რაც იმას უყვარს
და ამიტომაც თამამად დახვდი?

რომ ჩაეძინა მოხუცს და დაღლილს,
გამოხვედი და მიხურე კარი?
და მერე ცაში გაფრინდა სახლი,
თეთრი რაშეებით და თეთრი ქართით?

ბალახი — ჩუმი სუნთქვა მიწისა,
სათოფურები — მერმისში მზერა,
საუკუნენი — ქვებზე მიმწვარი...
ასკილი,
მუხა,
სალამო,
ძერა...

მე ვეფერები შენს დაღლილ ლოდებს,
დედავ და დაო
და ბედისწერავ...

მე ვეფერები შენს დაღლილ ლოდებს
და ახლა ყველა ზღაპრისა მჭერა...

ის, რაც არ ითქმის, რასაც მალავენ,
მე გადავწყვიტე ვთქვა და გაგანდოთ,
როგორც უცნობი კაცის სალამი,
ანდა წერილი უმისამართო.

ოღონდ მაცალეთ — თავდავიწყებით
ვწოვო ზედაზნის ღრუბლის ჳიქანი,

ესვა გაზაფხულის სუნთქვა ფიცხელი
კავკასიონის ბროლის ჳიქებით.

ოღონდ მაცალეთ — იქნებ ამოსკდეს
გულიდან, რასაც დიდხანს ველოდი
და ერთხელ კიდევ, უკანასკნელად
დავთვრე ამ ჩემი საქართველოთი.

ფრესკა

სული ვის დაპირდი?
არაფრად ჩააგდე სიკვდილი
და ახლა ხმალივით პირდაპირი
კედელს აკვრიხარ ფერმიხდილი.

და ცვლის საუკუნე საუკუნეს,
ამსხვრევენ წუთებს უდარდელად,
ვით დაცლილ ჳიქებს;
მე კი გეხვეწები:

— რას უყურებ?
აბა, რაღას უცდი —
დაიქექე!

და ბნელ ტაძარში დაჩოჩავს მნათე,
ნახევრად ღმერთი,
და სანთლებს ანთებს...

ან სანთელი რაღაა შენთვის?..



• • •

ცაში ეკიდა მიწის ხიზანი,
ფათალოსავით ჯვარზე მიმზრალი.
და წვიმის წვეთი მკერდზე ბრწყინავდა,
პირველი წვეთი შავი ტაროსის.

ვინ იყო —
ღმერთი თუ იკაროსი?

ღმერთს სატანჯველად ვინ გასწირავდა?

ან თავად ღმერთი ვით ვიქნებოდა?
ტკივილს, რომელსაც კაცს რომეცნობდა
გაჩენის დღიდან?

და ეკლიანი, მკივანა ქარი
კვიპაროსების კენწეროს ხრიდა...

ლამაზი იყო ქვეყანა ციდან...

საავადმყოფოს ეზო

შენი სახელი,
როგორც ბალი შემოდგომისას,
სავსეა ქარით,
დამტკნარი მზით,
ყვითელ ფოთლებით.

ვილაცა დადის ხეივანში,
მთვარეულივით,
და მისი გრძელი ხალათის ბოლო
ეჩურჩულება ხეივნის ქვიშას...

სატვირთო სადგური

სძინავთ სატვირთო ვაგონების პირლია
მწყრივებს...

ბზინავს მაზუთი...
ელავს რკინა...
წვეთავს ონკანი...

წითელ ფეხებით წუხანდელი წვიმის
გუბეში
დგას სემაფორი...

სადგურის ზემოთ, რკინის ხიდზე
ვილაცა მიდის,
ბოთლებით სავსე ჩანთა მიაქვს
წყრილ-წყრიალით,
თითქოს ვეება ჭალი მიჰქონდეს...

ბზინავს მაზუთი...
ელავს რკინა...
წვეთავს ონკანი...
ვერცხლისლილება ფარაჯაში
გამოწყობილი,
როგორც მოხუცი რკინიგზელი,
თვლემს ორთქლმავალი,
ეთამაშება ქარი ფაფუკ, თეთრ
ბაკენბარდებს...

სადგურის ზემოთ,
რკინის ხიდზე
ვილაცა მიდის,
თითქოს ვეება ჭალი მიჰქონდეს,
ქალაქის ქერზე ჩამოსაკიდად...

• • •

რა უნდა გითხრა?
ეს ყველაფერი
ხის სიზმარია...
ეს ფოთოლცვენაც
მხოლოდ და მხოლოდ სევდაა ხისა...

რა უნდა გითხრა?..

მკერდზე მიკრული მივაქვს ტოტები...
ეს ყველაფერი ხის სიზმარია,

მხოლოდ და მხოლოდ სევდაა ხისა,
რომელიც მაღალ ანძად ქცეული,
უცხო ღრუბლებში ოცნებობს ახლა...

ეს ის წამია,
როცა სიტყვები კარგავენ ძალას,
როცა ხმა ამსხვრევს სიტყვის
ბორკილებს
და მიქრის ცაში თავისუფალი...

გამოცხადებაი

რომანი

XV

„...რომელთა არა გაქუს სწავლაი ესე, რომელთა არ გიცნობიან სიღრმენი ეშმაკისანი...“

და აღანთო მიკროფონმა იმედიო ანუ სითამამე შეჭმატა ყველასა, ყველაზე მეტად მოწინავეთა, — კვარცხლბეგზე ვინც იდგა პირველყოვლისა, ვინცა ლამობდა ასულიყო. ითქმის აგრეთვე პირველყოვლისა, ძირს თუ ცვიოდნენ, ზელს თუ უშლიდნენ ერთმანეთსა, ეგ არაფერი, მაინც ერთბაშად დარიათ ზელი სითამამემა, ერთბაშად მოედოთ, იქ აცოცება აღარავის უნდოდა, არც კიბე უნდოდა, არც მრუდე ზეი, სიტყვები თვითონვე უძერებოდა სულშია, პირში უძერებოდა; იქ მაინც სახინკლე „თბილისში“ ერთად მოიყარეს თავი, გვიან მოიყარეს, როცა ყველაფერი გამოკეტილიყო, ნამცეცი რო აღარსად გადარჩენილიყო ახლო-მახლოსა, აქ თადარიგი დაეჭირათ, ყველასთვის აღარც გაეღოთ კარი, პირველთაგანნი გაეხმოთ მხოლოდა, მსაპინძლობდნენ იმა პირველთა, მხოლოდ პირველთაო და ისინიც ბევრნი გამოსულიყვნენ, საძრაობა აღარა ჰქონდათ, ამოეჭედათ მთელი დარბაზი, ყოველი კუთხე, ყოველი კუნძული, სათავსოებშიც შეცვივნული-

ყვნენ, ისხდნენ კასრებზე, ყუთებზე თუ ფჭვილის ტომრებზე, ისხდნენ თუ იდგნენ, აღარაფერი გაიგებოდა, აღარცა ასე თვალისათვისა, აღარცა ისე, ყურისათვისა, აქ მიკროფონიც ვერ უშველიდათ, ცალკეულ სიტყვას მიკროფონიც ვერ გამოარჩევდა. ჭერ არც უნდოდათ, სიტყვა არც უნდოდათ, არის ფაში სიტყვასაც რო დაივიწყებენ ხოლმე, ანთუ გნიასი, ხმაური ერთობლივი მხოლოდლა სიტყვაა ერთი, ერთი, ერთადერთი, — სიმშობის ფაშია ასეთი და სიტყვა იგი, პური, პური. აქ გახლდათ პური, იყო საჭმელი, იყო სასმელი და გადადიოდა თავზევითა, გადატანითაც იგულისხმეთ, პირდაპირაცა, გადადიოდა რო მართლა თავზევითა, საძრაობა რო აღარ იყო, გადააწოდებდნენ ერთიმეორესა, თუ აყირავდებოდა ლუდის კათხები, კონიაკის ბოთლი თუ მიეჭახებოდა ვინმესა, ხინკალი თუ გაისხმარტალეზდა, წიოკობაც ამას მოჰყოლოდა, ცოტა სიცილიცა, გადაძახილიცა, ბუბუნიცა, გუგუნიცა და ის ერთობლივი, — მიკროფონი რას გასწვდებოდა? აქ არც უნდოდათ, აქ ისვენებდნენ, აქა ნაყრდებოდნენ დაქანცულები, ქანცაფყვეტილნი, ნაყრდებოდნენ და სიცილიც უნდოდათ, დაქანცულობას შევლოდა სიცილიცა. და გადადიოდნენ ლუდის კათხები აქაფებული და ცვიოდა ხინკალი, ქაბაბი ცვიოდა

ეგრე ზევიდანა, ციდანა ცვივოდა, ვითარცა მანანაო. ცვივოდა აგრედვე ვარსკვლავებიცა, ბლუჯ-ბლუჯადა ცვივოდა, ჭერ ხუთ-ხუთადა, მერე ოთხ-ოთხადა, მერე სამსამადა, ისიც ილეოდა, — რომილა გვრჩებო, არა სწუნობდნენ ან აღარ არჩევდნენ აღარაფერსა.

სითამამეს ჰო დაერია ხელი, ვარსკვლავები თუ იფრქვეოდა, ესენი ადიოდნენ, ადიოდნენ სავარსკვლავეშია.

მსახურები ვერ გასწვდნოდნენ, აღარც აკითხებდნენ, ყველგან თვითონვე ჩაეყოთ ხელი, დაპატრონებოდნენ სამზარეულოსაცა, ბუფეტსაცა რაღა თქმა უნდა!.. ხინკლის დამხვევებიც გამოსჩენოდათ, შემწველნიც ქაბაბისა, ხახვის დამკუწავიცა, ლუდის ჩამოსხმელიცა თუ ბოთლების დამრიგებელიცა, თვით ნაზიკო ჩამდგარიყო დაბლშია, ბეგლარიცა, ელისოცა, ისიცა, ფარნაოზს რო მიამგვანა ლენტომა, სხვაეკიდევ ვილაცა, თუმცა რა ვილაცაო, ის იყო, რაც იყო ანუ ის იყო მასპინძელი, ერთიანად გადაეხადა, ერთიანად ნთქავდნენ სახინკლესა, რესტორანსაც შთანთქავდნენ, თუ გამოუჩნდებოდათ გადამხდელი ცხადია. ჭერ ამასა ნთქავდნენ, ნთქავდნენ სახინკლესა და გუგუნებდნენ, ბუბუნებდნენ, ბუხუნებდნენ თუ ყოყლოჩინობდნენ ანთუ ჰყვიროდნენ, უფრო ჰყვიროდნენ, ყვირილად ითქმოდა თუ ყვირილში ინთქმებოდა ყველაფერი, სამზარეულოს ოხშივარიცა, პაპიროსის ბოლიცა, ბათქუნიცა შამპანურისა, იქამდეც მივიდნენ. რატომაც არაო, გადახდილიყო ყველაფერი, თავი გამოედო წველების ქარხნის დირექტორსა, ისედაცა და ასედაცა, თავგამოდებით იღვა დაბლშია, თავგამოდებით მიაწოდებდა ხუთვარსკვლავიანებსა, უფრო ძვირფასი სხვა იქ არ იყო, მიაწოდებდა ყველაზე ძვირფასსა, მიიროთვით, შეგერგოთ, გაიხარეთო, მიიღევნებდა თავგამოდებითა, ეგების აგრედვე ეშხიანადაცა, მაგრამ არ უნდა აქ სხვა რამ სამკაული, თავგამოდებაც საქმარისი გამოდის, ოღონდ საკითხავი მაინც ესაა, აგრერიგად თუ რად გამო-

ედო თავი, აქ რა უნდოდა, რად აპყლოდა ამა ჭრელ ხალხსა, რად უნდოდა ნტებსა თუ ასპირანტ-ლამბორანტებსა, თავიანთი კუთხე რო არ გააჩნდათ თბილისშია და ხან სად შეეკედლებოდნენ, ხან სადა, მოსამზადებელი კურსების მსმენელებსა თუ სტაჟიან აბიტურიენტებსა, მაშლაყინწა უფროსკლასელებსა თუ ტექნიკუმის მოსწავლეებსა, სხვადასხვა სამხედრო თუ მაგვარი უწყებებიდან გამობრძანებულებსა თუ გამოსტუმრებულებსა, სხვადასხვა უკმაყოფილოთა თუ ხელმოცარულებსა ნაირგვარ სარბიელზედა, — რად აპყლოდაო; თუმცა და რაო, მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორებიც შემოპყოლოდნენ, ორი თუ სამი, კომპოზიტორიც გამოჰედლიყო კასრებს შორისა, თავისი დღენი „მარშებსა“ სწერდა და ჭილდოზე ერთხელაც არ წარედგინათ, ორიც მხატვარი გამოლანდულიყო, გრძელი თმებითა, ჭერკიდევ ყველანი მოკლედ იტრეკდნენ, გამოიჩრეოდა იმათი თმები, მსახიობებიც გაპყვროდნენ კედლებსა, კინოსტუდიისაცა, თეატრებისაცა, ფილარმონიისაცა, ცირკისა არა, — მსახიობები, ჰამლეტის როლზე რო ოცნებობდნენ და ბერდებოდნენ სტაჟიორებადა, — რაც უნდა იყოს, რად აპყლოდაო; ოღონდ და რაო, მონასტერი თუ აირია, ვინ საით მიაწყვდება, ვილამ გაიგოსო, — ეს აქ მოწყვეტოდა, ამას აქ გამოედო თავი, სახინკლე „თბილისში“ გამოედო თავი, იმა აღმართზედა ჭორჯიაშვილისა, აღმართზედაო და დაღმართზედა, სულერთია, რაც აღმართია, ის დაღმართია, წაღმართი არ არის არცერთიო.

თავიც გამოედო და კიდევაც გაუგონეს, — ეს მაშინა, დასაჩივრებელი რო დაარიგეს და პირველმა ჭიქებმაეც მოუღლუტუნა ძარღვებსა, დაბლზეც რო შემოდგეს სინი ალაგარდნილი ხინკალისა და ბოლოსდაბოლოს დაბლში ჩამდგარებმაეც გამოიფუფქეს პირი, მაშინდა აღმართა ჭიქაი მასპინძელმა და ყურადღება ითხოვა, ყურადღება ითხოვა და იყუჩეს, იყუჩეს და ბრძანი, მიმილოც-

ნია თამადობა ბეგლარისთვისაო, მართ-
ლადა ბრძანა და მართლაც გაუგონეს;
უცებ გაუგონეს, სიმშლილი მოეკლათ და
სიმთვრალე შორს იყო, დრო შეურ-
ჩია თუ შემთხვევით მოხდა, — ძნელი
სათქმელია, ცოტა ადრე თუ ცოტა გვიან
ასე ადვილად არ დანებდებოდნენ, არც
გაიგონებდნენ, არც გაუგონებდნენ, იქ
არაფერი იყო წესისა და რიგისადა, თა-
მადას რაღა უნდოდა, რა უნდა განე-
გო? იდგნენ, ჰო არ ისხდნენ, ამოჭედი-
ლიყვნენ, სუფრას ჰო არ შემორიგებო-
დნენ, ვისაც რგებოდა ის აყუყუელი მა-
გიდები, კიდევ ჰო კარგი, შეჭყლუტოდა
ზედა, მინც უყეთესობად ითქმოდა, ვი-
საც კასრი თუ ყუთი რგებოდა, ესეც
ჰო კარგი, ვისაც არაო, იდგნენ ეგრე
ზედშებლილები, ხელში ეჭირათ ულუ-
ფა თავიანთი, პირთან მიტანა ძლივს
უხერხდებოდათ, სამაგიეროდ ენა აშ-
ლილიყო, სადღეგრძელოებიც ამოფრჭ-
ვეულიყო, უამრავი და თავთავისებური,
ვინ თუ ვის შეჭლოდა, ვის თუ ვისთან
მიეტანა თავპირი, იმის ნათქვამს იმეო-
რებდა, უდასტურებდა იმსა. ერთი მო-
წესე ძნელად თუ გავიდოდა ასეთ პი-
რობებში, მერე ისე უცება, ერთის და-
კვრითა, გაფიჭრებაც ვერაფრისა მო-
ასწრეს, წუთი დამდგარიყო ისეთი, მუ-
ცელი უკვე ამოიყორეს, სიმთვრალე
შორს იყო, ჭერ მხოლოდ ცოტა მოლი-
ტინა, ცოტა, სულ ცოტა.

არაო, ნუგზარს მივულოცოთო, ბეგ-
ლარმა ბრძანა. ნუგზარი ალბათ მასპინ-
ძელს ერქვა, ერთმა თუ ორმა ეგება
იყოდა, სხვებმა არც იცოდნენ, აღარც
უკითხავთ, ყურშიც არ შეუშვეს, რას
მიქვიანო, ბეგლარი ვთქვითო, ჩვენ ასე
ვინებეთ და ვინ გადავა ნებასა ჩვენსა-
საო. ამაყად ითქმოდა, ძალოვნად ით-
ქმოდა, აბა თუ ვილა დაუდგებოდა წი-
ნა?.. რა ბრძანებაა, არის წუთები გარ-
დაუვალი და ვასაოცარი, ზოგჯერ ერთ
წუთში საუკუნის ბედიც გადაწყვეტი-
ლო, ძლიერებაც დამხობილა და რა-
ღაცა დიდ აღმატებასაც დასდებია სა-
თავეო, სულ ერთ წუთშიო, ერთადერთ
წუთშიო, ვიდაც განწირულა და ვიდა-

ცის ვარსკვლავი აელვარებულათ, ვრ-
თადერთ წუთშიო, მაგალითად, მხოლოდ
გამოუსწორებელი შეცდომებისადაც, შრ-
ულოდნელი წარმატებისადაც, ერისად
იგულვე, თუნდა პიროვნებისადაო, ერ-
თი წუთისგანაო, ერთადერთისგანაო,
ეგევე წუთი თუ დამდგარიყო, ვინთუ
გადავა ნებას ჩვენსაო, — ვინ გადავი-
დოდა, — ბეგლარიც დამორჩილდა რა-
ღა თქმა უნდა. მეფეები იბადებიან, ბე-
ლადები აღმოჩნდებიანო, ვისი ნათქვა-
მია, არ მაგონდება ასე სახელდახელო-
და, არცთუ მოქმენა მებალისება, ალ-
ბათ ნათქვამია, ვინმე იტყოდა, იმსაც
იტყოდა, აღმოჩენები რო წუთისაა, იმა
წუთისა, ხალხს რო ჰგონია, ნება ჩემია,
ჩემი სურვილი აღსრულებულათ. დი-
დი წუთია, წუთი აღმტაცე ზვიადობისა,
გასაოცარი კმაყოფილებისა, ამპარტავ-
ნული აფეთქებისა, ამპარტავნული კმა-
ყოფილებისა. ასეც აფეთქდა საბინკლე
„თბილისი“ შუალამისასა, ბეგლარი
ვთქვითო, ეს ჩვენა ვთქვითო, ნება ჩვე-
ნიო.

და უცებ იქაობა გაუფასურდა თუ გა-
ფერმკრთალდა ლენტოს თვალშია, რა-
ღათუ ბეგლარზე ჩამოუწყდათ სალა-
მიო, რაზან ამოთქვეს, ბარემ ნუგზარი-
სათვის დაედოთ ხელი, დაედოთ და
აღარ აეღოთო, ნუგზარი ჰქვიან თუ
რაღა ჰქვიან, ოღონდ ბეგლარი არა ყო-
ფილიყო, თუნდ ისა ყოფილიყო, ფა-
რნაოზისათვის რო მიემგვანებინა, თუმ-
ცა არაფერი უგავდა ფარნაოზსა, მინცა
ყოფილიყო, ვინც უნდა ყოფილიყო,
ოღონდ ეს არა; რა გამოვიდა, ჰქრება
ბრჭყვიანლება, იწმინდება თვალი თუ
მტვრით ივსება, ძირს ენარცება და
მტვრით ივსება თვალი. ისეც იქა ზის
თუ იქავე ჩაყუნტულა თუ ამოჭედილა,
ზემო საფეხურზე კიბისა, ღრუბლის
ქულეები რო შემოაქნევოდა თითქოსა,
ფაფუკი, ფაფუკი, ფუნჩულა ქულეები,
ხან იისფერიცა, ვარდისფერიცა, შემო-
აქნევოდა, გაებრწყინებინა თვალეები მი-
სი, საოცარისა თუ ნეტარის ხილვით
გაებრწყინებინა რაღაცა სხივსა, საიდ-
ლანდაც არეკლილ სხივსა, გაებრწყინები-

ნა და გაებადრა. დაბლაც იგივე სხივი დასცემოდა, იტალღებოდა იგივე ღრუბლები, იგივე ფაფუკი, იისფერი თუ ვარდისფერი, იტალღებოდა და ლივლივებდა. და უცებ გაჰქრა, ანთუ თამბაქოს ბოლი ბოლადვე იქცა იმისთვისაცა, ოზშივარი — ოზშივარადა, საჭმლისაცა, სამოსისაცა, სტომაქისაცა, ერთად აქაქანებული პირიდან რო ამოდიოდა, პირიც რო მოექუმათ, მაშინაც რო იდგა გაუნღებდა, მოედნებზეცა, თვით მოედნებზეცა, ასე ძალიან რო აძრწუნებდა შექსპირსა, ნამდვილად შექსპირსა, კარგადაც მახსენდებდა და მომებნასაც როდი ვაპირებ. სახინკლეში რაღა იქნებოდა, იმა ღრმად ჩასულ, მიწად წასულ სახინკლეშია? რაც იქნებოდა, ის იქნებოდა, ოღონდ ლენტო იმანდა გამოარკვია, ბეგლარი იყოსო, რო აიხირეს, — მაშინ ამოვარდა სუნი ნაყროვნებისა, ზევით და ზევით უფრო ავარდა, გადარეკა ღრუბელი იისფერი თუ ვარდისფერი, ფაფუკი, ფაფუკი ღრუბლები გადარეკა და გამოჩნდა უცნაურად დატყნალული სახე ლენტოსი, მანამდე უცხოოდ რო კრიალებდა, უცხოდა და მიმზიდველად, მომზიბლავად, მინდობითა, მიაშიტობითა; ჰოდა გამოჩნდა დაფშხალული, ჰოდა ბეგლარმაც მაშინდა თუ შენიშნა, ჰიქა აეწია, მიმოატარებდა თვალსა, მადლობას უძღვნიდა სათამადოთ მადლეგრძელბელთა, მიმოატარებდა და შერჩა იქა, ერთ წუთს შეეყინა ზემო საფებურზე ჩაყუნტულთა შორისა, ჰო ერთ წუთსაო, ერთადერთსაო, იქ ერთი წუთისა გახლდა ყველაფერი. გაუყვა თვალი ელისოსიცა ბეგლარის თვალსა, ნაზიკოსიც, ფარნაოზს რო არა ჰკავდა არაფრითა, იმისიცა, ნუგზარისაცა, იმას თუ ერქვა მართლა ნუგზარი, მთლად იმა დაბლში ჩამდგარებისა, თვალსაჩინოდ გამოყოფილთა, პრეზიდენტს რო მიმგვანებოდნენ შემთხვევითა თუ განგებისადა, იმათი თვალი ასე გაიბა და ეგება ყველაც შემობრუნებულსო, წუთს რო არ ჩაევილო, იმა ერთ წუთსა, ერთობლივად აფეთქებული პატივმოყვარეობისა.

და იდგა ოზშივარი, ბოლი, სუნი გაუსაძლისი, იდგა თუ აღმართდა მთლად და აღიოდა ზევით უფრო გაუსაძლისადა, აღიოდა და აღიოდა.

ანთუ ლენტო თუ განიცდიდა ასე, ამგვარადა, სხვებს არც ეცალათ საამისოდა. ზეციურ მანანას მანამდისაც ხარბად როდი შეუშვერდა ხელსა ლენტო, მერე სულ დაეხსნა, აღარ მოსწონდა აღარაფერი, სადლეგრძელოებმა მთლად გააბოცა: შუქს გაუმარჯოსო, ხელებსა პარჭყამდა ბეგლარი, იმ შუქურებსაო, რო ჩაეჭროთ და ავანთებინეთო, გაუმარჯოსო, დასტურს დასცემდნენ, ყვიროდნენ, ბლაოდნენ, ბულრაობდნენ, ლამის თუ თავსაც უჭიციებდნენ ერთიმეორესა, წათამამებულისყვნენ და უჭიციებდნენ; ხმას გაუმარჯოსო, ისევ ბეგლარი პარჭყამდა ხელებსა, იმ მიკროფონსაცაო, ჩვენ რო მოვიპოვეთ და ხალხს მივაწვდინეთ ხმაი ჩვენი ანუ ხმაი ხალხისავე, სიტყვაი ჩვენი ანუ ხალხისავეო; გაუმარჯოსო, სულ-მოუთქმელადვე მიადევნებდნენ, გრიალებდნენ და მოზაიკის იატაკს ურტყამდნენ ქუსლებსა, ურტყამდნენ ისე გამეტებითა, თითქოს და რაო, უნდა ჩააწვდინონ მიწის გულამდისა ანთუ ეგრედვე გრიალით ჩავიდნენ იქამდისაო; ჩვენ ჰო მარტონი არ ვიქნებითო, ჯერ ისევ ბეგლარს გამოედო თავი, ასევე იქნება ერევენშიცაო, ბაქოშიცაო, კიევშიცაო, სხვაგანაცა და სხვაგანაცაო, ჰოდა იმათ გაუმარჯოთო, ჩვენს მოკავშირეებსა, ჩვენს თანამდგომებს გაუმარჯოთო, — გაუმარჯოთო, დასცემდნენ მომეტებული ალტყინებითა და მომეტებულადაც აირეოდა მონასტერი. მაშ აბა რაო, სადლეგრძელო თავისთავად გამომწვევი გამოდიოდა, აბლა გაითვალისწინე მოსართავი სიტყვები საამისოდა, ვარსკვლავებით სავსე ჰიქების გამოცლაცა, ჰოდა მთლად აირია მონასტერიმეთქი: ყველა იძახდა რალაცასა, ყველას უნდოდა წაეჭარბებინა სხვათათვისა, ყველას ეგონა, ცუდ ადგილას მოვხვედრილვარ, ამიტომაც არ ესმით ჩემოო, ეგონა და მიიწვედა დახლისავე-

ნა, პრეზიდენტობით რო გამოკომუნიკაცი-
ვნი, იმათენა, ყველა მიიწევდა, ყვე-
ლა თითს იწევდა თუ ფარჩავდა ხე-
ლებსა, ყველა ვერც გამოიჭედებოდა
დახლშია, თითების იმედილა ჰქონდა,
ჯერ მე დამითმეთ სიტყვაო; გამოკედ-
ვითაც გამოიჭედნენ, არა უშავს რა, ისე
ბლომად გამოიჭედნენ, ველარ გაუძლო
დახლმაცა, ჯერ კვენესა მორთო, ბრჭია-
ლი აუტყდა სახსრებისა, მერე სულაც
ამოყირავდა, პირქვე დაემხო. და ცოტა
შეცბნენ, მოულოდნელი რამ მომხდა-
რიყო ანთუ ცუდად ენიშნათ ეს დამხო-
ბაი მართლა დახლისა, მაგრამ როგორ-
დაც პრეზიდენტობის მინამგვანისა, — და-
ხლი პო დაემხო, ზოგნიც გადააყვდნენ
თუ გადაეშოტნენ ზედა, ახალი შემოკე-
დილებიცა, ძველთაგანიცა.

ჰოდა შეცბნენო, ცოტა შეცბნენო,
ჰოდა დრო იხელთა, ნუგზარი ალბათ
ვისაც თუ ერქვა, იმან იხელთა: გავუ-
გონოთ ერთმანეთსაო, ასე განაცხადა,
რას ვემგვანებით თუ არ დავაცდით
ერთმანეთსა ან ჩვენი საქმე რას დაეჭ-
გვანებო, ვინც აგვიჩვენია ჯერ იმას
დავაცადოთ, ის განაგებს და გაგვავგონებ-
სო, ასე განაცხადა და ჩააშოშმინა წა-
მოგზნებული თუ აღტყინებული ხალხი,
დრო რო იხელთა, მხოლოდ იმითი ჩაა-
შოშმინა, სიტყვის კილოთიცა, მუდარ-
ისა თუ საყვედურისა ანთუ შეზავებუ-
ლი კილოთი, თან დახლსაც დაეტანა,
წამოვაყენოთო. წამოვაყენეს, ოღონდ
და რაო, ველარ გამართეს საგულდაგუ-
ლოდა, შეაკორიკეს და იდგა ეგრე შე-
კორიკებული, ჰადა ჰა, დამხოზილიყო
თუ არა, ჰა და ჰა.. ხელით იჭერდნენ,
ბეგლარსაც ეკიდა ხელი, ისე ველარა
პარქყამდა ორივე ხელსა, ერთდროუ-
ლად, ცალცალს თუ აისროდა, გასტ-
ყორცნიდა აქეთ იქითა, მეორეთი ჩააფ-
რინდებოდა დახლსა თუ სანიშნოს პრე-
ზიდენტობისა ანთუ გამოყოფილთა, თუმ-
ცა უკვე მომატებულიყვნენ, ვინცთუ
შეჭედილიყო, გამოსვლას აღარც მოინ-
დომებდა, კიდევაც თუ შეიჭედებოდნენ,
სხვას რას იზამდნენ, კიდევაც წინ წას-
წევდნენ მონგრეულ დახლსა, წასწევ-

დნენ; ვიდრემდის შეგნით მოეჭედოდ-
ნენ ყველანი, ანთუ ვიდრემდის შეგნო-
ფშვნებოდათ ხელშია, ანთუ თვითონ
შეეფშვნებოდნენ ან... თუმცა ჯერ მა-
ინც განაგებდა ბეგლარი, — აშლილიყო
საღერღელი ლაპარაკისა, არ ილეოდნენ
მოლაპარაკენი, იცვლებოდნენ და იცვ-
ლებოდნენ, ბოლო არ უჩანდა, — რას
განაგებდა, ძნელი სათქმელია.

გამოსათქმელად არც ისაა იდვილი
თუ რას ამბობდნენ ის მჭევრმეტყველ-
ნი, ნათლად, მკაფიოდ გამოსათქმელა-
და, მოკლედ სათქმელად, რუსთაველის
პირობისამებრა, თორემ მთლიანად თუ
გადმოვიტან, გრძელიც გამოვა, დაბნე-
ულიცა, კიდევ ვინ უწყის რადა არ გა-
მოვა. ერთი რამ მაინც საგულისხმოა,
ზოგი თბისკენაო და ზოგი მგლისკენაო,
ჰოდა ერთი რამ მაინც საგულისხმოა, —
მჭევრმეტყველებდნენ ნამდვილად, ქე-
შმარიტად, ენაზე ჰავლი არ მოედებო-
დათ, მიგრეკებოდნენ ოთხამოლებითა,
არ მოიკლებდნენ არცა სიტყვისა, არც
სიფიცხესა თუ მგზნებარებასა, თუ სჭი-
რდებოდათ, თრთოლვა-კანკალსაც არ
მოიკლებდნენ, კურცხალ ცრემლებსაც
გამოურევდნენ, საგულისხმო აი ეს
არის, სწორედ ეს არის, სად გაწაფუ-
ლიყვნენ ამნაირად, როგორა სთვლემ-
და ამდენი უნარი, უინი ამდენი რანაი-
რად განაბულიყო, მერე და კრებებზე,
უამრავზე, აურაცხელზე, კრებების მე-
ტი რა ენახათ, რა გავგონათ, — როგო-
რა სთვლემდა, რანაირად განაბულიყო?
იქ უსათუოდ პეტრე კამათობდა, პავლე
კამათობდა, ვთქვათ ისიდორეცა, ყველას
თავისი პეტრე ჰყავდა, თავისი პავლე,
ვთქვათ ისიდორეცა, პეტრე ორ სიტყ-
ვას ვერ გადაამბდა ერთიმეორესა, ვე-
რცა პავლეი, ვთქვათ ისიდორეცა, პე-
ტრეს ვილაცა დაუწერდა წინასწარა,
პავლესაცა, ვთქვათ ისიდორესაცა, პეტ-
რე ჭლოყინით ჩაიკითხავდა სხვის და-
წერილსა, პავლესაცა ცხადია, ვთქვათ ისი-
დორეცა, ცხარე კამათი ამას ერქვა,
გამოხმაურებაცა მხურვალე თუ დამრა-
ზმავიცა, ათასი სხვაცა, აღმატებული სი-
ტყვები ერქვა, ესენიც იქ ისხდნენ, ის-

ხდნენ მღუმარედა, ისხდნენ ტაშისადა, ისხდნენ და თურმე იქ იზრდებოდნენ, იწაფებოდნენ თურმე ასე უცნაურადა — არც დამწერიო, არც დამწერილიო, მიერეკებოდნენ სულმოუთქმელადა. საგულისხმოა და დამაფიქრებელი, ოლონდ თუ მაინც თუ რას მიერეკებოდნენ ანთუ როგორ მიერეკებოდნენ, რა უნდოდათ, როგორ უნდოდათ, მოკლედ გამოთქმა ადვილი არ არის-მეთქი, რო ითქვა გონივრული და ლამაზადაც ითქვა, უგუნურადაც ითქვა გონივრული, მახინჯად ითქვა, გიჟურიც ითქვა ლამაზადა, მახინჯადაცა ითქვა გიჟური, მომეტებულაც ეს გამოდიოდა, ხოლო რიკრიკით ყველა რიკრიკებდა, რიკრიკებდა და რიკრიკებდა სარეკლასავითა რაღა თქმა უნდა. და ყანყალებდა დახლი იგი თუ საბრძანებლო პრეზიდენუმისა, კორიკობდა და ყანყალებდა, გადაწვებოდა, ამართებოდა, ჩაიზნიქებოდა, ასწევდა წელსა, ლაწუნს გაიღებდა, გაიხრკიალებდა, ხრიგინებდა გაუთავებულადა, ხრიგინებდა და წაქცევას იყო, ხელითა იქერდნენ, ანთუ ვინ უწყის ებლაუქებოდნენ, რაც იყო, იყო, იქერდნენ და ებლაუქებოდნენ.

მაინც თუ რაზე აშლილიყვენ, არა? მთავარი მაინც გამოირჩეოდა, როგორც უნდა დაბნეულიყვენ, ვინ როგორც უნდა აეთრია სიტყვასა, მაინც გამოირჩეოდა მთავარი.

გამოირჩეოდა და ერთი ეს გახლდა: დეპეშები ვაახლოთ ჩვენს მოკავშირეებსაო.

მეორეც ესა: ვის ვაახლოთო, რა ეწოდებათო ანთუ ჩვენ ვინა ვართ, რა დავგერქმევთაო.

პირველი გადაწყდა სადღეგრძელოსავითა, სადღეგრძელოს მოპყვა და ისევე აპყვენ, უნდა ვაახლოთო, უნდა შეეუთანხმოთო განზრახვანი თუ ღონისძიებანიო, გაუმარჯოსო, გაუმარჯოსო; მეორე ვერა, ვერ გადაწყდა ასე ადვილად, იქ აირივნენ, იქ შეეჯახნენ, შეეჯახდნენ, იქ აპრიალდა დახლი უფრო მომეტებულადა, გადაიზნიქა, გადაყირავდა, იქვე იქერდნენ, იქერდნენ

თუ ებლაუქებოდნენ და ებლაუქებოდნენ გორც იქნა დაირღვეს: უცნაურად უყარეს რაღა თქმა უნდა, წინააღმდეგი არავინ იყო ცხადია და რაღა თქმა უნდა, ოლონდ რის შტაბიო, ეს მაინც იეითხეს და ორატორებმა ისევე მოიგდეს ქაფი პირზედა: რისაო და ძეგლისაო; ძეგლისა არაო, მონუმენტისაო, ძეგლი შეიძლება ყველაფერს უწოდოს, ეს მონუმენტია, მონუმენტიო; მონუმენტი მხოლოდ უცხო სიტყვაა და მეტი არაფერიო, უცხომ გაგვანიორწყლა და გვეყოფა, გამოვეხსნათ უცხო უღლისაგანო; ენა არასოდეს გამოთიშულაო, მითუმეტეს დღევანდელი არხაზული თუ გაუგონარი კავშირითიერთობისა და პროგრესის პირობებში, მონუმენტიო, უსათუოდ მონუმენტიო; მონუმენტი, მონუმენტიო; შტაბი მონუმენტისაო; არაო, მონუმენტალური შტაბიო; არაო, მონუმენტური შტაბიო; ასე გაიბა, ასე გაიხლართა, ამაზე მოიგდეს ქაფი პირზედა. დახლის საცოდაობა პო აღარ ითქმოდა, ისეთიარადაც გაიკაზუნებდა, გეგონებოდა, ნაფოტებსაც ველარ აქრეფენო, მაგრამ არაო, მაინც ექირათ თუ ებლაუქებოდნენ, ან ეგება ნაფოტებილა შერჩენოდათ ხელში, ნაფოტებსლა აკოწიწებდნენ. იქ არ აღმოჩნდა არცერთი ლინგვისტი, მეცნიერულად რო დაესაბუთებინა, მოეტანა ციტატები, მიეთითებინა ნაშრომები, თუნდაც რო წელიცა გამოცემისა და გვერდიცა ნაშრომისა, არა, არ აღმოჩნდა არცერთი ლინგვისტი და ხრკიალებდა დახლი, ხრიგინებდა, აწყდებოდა აქეთ-იქითა, ანთუ ნაფოტებადლა ქვეულიყო, ანთუ ვინ უწყის რაღა, — ყველაფერი ითქმის, ისეთი დღე რო დასწეოდა, მანამდე უწყინარსა, უმფოთველსა და თვინიერსა, მხოლოდ ლუღით თუ რო გაიწუწებოდა, ანთუ იპურებდა, სულს მოითქვამდა, ჰაერი რო ჩაგუბდებოდა; ასე მაინც არ ჩაგუბდებოდა, შუაზაფხულშიც არა, კარს დაადგებდნენ ყურთამდისა, ქერში ბრუნავდა ვენტილატორი, ვეებერთელა ვენტილატორი, ზედ დახლზეც იდგა, დახლიდარი ღიპს

მიუშვებდა და საანგარიშო რგოლებს ჩაჰყრიდა კოტიტა თითებიტა. ანიავედბოდა თითებზე ბანალი, ვენტილატორი აანიავებდა. ესეც იდილია საბინკლე თბილისისა, ზაფხულის იდილია, შუა-ზაფხულისა,—რა დღეს დასთენებოდა?! გაზაფხული ესაა დამდგარიყო, დამდგარიყო ისიც კალენდრითა, რა იქნებოდა მერე ზაფხული, ნამდვილი ზაფხული რა იქნებოდა?! მოსთქვამდა დახლი, ბლაოდა დახლი, ღვარად დიოდა ცრემლი და დღრამლი, წაქცევას იყო თუ გაქცევას იყო, მაგრამ და რაო, ვინ გაუშვებდა, მაგრად ეჭირათ თუ ჩაბლაუქებოდნენ, ეხლებოდნენ ერთიმეორესა და ბრუნავდა დახლი გაეშვებულნი თუ დამთხვეული, არეული თუ გაბეზრებულნი, — დამთხვეულიც საკმარისია...

XVI

„...და განსუენებია არა აქუს დღე და ღამე, არამედ იტყუიან: წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი ღმერთი, ყოვლისა მპყრობელი, რომელი იყო, და რომელი არს და რომელი მომავალ არს“.

აღბათნუგზარი რო იმას რო ერქვა თუ რაც ერქვა, იმანაც ველარ გააგონა ველარავისა, ანთუ ველარ ჩაიგლო წუთი შესაფერისი, ანთუ დანაყრდნენ და უმადურობამაც აღარ დაყოვნა, — თუ გადაგიხდია, მერე და რაო, გაოხრია და გადაგიხდიაო. ჯერ ეს არ ეთქვით ხმამალადა, ჯერ ამას მხოლოდ გამოხატავდნენ, ტუჩები ისე ეღეჭებოდათ, წარბიც ისე ექუფრებოდათ, როცა ის ითხოვდა გამიგონეთო, აღბათ ნუგზარი იმას რო ერქვა. ისიცა ლამობდა რიდაცის თქმასა, ფარნაოზს რო არა მიმგვანებოდა, განიერი ბეჭებით აწვებოდა ზედმიწვევებითა და ჰერს უღერებდა ვეება მუშტებსა, — აღბათ ლამობდა, აღბათ ამბობდა თუ ორატორობდა, მაგრამ და რაო, იმას ვილა დაუჯერებდა, ვინცთუ ვილაყას მიმგვანებოდა და თურმე არც მიმგვანებოდა, ეს რალაც ისეთი უსახურობაა, ლამაზი სიტყვებიც

რო ვერაფერს შესძენს, მათ უფრო ვინ უწყის რას როგორ ამბობენ, მტკიცარც მთლად გაქაჩწყულნი იყვნენ, მხოლოდ ესაა, დახლს ჩაჰფრენოდა ორივე ხელითა, სადაც ჩაჰფრენოდა, არც მონაყვლა, დახლი თუ ბრუნავდა, ბრუნავდა ისიცა, თუ წვებოდა, იზნიქებოდა, წვებოდა ისიცა, წვებოდა თუ იმტვრეოდა, მაინც აღმოჩნდებოდა თავის ადგილასა, სადაც აირჩიეს იმ ადგილასა, იმ მხარესა, კვლავ დაითრევდნენ, კვლავაც იქვე აღმოჩნდებოდა, სხვა ველარაფერი განერაგებინა, ანთუ რალა განერაგებინა, ესეც დიდი ბიჭობა გახლდა, დიდი, დიდი, იმ ალიაქთშია... ლენტოს უხაროდა, ეგეც შენაო, წასვლაც უნდოდა, ამიტომაც შეყოვნებულყო, ეგება, ემანდ, უფრო სასაცილოდაც დაითრონო, ემანდ იატაყიც აალოკინონო.

ლექტორებმაც ველარ გააგონეს, ანთუ თვითონვე ველარ გაეგოთ, ირგვლივ თუ რა ხდებოდა: პარტიისტორია დაესწავლათ ზეპირადა, იმეორებდნენ ზეპირადა ერთიმეორის თანმიყოლებითა, მიამტერდებოდნენ ერთ წერტილსა, ერთიანირად ერთ წერტილსა, ერთი ერთ მხარესა, მეორე მეორესა თუ მესამე მესამესა და იმეორებდნენ ეგრე, ეგონათ ჩვენია ბურთი და მოედანი, ეგონათ ყლაპავდნენ ჩვენს ყოველ სიტყვასაო. დაწყნარებას არ მოითხოვდნენ რალა თქმა უნდა, ეგონათ, აღბათ ასეც გვისმენენო, ან ვინ უწყის წყნარად არიანო. ანთუ რა ეგონათ თუ როგორ ეგონათ ახლა რალა საძებარია, მხოლოდ ესაა, ზომიერად ენაცვლებოდნენ ერთიმეორესა, ზედმეტ აზრებსა თუ ზედმეტ სტრიქონს არ წარმოსთქვამდა იმითგან არცერთი. იქა გრიალებდა დახლი, იქ შებმულიყვენენ მოპაეჭრენი, აქეთ ესენი მიჰყვებოდნენ თავიანთ გზასა. იქით მსახიობებიცა ლამობდნენ რალაცასა, ყოფნა არ ყოფნასა ლამობდა ერთი ანუ წარმოთქმასა ლამობდა ყოფნა არყოფნისა, ლამობდა ეგრე უშანგის მიბაძვითა, არაფერი გამოსდიოდა, არ მიუგავდა არაფერი, გარდა ცხვირისა, ამაზე თუ გაიცინებდნენ, ცოტაოდნავ

გაიციანებდნენ, არ გაუგონებდნენ არცა იმასა, არცა იმასა, ავთანდილის ანდერძი რო გაეხსენებინა, იმასაც არა, გამოჯაერება რო მოენდომებინა ბეკინასი თუ პლატონისა ანთუ ორივესი ერთადა, — არა, არცერთსა, საზიობა არ გამოსდიოდა, ანთუ იმათ არ გამოსდიოდათ შესაფერისი თუ მოსაბერხებელი. ცოტათი მხატვრებს გამოუვიდათ, კარიკატურები ააფრიალეს, ამათიცა, ვთქვათ ბეგლარისა და ფარნაოზს რო არა ჰგავდა იმისი, იმისიცა, იმას რო ერქვა ნუგზარი ალბათა, სხვებისაცა გარეშემოსა, შორეულთაცა, შორეულთა და აღმატებულთა, პირველთაგანთა, მოწინააღმდეგედ ვინც მიეჩნიათ, ანთუ ვინც იყო, ანთუ ვინც წიგედოთ, დიდი თავი გაქვს და იტირო, ანთუ: დიდი თავი გაქვს და თავში იეციო. ჰო მხატვრებს ცოტა გამოუვიდათო, ცოტა აციენეს და უფრო მეტი საღერღელი აშალეს ლაპარაკისა, მეტნი აშალეს მოკამათენი, იმა დიდ თავზე მოკამათენი, მანამდის ვითომც ერიდებოდნენ, კარიკატურამ მთლად ვადარიათ თუ წააქეზათო, ასეც გამოითქმის. ეს უფრო ისინი, — ყოფილი ჩინოსნები, ვადამდგარნი თუ გადაყენებულნი, წარჩინებანიც რო აესაოთ გულზედა, მუშტებსაც იბაგუნებდნენ წარჩინებებზედა, გაბუნებულ წარჩინებებზედა, და გულმკერდს ეკიდებოდა, ასხდებოდა ლურჯადა, გაბუნებული წარჩინებანი: მაშინ სად იყოო, იკითხავდნენ გაოგნებულნი, ეს რო იყო, ჩვენ რო ვიყავით, მაშინ სად იყოო, — იმისას იკითხავდნენ რალა თქმა უნდა, იმა დიდი თავისასა, კრიალა თავისასა, წინ რო წიგედოთ, დიდი თავი გაქვს და თავში იეციო. გამოედო იმასაც თავი, წაქეზებულიყო, გათამამებულიყო, ბუღას დავიქერ კუდითაო, გაიძახოდა; გაიძახოდა და შესძახოდნენ, ჯან ტიკო და ჯან ბაწარაო, დაიქერ და დაიჭირეო, ჯან ტიკო და ჯან ბაწარაო; გაიძახოდა და შესძახოდნენ, ოლონდ აქ არა რალა თქმა უნდა, აქ ამიტომაც გახელებულყვენ, ცოტას იციანოდნენ კარიკატურითა, რისხვა ბევრი აუშლებოდათ, ბოლმა კიდევ

მომეტებული, ბოლმა და ტიკოც კიდევული თუ გადწეული ერთმანეთს იყურო, იყო, მოქმელი იყო ბევრი და ყველას ეგონა, უკეთესს მე ვიტყვი, მხოლოდ მე უნდა დამაცადონო.

რაც იყო, იყო, დახლი თუ მაგიდა პრეზიდენისა შავ დღეში იყო, ტრაკუნთუ თუ ხრქიალი, ბრუნვა თუ ბრიგინი, ეგ არაფერიო, ბოლოს წაიფერდა და ადგომა აღარც ეწერაო, თუ დაემხობოდა, დაასკდებოდა და დარეშებებოდა, ჩაკიწოდებოდა, სანაგვე, ხიწვებოდა თუ იქცეოდა, აღარ ეწერა სხვა აღარაფერიო.

რაც იყო, იყო, და კივილი გაისმა უმძაფრესით, უეცრად მოსკდა, გაპხია დუნდგო იგი ხმებისა, გაპხია, გაფხრიწა, მიჰყარ-მოჰყარა ნაფლეთებოდა, გააშეშა პირნი დაღებულნი, ხელნი აქნეულნი გააშეშა თუ გააქვავა, გააქვავა იგი დახლიცა, ეგრე წაფერდილი, ზედ შეაფრინდა და გააქვავა. ნაზიკო შეაფრინდა, ნაზიკო აღიშართა წაფერდილ დახლზედა და ყმაწვილებმა ყიყინა დასცეს ალტაცებისა, კივილი იგი გააგრძელეს, გააზვიადეს. მომეტებულნიც ისინი იყვენ, მეტსაცა ფიცხობდნენ, მეტსაცა ეგზებოდნენ, ოლონდ დახლისკენ არ მიიწვედნენ, არც ისე ცდილობდნენ მკვერამეტყველებასა, მხოლოდ ასდევდნენ; უნდა აპყოლოდნენ, ვილას აპყოლოდნენ, ველარ გაეგოთ, გაუგებრობით არეოდათ კრიალა სახეი, წრფელი თვალეზი, მიმნდობი, მიაშიტი, გაუგებრობის მორეცს დაეთრია, გამოსავალი ველარ ეპოვნათ. და გაჩნდა იგი გამოსავალი, ხმა იგი გაჩნდა, კივილი იგი მოსკდა უეცრად, ნაცნობი კივილი, ცივი, გამყინავი, ერუანტელიანი, ძაგდაგს რო მიგცემს, თავს რო ველარაფრით ვერ მოერევი, კივილი იგი მოსკდა უეცრად და ყმაწვილებმაც დასცეს ყიყინი, ყიყინა დასცეს ერუანტელიანი, იმელიანი, მუქარიანიცა, ემანდთუ კრინტი სხვამ აღარ დასძრასო. და იღვა ნაზიკო წაფერდილ დახლზედა, წაფერდილსა და გაქვავებულზედა, იღვა გაშლილი, გაფრჩხული თუ გაფხოკილი

თმებიოთა, რაღაც ნაკუწი თუ რეზინი წაეძრო ძუსასავით შეკრულ თმის ბოლოდანა, წაეძრო და ძენძავდა თითებიოთა, გრძელი, გრძელი, გაქიყვლებული თითებიოთა, ტანოთაც ეგრე აწოწილიყო რაღა თქმა უნდა, აწოწილიყო ყანჩასავითა და რო ამბობდა, ანთუ ჰყოლდა, ჰყოლდა ეგრედვე ყანჩასავითა. ყანჩას ყოველთვის დაფიქრებულს გამოჰხატავენ, ნეტავი თუ რას აფიქრებენ?.. ვინ იცის, ვინ უწყის, ამას ფიქრი მოეთავებინა, ანთუ არც ეფიქრა, ცეცხლს აეტანა, აგიზგიზებულოყო და იდგა ეგრე აგიზგიზებულო, აბურბურებულო, დახლი თუ იწვოდა, მაგიდა იგი კოცონად თუ გადაქცეულიყო. ისევ თუ ეჭირათ დახლი, მაინც ეჭირათ თუ ებღაუჭებოდნენ, ხელს თუ ითბობდნენ ავარდნილ კოცონთანა.

და გიზგიზებდა კოცონი იგი, კოცონი სიტყვისა, ანთუ სიტყვები შეშა თუ იყო, ხმა მოსდებოდა, ხმა ცეცხლიანი: ჭერ აქამოდე ბევრი არაფერი გამოიჭია წუთისოფლისაო, — ამგვარად ამბობდა, — მაგრამ იმდენი ჭკუა მაინც მომჩივრებია, ვიცი თუ ვინა ვარ, ვიცი, რა ვარ, ვიცი, რაც მინდა. ესაა ჩემი ავლადიდება, სილატაევა ვიცი ესეცა, მაგრამ რაც არის, სილატაევი ჰო მაინც არის, უამისობაც არ იქნებოდა, არარაობა ვიქნებოდი უამისოდა, ძეძვს შერჩებოდა ეს ჩემი ტანი ბუმბულავითა, შეეძენძებოდა ზედა. მე ეს თუ მარტოს დამემართებოდა, ბევრი რაღაა, — ბევრიც ასევე დაიძენძება თუ ვერ გაიგებს, ვინ არის, რა სურს, რა ძალა შესწევს, რა გზას დაადგეს, — ბევრიც ასევე, ვითარცა ერთი, დაიძენძებაო. და შიში მიპყრობს, თქვენ რო გისმენთ, როგორც მარტოსულს, ისევე მიპყრობს, ისევე მაძრწუნებს, რამეთუ თურმე ჭერაც არ იცით, ვინა ხართ, რა ხართ, რაი გწადლიათ?! ამდენსა დაობთ, აფრქვევთ აზრებსა ვისას აღარა, ღმერთო ჩემო, წაგიკითხავთ მერე რამდენი, ოღონდ არ იცით თუ ვინა ხართ, რაი გწადლიათ. ნუ მიწყენთ, გისმენთ და ვერ გაგიგე, ჭერ სახელს ირქმევთ და სახელიც ვერ გი-

პოვნიათ, ანთუ რას ეფიქრებთ, ეფიქრებთ განა თუ რა გქვიათ?.. ხალხი იგი, ყველგან რო არის, ერთი რო არის, ერთი სულით რო ანთებულა, თუ თავწახრილა, შრომობს და შრომობს, მიწას თუ მცენარეს დოვლათად აქცევს, თუ თავს ასწევს და აბობოქრდება, ზღვა რო ზღვა არის, ზღვასაც არ შესწევს იმოდენი, ერთად რო მიუშვა. ჰოდა ხალხი ვართ ხალხი, ზღვა ვართ აღძრულო, აზვირთებული ან არც ეს უნდა, რის ზღვა, რა ზღვაო, მონუმენტური თუ მონუმენტალური რიღასი რა არის, როცა ხალხი ვართ, ხალხი, ხალხს თუ რაცა სურს, დაგვეჩივრებია გამოთქმა იმისაო.

ჰოდა ხალხი ვართ, რაღად გამოვეყოთ, სხვა რამ რად დავიჩქვით, ხალხი თუ გექვია, ეს დიდი სახელი, სახელთა სახელიოთ.. ხალხი ვართ და ხალხია ისიცა, ვინც ხმას დაგვაწევს, მოკავშირედ ვინც გამოგვადგება. მიმართეთ ასე: კიევი, ხალხნო!.. მხოლოდღა ასე, ასევე სხვათაცა, ისმინეთ ჩვენი ხალხნო, ჩამაათნო, ისმინეთ ჩვენი, ჩვენ მოგმართავთ, ხალხი მოგმართავთ, მოგმართავთ ხალხსა, ჩვენ თქვენ მოგმართავთ, ვისაც ერთობლივ აქამდის რწმენა რაც რო გვეგონა, უცებ დაგვეშო და ვაწოწიწებთ დამსხვრეული რწმენის ნატეხებსა; ისმინეთ ხალხნო, ჩვენ თქვენ მოგმართავთ, ვისაც ერთობლივ გაგვძნელებია, დაგვმოთ უეცრად, რაცა გვეჩეროდა, ერთბაშად დაგვმოთ, გაეცამტვეროთ, ჩვენ თქვენ მოგმართავთ ხალხი ხალხსა, ვისაც იმედი გავღვივებია სიღუბჭირიდან თავდალწევისა და ის მიგვანდა სვეტიცხოველად ამაღლებისა, განდიდებისა, ჩვენ თქვენ მოგმართავთ ხალხი ხალხსა, თავდალწევისად წამოგზნებულსა, რამეთუ ხალხი მხოლოდ ის არის, თავდალწევისთვის ვინაც იღვწისო. ჩვენ თქვენ მოგმართავთ: იგი ამაღლდა უმცირესიდანა, იყო ნუგეში უმცირესისა და თქვენ მოგმართავთ ამა ნუგეშის გადარჩენისადო; იგი ამაღლდა მცირეთგან მცირე, იყო სითამამე უმცირესისა და თქვენ მოგმართავთ სი-



თამარის გამოხსნისადო; მან გადაჰქელა უღმობელად რაცთუ რა იყო თვითონ გვექვა ყოველივედა, აწ თუ დაგვექვა, რაღა ვიღონოთ, ჩვენ თქვენ მოგმართავთ ხალხი ხალხსა, რამეთუ იგი ჩვენვე გვეითხავდა და თვით ამბობდა სათქმელსა ჩვენსა, ჩვენც თქვენ მოგმართავთ, ანთუ თქვენ — ჩვენა და მოთხოვნას ჩვენსას ასე გამოვთქვამთო: კვლავ დაგვიბრუნეთ მისი შობის დღე, საზეიმოდა, სადიდებლადა, ვითარცა აქამდისა, ვითარცა ყოველთვისა, მოგონების დღეც დაგვიწესეთ მართის თვეშიო. ჩვენ თქვენ მოგმართავთ ხალხი ხალხსა, ჩვენ ხალხს ეს გვინდა, ჩვენ ხალხი გვექვიან, ვიცით, ვინცა ვართ, ვიცით, რაც გვინდა, ვერც რა დაგვამბნევს, ვერც რა მოგვერევა, ნებასურვილი ჩვენი განაგებს, აღგვისრულებია, რაცა გვისურვებია, აღგვისრულებდა, რაცა ვისურვებთ, რამეთუ ხალხი ჩვენა გვექვიან და თქვენ მოგმართავთ ხალხი ხალხსაო.

ქეშმარიტს ვამბობ, დამიდასტურებთო, თუმცა ჯერ რაო, ბევრიც არაფერი გამეგება წუთისოფლისა, ოღონდ ამდენი ჭკუა მაინც მომიკრებია, ჩვენ რა ვართ ხალხი და სხვა სახელი აღარ გვინდაო, ხალხი ჩვენა ვართ, ხალხი ჩვენა გვექვიან და გაუმარჯოს ჩვენს სახელსაო, ნუღარც ვიდავებთ, დავას ქვეყანა წაუღვიაო, ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენ ვიდღეგრძელოთო.

შესძახეს მძაფრადა, თითქოს ჰერი აიხდებარ, შესძახეს და შესძახეს, გავეიმარჯოსო, მძაფრადვე შესძახეს, კედლებს განაგრევედა ძაბილი იგი, ოდნავად მეტიც თუ მოუვიდოდათო. ეს რა თქმა უნდა განვიადებულოა, სქელი ქედლები, მკრივი კედლები ძველი შენობისა კიდევ ბევრ ყვირილს გაუძლებდა, ასე ერთობლივ გაუგუნს გაუძლებდა, სხვა უარესსაც გაუძლებდა, ოღონდ იქ მაინც რაღაცა მოხდა, რაღაცამ უცებ გაიჭახუნა, დაიზრიალა და დაეხეთქა, სწორედ იმ წუთსა, იმ ერთობლივი შეძახილისა, იმ ერთობლივი ტაშის ავირდინისა, იქ ყველაფერი წუთისა გახლ-

და, ანთუ წამისაღა გამეტყულებოდა წამში მოხდა, ერთ წამს გახლდა ჩვენი ტალღა დაბლის გარემოცა, — თუ ტრიბუნისა, თუ კვარცხლბეკისა, თმა-გაწეწილი, ხელეგადამსლილი ქალიშვილის ძეგლი რა აღმართულიყო. — ერთ წამს აიტაცეს ხელი დაბლიდანა, ტაშისად აიტაცეს და მოსწყდა დაბლი, გაიჭახუნა, დაემხო, მორჩა, მოსწყდა ძეგლიცა, ამოტრიალდა, დაემხოზოდა კვარცხლბეკის ნამსხვრევებსა, დაემხოზოდა და დაელეწებოდა, მაგრამ მიუსწრეს, მიაშველეს ხელი, აიტაცეს, გაანაწევს ეგრე ხელეგზედა, შეისროლეს, მიაყოლეს ტაში, კიდევ შეისროლეს მომეტებული ტაშის სიმალეზე, კიდევ და კიდევ, აფრიალებდნენ ეგრე ტაშეზედა, აფრიალებდნენ და ანანავებდნენ. ესენი ყმაწვილები გახლდნენ, სულმთლად ყმაწვილები, საორატოროდ რა არ მიიწეოდნენ, მაინც რა კიეინებდნენ ყველაზე მეტსა, თუ საჭირო იყო, წინ წაცვივოდნენ, სხვა თუ დაიხვედა, ისინი წაცვივოდნენ. მაშინაც წაცვივოდნენ, მიუტწრეს, აიტაცეს, მიაყენჭულეს და ხლის ნამსხვრევებიცა, მოცალეს ადგილი, დაუშვეს ტაში შემალღებულს, წრედ შეპკრეს ტაში და ახლა წრეში დაატრიალეს ხელეგამსლილი, თმაგაწეწილი ქალიშვილი, ხელები მისი, — თუმცა ეს იმდენად არაფერი, — თმით მისი დაფრიალებდა იმათს თავზევითა ყმაწვილები გახლდნენ, სულმთლად ყმაწვილები, სტუდენტები პირველი კურსისა, მოსწავლეები ტექნიკუმებისა, ანთუ უბედო აბიტურიენტები, ნაზიკოსთან ერთად რა მეცადინეობდნენ, — ესენი ატაცებულებიყვნენ მომეტებულად.

ჯერ ამით მოედოთ ეინი ღზინისა, ასე მოედოთ, როგორღაც ერთბაშად, თავისთავად, მერე იმათაც გადაედოთ, უფრო მოზრდილთა თუ თავგამოდებულთა, თვით ლექტორებიც გააკყვნენ ნაზიკოსა, შენაცვლებითა რაღა თქმა უნდა, დადარდინებული თუ უკმაყოფილო ყოფილნიცა, კომპოზიტორიცა, მხატვრებიცა, მსახიობებისა რაღა ითქმისო,

ნა

ლზინი იმათი მოგონილია, გაჰყვენენ ნაზიკოსა და მერე ელისოსა, როცა ნაზიკომ წრე იმას დაუთმო, ისევე ნაზიკოსა, ისევე ელისოსა, გაჰყვენენ და დაჰქროდნენ, დაფრინავდნენ, დალივლივებდნენ ნეტარნი თუ აღტაცებულნი, რო ეგონათ რო გადაწყდა ყველაფერი, აღესრულა სურვილი მათი. უმაღლესი იმპერატორებითა ბრძანება გამოცხადდა ნაზიკოს პირთა, ეგონათ და გახარებულყვენენ, ეგონათ და აცმუკებულყვენენ ყმაწვილნიცა, უფროსებიცა, ერთნაირად აცმუკებულყვენენ; ანთუ ეგების არცრა ეგონათ, ვარსკვლავები რო ჩახჩახებდა, ყველა ბოთლი რო გამოიწრიტა არყისა, ყოველნაირი არყისა, თვით უმდაბლესი ხარისხისაცა, ლუდის კასრები რო გამოიფშუტა, იმან თუ გაიტანა თავისი, გაიტანა და აიყვანა, ერთობლივ აიყვანა ყველანი ქალიან-კაციანადა, ყმაწვილიან-ხანდაზმულნიანადა, ჩერჩტიან-ბრძენიანადა, ყველანი, ყველანი, ბეგლარიცა ცხადია, ფარნაოზს რო არა ჰგავდა, ისიცა, გაიოზი ალბათ იმას რო ერჭვა, ისიცა რა თქმა უნდა, აიყვანა და ისე აიყვანა, ბეგლარი რო ბეგლარია, ისიცა ცეკვავდა თავდავიწყებითა ნაზიკოსთანაცა, ელისოსთანაცა, გამოიყვანდნენ, ისევე ჩაიჭრებოდა ნაზიკოსთანაცა, ელისოსთანაცა; ეგონათ თუ არა, რაც იყო, იყო, ლზინიდა იყო სახინკლე „თბილისშია“: ჯორჯიაშვილის აღმართზედა, აღმართზედა თუ დაღმართზედაო, — სულერთიაო, არცერთი წადმართი არ გამოდგებო.

მანამდე დრო იყო, ან რაღა იყო, — დღეები ითვლებოდა.

რაც უნდა იყოს, ყველაფერს ბოლო აქვს, ლზინი რაღააო, — ანთუ ლზინია ყველაფრის ბოლო, მერე თავიდან დაიწყებაო; სხვები აზობენ, ჭირია ბოლო ყველაფრისაო, თავიდან მერეღა დაიწყებაო; სხვები სხვას იტყვიან, ჭირი თავს გადასდის წუთისოფელსა, ლზინი მხოლოდ მოგონილია, ისე, სულის მოსათქმელადო, ჭირთა თქმა შვებააო და ლზინიც იგივე ჭირთა თქმა არისო. სხვაანაირი მოქმედიც იქნება,

ჯერ იქ რამდენი გახლდა კმაროდა ერთ ვისმე ასტენოდა ენის ქაველეუკავლედებოდა ყველა ენაი, ზოგჯერსხვებყსამტეგრმეტყველოდა, წხოგისა ისევე საკიეინოდა. ოღონდ თუ ერთი იოკებდა ენის ქაველისა, ყველა იოკებდა და იყო ტაში, და იყო ლზინი, ბოლოც იყო ლზინისა ცხადია; და ბოლოც ის იყო, ნაზიკო რო გადაგა განზედა, გადაგა სიცილითა, დაღლილი სიცილითა, თითებიდა მოისვა თმის ძირებზედა, ოფლი მოიყოლა, ჩასციინა ოფლსა, თითებს ჩასციინა ოფლით მონამულსა, თითქოს რაღაცა ჩაუთქვამსო, ანთუ კითხულობს რაღაც იდუმალსა, ვითარცა მისანი თუ ჯადოქარიო. მაშინ ნაზიკოს სადღეგრძელოც წამოხტა საიდლანდაცა, ძნელი სათქმელია თუ საიდანა, — ერთბაშად ითქვა, ერთბაშად დაილია, ერთბაშად განიწოდა ყველა ხელიცა, ხელში აგიყვანთ, ხელით წაგიყვანთო. არაო, — იუარა ნაზიკომა, ისევე სიცილითა, დაღლილი სიცილითა. მხედრებივით ამოგიდგებიო, გაგაცილებთ მხედრულითაო: ჯარში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო, დაბრუნება და შინ მოსვლა, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო, — აბა, და ჰა, დაგვიძახეო. არაო, იუარა ნაზიკომა, თუ გაცილებაა, ის გამაცილებს, თქვენს შორის ვისაც არ მოეწონვარო. ჰა, ჰა, ჰაო, — ო, როგორ იციენეს, ძნელია გადმოცემა ამისა, შედარებები არ მეყოფა, არაფერი გამოგა გახვიადებოდაცა, არა, არაფერი, უცნაური იყო, როგორღაც უცნაური, თუნდაც გაგახსენო გმირები ჰომეროსისა, სიცილი იმათი, იმათზეც უცნაური, თავისებური, აბა, მაშ რაო, ნეტავი ვინ იქნება, შენ არ მოსწონდეო. იქნებაო. აბა, ვინაო.

აქ აღარ უთქვამს, დაღლილი ღიმილი გადაეფოფრა სახეზედა, თვალებზეც იგივე რაღა თქმა უნდა, იმა თვალებით აიხედა, თქმით აღარ უთქვამს, აღარც უნდოდა, აჰყვა თვალები იქამყოფებისა, მდუმარედ აჰყვა, გაოცების მდუმარებითა და დაიძრა ღიმილი იგი, დაღლილი ღიმილი, და დაუთმო გზა ღი-

მიღმან მან, გაოცებისმან, და იარა ნე-
ლა, ვით დაღლილობას შეეფერება, გა-
პლია დარბაზი, კიბეს მიაღდა, შეჩერდა
იქა, იდგა, იდგა, თითქოს საფეხურებს
ველარ აპყვებო, ანთჲ ეგების აღარც
ეთმოდა ეს ამოდენი თაყვანისმცემელი,
მაგრამ ორივე ტყუილი გამოდგა, უცებ
ავიდა, მაღალი კიბე ასკრა სწრაფად,
იქ სულ თავში ლენტოსთან შედგა,
— აი ესაო, — შედგა და არცა თქვა,
მხარზე დააყრდნო დაღლილი ღიმილი.
სიცილად იქცა ღიმილი იგი გაოცებისა,
თუმცა არც იცოდნენ თუ რაღა აცინე-
ბდათ, არცა თვითონვე, არცა ლენტო-
მა, — ამან მაინც თუ რამე გაიგო, ისღა
გაიგო, უნდა გაპყოლოდა იმა ღიმილსა,
დაღლილ ღიმილსა, უნდოდა თუ არა,
უნდა გაპყოლოდა.

უნდა გაპყოლოდა... და გაიღო კარი
მორთული ვეფხვების ქედურობითა,
კარი გაიღო და სიცილი იგი გაუგებარი
ქუჩაში გავარდა, გაიპო, გადაიყო, წავი-
და აღმაცა, დაღმაც წავიდა, ჯერ ის
გასტყორცნა, ღიმილი იგი, დაღლილი
ღიმილი, ლენტოც მიაყოლა. აქ ლენტო
ათქმის, საბუ იმისი არაფერს გამოს-
ცემდა, არ აპყოლოდა არცერთნიარ სი-
ცილსა, არცერთნიარ ღიმილსა, არცა
ტაშსა, არცა ცეკვასა, არ მორეოდა
არც სითამამე, სისაწყლისადაც არ გა-
იმეტებოდა, რაც უნდა იყოს, ეგება მა-
ინც გადასდებოდა სიხარულს აღმური,
აღტაცების აღმური, ლუღის დარბაზში
რო ავარდნილიყო, — მაგრამ არაო,
სულმეხუთულობა თუ გადაპყრავდა,
ისიც გადაშორდა, მყისვე გადაშორდა,
გავიდა თუ არა პერზედა, მარტის პე-
რზედა, მშრალი, მშრალი მარტისა,
მშრალი ზამთრის შემდეგა.

და იდგა მარტი, მირკანი იდგა ქარ-
თულისა ენითა.

იდგა მირკანი.

XVII

„და ვარსკულავნი ცისანი გარდმო-
ცივივს ქვეყნად, ვითარცა ლელუმან

რაი დაყრის ყუავილი თუქსი, ქარქისაგან
დიდისა შერყეულმან“

დაღლილი ღიმილი დაღმა დაუყვა,
ანთუ ღიმილი აღარც შერჩა, დაღლი-
ლობა დაუყვა დაღმა. მუხლები ერყე-
ოდა თუ ეკეცებოდა, ვაჟის შკლავს ეკი-
და ორივე ხელითა, მაინც ეკეცებოდა
მუხლები. აიტანა სიცივემაცა, თბილი,
თბილი პალტო ემოსა, ისიც ნაცვეთი,
თანაც იქ იმდენი იცეკვა, იხტუნა, ისე
შეხურდა, ველარ შეეგუებოდა მარტის
ღამეს ნაუცბათევადა, — ველარც შეე-
გუა, აეკრა ვაჟსა, მიეტმანა, ვერც ამან
უშველა, ძაგძაგმა აიტანა, აპყვა ძაგ-
გსა, ააქაჟუნა კბილებიცა, ასე უფრო
მოვერევიო, ცოტა ხალისიც გამოპყო-
ლოდა, ხალისითაც მოვერევიო.

— მაინც მიჯობდა ეს ამერჩია, გაი-
ოზი ალბათ იმას რო ჰქვიან, — გამო-
ყოლილი ხალისით ამბობდა, — ტყავის
პალტო აქვს, თბილი, თბილი, ხასხასა
ბეწვიანი, წამოიფარე ცალი კალთა ხას-
ხასა ბეწვისა და იარე; იარე რამდენიც
გინდა, თუნდაც ყიამათში იარე, იარე
ასე შეტყუებულმა, მხურვალე ხელიც
რო გეკლანება წელზედა, იარე და ი-
არე, განა არ მიჯობდა? იცი, ვინატრე,
იქვე ვინატრე, ღამე თუ გამოვდივარ,
ასე შემართება და იქვე ვინატრე ხას-
ხასა ბეწვი, მაინც შენ დაგადგი თვალი,
გამოგაჯარე, აი რამდენი თაყვანისმცე-
მელი მახვევიამეთქი. პა, პა, პა!.. კიდე-
ვაც დავიბენი, განებიერებული ქალბ-
ტონის ზნეც გამომიტყვრა, ვინ უნდა
მეურჩოს, როცა ყველა ფეხქვეშ მეგე-
ბამეთქი. პა, პა, პა! და მოვინდომე
დადრეკა ურჩისა. ის ბეწვი მერჩივნა,
თბილი, თბილი, ხასხასა ბეწვი, წამო-
ფარე ცალი კალთა და იარე, იარე! ჩემი
დღენი თბილ ქურქსა ვნატრობ, მცოვა,
მუღამა მცოვა და ვნატრობ, ვნატრობ,
თუნდაც ერთხელ გამოგვხვიო შიგა,
ვნატრობ და ამიხდა, დამიდგა წუთი,
წუთი, ვინ უწყის წუთი ეს ერთადერ-
თი, დამიდგა და გავკოვნიდი, ველარა
ვაწამე, ჩამიარა, წავიდა, ჩიცივნა და
წავიდა, წავიდა. ბედისწერა ალბათ ეს
არის, ალბათ ასე უნდა ვინატრო ჩემი

დღენია, ვინატრო და ვინატრო, ალბათ
ნატურაა უფრო მღვდლვარე და თუ აგი-
სრულდა, არაფერია, არაფერი. შენ რა
გგონია, ალბათ ის ქურჭიცი არაფერია,
ალბათ ასე სჯობს, მივბაძვამებდეთ,
ვერც გავათბობდეთ ერთმანეთსა, არც
ვეშვებოდეთ, მივბაძვამებდეთ და სულ
ასე ვნატრობდეთ ქურჭისა, თბილისა,
თბილისა, ხახასა ბეწვისასა, ჰა შენ რას
იტყვი? უუუუუ... ცივა, ცივა!

— ცივა...

— იქ კარგი იყო.

— აღარ მოიცადე...

— აღარ მოვიცადე, დავიღალე თუ
გამოვიქეცი, შემეშინდა და გამოვიქე-
ცი, იქ ყველა ჩემით ალტაცებულყო
და შემეშინდა, შემეშინდა და გამოვი-
ქეცი. არასოდეს არავის მოვწონდი და
უცებ ამდენი თაყვანისმცემელი გამოჩი-
ნდა, — იცი, ეს რა არის? შეიძლება
ჭკუა დაკარგო! ერთ წუთს თვალები
დავხუჭე და სიკვდილი ვხანტრე, ნეტა-
ვი ასევე მოგვკლდე, ასევე დავეცი, ასე-
ვე დამიტრონმეთქი. უცბად როგორ-
ღაც გარს მომაწყდა ეს ალტაცება და
შემომეფანტა ასევე უეცრად, ისევ და-
ვრჩები მარტოდმარტო, უთანამგრძობ-
ბელოდა, უსიყვარულოდა. ამან შეშძრა,
ამან შემაშინა. აქამდე ვუძლებდი, ვე-
ღარ გავუძლებ ამიერიდანა, ქვეყნად ამ-
დენი სიყვარული თუ ყოფილა, მე რა-
დადლა უნდა ვიყვე უსიყვარულოდა?
შეგიძლიან, რაიმე მომიგო? ეგება ჭკუა
მართლაც დავკარგე, არც საცვირველია,
ოღონდ ეს ვიცი, უსიყვარულოდ ვე-
ღარ გავძლებ, ვეღარ გავძლებ მარტოდ-
მარტოდა, ხოლო ეს ჩაივლის, ეს ტაში,
ეს შეძახილი ქრუანტელიანი, ეს თვა-
ლები გაბრწყინებული, მალე ჩაჭკრება,
მალე ჩაივლის. ერთობლიობა ასე ყო-
ფილა, რაღაცა აიტაცებს, დაატრია-
ლებს და დამცემს ისევე ერთობლივა-
და, მეც დამცემს ცხადია, ოღონდ გამ-
ტყორცნის უფრო შორსა, ყველასგან
შორსა, ყველაზე მეტადაც მე დამანარ-
ცხებს, რასაც ავიტანდი, ვეღარ ავიტან,
რასაც ვესწარფოდდი, ვეღარ მივალწევ,
რახან ვიგემე ნეტარება აღმატებისა, ვი-

გემე წუთი აღმატებისა და ვინატრე სი-
კვდილი, უკვე ვინატრე.

— სიკვდილი შორსა.

— ახლოსა... აი თვალებს დავხუჭავ
და ვარსკვლავები ცვივა, ცვივა. თბი-
ლისმა ვარსკვლავები არ იცის, თბილი-
სის გარეთ მე არც გავსულვარ. ერთ-
ხელ, მხოლოდ ერთხელ, პატარობისას
სადღაც წამიყვანა მამიდაჩემმა, როდი-
ლა მახსოვს თუ საით წამიყვანა, მახ-
სოვს მხოლოდ რა ცა იყო დიდი, დი-
დი ვრცელი, უსაზღვრო და ცვივოდა
ვარსკვლავები, ცვივოდა, იფრქვეოდა.
ეგება არც მახსოვს, ეგება არცთუ სა-
ითმე გავუყვანივარ მამიდაჩემსა, ეგება
სადღაც ამოიკითხავს, ან გამიგია, ვარ-
სკვლავთა ცვენა სიკვდილისა ნიშნავსო
და ამის კვალად მე თვითონ შევთხზე
ცაი ვრცელი, ცაი უსაზღვრო, ცვენაც
მე შევთხზე ვარსკვლავებისა, დავხუჭავ
თვალებსა და ცვივა, ცვივა; ცა ისე
ვრცელია, ისე უსაზღვრო, ისეთი ფერი
აქვს, ისეთი ფერი, მინდა ვუცქირო,
მინდა დავტკე, მაგრამ იფრქვევა ვარ-
სკვლავები, იფრქვევა და იფრქვევა,
ცივა სული, ძირს ენარცხება და
ვბრწყინ, მეშინიან, ვახელ თვალებსა, რო
არ ვიხილო აღარცა ცვენა, აღარცა სი-
ლამაზე. მაშინ ჩემს სულში იფრქვევა
ვარსკვლავები, თითქოს ცაც მე ვარ,
უფსკრულიცა... საშინელია ცივა ცი-
ვა!.. ავადა მაქვს დაცილი ასეთი ჩვე-
ნებანი, ყოველთვის უბედურება მოს-
დევს, მე ახლა გარშემო აღარავინა
მყავს, მეღა დავრჩენილვარ და... აი და-
ვხუჭავ და: ცვივა, ცვივა, ლამის ჩა-
მოიქცეს ზეცაი.

— დიდი დღე იყო...

— დიდი.

— მომჭანცველი...

— აჰ, შენ გინდა დადლილობას გა-
დააბრალო?! ეგეც იქნება, დავიღალე,
დაე, ეგრე იყოს, დადლისა იყოს. მაგ-
რამ სიცივეს რაღა ვუყოთ?

— ვირბინოთ.

— ჰა, ჰა, ჰა... როდემდის ვირბი-
ნოთ?!

— როდემდეც გავთბებით.

— აღმინებო მაშინა თბებოდნენ ეგ-
რე, ცეცხლისა რა არაფერი იცოდნენ.
ჰოი, როდემდელია!.. ეტყობა ჩვენ აღა-
რაფერი შეგვიძენია იმის შემდგომა.
ველარც შევიძინეთ დამ ველარც ველარა-
ფერს წამოვეწვევით. რა ბედენაა, ირბენ
თუ არა, სადაც მიხვალ. უკვე მოუსწ-
რით, საითაც შებრუნდები, ვილაცა და-
გზედება, სულ ვილაცა, გადამთიელი,
რაც უნდა მოინდომო, გატაცებულა,
სულ უბრალო, სულ უმნიშვნელოცა,
გარჩევამი აღარაფერს შედის. ხელთ აღა-
რაფერი შეგარჩება და შური დაგალრ-
ჩობს. შენზე რად ვამბობ, მე მალრ-
ჩობს შური, შური იმისი, ვისაც არა
სცივია, შური იმისი, ვისაც არა სცხე-
ლა, ვინც გამძღარა, ვინც შემოსილა,
ვისაც ლოყები ამობურცვია, თვალები
უბრწყინავს, ვინც თუნდ ოდნავ კმა-
ყოფილია, სულ ოდნავადა, ცეცხლად
მედება შური ყველასადმი, ლამის
ყელში ვწვდე, ლამის დავალრჩო. რა
შემძლებოდეს, ასეც ვიზამდი, ჩავდგე-
ბოდი კუჩის ხიდზე და გავუსწორდე-
ბოდი ყველა ბედნიერსა, მაგრამ და
რაო, არაფერი ძალშიმს და მევე მალრ-
ჩობს ჩემივე შური, მევე, მერევა ჩემი
უშწეობა. ეს იმიტომა, ისევე სირბილით
რა უნდა გავთბე და აღარცა მაქვს სი-
რბილის ილაჯი. იქ კარგი იყო!.. მე ისე-
თი რამ არ განმიცდია, ასეთი განმიც-
დია, ასეთი მერევა, იქ კარგი იყო, ხას-
ხასა ბეწვიც ჩამათბუნებდა, მაგრამ მე
მშურდა, მაინცა მშურდა, და შენ აგი-
რჩიე. შენ არაფერი გაქვს შესაშურე-
ბი, სირბილით გინდა გაითბო თავი.
გაიქეცი, გათბი, ეგება სითბო ჩემთვისა
საე გეყოს, გაიქეცი, ოღონდ მთლად არ
გაიქეცი, არ მიმატოვო, შენის იმედით
გამომისტუმრეს, ნუ გაუმტყუნებ, გაი-
ძეცი!..

— გავიქეცი!..

— ერთადა?! ჰა, ჰა, ჰა... მამ ხელში
ამიყვანე, ჰა, ჰა, ჰა... არ გეხუმრები,
თუ ამიყვან, გულზე მიგეკრები და ია-
რე რამდენიც გინდა, გინდა ირბინე, გი-
ნდა იარე ასე ტატიოთა, მე მაინც ჩავ-
თბები, გული გულია, ცოტა სითბო მა-

ინც ექნება, გულისა ცოტა სითბოცა მე-
ყოფა. ჰა, ამიყვანე! არ ვხატავდი იმე-
გითხარი და მახსოვს, ეს ახლა მინდა,
მცივა და მინდა, მცივა, არაფერი სხვა
არ იფიქრო. ის ამიყვანდა, ალბათ ნუ-
გზარი იმას რა ჰქვიან, განა ამდენს
მახვეწინებდა, ხელს დამავლებდა და
ამიტაცებდა, მე ვიცივლებდი, ვითომც
იალიანაც მეხამუშებოდა, გავიწევდი,
ვისხმარტალებდი, ის მიმიკრავდა, უფ-
რო მიმიკრავდა, შემფუნთავდა ხასხასა
ქურქში და გამაქროლებდა, გამაქრო-
ლებდა. ჰა, ჰა, ჰა... გჯეროდეს, ვიცი
თუ რას რა აქობებს, ოღონდ მაინც შენ
გამოგიყოლიე. იმას არაფერი აკლია,
იმისთვის არაფერი შემეტება, დღეს მე
ვარ დედოფალი და ჩემითაც ის უნდა
გაეხარებინა ბედსა იმისასა, მე გავუჭო-
ქდი, მე შენი დაჯილდოება მოვინდომე
და გამოვედევნე შენს დამწვარ ბედსა.
შენ რალს იზამ, რაც გავაჩნია, იმასა
მთავაზობ, ვირბინოთო, არა? ვირბი-
ნოთ, აჰა!.. — და წაირბინეს. ხიდი გა-
დაირბინეს, ის შშრალი ხიდი, ყაფლან-
ნიანთ დამშრალი ტოტისა, ყაფლანი-
ანიც ჰო ასევე დამშრალან, აღარსადა
ჰაქანებს იმათი ვასაგისი. — დავილა-
ლეო, ნაზიკო შეჩერდა, მოიხარა, — მა-
ინცა მცივა, უარესადაც დავილალე, ლა-
მის ამომვარდეს გული, აი, ამომვარ-
დეს ლამისა, ველარ შემინერებია, მო-
მაშველე, შენი ხელები მომაშველე,
ღმერთო ჩემო, რა გემართება, ლამის
ამომვარდეს გული!

— უნდა ვიაროთ, გვიანაა, არაფერია,
უნდა ვიაროთ...

— ვიაროთ. რა მეტი ჯანია, მე ის ბა-
ვშიცა ჰო არა ვარ, რა გატირებსო, რა
ეკითხებიან; გამდის და ვტირო; მე
არაფერი გამდის. გამივლის: გულო ჩა-
დექ საგულესა, გულო ჩადექ საგულე-
სა, გულო ჩადექ საგულესა! აჰა, ვი-
როთ. სხვები აბებს მოიშველიებენ ხო-
ლმე, მე ასე ვიცი, ვთხოვ და მიგონებს,
ჯერ მიგონებს. მოიცა, მოიცა!.. აქ ისევე
ხალხია... — ძეგლს გადაადგნენ. მოე-
დანზე ჭვუფ-ჭვუფად იდგნენ, ბლომა-
დაც იდგნენ, იმდენი აღარა რალა თქმა

უნდა, მაინც იტყვოდა, ბლომად იყენებო. — ღამისთევია კოცონებზე ანთონ, კარგი იქნება, დაკლან კურტო, ზედაზე მოჰხადონ, კარგი იქნება, ასეც იქნება, ასე იქნება თანდათანობითა. არაფერი, უძახე რამდენიც გინდა, მაინც უნდათ, რო რაღაცა იყოს. ჯერ მორიგობენ, მთელი კვირაა მორიგობენ ღამისმთევლები. არაფერს განარჩევენ, იცვლებიან თავისთავადა, ერთნი მოდიან, მოდიან მეორენი, არაფერს მოუხმობს. არაფერს აძლევენ, მაინც მოდიან, მაინც თუ ჩასძახის, რაღაცა ჩასძახის, რო ვერც გაუგიათ, ისე ჩასძახის, წამოაყენებს, გამოიყვანს, აქეთ გამოსწევს. უცნაურია! აქაც მინდა დაერჩე, ხვალაც დიდი ამბები გველის, ველარ გაუძღვებ, ვიაროთ. მოიცა!.. მითხარი, მაინც რა ჩასძახის, ვის რა ჩასძახის, მე რა ჩამძახის, მე რა მინდა, მითხარი, რა!.. ღანდაღა მასსოვს ჩემი მშობლები, მამიდა იმით გზას მისტიროდა და სწყევლიდა ვილაცასა, არ ვიცოდი ვისა, სახელის თქმას ვერ გაბედავდა. მე ვიყავი ობოლი, ვიყავი უბედური და მამიდაჩემი სწყევლიდა იმასა, ვისგინთაც ვიყავი ობოლი, უბედური. სკოლაში მასწავლიდნენ, რო ეს იყო მამა ჩემი, მზრუნველი ჩემი, ჩემი სიყვითისათვის თავგადაცალკული, რო მე ვიყავი ბედნიერი, მასწავლიდნენ და მჯეროდა, მჯეროდა ბედნიერება ჩემი. მერეღა მიგვხვდა თუ ვისა სწყევლიდა მამიდაჩემი, თუ რა უბრალო მსხვერპლი იყვნენ ჩემი მშობლები და დავჯარგე ბედნიერება წარმოსახული, ერთბაშად ჩამეფუშა, ერთბაშად დავჯარგე. ობლობა რა არის, სიღატაკე რა არის, უბედურება ესა ყოფილა, ეს გამოფხიზლება, ეს სიცარიელე, ეს უფსკრული უფსკრული საშინელი. და მე ვკვივარ, უფსკრულში მივქრავარ და ვკვივარ, მხსნელს მოვუწოდებ. სად არის მხსნელი? ყველა მიჰქრის, მივქანება. ცვივა ვარსკვლავები, ცვივა ცვივა, უფსკრულში ცვივა. ის ღრმა იყო, ის ცაი, იისფერი, რაღაც მომხიბლავი, ეს ის არ არის, არა, ის არ არის. ვიაროთ. მოი-

ცა!.. არა, ვიაროთ! გინდა გეჩქვით? არა, არა, ამოვარდება ვუფსკრულში არ მიშველი, ჩემმა ლოცვებმა მამის სწყვეტარ გასჭრას? ვიაროთ ასე, ნელა ვიაროთ. იარეს ისე, გადასჭრეს ხიდი კუკიისა, მოედანიცა, პირდაპირ იარეს, ერთბაშად ილიას „ივერია“ რო ბინადრობდა, ეგრე იარეს, ჩაუარეს ქოსების სარდაფსა ანუ ოდესღაც ქოსების სარდაფსა, იქ პურისქამა ვაქვს უყვარდა; გვერდი აუქციეს „ივერიის“ ნაბინავებსა, ვიწრო ჩიხს დაუხვიეს, იქ დაბალ კიშკართან ნახიყო შეჩერდა.

— აქა? — იციოთა ლენტომა.

— აქა...

— მაშ დამემშვიდობისა!

— მიღიხარ?! —

— მაშა!

— მოიცა, შემოდი, რა გაჩვენო. ნელა, არ აარტყა თავი. შესასვლელიც ასე დაბალია, თავჩალუნული გავდივარ ხოლმე, მინცა მგონია, კოპები მაზის, ნელა, პო, აი: ეზოს ვუძახით, აი ეს უნდა მეჩვენებინა, ნეტავი ეზო ვინ დაარქვა, როცა ჭა არის, მეტი არაფერი, ზაფხულში თონეც დაერქმევა, მაგრამ თონეს სიგანე მინცა აქვს, ეს ასე ვიწროა, დიდხანს ვერ გაუძღვებ, შეგვხუთება სული. ცას თუ დაინახავ, პატარა ნაგლეჯსა, მზეც არ გადმომდგარა არასოდესა, კიდევაც კარგი, მზეც რო გადმოდგეს, გამოიწივებით. მზეც არამეთქი, ვარსკვლავებისა, რაღა გითხრა, აქედან ვარსკვლავიც არაფერს დაუნახავს და იმიტომაც მგონია, სადღაც რო გავსულვარ ბავშვობაში, სადღაც სოფელში, სადღაც რო მინახავს უსახლგრო ცაი და ფრქვევა ვარსკვლავთა, სადღაც მინახავს ან არც მინახავს, მევე შემითხზავს, ამოვმხრჩვავლვარ ამ სიციწროვეში და უსახლგრობა შემითხზავს ჩემთვისა, მერე იმასაც შევუშინებოვარ, საით გავიქციე, აღარ ვიცი, ჩემს წარმოსახვას საითღა გავიქციე, ანთუ ნეტავი რაღად მეშინიან, თუ ასე მინდოდა, თუ ასე მხიბლავდა, მერე და ნეტავი რაღად მეშინიან? შენ არ გეკითხები, არა, შენ არ მომიგებ, შენ მხოლოდ ცდილობ

დრო იხელთო და გამისხლტე როგორ-
მე, აბა რას მომიგებ, თუნდაც იცოდე,
მავრამ რა იცი, აბა რას მომიგებ! თქვი,
თქვი თუ იცი, თუნდ რჩი სიტყვითა, მე
წიგნივლები, თქვი, წიგნივლები! ჰო.
აქეთ შემობრუნდი, აი ესეც ჩემი ბი-
ნაა, აი აქვე, პირველივე საბრუნველზე.
ზევით მაინც ვიყვე. აქ უფრო ძნელია,
ასე მგონია, მე მაწევს ზურგზე ეს აზო-
ნჩილი შუშაბანდები, ეს ოკრობოკრო
კიბეები, საბრუნველ თითქოს მე მაწუ-
რავენ, სულ საბრუნველ გამოკიდებულნი,
ცის ნაგლეჯიც დაფარულია, თითქოს
ჩემს გულზე მიბაგუნებენ, აღიან თუ
ჩაღიან, არბიან თუ მიიზღაზნებიან, თი-
თქოს მე მაწივს, მე ვისრისები, ვერ და-
მიღწევიან თავი ვერაფრითა. ამიტომაც
გამიჩნდა ცა იისფერი, მოქუდილი ვარ-
სკვლავებითა, თითქოს ამითი მოვითქვი
სული, მერე ამიტყდა ავბედითადა, ასე
ამიტყდა და მიიცივალა ჩემი დაიყო, ასე-
ვე ამიტყდა და გავაყენე მამიდაჩემი,
ასე ამიტყდება და სადღაც ვიღაცები
ავივლებიან ამ ვიწრო ჭაში, მივასვენ-
ებთ და მივასვენებთ. ჩემს თავს რა-
ღაც უბედურებაა ან სადმე უნდა გადა-
ვიკარგო ან მთლად ამოვიჭამ ამ მახრ-
ჩობელასა, ჩემს მახრჩობელა ჭასა. აი
როგორი ვარ. შენ რა გეგონე? ალბათ
უარესი გეგონე, ანთუ უარესი რაღა
უნდა იყოს?! რაც უნდა იყოს, ასე
მგონია, ახლა ჩემი ჭერიც დამდგარა,
ასე არა, ასე არა ცვივოდა ვარსკვლავ-
ები, არც ასე მზარავდა, ჭერი ჩემია,
ასე მგონია. მოდი, შემოდი, ბინაც ესაა,
უცნაურია არა, ბინაც რა ვიწროა!.. შე-
მოდი, შემოდი, ახლაც დაეათობ, ელ-
ქურას ჩავრთავ, მალე დათბება რა უმ-
ნო რამეა, არა? აქვე მომიჩხლართეს
მეზობლებმა, უამრავ ელექტრონსა ზა-
პავს, ვერ ავუვიდოდი ამის გადასახლ-
სა, მავრამ ხერხი ვიცი, მრიცხველს გა-
აჩერებ და გათბი როგორც გინდა აქ
ყველა ასეა, შე რაღა ვარ. გაიხადე. და-
ჩქეი, სადაც გინდოდეს, როგორც გინ-
დოდეს, როგორც შენს სახლშიო, იტყ-
ვიან ზოლმე, მეც ისევე ვამბობ, სხვა
არაფერი არ იგულისხმო. დაჩქეი, და-

ჩქეი. არ გეგონოს თუ უნდა მომიჩხლართ-
მე, არც შემოგთავაზებ, უნდა მომიჩხლართ
არა, ვიცი, ნამცეცი არსად მივდი, წვე-
თი არ მივდგას, რას იზამ, არის ზოლმე,
ზშირადაც არის ასე ჩემს თავსა, ზოლო
შენ თუ ღარიბი არა ყოფილხარ, მეზო-
ბელი მაინც გეყოლებოდა ღარიბი და
წარმოიდგენ თუ როგორც არის. და-
ჩქეი! თავს როდი გაბრალებ, გაცნობი-
ერებ, შენ რატომ უნდა იმტვირო ამა-
ზე თავი, მევე გეუბნები. დაჩქეი, კარ-
გი.. და სხვათაშორის, ეს მაინც მით-
ხარი, აის რო არის, ბეგლარს რო უძა-
ხიან, ახლა ის მოსწონს ჩემს ელისო-
სა? ნუ შეიმჩნევ, ნუ, ნუ გაიკვირებ,
ჩუღურეთელები და კუჭიელები ღამის
იციობენ ერთიმეორესა, ეგ ზიდი ისე-
თია, გინდა-არგინდა მაინც გადაეყრები
და დაიმაბსოვრებ. ელისოც ასე დამხ-
სომებია, ასევე შენცა, არ გაგაკვირდეს,
ერთად ბევრჯერ დამინახიხართ ემაგ
ზიღზედა. ეგეც არ იყოს, ქალაქი თვა-
ლია, დიდი თვალია, უთუოდ გიქმე-
რის, ვერ დაეკარგები, არც გიფრთხილ-
დება, არც თვალს გამოვრებს, არც ენა-
ღელები, არც უნდა დაგკარგოს. თუმცა
რას ვამბობ, სხვა უნდა მეთქვა, იქ პირ-
ველად მაინც ვერ გიცანი, თითქოს გი-
ცანი, თითქოს ვერა, ვეწამებოდი, მო-
მეგონა თუ სად მენახე. ამ ხანებში
ამასლა ვფიქრობდი და აი მხოლოდ
დღესლა მიხვდი, ერთად რო გნახეთ,
ერთადაცა და აღარც ერთადა, ჰმ?! არ
გეკითხები! კარგი გოგოა, კარგია, კარ-
გი, ბავშვობიდან მომიკრავს თვალი,
მას შემდეგ მომიწონს, ყველასი რაღაცა
შემშურებია, მაგისი არა, რატომღაც
მგონია, ბედნიერი ეგეც არ არის, ამი-
ტომაც არ შემშურებია. კარგი გოგოა,
ალაღად ვამბობ, თუ შენ აწყენინე, შე-
მეცოდება, იმან თუ გაწყენინა, შეარგოს
ღმერთმა, კმაყოფილება ერთხელ მაინც
იგრძნოს იმანაცა, თუ არის ესეც კმა-
ყოფილება. როგორ თუ რა იყო, არ გე-
კითხები, არცა ვეჭვიანობ რაღა თქმა
უნდა, ჰა, ჰა, ჰა... რა სასაცილო იქნე-
ბა!.. ჰა, ჰა, ჰა... ააააა, უკაცრავად,
ალბათ მეძინება. მოიცა, მოიცა, შენ

ნუ, შენ არაფერი, იყავი, იყავი არ მერიდება, მხოლოდ დაძახე თვალი, გაზრესილი პერანგი მაკვია, არ მინდა და მინახო გაზრესილი პერანგი. პალტო არაფერი, კაბაც ვითომც იმდენი არაფერი, პერანგი მაინც შეტად სათუთია. რას იზამ... სამაგიეროდ ღამის პერანგი სადედოფლო მაქვს. ცოტა მოიცა, ცოტა კიდევ, ცოტა, სულ ცოტა, ჰოდა იხედე, ნახე, რა არის, სადედოფლოა, სადედოფლოდაც მოუშვადეს მამიდაჩემსა, მაგრამ ვერ ეღირსა დედოფლობასა, ჩვენ შევერჩით ობოლნი, ჩვენ გადაგველია. შეჰხედე, უცხო რამ მაქმანებით მორთულა, რა დიდებულად მორთულა მერე! შეახე ხელი, თითქოს არის, თითქოს არც არის, ჰაეროვნება! ააა... უკაცრავად, შეძინება... მოიცა, მოიცა. შენ როგორც გენებოს, აი საბანი, აგერა ბალიში, ემანდე ტახტი, ახლა წასვლა უაზრობაა, სხვა როგორც გენებოს, სადაც გენებოს, იქ მოისვენე, შენთვის თუ გინდა, ნება შენია რაღა თქმა უნდა, ოღონდ ჭერ ცოტაც შეიცადე, მინდა ჭერ კიდევ გელაპარაკო, ასე ლაპარაკში უნდა ჩავიძინო, თორემ შემზარავს მოჩვენებები, აი მოვლულად თვალსა და ღამის დამეფუფქოს, შიგ ისე მიცვივა ვარსკვლავები. ცეცხლმოდებულ ვარსკვლავები მიცვივა თვალებში, მიცვივა და მწვავს... არა, არა, არ შემძლიან! კალთაში ჩაგიკლები და ვილაპარაკებ, ვილაპარაკებ და ჩამეძინება, მერე ჩამაწვინე ჩემს ლოგინში, მერე შენ იცი, წასვლა მაინც უაზრობაა, გვანაა, როგორა გვონია, რომელი საათია? თუმცა ჰა, ჰა, ჰა... ღვინის საათია, თრობის საათიაო. აი ასე, ვიქნებო, თავსაც დაგაყრდნობ, აი, ასე, ოდნავ თუ შეგეხები, არ შეგაწუხებ, აი, ასე, ასე ვიქნები. შენ როგორც გენებოს, გინდა შემომხვიე მკლავები, ეგ ვეება მკლავები, გინდა შემოიწყე წელზედა, როგორც გენებოსმეთქი, მე ცოტაც კიდევ ვილაპარაკებ, სულ ცოტასა...

და ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა ისევ ისე შეჰსერებოდა, ისევ შიშსა და

ვარსკვლავებზე, ისევ შურსა და ვარსკვლავებზე, ისევ სილამაზესა და ვარსკვლავებზე, ისევ წყურპულსა და ვარსკვლავებისა და ვარსკვლავებზე, ვარსკვლავებზე, ვარსკვლავებით მოქედნილ ცაზე, თურმე არასოდეს რო არ ენახა, თურმე თვითონვე რო შეეთხზა და აძრწუნებდა თხზულება საყუთარი. და იჭდა ლენტოცა, იჭდა გასუსტული, მხოლოდ ხელებს დააბოდილებდა, ოღონდ ისე, რომ ხან მართლაც წელზე შემოიწყობდა, ხან აწვალბდა რკალსა სკამისა, ხან ისე ეყარა, ვითომც ასხია, ვითომც არაო. უნებელობა თუ დამართნოდა, ადგომა უნდოდა, ვერ ანდგარიყო, ცამოყოლაც ჰო არ უნდოდა, გამოჰყვა, შემოყოლაც ჰო არ უნდოდა, შემოჰყვა, ახლო გაკარებაც ჰო არ უნდოდა, არა, აღარა, კალთაში ჩაუსკუბდა, ჩაუსკუბდა და მორთო ტიტინი, არ უნდოდა არცა ტიტინი, მაინც უსმენდა, ოღონდ ელოდა ხელსაყრელ წუთსა, ეგებ როგორმე წამოვედგეო, ვერც ახერხებდა, ძილიც არ მოსჩანდა, და იჭდა ასე, ეყარა ხელები ან სკამს აწვალბდა, არც ეს უნდოდა, არაფერი უნდოდა, უნებელობა თუ დამართოდა. მანამდის რა იყო, — კაბის აფრიალება წამოანთებდა. პროფესორის ასულს ველარ გაუძლო, ენის მასწავლებელს გამოექცა, ელისო ღამის ნაუწყებად აქცია, თავშეკაეება ისედაც უჭირდა, ხელსაყრელ შემთხვევას არც გაუშვებდა, გარჩევაშიაც არ შედიოდა, — ჰო ასე იყო? იყო და აღარ იყო, იმდღის დედოფალი კალთაში უჭდა, ღამის პერანგის მაქმანები ელამუნებოდა, თმაც ელამუნებოდა, ასე გასინჯე, როგორდაც ისე გადაეხვია ის გაფხოკილი რუ გაძენილი თმები, — როდის გადაეხვია? დახედე ერთი! — როგორდაც ასე გამოებუტკა მომცრო კავები, გამოებუტკა საალერსოდა, გამოებუტკა და ელამუნებოდა, ეს მაინც აღარ იყო, აქეთ არ იყო. ისიც არ იშლიდა, ამბობდა თავისასა, სიტყვას გრძნობა ეკიდებოდა, უფრო და უფრო ეკიდებოდა, მაქმანებიც ულამუნებდა, უფრო და უფრო ულამუნებდა, სხეულოც ეკვრო-



და, უფრო და უფრო, უფროცა თებობდა იმ ვიწრო ოთახში, თებობდა, თებობდა, ნაპერწკლდებოდა, ზვიადდებოდა ჰერში შიშველი ნათურაცა და იმას თუ შეეთხზა, ლენტოს მართლაც მოავონდებოდა ცაი ავვისტოსი, ვადამზობილი ორბისის თავზედა; მოავონდებოდა თუ ველარც მოასწრო, — ჩაუქრეს შუქი.

გამორთესო, შესძახა ნაზიკომა.

უცებ გაუჯაღდა ხმაი მორთოლვარი, მყისვეც წამოიჭრა, მყისვეც გადაიცვა, გავარდა გარეთა, ვაეს ხელი დასტაცა და ისე გავარდა, — ძეგლის შუქურები გამორთესო, ვზადავზა არწმუნებდა, ღამისმთვევლების დასაფრთხოზადაო, უბან-უბანაც გამორთეს შუქი, ეს ისე, თვალის ასახვევადაო.

იყო სიბნელე და იყო დუმილი და აჩქარებული ფეხის ხმა ფხრეწდა დუმილისაცა, სიბნელესაცა.

XVIII

„...მიყავ მანგალი ეგ შენი და მოშვე, რამეთუ მოვიდა უამი მკისაი, და განხმა სამკალი იგი ქვეყნისაი“.

მერელა უკვირდა, თავის ტახტზე რო გადვიძა, უკვირდა თუ რა დაემართა, ისე უეცრად რა მოხდა ისეთი, ძველი ხასიათი რო გამოუბრუნდა, — მაშინდელი, ყმაწვილური, ორბისული, კანში რო ველარ ეტეოდა, კავკასიონსაც ძვრას ვუზამო, რო ეგონა, მხოლოდ ეგაა მოვიდომოთო; უკვირდა და ვერცთუ აეხსნა, ელიმებოდა და არც ელიმებოდა, არც ეამყებოდა, არც მოინანიებდა, ხელს თუ ჩაიჭნევდა, რაც იყო, იყოო, ესლა დარჩენოდა ნუგეშის მაგვირადა, თუ რამ მომხდარა ცოტა უხერხული, თუ ველარაფერი გამოაბრუნებსო; ხოლო თუ რა იყო, ის იყო, რაც იყო, ბევრად რო გაუსწრო ნაზიკოსა, ბევრად წააჭარბა, სირბილიშაიცა რალა თქმა უნდა და მერე კუნძულზედა აურზაურშია, — ის იყო, რაც იყო, ის აურზაური, იქ წააჭარბა, ყველას წააჭარბა. იქ შუქურები მართლაც გამოერთოთ, ღამ-

პიონებიც გამოერთოთ სანაპიროსი, ყაფლანიანთ ტოტისაცა, მთელს კუნძულზედა, ორბელიანთ კუნძულზედა რალა თქმა უნდა, ძეგლიც გამჭრალიყო, ღამისმთვევლებიცა, პოთიქოსაო, თიბქოს გამჭრალიყო და შემზარავად იცივლა ნაზიკომა, რა იქენითო, ძეგლი რა იქნა, რა უყავითო, ჯერ ნაზიკომა, მერე ლენტომა, რა იქენითო, რა უყავითო, იგივე გააკივლა და იქვე წააჭარბა, ეგონა; თავი გამისკდებოა, ისე წააჭარბა. თავიცა სტკიოდა გამოღვიძებისასა, ტკივილი არაფერი, ხელით მოსინჯა, ისე მთელია თუ გამხეთქიო. ის ერთი კივილიც არაფერიო, სხვა მერე მოჰყვა, როცა ნაზიკომ გამით გაჰყვირა, დენი არც იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, სინათლე მაინც არ მოუკლიათო, სხვა მერე მოჰყვა ანუ ამანაც გაიმეორა უფრო მკაბედა, აგერა ხეები, მარხეთ, აყუწეთ, აღავხნეთ კოკონი მთლად თბილის-ქალაქს რო გაანათებს, ზეცას რო ასწვდება, ისეთი კოკონიო, უფრო მკაბედაც გაიმეორა, ეგეც არაფერი, კიდევაც გააკიოდა, კიდევაცა სჩებდა, აკიწაწებდა, აყრიდა ცეცხლსა, შეშა-ფიჩხს აყრიდა, ტოტებს აყრიდა, ტრიალებდა აღსა და ბოლში; მოუყრიათ ძველი საბურავებიცა და ტრიალებდა და ტრიალებდნენ, ცვიოდა ტოტები ვერხვებისა, ვეება ტოტები, იქცეოდა ნაძვები, ბუჩქები ითხრებოდა, შემოკვერცხილი, შემოხატული ბუჩქები, იზრდებოდა კოკონი, ალი მატულობდა, აღიოდა და აღიოდა, ტკაცუნობდა და ტკაცუნობდა ზევით-ზევითა, ძეგლიც ნელ-ნელა ამოჩნდებოდა, ამოდიოდა აღსა და ბოლში, ამოდიოდა გარუჯული, ამოდიოდა ცეცხლის გულშია, მოფრიალებდა ფარაჯის კალთები, მოფრიალებდა, ნაპერწკალს გაჰყრიდა, ანთუ სახეს აეფარებოდა ეგრე ბოლიან-ნაპერწკლიანი, ჩაიფარებოდა, ჩაიძირებოდა, უცებ ისევ ამოვარდებოდა, კამარას შეჰყრავდა, გამლიდა ფრთებსა, გაჰყრიდა ცეცხლსა, გაჰყრიდა ბოლსა, გადაჰყვივლებდა, ამოველებოდა კვლავაც ცეცხლშია, ცეცხლში სცურავ-

და, ეთამაშებოდა ავარდნილ ალსა, ეთამაშებოდა თუ ეხვეოდა, ჩაიხუტებოდა და ჰკიეინებდა, ჰო ჰკიეინებდაო აგრეთვე ისიცა; ჰო ის ზევიდან გადაჰკიეინებდა, ეს ხმას შეაწევდა უფრო მეტის აღტყინებითა, სხევიც აგრეთვე, მეტი და მეტი აღტყინებითა, თანაც მომარბოდნენ რაღა თქმა უნდა, ცეცხლს უკეთებდნენ, ფიჩხს უმატებდნენ, უმატებდნენ და უმატებდნენ; კიეინაც ცეცხლს თუ შეეკეთებოდა, ძლიერდებოდა იმნაირადა, ალი ალს ასდევდა, გაიგანებდა, მართლა ნათდებოდა თბილისის-ქალაქი, ნათდებოდნენ გამჩაღებულნიცა იმა კოცონისა, ოღონდ და რაო, ნათდებოდნენ ძალიან ბევრნი, იმდენიც არ იყვნენ, თვითეულს ათი აჩრდილი ასდევდა, ათი თუ მეტი, იმ ძლიერ ცეცხლში, ცეცხლში უკუნისა აჩრდილებიც მომრავლებულიყო, არეულიყო ხალხი და აჩრდილნი, ვინ თუ ვინ იყო ანთუ რა იყო, ვერ გაიგებდა ველარაინა; ოღონდ ის მაინც იგივე გახლდა, შეიბრებოდა და გამოცხადდებოდა, შეიბოლებოდა და გამობზინდებოდა, ჩაიციინებდა უღვაშებშია, თვალს მოკუტავდა და ჩაიციინებდა, ჩაიბერტყავდა მოდებულ ცეცხლსა, ავარდებოდა, ჩაიბერებოდა, ჩაიბერებოდა, ამოცურდებოდა კვლავაც და კვლავაცა, გამოცხადდებოდა, მახილიც მაშინ მოიმატებდა, კიეინი, გუგუნი მოიმატებდა, თითქოს კუნძული ვულკანად იქცაო, იგი კუნძული ორბელიანთა; აი თუ რა იყო, აი თუ სად მოხვედრილიყო, რა ამბის გულში მოხვედრილიყო, თვით ნაზიკოსთვის სად წაეჭარბებინა, თვით ნაზიკოსთვისა, სხვაზე რა აღარა ითქვას რაი, აი რა უკვირდა — ძველი ლენტო გამობრუნდაო, თუ გამობრუნდა, კვლავ ისევ რაღა ვარ ასე მოშვებული, თითქოს თუ ვნაღვლობ, თუ არცა ვნაღვლობ, კვლავ განურჩევლობა რად დამეუფლაო, — უკვირდა და ვერ გაერკვია. სტკიოდა თავი, შუბლი უწიოდა, გუგუნი იგი ყურებში უდგა, შემორჩენოდა, აღარ ეშვებოდა. ისევ თავზე მოივლებდა ორივე ხელსა, მოი-

სინჯავდა გულმოდგინედა, ნუთუ ჰართლა არ გამხეთქია, ნუთუ დაჯდომას ვერ გამპობია, მამ ვით გაუძღვას იმდენი ყვირილსაო. როსტომი თავზე ჩამოირქმევდა რკინის სალტესაო, მერეღა ჰკიოდა, ისე თავი გაუსკდებოდაო. ამის სალტენ საღა ჰქონდა, ან რა ახსოვდა, — აღარაფერი, აღარაფერი, ყმაწვილობა გამოსცხადებოდა, დღეები იგი, ორბისიდან რა იწყვიტა. გამოსცხადებოდა, დაპბრუნებოდა, თავიღა სტკიოდა, თუ არ გახხეთქოდა, გახეთქვას იყო, რა ბედენაა, გახეთქვას იყო.

ეს არა მხოლოდ ყვირილითაო, მერე სასმელსაც აღარ მოერიდა.

ეს მერე, ისედაც რა ინათა ქალაქში, შუქტურებიც ისევ აანთეს, სანაპიროს ლამპიონებიცა, ძეგლიც წარმოსდგა ისევ ისე, თითქოს არაფერი გადაეტანოსო, ჰო მერე გახლდა, ხამზე წაიყვანეს, ასუსს აჯამეს, გამოათერეს დილაღამიანა; გამოათერეს და მოიგოვიანა თავი, იგივედ იქცა, იგივე შეტამუტა ლენტოდა, ერთხანს ცოტა ფული რა იშოვნა, თავისი რა ეგონა ცაცა, მიწაცა, ყველაფერი თავისი რა ეგონა. გამოსცხადებოდა მეორე ლენტოცა, უფრო მეტად დაღავებული, უფრო მეტად თავქარიანი, ძლივას გამოშვორდა, წვალებითა, ვაივაგლახითა, ჯერ ერთსაო, მერე მეორესაო, ორივე მოუჭრა ერთდროულადა, ერთდროულადვე მოიშორებდა, ოღონდ გაეგლო თავის ტვიკისა, თავის ტვიკილსავე გააყოლებდა. აბა მამ რაო, — შეკყურებდნენ უმცროსი ძმები, შეკყურებდნენ დამფრთხალი თვალებითა, დაიკოს აბები ეკირა ხელში, სველი ტილო უკვე დაეფინა შუბლზედა, წყალსაც აწვდიდა, დალიეო, აწვდიდა დამფრთხალი ისიცა, ბიჭებზე ნაკლებ დამფრთხალი როდი. ამათი ღალატი არ იქნებოდა, არა, ჯერ არა, არცა მერეო, მიითუფრო აბლა, ამ ეიწრო ხუხულამოც, თავი კუდსაც რა ვერ მოიქნევდა, ამ სისაწყლესა თუ სილარიბეში, თავი ნამცეცსაც რა ვერ წააწყვდებოდა, იგივე თავი რაღა თქმა უნდა. ესეც ფარნაოზმა გამოუძებნა,



თავი არა, — ეს ოთახი თუ ეს ხუბუ-
ლი რაღა თქმა უნდა, მერე დაიკარგა
ფარნაოზიცა, მონატრებია ფარნაოზი-
ცა, ხან ვის მიამგვანებს, ხან ვისა, არა-
ვინ არა ჰგავს, მაინც მიამგვანებს, მა-
ინც იმისი სახე მოეჩვენება ხოლმე; არა,
არ იქნება ამათი ღალატი, ჯერ მაინც
არა, ჯერ სკოლა მაინც უნდა დაამთფ-
რონ, — როგორ მოსწყლიანებიათ თვა-
ლები, როგორ შესციციანებენ ძმასა, ალ-
ბათ ბორგავდა, ალბათ აიკლო იქაობაი,
ალბათ შეაწუხა თუ შეაშინა, ახლა თვა-
ლები მოსწყლიანებიათ, შესციციანებენ
სველი თვალებითა, ძმებიც იგივეს გა-
უჟმეორებენ, დალიეო, აბებს აწვდიან,
არა, არ იქნება ამათი ღალატი, სოფე-
ლშიც არა, დიდ ქალაქში მით უფრო
არა, არა, არ იქნება; თავქარიანი ცხოვ-
რებაც არ უნდა, არა, აღარ უნდა, რა-
ღაც სხვა უნდა და ვერთუ მიუგნია ეგ-
რე ადვილადა, ანთუ მიუგნია, არა მო-
რჩილდება ეგრე ადვილადა, გაუჭირ-
დება, გაუჭირდება, სული ყელში მოებ-
ჭინება და თავს წაადგება ძველი ლენ-
ტოცა, თავს წაადგება და თვალს ჩაუ-
კრავს, წავა, წავა ნელა, ნელა კვლავ
თვალისჩაყვრითა და თითისწყევითა, წა-
მო, წამო, — არა, არ იქნება ამათი ღა-
ლატი, თავქარიანი ცხოვრებაც აღარ
უნდა. და თავი სტებს ისევა და ისევა;
სტებდა ყველგანა, ვარვარებდა შუბლი,
ორთქლი თუ ასდიოდა სველ ტილოსა,
თვალეზი გაუგანდებოდა დაიკოსა, საჩ-
ქაროდ გამოუცვლიდა, ბიჭებსაც გაუ-
განდებოდით თვალეზი, ტირილი ჰო არ
მოსძალეზოდით, ანთუ სტიროდნენ, რა
ექნათ არ იცოდნენ, აბებსა სჩრიდნენ,
სხვა რაღა ექნათ, ანთუ რა შეეძლოთ?
არა, არ იქნება ამათი ღალატი, უმწე-
ოთა ღალატი არ იქნება.

და გუგუნებდა თავი, გუგუნებდა და
გუგუნებდა, თან თუ გამოაყოლოდა
გუგუნე იგი ორბელიანთა კუნძულისა-
ცა, საბაშისაიცა, ქუჩებისაიცა, გამოაყო-
ლოდა და არ ეშვებოდა.

არა, არ იქნება ამათი ღალატიო.
კოტე ბლოელიც არ მოსშვებოდა, —
იღგე, არ დაჭდე, იჭდე, ადექო, —

სწერდა ამგვარადა, — ადექო და გეგმა-
რთე აქა და აქაო, აბარატე, არ დაჭდე,
წყდეს, მეცადინეობანი გადაილე მოსა-
შვადებელი კურსებისაო, გადაილე და
შემინახე, დანარჩენი მე ვიციო. კურ-
სების გამგემაც თავისი იცისო, საექს-
ტერნო კომისიაშიც გარეულა, სხვაგანა
და სხვაგანაც გარეულა, ამიერიდან ეგ
გიგდებს ყურსაო, აბა, შენ იცი და შე-
ნმა ბიჭობამა, ცდას ნუ დააყლებ, წყა-
ლში ნუ ჩამიყრი ამდენ ზრუნვასაო, აბა,
შენ იციო, ახლა შენ იციო, მეტი რო-
გორღა შეგეწიო, ღმერთიც მეტს ვე-
ლარ შეგეწეოდა, ზოგი შენც გაანძრიე
თავიო. თუ იკითხავ ჩემს ამბავსაცა,
ჩემი საქმე აღჩუხეო, წარმატებით
მიდის რეპეტციები „ტამერფორსის
შეხვედრებისა“, ამ დღეებში პრემიერაც
იქნებაო. ამნაირი რეპეტციები მე ჰო
არა მქონია, სხვისიც როდი გამიგონიაო,
ახალგაზრდები შემოგვეჭრებიან რეპე-
ტიციებზე და ტაშს გეიკრავენ, მალე
პრემიერა, პრემიერა მალეო. ეს საოცა-
რი პრემიერა იქნება, ალბათ გაანგრე-
ვენ თეატრის კედლებსა, აქ ისეთი ამ-
ბებია, ისეთი ამბებიაო, გასაოცარიო,
მანდაც დიდი რამ ამბები ხდება, ხმა
აღწევს აქამდისა, აქაც მავათგან წაქე-
ზებულანო. მაინც პრემიერის ბედი მ-
დარდებს და რო იცოდე, რა მოვიფიქ-
რეო, ბარემ მოედანზე გავიტან პრემი-
ერასაო, ძველთან გავიტან, აქ ვეება
ძველი დაუღვამთ, გეცოდინება, ვეე-
ბერთელა ტრიბუნაც შემორტყმია, ზედ
ტრიბუნაზე გავმართავ სცენასო. რო-
გორიაო. ჯერკიდევ არ ვიცი, მაინც
სხვა გზას ვერ დავადგები, თორემ თე-
ატრს გაანგრევენო. აბა შენ იცი, არ
მიღალატო, იღგე, არ დაჭდე, იჭდე,
ადექიო. — დაიკო უკითხავდა, ხმა უთ-
რთოდა, ხელეზი უთრთოდა, ცრემლი
უღიმოდით ბიჭებს ლოყებზედა, არა,
არ იქნება ამათი ღალატი, არა, არ იქ-
ნებაო.

კოტეს ღალატიც არ იქნებაო, ნწ,
არაო, არაო.
და ქარწყლდებოდა ძველი ლენტოი,
იქვე ქარწყლდებოდა, იწეწებოდა, იც-

რიცებოდა და ქარწყლდებოდა, ოღონდ და რაო, დიდი რამ სიკეთე არცთუ ეს გახლდა, ის თუ ქარწყლდებოდა, ეს ისევე უნდა მოდუნებულყო, — რა სიკეთე გამოვიდოდა? არც არაფერიო, რა საკითხავია, ანთუ რალა პასუხი უნდაო, მაგრამ იმჯერად საქმე როგორღაც ისე აეწყო, გამხნევდა ლენტოი, გამხნევდა, დაიმედდა, ძველი ლენტოც გადაივიწყა, ახალი ლენტოცა, გული მიეცა, გადაივიწყა ახალი ლენტოცაო, ბედმა თუ კოტემ გადაჰკიდა ისეთ ვინმესა, გული მიეცა, გამხნევდა, დაიმედდა. და ვინმე იგი აღმოჩნდა იგი გამვე კურსებისა, ის თვითონვე შემოეგება, ეს ისევე ძუჩაში რო დაბორილებდა, აქეთა, აქეთაო, ეს მე გახლავართ, აქეთ გახლავართ, ისიც უთუოდ შენ იქნებიო, აბარატი ჰო აბარატი, სახითაც მყისვე გამოვიცანი, ასე შესძახა, ასე შეეგება და ცოტა შვევით ამოისუნთქა ლენტომი, ჯერ მხოლოდ შვევით ამოისუნთქა, მხნეობა, იმედები და სხვა და სხვა მერე გაუღვივდა თანდათანობითა. თვითონვე მხნეობდა, გაპლვივებოდა იმედები გამგეს კურსებისა, მოსაუბრეთაც გაუღვივებდა, ხელები გაეშალა, გული გაეშალა, „სახე გაეშალა, გაეშალა სიტყვა-პასუხიცა, მახელის ისე მკვეთრად ურტყავდა, ზრიალებდა სიტყვები იმისი, ზრიალებდა და რეკდა, ეგრეც იფრქვეოდა რეკვა-ზრიალითა.

— ყველაფერი მოვიფიქრე, აქედანვე დავიწყებთ, — ხელს ართმევდა და მოახსენებდა იქვე და მყისვე, სადარბაზოსთანა, — მე შევდივარ. მარტო არა რალა თქმა უნდა, შევდივარ ჩემს კოლექტივთან ერთად. გაცხოველებული საუბრით ავდივართ კიბეზე, გაცხოველებული საუბარი გრძელდება დერეფანშიცა, სჩანს რო მუშაობა აქედანვე იწყება. როგორია? აქეთ მობრძანდით. კაბინეტ-ლაბორატორიებს ვათვალიერებთ. არა, ახლა არა, ახლა აქეთ მობრძანდით, ავტო კუთხეში პატარა მაგიდა მიდგამა, ეგრე ჩემი არაა. ეგ არაფერი. როცა გადავიღებთ, კაბინეტ-ლაბორატორიებს ვათვალიერებთ, სასწავლო

ოთახებს ვათვალიერებთ, მთელი კოლექტივი, ყველაგან და მთლემ მთელი კოლექტივი ყველაფერი ვათვალიერებთ, ვათვალიერებთ. თავს ვიყრით ვრცელსა და მშვენიერ კაბინეტში და ერთხელ კიდევ ვაზუსტებთ დღევანდელი მეცადინეობის გეგმას. ყველაფერი ეს ხდება ერთი საათით ადრე ზარის დარეკვამდე. როგორია?

— ეგრე თუა...

— მოითმინეთ. ჰო... სად შევჩერდით? ჰო ისევე სადარბაზო. აქ გაცხოველებული მსჯელობაა. აქ არა, კაბინეტში, კარგი იქნება, დიდებული რალა თქმა უნდა. აქ გაცხოველებული მსჯელობაა, იქ მოსწავლენი შემოდინ, მოჩბიან, მოეშურებიან, ცოდნის წყურვილი მოაქანებთ. ეს ხუთი წუთით ადრე ზარის დარეკვამდე. აქ ისევე გაცხოველებული მსჯელობაა. ისინი ადგილებს იყავებენ. საბოლოოდ ამოწმებენ ლაბორანტები საცდელ თუ სამეცადინო ხელსაწყობებსა. ზარის დარეკვის ეამიცა დგება აქ მსჯელობა დაცხრება, იქაც სრული მდუმარებაა, მოლოდინია, გასაოცარი მოლოდინი, ზარი უნდა დარეკოს. და ირეკება ზარი. როგორია?

— რად იქნება ცუდი!

— მოითმინეთ. ზარი ირეკება, ოღონდ განა ასე უცება, — არამ ისინი გასუსულან მოლოდინშია. უცებ ამოჩნდება ზარის ღილაკი, შორს თითი შეინიშნება პატარა წერტილად, ჯერ არც ვიცით თითია თუ რა არის, მერე გაიზრდება ის წერტილი, გადიდდება, გადიდდება, გამოიკვეთება ვეება თითი, მიუახლოვდება ზარსა და აინთება დიდებული ჩორალდანი, როგორც სიმბოლო სწავლა-განათლებისა. როგორია?

— რა მოგახსენოთ, ეგ ჩირალდანი რალანაირად გამოვიყვანოთ.

— ყველაფერს გამოვიყვანოთ, ყველაფერსა, ჩვენთვის სიძნელე არც არსებულა, არც არსებობს, არც იარსებებს. ჯერ ყური მიგდე. ჩირალდანი ჰო აინთება, მერეც ჩირალდანი გაგვიძღვება, მიადგება ჯერ ერთ დაბშულ კარებსა, ვთქვათ, „ფიზიკა“ აწერია ამ კარებსა,



ჩირალდანი შეაღებს „ფიზიკასა“ და ეკიბლავეთ ჭერ ერთ სანიმუშო მეცადინეობასა, მერე მეორესა, „ქიმია“ იყოს, მერე მესამესა, „გეოგრაფია“ იყოს და ასე შემოვყვებით თავით ბოლომდისა, ერთიმეორეზე უკეთესსა და უკეთეს მეცადინეობას გამოვიტანთ ეკრანზედა როგორია? მოიკათ, მოიკათ! ეს მხოლოდ ჩონჩხია, დეტალებზე თანდათანობით მოგვესაუბრებით, ჭერ ამაზე შევთანხმდეთ, ის ნუ გაფიქრებთ, ჩირალდანი როგორ გამოვაო, ნუ გაფიქრებთ, ყველაფერი კარგად გამოვა, ჩვენ მხოლოდ შევთანხმდეთ და გადაღებაც არ დაეყოვნოთ. გადაღებული არაფერი ვარგა, გადაღებული საქმე ნახევრად ჩაშლილიაო, გაგეგონებათ. ჩვენ ეს არ გვეკადრება, სად გაგონილა, ნუთუ იმიტომ ვიწყებთ, რო ჩავშალოთ?!

— ბარემ დავიწყით...

— ჩვენ უკვე დავიწყით, დაბრძანდით, დაბრძანდით! ჰა, ჰა, ჰა... წუთიე არ დგვიყარგავს, არა, წუთიე არა, სხვას რო ჰგონიათ, აი და ჰა, დაიწყებენო, ჩვენ უკვე ვამთავრებთ; ასე გვჩვევია ჩემო ანაღაზრდა მეგობარო, ასე გვჩვევია და ასედაც არის, სცენარი მორჩა, სცენარი უკვე დამთავრებულია, კარგი სცენარი ნახევარი გამარჯვებაა ფილმისაო, გამიგონია და ნახევარი გამარჯვება უკვე ხელთა გვაქვს. დეტალები არაფერი, გზადგზა შევთანხმდებით. ნახევარი გამარჯვება ხელთა გვაქვს. ჩვენს ხელთ იქნება მეორე ნახევარიცა, მჭერა, მტკიცება არ უნდა. ასე და ამგვარად, სრული გამარჯვება ჩვენს ხელთ არის და ნება მომეცით წინასწარ მოგილოცოთ. ჩამომართვით ხელი!

— წინასწარი მილოცვები არ უყვართ სტუდიაში.

— გადაიღონ ბატონო, ჩვენგან გადაიღონ, თქვენ ხელი ჩამომართვით! ასე. გამოცდილების გაზიარება აღმავლობის საწინდარიაო. გადაიღონ. დაბრკოლებები იქნება ცხადია, იყოს, ნუ გეფიქრებათ, დაბრკოლებებისა ვის ეშინიანი.. მთავარია, ჩვენში არ არსებობს ობიექ-

ტური მიზეზები, ყველაფერი სტუდენტურია, ხოლო სტუდენტურია დაფიქრებულ დაფიქრებულ ჩვენი კოლექტივში, ყველაფერი ლითური ლონისძიებებითა. ნუ გეფიქრებათ, ჰო ჩამომართვით ხელი, ნულარ გეფიქრებათ!

— არა, ისე გითხარით...

— არც ისე და არც ასე, საფიქრებელი არაფერია! ყველაფერს მოევლევა სიკვდილის გარდაო. სიკვდილი შორსაა, ჯანდაბამია, ჩვენთან საქმეა, საქმეს მოევლევა. ჰო მოევლევა?

— მოევლევა.

— აი, იცოცხლე! მომეცით ხელი, ასე! ვაეკაცური ხელისჩამორთმევა მიყვარს, გამარჯვების საწინდარია.

— საწინდარია.

— ჰოდა ნუ გეფიქრებათმეთქი. მართალია ჩვენ აქ შემოხიზნულები ვართ, მაგრამ ეგ არაფერი. შენობა სკოლისაა. მაშინდა გვიშვებენ, ისინი ყველაფერს რო მორჩებიან, გადაეკეტავენ ყველა წესიერ კაბინეტსა, ყველა წესიერ საკლასო ოთახსა და მერეღა შემოგვიშვებენ ხოლმე ყოვლად უხეირო კუნჭულში. აგერ სად მიგიღეთ. ეს არაფერი. პირველკლასელების მერხებზე სხედან ამხელა გოგობიჭები, ეგრევე სხედან, ზევიდანვე სხედან. ეგეც არაფერი, სხედან, ჰო არა დგანან, სწავლა თუ უნდათ, ეგრეც ისწავლიან, და, რო იცოდეთ, ვისაც უნდა, ეგრეცა სწავლობს. ცარცი ჩვენ არა გვაქვს, ჩვარი ჩვენ არა გვაქვს, ზარი ჩვენ არა გვაქვს, ზარსაც გვიკეტავენ, რაღაცას ვაბრაზუნებთ ხოლმე. ეგეც არაფერი. არც უნდა ზარი, ყველა საათზე იხედება, ყველა გაიძახის, — დროა მასწ, დროა მასწ, — რა ზარი უნდა!.. მართალია ასეამეთქი, მაგრამ ამას დიდ დაბრკოლებად მაინც ვერ ჩავთვლით, რადგან გადაღების დროს, დირექტორი გაგვიღებს თავის კაბინეტსა. ფილმისათვის ასე არ აჯობებს?

— რა თქმა უნდა.

— ჩვენც ეგრე მოვიქცეთ, როგორც აჯობებს. გაგვიღებს სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებსაცა. „ფიზიკა“.

„ფიზიკაში“ შევალთ. „ქიმია“.. „ქიმიაში“ შევალთ. ოღონდ არ იფიქრო, თითქოს ყველა კაბინეტი ასე თვალსაჩინო იქნება ამ სკოლაში, არა, არ იფიქრო. ერთი ამით ექნებათ, ერთი სხვასა, ერთი კიდევ სხვასა, უნდა ჩამოყვეთ, უნდა შევეარჩიოთ. ამას მე შევეარჩევ, თქვენ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ჯგუფებსაც ჩამოვარიგებ, მასწავლებლებსაცა, მზამზარეული დაგზედებით ყველაფერი. ესაა, ცოტა შეწუხდებით, შორით შორს მოვლა მოგიხდებათ, მაგრამ რას ვიზამთ, როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო. ჰო ასეა? ჰო დათანხმდება? ჰო?... ჰო?... მეტი პრობლემა არ გექნებათ. ჰო?... ჰო?... ჰო?..

— უსათუოდა...

— გმიდლობთ! ჩამომართვით ხელი! კარგი ახალგაზრდა ბრძანდებით. მიხარია, კარგ ახალგაზრდას რო გადაგეყრები ხოლმე. კარგიც ბევრი გყავს, უცნაურიც ბევრი გამოურევა ხოლმე, ოღონდ ეს მხოლოდ ჯერჯერობითაა, იმისი ბრალია, ჯერკიდევ რომ ბოგინობს სუბიექტივიზმი აქა-იქა, სუბიექტივიზმს ძირფესვიანად აღმოვფხვრით და უცნაურობასაც ბოლო მოეღება. ჩვენ ჩვენი წარმატების საიდუმლოებას გადავაქცევთ საყოველთაოდა, სხვა თავისი წარმატების საიდუმლოს გაგვიზიარებს და ჩვენი საერთო აღმავლობის საფუძველიც ეს არის. უკეთესი და უკეთესი, სულ უკეთესი და უკეთესი.. ნაკლიო, იტყვიან, ვის უნდა ნაკლი?! რაც დღეს არის, ხვალ არ იქნება, ხვალინდელი ყოველთვის წინ არის, დღევანდელი უკანა რჩება და ჩვენც წინ უნდა ვიყურებოდეთ და არა უკანა, ძველი სიბრძნეა, ახლაც გამოიყენება, ყველაფერი ძველი არც გადაიგდება, წინ უნდა ვიყურებოდეთ, წინ, წინ და წინ! ხოლო წინ რა გვესახება ამ შემთხვევაში: ერთად თავმოყრილი სანიმუშო კაბინეტ-ლაბორატორიები, სადაც მართლა მეცადინეობენ, მართლა გამოიყენებენ და კომისიებისათვის საჩვენებლად არაა გამართული, — აი, რა გვესახება, აი რა უნდა ვუჩვენოთ, აი რა

უნდა დაეუბნოთ მიზნად, აი თუ როთი უნდა აღვაფრთოვანოთ, უჩვენებენ უნდა?

— თქვენ რო ბრძანდებოდით...
— ბრძანებისა რა მოგახსენოთ, მე რო ვბრძანდებდი!.. მაგრამ რაც არის, ყველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ, ბრძანებაზე უკეთესია. ასე არ არის?!

— ასეა.

— ასეა! ვაკეთოთ და წინ მივისწრაფოდეთ, უკეთესი და უკეთესი გამოვჩინოთ, თორემ ვის რაში სჭირდება, ან თუ ვის რაში გამოადგება, მე რო, ვთქვათ აგერ, გამგე ვარ თუ დირექტორი ვარ და მოადგილეც არა მყავს? აბა ვის რაში გამოადგება? მოანგარიშე მე არა მყავს, მოლარე მე არა მყავს, დამლაგებელი რა არის, დამლაგებელიც არა, ზარის დამრეკიც არა, მე ვარ ყველაფერი, ზარიც მე უნდა დავრეკო ან ზარი სადაა თორემ ვინ შერცხვენელი! რასა ბრძანებთ!.. და მერე, რო იცოდე ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, არც არაფერი უნდა გვაკლდეს, აბა მაშ რაო, ფული ჰო გვაქვს?! გვაქვს, ბანკშია ფული. კურსები ჰო თვითანგარიშზეა?! თვითანგარიშზეა. რაღა გინდათ მეტი?! არა, თქვენ არა, იმათთვის მითქვამს, იმას ვიმეორებ. რა ვქნათო, ისინიც იჩეჩავენ მხრებსა, შტატები თქვენ არა გაქვთ, ფულის გახარჯვის ნება თქვენ არა გაქვთ, რა გიმველოთო. ე, ბიჭო, მოგვეცით ნება, მოგვეცით შტატები, — თქვენ არა, იმათთვის მითქვამს. ჩვენ ვინა გვკითხავსო. აბა ვისამეთქი, ბანკი თქვენა ხართ, ვინცა ხართ, თქვენა ხართ, გვიმველეთ რამემეთქი. სკოლა იქ არ არისო, სკოლა გამოიყენეთ ყველაფერშიო. კარგია ბატონო, თქმა ადვილია ბატონო ჩემო, მაგრამ აბა მიდი და გამოიყენე თუ ბიჭი ხარ, ადვილია? ჩვენი თავშისაყრე გვეყოფაო, თქვენი თქვენ იცით თავშიო, აბა რა პასუხია ერთი მითხარით, რა პასუხია?! მაგრამ დავანებოთ ამას თავი, აქ მთავარი მინც ისაა, ეს არავის არა სჭირდება, არავის არაფერში გამოადგება, ეს თვითონაც კარგად იციან, ჩვენ მხოლოდ უკეთესი უნდა ვუჩვენოთ. ხვა-

ლინდელი, ხვალინდელი და მხოლოდ ხვალინდელი! ჰო მეთანხმებით?

— თქვენ როგორც ისურვებთ.

— გმადლობთ! თუმცა მომითმინეთ, ჰო მეთანხმებით? ჩვენ ერთი აზრისანი უნდა ვიყვეთ, ისე არაფერი გამოვა, ერთ საქმეს ერთი აზრისანი უნდა მოეკიდნონ, ჰო მეთანხმებით? ჰო?.. ჰო?..

— გეთანხმებით.

— გმადლობთ! ისე, კაცმა რო თქვას, ეს ზარის ჩაქეტვა რაღა არის, ჰა?! სუბიექტივიზმია, სხვა რა არის?! ყველაფერი სუბიექტივიზმის ბრალია, ობიექტური მიზეზები არც არსებობს ჩვენში, ეს სუბიექტივიზმია, რაც არის, სუბიექტივიზმი ამოიშანთება და გამოსწორდება ყველაფერი, ყველაფერი ლარში გამოვა. აღარ იქნება აღარაფერი სუბიექტური, ეგეც თქვენი ხვალინდელი დღე. ჩვენი ფილმიც ხვალინდელი დღე უნდა იყოს, ხვალინდელი, მხოლოდ ხვალინდელი, დღევანდელი დღე უკვე წასულია, ყოველი დღევანდელი წასულია, ხვალინდელი, მხოლოდ ხვალინდელი! ამას მეთანხმებით? ჰო?.. ჰო?..

— დიახ...

— კეთილი და პატიოსანი, ასე და ამგვარად ეს ერთი საქმე მოგვარებულა. გადავდივართ მეორე საკითხზე. ამაზე თავს არ შეგაწყენთ ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, მხოლოდ მოგახსენებთ, რო ეს საქმეც მოგვარებულია, დიახ, დიახ, მოგვარებულია თქვენ თურმე პროფესორ ბერთელთან გიმეცადინიანთ, პროფესორი ბერთელი მეცნიერების დიპლომებს არიგებს, სკოლის ატესტატს ვინ დაუჭერს იმის მოწაფესა, რა ბრძანებაა?! მაინც აქ ივლით და ეს ყველაფერი აქვე მოგვარდება, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჭიბეში გეგულეზოდეთ ატესტატი, რომელ ჭიბეშიცა გნებათ, გულის ჭიბეში? გულის ჭიბე იყოს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ და გულის ჭიბეში გეგულეზოდეთ.

— მაგრამ ჭერ...

— არავითარი ჭერ! კომისია მუშაობას დაიწყებს, გამოცდები შესდგება,

წარმატებით დაიკავთ, ეს ყველაფერი იგულისხმება და გჯეროდეთ, სტესტატი რო ჭიბეში გიღვეთ. ასე უნდა შევთანხმდეთ, სხვანაირად არა. შევთანხმდით? კეთილი და პატიოსანი. მომილოცნია!

— გმადლობთ!

— არაფერს, არაფერს! ეს ჩვენი მოვალეობაა, თქვენი ბრალი მხოლოდ ისაა, აქამდის რო არ მოგვაციოხეთ. ეგეც არაფერი, ნათქვამიკაა, სჯობს გვიან, ვიდრე არასოდესო. არც ისე გვიანაა, არც ეს ინადვლოთ. ატესტატი იგულეთ ჭიბეში. ამას მეტი ლაპარაკი აღარც უნდა. ასე და ამგვარად, ეს საკითხიც ამოწურულია: — ტაში შემოქრა და ხელები მოიფშვნიტა კმაყოფილად, ღირსეულად. იმავეწუთს კარებშიც ვიღაცა აიტუზა. — რა ამბავია?! — ისეც მიმართა ატუზულსაცა, მიმართა იმავე ღირსეული კმაყოფილებითა და იქვე დაძინა, ისევე დაძინა, — ზარის დროა, არა?! სწორედ ამას მოგახსენებდით, სადაა მერე ზარა?! გამოდით, გამოდით, დაისვენეთ. სხვაგან უარესია.

— თითოროლამლა მოიყარა თავი...

— იმან წარმოსთქვა, კარებში რო ატუზულიყო.

— რასაკვირველია... ასეა, თავპირს მოგვემენ, გინდა თუ არა მიგვიღეთო, შეიტანენ ფულსა, მივიღებთ, გავხსნით ახალ-ახალ ჭგუფებსა და აღარ მოდიან. სადაური რა არის, ვეღარ გამიგია... სხვაგან უარესია. დაისვენეთ, დასვენება უნდა თითოროლსაცა, დაისვენეთ.

— ისინიც გაცვიფდნენ. — იმანვე წარმოსთქვა კარებში რო ატუზულიყო.

— აბა რა იქნებოდა! ჭერ სულ არ იყო მძარიო, შიგ გაურიეს წყალიო. ამ ძეგლმა ჰო მთლად აურია ყველაფერი, იქ გარბიან, იქ ათენებენ, რა უნდათ არ ვიცო?! ეუბნებიან, მოთავდა ეგ ამბებიო. არაო, არ უნდა მოთავდესო, აუხირობიათ. ბიჭოს, შენი ნებაა, ჩემი ნებაა, ვისი ნებაა?! ყველაფერი თავდება და მოთავდა ეგეცა. თვალი უნდა გაახილო, ყურები უნდა გამოიჩიჩქნო და გაიგო, ბრიყვიც რო იყვე, უნდა გა-

იგო. მაგათზე ნაკლები ბიჭი ვიყავი?! დღედაღამ პირზე შეყვრა იმისი სახელი. მორჩაო, მითხრეს და მორჩა, მორჩა, მორჩა! ახალგაზრდობას ვერაფერს ვერ შეაგნებინებ, რა ახალგაზრდობაა, საოცარია! არა, ყველა არა რაღა თქმა უნდა, ავერ ახალგაზრდა არ არის?! ვსხედვართ და ვმუშაობთ. ასეთი ახალგაზრდობაა ჩვენი დასაყრდენი. — ხელი გაიშვირა ლენტოსაკენა რაღა თქმა უნდა, კარებში ატუზულის საყურადღებოდა.

— მე რაღა ვაკეთო? — იმან ეს იკითხა, კარებში რო ატუზულიყო.

— წადი. რაღას იცდიდი?

— შეგატყობინეთ მაინცა.

— მეტი რაღა ვიცი... წადი, წადი..

— ის წავიდა, ამან ის შეაქო. — თავაზიანი ადამიანი თავაზიანად დარჩება ყოველთვისა. აბა სხვებმა თუ შემოიხედეს.. ეგ არაფერი, არაფერი, სხვაგან უარესია. განსაყურებულ შემთხვევაში ჩვენი კოლექტივი ერთი მუშტოვით შეიკვრის ხოლმე. ასევე იქნება, ეჭვი არ შეგუპართ. მე მე ვარ და მე ჩემი ვიცი, მე გამოვძებნი თვალსაზრისით კაბინეტ-ლაბორატორიებსა, ჭკუფებს გადავისვრი თავიანთი პედაგოგებიანადა, დანარჩენი თქვენ იცით. შევთანხმდით? ჰა?.. ჰო?..

— უთუოდა.

— გმადლობთ! ჩამომართვით ხელი. ატესტატი წიბეში გაჭვით..

— გმადლობთ!

— გამარჯვებით!

— გამარჯვებით!

ასე გამხნევდა და მოდუნებაც შემოიბერტყა. კაცი კაცის მალამოაო, მართალი ყოფილა; კაცი კაცითა და ხე ფესვითაო, მართალი ყოფილა; სხვამან სხვისა უკეთ იცის სასარგებლო საუბარიო, მართალი ყოფილა; კაცი ეკლად თუ არ გაება, ეკალნი არ გაებმიანო, მართალი.. მოიცა.. ეს რაღაც სხვაა, მოულოდნელად ამოვტივტივდა, იყოს, რაბან ამოტივტივდა, აქ მთავარი მხოლოდ ისაა, ლენტო რო გამხნევდა, გადაეყარა მხნე ადამიანსა, გადაეყარა

იმედინასა, მხნეობა შეემატა, ამედიც შეემატა, — მთავარი ესაა, სხვა რა უნდა ამოტივტივდეს. *სიბუღიძის*

XIX

„...აქა არს მოთმინებაი წმიდათი...“
„ამისათვის იხარებდით ცანი და ყოველნი დამკვიდრებულნი მას შინა. ვაი არს ქუეყანასა და ზღვასა, რამეთუ გარდმოხდა ეშმაკი თქვენდა მომართ სავსე გულისწყრომითა დიდითა, რამეთუ უწყის, ვითარამდე მკირედი ქამი უც მას“.

მჭევრმეტყველნი იგი თუ მოთავენი აღარ დახვედრიან ძეგლთანა ლენტოსა, ხალხილა დახვედა უმოთავეებოდა, თუმცა ვილაცა მაინც ეტოტინებოდა მიკროფონსა, ოლონდ და რაო, არცთუ მიკროფონი გამოსცემდა ხმასა, არცთუ ეცნაურებოდა ლენტოსა ის ვილაცაი, ბურთი და მოედანი რო უნდა ჩაეგდო ხელშია, ცდილობდა, მაინც ვერ ჩაეგდო ეგრე ადვილადა. სადღაც გაკრებილიყვენ ის მოთავენი, ვითომ მოთავენი თუ წარჩინებულნი მჭევრმეტყველებითა, არავენ იყოდა, არ იყო მთხრობელი, ოლონდ მაინც რო ვინმეს ეთქვა, მიქელს ეახლენო, ლენტო იქ მიმსვლელი ჰო აღარ იყო. სხვანი იქ გახლდნენ: ანუ ბეგლარი, ანუ ალბათ გაიოზი რო ერჭვა, ანუ ფარნაოზს რო მიმგვანებოდა ლენტოს თვალშია, ხოლო ისე, არაფერი რო არ მიუგავდა ფარნაოზსა, ანუ ელისო რაღა საყთხავია, ნაზიკოცა, კიდევ რამდენიმე აბიტურიენტიცა, რამდენიმე წლის აბიტურიენტი, რამდენიმე სტუდენტიცა სასოფლო თუ პოლიტექნიკური ინსტიტუტისა, უნივერსიტეტისა, უცხოელებისა არა, სამედიცინოსიც არა ცხადია, ანუ ორი ლექტორიცა საზოგადოებათმცოდნეობისა, ასე დაერქმიათ, ერთიცა მხატვარი, კომპოზიტორიცა ერთი, ახალი ჰიმნიც დაეწერა კომპოზიტორსა, მხოლოდ სიტყვები არ გააჩნდა, სიტყვებს ეხვეწებოდა ყველა იქ მყოფსა, აქედანვე ვალთ ახალი ჰიმნითაო, მაგრამ პოეტი

არ იყო იმათ შორისა, არცთუ ლექსი ეხერხებოდა რომელიმესა, და კიდევ ანუ, ჰო თუმცა იყოს, სხვას აღარ ჩამოვთვლი, ავსებულყო მიქელის ოთახი, ვინ როგორ ჩამჭდარიყო თუ ვინ როგორ იდგა, არც ამას მოვეყვები, როგორც ვენებოს იმნაირად წარმოიდგინე, ოღონდ იცოდე, არავინ დაგიდევდა წესრიგსა, როგორათ თუ საითათ, მხოლოდღა სდუმდნენ, იშვიათად თუ ამოიძახებდნენ უეცრად, ხან აქ თუ ხან იქ ამოიძახებდნენ, უფროლა სდუმდნენ, ეთანხმებოდნენ თუ ეურჩებოდნენ, სდუმდნენ მაინცა, მიქელს დააციდნენ, რუკას გადასწოლოდა მიქელი, წაბეზილიყო მაგიდაზედა, გაშლილი ხელებით გადასწოლოდა და ისე აღმოიტყოდა, მაღიამალ ხელებს მოაფათურებდა შიშინანდა, თითქოს რუკა უნდა წარსტაცონო, მოაფათურებდა და ჩაბლუჯავდა, ჩაბლუჯავდა და მაინც ეგონა, ანთუ ზედ წამაქლავენ, ანთუ წარმტაკებენ და ვია, რაღა მეშველებათ, ეგონა და ასეც აღმოიტყოდა შეშინებულნი, თვალმღვრეული, დაბნეული, გაფაციცებული, გადაფოფრილი: გეყოფათ შვილებო, დაიშალენით და დაშალეთ ხალხიო, იმნაირად აღმოიტყოდა: არ დაიშლებით და ძალით დაგშლიან, ძალა მოვიდა, სამართალი გაიბარათ, ძველი ნათქვამია, ყველაფერი ძველია და ყველაფერი ძალის მორჩილია, თუმცა ესეც არ იყოს, თქვენ ჰო არც იცით, ვინა ხართ თუ რაი გწადიათ, — არა, არც იცით, ვერც გაიგებთ, ისე დაგშლიან, თუ მხოლოდ დაგშალეს, თუ მხოლოდ გაგფანტეს, მეტი არაფერი თუ არ მოგწიეს ან თქვენვე თუ არ მოსწიეთ თქვენ თავსაო. გასაყვირიც არაა, ისე გაყოყლოჩინებულხართ, ყოყლოჩინობა უმეცრებისაა, და არც ესაა გასაყვირი, თქვენ ჰო არაფერი გავგეგებათო. სუო, აქედანვე ნუ ამიტყდებითო, ჭერ მომისმინეთ, ცოტა დამაცადეთ, მერე თქვენი თქვით, ოღონდ არაფერი გამაგონოთ თანხმობის მეტით, დავშლითო და დავიშლებითო, სხვა არაფერი არ გამაგონოთო. ნულარ შეტობავთ მეტისმეტადა,

ნუ გეგონებთ თუ რაიმეს მიიღწევთ, ანთუ რაიმეს მიიღწევთ, თქვენვე გეგონებთ, შექურები თუ გაგინათეს, მიკროფონიც თუ წამოგიდგეს, თქვენს წარმატებად ნუ გეგონებთ, ეს იმასა სჭირდება, თვალს ვინც გადევნებთ, ასე უმჯობესად მიუჩნევია, თვითონ მიუჩნევია უმჯობესადა, თქვენთვის არ უყითხავს, არც არასა გყითხავთ, ეგება კიდევ რაიმე დაგითმოთ, ანთუ აღარც აღარაფერი დაგითმოთ, ეს იმისი ნებაა, ეს იმან იცის, თქვენ არც რა იცით, არც რა გაგივთ, არც არაფერი თქვენისად იგულოთო. ცაში არწივი დაბოინობს, კლდეზე ჩამოჭდება თუ აფართხუნებს ფრთებსა, იცოდეთ, თქვენ არ გაშორებთ თვალსა, როცა ინებებს, მაშინ ავტაკებთ, ან იქვე გაგბდლენით, ქარს გაატანს ბურტყულსა თქვენსასა, ანთუ მიგანარცხებთ საღ კლდესა, მაგარი ხობოკური თუ გეჭენებთ, მიგანარცხებთ და დაგლეწავთ ისე, ნაქუწებს ველარ შეაგროვებენ. იგავ-არაკი არ გეგონოთ ეს ჩემი ნათქვამი, თუნდაც გეგონოთ, იგავ-არაკები ძველი სიმართლეა, ანთუ მარადიული სიმართლეა, სხვადასხვანაირად გამეორებულა სხვადასხვა დროსა, ერთგვარი გამოსულა შედეგი მაინცა, ძალას უმძლავრია, უძალობა განიორწყლებულა ის ძალაა, ძალაა მეთქი, მიკროფონი ვისაც წამოუდგამს თქვენთვისა, ან შეუალედია ძალასა და უძალობას შორისა, ანთუ თქვენს შორისამეთქი, ძალაა თუ შეუალედია, ეს მაინც ხერხია, მიკროფონი რო წამოუდგამს, თქვით, რახან აიზირეთ, თქვით და მოიხბეთ გულიო, გული მოიხბეთ და ჰქუას მოეგეთო; ამიტომაც წამოუდგამს მიკროფონი, ამიტომაც გადაუჭრია, შექიც გამოურთავს, ჰქუას მოეგეთო მეტი რა იღონოს, მეტი რა განიშნოთო, არწივი დაბოინობს ცაში, არწივი გადამოძგარა კავკასიონზედა, გაუბდლენია გულ-ღვიძლი ამირანისა, სისხლიან კლანჭებს იწმენდავს არწივი, ზღაპარი არ გეგონოთ, არც არაფერი გეგონოთ ზღაპარი, ანთუ სიცრუე არ გეგონოთმეთქი, არცთუ გასართობი



ბავშვებისა, ზღაპარი მხოლოდ მხატვრული ხერხია, სისხლიან კლანჭებს იწმენდს არწივი, ქუქუსს მოეგოთ დრო არისმეთქი, ეს აღრეულობაა, აღრეულობას არავენ დაგითმობთ, ეს ის არაა, თქვენ რო გგონიათ, აღრეულობაა დაუთმობელი, მზარდი, ძლიერი, წამლუკავი, თქვენ ვერც მიხვდებით, რაოდენ ძლიერია, რაოდენ მძვინვარი და რა გაშვავება შეიძლება გამოიწვიოს, ვერც გაიგებთ. ვერც წარმოიდგენთ, არ მომზადებულხართ საამისოდა, სულ სხვა რამ უთქვამთ, სხვა ჩაუგონებიათ, სხვა რამის პირისპირ აღმოჩენილხართ. რაღაცა მაინც გამოძრავებთ, წინ წამდგარხართ, შეეკრებილხართ და შემოგვიკრებიან და რახან შემოკრება შეგძლებიათ, ეგება დაშლაც მოგიხერხდეთ როგორმე, ეგება მოგიხერხდეთ, ეგება და იშვალნეთ, ეგება დაშალოთ; უნდა მოგიხერხდეთ, უნდა დაიშალოთ, სხვა გამოსავალი არ არის ამქადა, სხვა ხსნა არსაით შეგულება, უნდა დაიშალოთ, უნდა დაშალოთ. შესძლებთ თუ არა, მეც აღარ გამეგება, მაინც თქვენ უნდა ეცადოთ თქვენსაა, მხოლოდ ხალხის დაშლას ეცადოთ, სხვა არაფერსა, არა, არაფერსა, თქვენ უნდა ეცადოთ, თქვენ ჩამოაკიდებიანთ ფარაჯის კალთებზედა, თქვენ მიაფრიალებთ თუ ამყოლიბართ და მიფრიალებთ უგზო-უყვლოდა, ჩამოეხსენით, ამ ერთ გზას მისდიეთ, ამა გარდუვალსა ამქადა, დაიშალოთ, დაშალოთმეთქი, სხვა არაფერი არ გამოგივათ, სხვა არაფერი არც გაეგებათმეთქი, არა, არაფერი არ გაეგებათ თუნდაც იოტისოდენადა, არა, არაფერი, ვინა ხართ, რანი ხართ, რას წარმოადგენთ თუ ვის წარმოადგენთ, რა დაგკისრებიანთ თუ რას მიჰქცეობნართ წინამორბედადა, არ გაეგებათ; ნუშეთქი, ნუ ამიხიროდებით, თქვენი ბრალი არცაა, რო არ გაეგებათ, ახლა ნუ განესჯით თუ ვისი ბრალია, ახლა ის შეიგნეთ, ძალა არ შეგწევთ, ხალხს რო წარუძღვეთ, მხოლოდ ეს შეიგნეთ, ეს გაიგეთ როგორმე ახლა ესეც დიდი რამ არის თქვენგანა, დიდი რამ არის

და გაიგეთ როგორმე მეთქი, ახლა არ შეგწევთ და დაშალოთ ჭაფიჭუნი მაინც მოახერხეთ როგორმე, ისევე ხალხი, უგუნურებით ნუ წარუძღვებით, ხალხი თვითონ უგუნურება, წინამძღოლების უგუნურება აღარ იფარვებს, ან, ანთუ დამლუპველია, რამდენჯერ დაუღუპნიათ ჩვენი ხალხი, ეყოფა, დაეხსენით, თქვენ მაინც დაეხსენით!.. რამდენისთვის შეუძახნიათ, უგუნურებაა, ხალხს მანდეთეც ნუ მიუძღვებითო, არასოდეს გაუგონიათ, ან იშვიათად გაუგონიათ, თქვენც მიემგვანეთ იმა იშვიათთა, დაიშალოთ, დაიშალოთ და დაიშალოთ. ნუმც გემწვავებათ ჩემი სიტყვები, ერის ბედისწერას შესთამაშებინართ და თუ გაიწირა ერი, სიმწვავეც ეს იქნება, სიმწარეცა, უბედურებაცა, გამოსწორებელი უბედურება იქნება. არწივი დაბოინობს ცაში, ბზინავს გაალმასებული კლანჭები არწივისა, ბზინავს და ბრჭყვილებს, ბრჭყვილებს ნისკარტიცა, ნისკარტიცა ბრჭყვილებს და სასაც დაბჩენილათ, სასაც მოუჩანს სისხლიანი, თუ სისხლისფერი, სულერთია, რაც უნდა იყოს უბრალო რამე ნუ გეგონებათ, ნურც ახირება გეგონებათ ვინმე ერთისა, ერთი თუ ერთნი ვერას განაგებენ აგრე ადვილადა, იმას თუ რა ჰგონია, ნურც განსჯით ამასა, რა ჰგონია თუ რა არა ჰგონია, ძალა იმისია, დასჭირდება და გამოიყენებს, ბრძანებს და მოჩინა, აღესრულება, უსაშინელესიც აღესრულება; თქვენ რაო, რა ძალგიდთ, აბა მომიყეთ, ანთუ რას ეყრდნობით, ანუ თუ ვისა, — ხალხსაო თუ იტყვით, ვერაფერს იტყვით, ხალხი ცნებაა, მეტი არაფერი, წინამძღოლი თუ არ ჰყოლია, იარაღი თუ არა ჰქონია, ცნება ყოფილა და ცნებად დაჩჩენილა, ცოტა თუ ყოფილა, გაითვალისწინეთ, ცოტა ცნებაც აღარა ყოფილა, ბევრის პირისპირ აღარა ყოფილა; წინამძღოლებად თქვენ არ იფარვებით, იარაღი თქვენ არ გაგანიათ, და ეგ ცნებაც დაგეფანტებათ, ცნებაა თუ ცნებაც არ არის, დაგიღავდებთ ბრინჯივითა ერთი თოფი გაფარდება თუ

არა, — მანამდის დაფანტეთ ხალხი, თოფის გაგარდნამდის დაფანტეთ მეთქი არწივი დაბოინობს ცაშია, არწივი ჰყინის, ავად იქადის და ძალუძს ავიცა; მაინც იცვლება, სურვილია თუ რაღაც ვნებაა, რაღაცას ასდევს, რაღაცა ასდევსო, არ მინდა უფრო გარკვევით გამოვთქვაო, ანთუ რად უნდა სახელდებანი, როცა ყველაფერი იცვლებოა, ყველაფერი მზისა ქვეშა და ზედან დედამიწისა, შორს ნულარ წავალთ, ყველაფერი იცვლება დედამიწაზეო. ახალს არ გეუბნებთ რაღა თქმა უნდა, პირველივე ფილოსოფოსები მიხვდნენ ამას, სხვებმა დაუმატეს და დაუმატეს, მაგალითები დაუმატეს და ისაა, სხვა რა დამატება უნდოდაო; მეც მოგახსენებთ ერთ მაგალითსა, ძველისძველივე მაგალითს მოგახსენებთ, ოლონდ თქვენ არ იცით, სწორედ ის არ იცით, რაც უნდა იცოდეთ ამ შემთხვევისთვისა, ამიტომაც დამირქმევია ახალიმეთქი, მოგახსენებთ და ეგება გამოგოთ, ეგება უფრო გაგინათდეთ აზრი, უკეთ გაიგოთ თუ რა შეცვლილა თუ რა იცვლება თუ რას რა მოსდევს, გაიგოთ და დაშალოთ ხალხი, ეს მინდამეთქი, მეტი არაფერი, ამ მაგალითითა, აი ამითა: ერები რომ გაჩანაგებულან, ერები რომ იბრძვიან გადარჩენისთვისა, აი ამითა, ამ მაგალითითა. ისტორია ესა ყოფილა, გაკეთებოა თუ შექმნა რაო, რითი თუ როგორაო, ვითომდა რაო, ვითომ თუ რა ყოფილა უხეში იარაღები თუ ურთულესი მანქანები, — ადამიანები ყოველთვისა ჰქმნიდნენ რაღაცასა, ადამიანობა შექმნა ყოფილა და კიდევაცა ჰქმნიდნენ, როგორც შეეძლო, ისედაცა ჰქმნიდნენ, ისედაც ინახავდნენ თავსა, ოლონდ ერები ერებსა ნთქავდნენ, ერები იბრძოდნენ გადარჩენისადა იმა უხეში იარაღებითაცა, იმა ურთულესი მანქანებითაცა იცვლებოდა აზრი, რწმენა იცვლებოდა, ერები მაინც ერებსა ნთქავდნენ, უკეთა ნთქავდნენ, ერები ეძიებდნენ გადარჩენის გზებსა, ანთუ მიეკედლებოდნენ ერთმანეთსა, ანთუ დიდ ერებს მიეკედლებოდნენ, მერე გაურ-

ბოდნენ უფრო მეტი ფაქტებიცა, გადარჩენისთვისა, ისევედრებოდა: გადარჩენისთვისაო. რაღა არ იცის დედამიწის ისტორიამაო, — იცის ერების დიდი თავყრილობანაცა, გაქვეშაობებაცა იცის სიცრუისა, ბევრნაირი სიცრუისაო, ოლონდ და რაო, ბოლომდის მაინც ვერ გაუძლია ვერცერთნაირ სიცრუისაო, თავყრილობებსაც ვერ გაუძლია ბოლომდისაო, ანთუ რაცა ყოფილა დღლილიცა ყოფილა შინაგანი, ანთუ ცვალებადობა ყოფილა, ცვალებადობაი სასიკეთოი და სასიხარულოი, მემატინესაც რომ ვეღარ დაუფარნია სიხარული: წირვა ქართულისა ენითა შეიწირებნისო, — ვეღარ დაუფარნია სიხარული, კალთები რომ შეეწირობულა ბიზანტიისა. უნდა გამოგოთ, იმიტომ ვამბობ. მთელი ისტორია, რაც რომ ჩვენს ხელთაა, ეს ბრუნვა ყოფილა, ეს ცვალებადობა ყოფილა, ეს ჭიდილი ყოფილა გაუთავებელი, გამანადგურებელი და გაუთავებელი. აუცილებლობას თავისი გაუტანია და დიდმპყრობელ ერებს ხელიც გაუშვიათ კოლონიებისთვისა, ჰო ჰხედავთ თუ როგორ გაუშვიათ ხელი, ერთბაშად გაუშვიათ, სულ პატარა ერებისთვისაც გაუშვიათ ხელი, ისეთი ერებიც აღმოუტენებიათ აფრიკის ჭუნგლებშია, ისეთი ერებიცა, დააკვირდით: ათიოდე განათლებულ ადამიანსაც ძლივს რომ შეაგროვებენ, მინისტრები რომ დაარქვენ და არსებობა ანდონ თავიანთი, ასეთი რამ მომხდარა აგერ აპაა, ჩვენს თვალწინ მომხდარა, ასეთი რამეც მოუტანია გარდუვალობასა. მაგრამ და რაო, მაინც დაბოინობს არწივი ცაშია, სისხლი გასდის კლანკებიდანა, წურწურით გასდის, გასდის სისხლი ამირანისა, სცვივა ღვიძლის ნაჭიჯგნებიცა, ყვირს, ყამყამებს, ისევე მღოშელი, გაუმაძღარი და ამოუყორავი. გარდუვალობა მაინც სხვა ყოფილა, ვერავინ წასვლია გარდუვალობასაო, ზოგს მალე უგრძენია და ხელი შეუშვია: ჯერ ისევე რომ გრგვინავდა მეორე მსოფლიო ომი, ჯერ ისევე გერმანელები რომ ეგონათ წარმატებულნი, რუზველტს

გაუმხელია დეგოლისათვისა, ბედი უყვე გადაწურულია გერმანელებისა, კიდევ ბევრ ზიანს მოგვაყენებენ, მაგრამ მაინც მოთავებულია, უყვე სხვა არის საფიქრალიო, მერეა რაც არის, მერე იწყება დიდი ამბები, წამოიშლება უამრავი ერი, უამრავი სახელმწიფო წარმოსდგება აფრიკა-აზიის ჭუნგლებიდანა, ეს იქნება დიდი ამბები, დიდი გაძლებაც ამას უნდაო; ზოგს ასე მალე უგრძენიანეთქი, ზოგს არ უნდა გაიგოს მოგვიანებითაცა, ანთუ სხვაგვარად უნდა გაიგოს, თითქოს სხვას ეხება, თვითონ არაო, თითქოს ჭუნგლები მარტო იქაო, თითქოს იგავ-არაკებისა არაფერი გაუგონიო. მაინც დაბონობს არწივი ცაშია, მაინცა ყაშყაშებს, ყაშყაშებს ავადა. ზოგს თუ დაუთმია, არ დასთმობს ზოგი, სხვა სახელი იმიტომაც დაურქმევია, განსხვავებულობა იმიტომაც გამოუგონია, არ დასთმობს უსისხლოდა. სისხლი არაფერიო, უსისხლოდ ეგება არც რა ყოფილა, ოღონდ სუსტი, პატარა, ერთიციქნა წინასწარვე განწირულია, სულ სხვა რამ იქნება პატარათა ერთობლიობა, მაგრამ სად არის ერთობლიობა იგი სანატრელი, აბა სად არის, მიბასუხეთ აბა სად არის, ანთუ გაგეგებათ თუ რას გიმოდგრებთო. არ არის იგი ერთობლიობა, არ გამორკვეულან გაოგნებიდანა და თქვენი ხორხორი ნაადრეგია. ახორხორდით მოხევენო, ბევრ ვისმეს ვეგონებითო, უთქვამთ ძველად, მაგრამ ველარ თუ გასჭრის ხორხორი უძალოთა, გადათვლილნი ვართ სათითაოდა, გაყიდულნი ვართ სათითაოდა, გადათვლილია სარჩო-საბადებელიცა ჩვენი, ქათამი რა არის, კვერცხი რა არის, კვერცხიც გადათვლილა სათითაოდა, ბეწვისოდენსაც ვერ გამოაპარებ, — არ არის იგი სანატრელი ერთობლიობა, ხოლო მცირედნი ვერას გახდებიან ახორხორებითა, თქვენ იყენეთ, თუნდაც თქვენზე გამოცილნი, თქვენზე გონიერნი, ათასჯერ გონიერნიც ვერას გახდებიან, თავს წააგებენ უსახელოდა გააჭრობენ და თუ ვინ გააჭრეს, ვერ ახსენებს ვერა-

გინა, — თავს წააგებთ, მერეწმუნეთმეთქი, დამიჯერეთმეთქი, დაშალეთ, დაშალეთ, დაშალეთ, დაშალეთ; უდროოდ ამლილხართ და უდროოდაც წააგებთ, არც ის იცით თუ რას წააგებთ თქვე უბედურნო, არა, არ იცით, — ავრე ნუ გგონიათ, ჩიბუბს აბერტყავდა მოშვლებილ თავზე და ამიტომაო, ნუ გგონიათმეთქი, ჩაგჩიჩინებთ და უნდა გამიგოთ: ღელვია იგი მოსდებია ქვეყნიერებასა, არას დაგიდევს, არას გაარჩევს, აღარაფრით მოიტყუებს თავსა, არცთუ შეჩერდება, ვიეთნი დასთმობენ, დაპყვებიან გარდუვალობასა, ვიეთნი არა, არაფერს დასთმობენ უსისხლოდა, გარდუვალობასაც აღუდგებიან და ვიდრე თვითონაც წაილეკებოდნენ, წალკენ სხვათო. და ბონობს არწივი, ბონობს ცაში, ყვივის, ყაშყაშებს, აიჭრება და ჩამოეშვება, ამოტრიალდება და გასწორდება, ბონობს, ბონობს, ეპა, ბონობს, ვითომ-და ლალობსო, — არ შეცდეთმეთქი. ყველაზე ადვილი სისხლის დაღვრაა ამ ქვეყნადო, ერთისა არა, ერთის მოკვლისთვის სასჯელს მოგიზღავენ, მრავალთა სისხლი თუ მოადინე, ჭკრებსა თუ ვარსკვლავებს დაგაჭდევენ გულზედაო. ისედაც ძრწის კაცობრიობა, გამჩრავლებამ თუ ასე გასატანა, საზრდოს ველარ ვიმყოფინებთო, — ძრწის და ღვარეო, რამდენიც გინდოდეს, იმდენი ღვარეო, შინაურ საქმეში არ ჩამოგერევითო, დებულბაც ასეთი დაუღვიათ, ღვარე და ღვარე, ამოიჭამე თავი შენო. ღვარეო და დაღვრის, დამშლელი ვინაა, ვის ეკითხება პატარა ერი, აღმატებული, დახვეწილი, კეთილშობილი, სამაგალითო, სანამუშო, სალოლიაგები, თავისებური, გამსხვავებული, განუყოვრებელი, ვის ეკითხება, — ჭირსაც წაუღიხართ დიდინ-პატარიანადო, შინაურ საქმეში არ ჩამოგერევითო, ჭირსაც წაუღიხართ ერთიანადო, ისედაც საზრდო აღარ გვეყოფაო. და ნთქავენ, ნთქავენ ერები ერებსა, ვინ ვის მოასწრებს, ნთქავენ და ნთქავენ. აყრაც იციან, რაღა არ იციან, — გადმოსცემით მრავალი ხერხი შთანთქმისა და გა-



ნიდაგებისა, წინათვე განუზრახავთ, გეგმაც დაუღლიათ ვადამთიელთა შემორეკისა, ვილასი არა, ვილას აღარა, შაბაბს რო ჩავეციებოვართ, ვოურტემბერგელი სეპარატისტებიც შემოურეკიათ, — ვინ წარმოიდგენდა... შაბაბს რო ჩავეციებოვართ... ჩვენთვის ყველა მეგობარი მტერია, ზედსიძეც მტერია და ყველა მტერია. ყველას ჩვენი აყრა უნდა, ყველასა შურს მზეი ჩვენი და მთვარეცა შურს ყველასა ჩვენი, — განუზრახავთ და აღასრულებენ საპატრიოდა საპატრიო შთამომავალნი, არც რა დაუშლიათ, აღარცთუ რა გაუჭირდებათ, — აჩაჩა-ურმებით თუ გასძნელებოდათ აყრა ამდენისა, მატარებლებით ადვილად აპყრიან, თვითმფრინავებით უფრო ადვილად, მამ ვითომ რაო, ტექნიკის პროგრესი მამ ვითომ რატომ გაჭარბებით, ერთ დღეს აგვხვეტავენ, ერთად-ერთ დღესა, ანთუ დღიურაც არ გამოგვიჩენენ, ერთ ღამეს აგვხვეტავენ, ერთდა და ერთ ღამესა და ფაფუ... იყო და არა იყო რაო, ფაფუ... ზღაპარი ნულარ გეგონებთ, გეთაყვა, ნუ აცუნდრულებულხართ უფსკრულის პირასა. ზღაპრადაც რო ვიქცეთ, მთქმელიც აღარავინ გამოგვიჩნდება, გამგონეც არა, აღარავინ გამოგვიჩნდება. ეპა მოფრიალებს კალთები, ჩამოაკიდებიხართ იმა კალთებსა, იმან ამოზიდა ძველი იგი განზრახულებანი, მთიელნი აპყარა იმის დროსა სამკვიდრებლიდანა, ანთუ იმს დავეხსნათ, ანთუ რად დავეხსნათ, ტყვედყოფილები აგვიყარა ერთ ღამესა, — ეს მაინც ვეხსომებით, გეხსომებით ექვსიოდე წლის წინანდელი, — ჯერ იქ ეწამნენ უზეირო წინამძღოლების მიზნითა, ძლივს შინ მოსულნი ისევ აპყარა, ისევ წამების გზას გაუყენა, გამოცდილხართ და კვლავ ეწამენითო, ერთ ღამეს აპყარა, გავიღვიძეთ ცამოწმენდილზე და თურმე იმ ღამეს შაბაბსობა გადაგვეტანა, გადაგვეტანა და კიდევაც გადაგვატანიებენ ბარემ ერთბაშად, გავიღვიძებთ და სხვაგან ვიქნებით ერთბაშად და ერთბაშადანადა. მამ რად უხარიათ ტექნიკის პრო-

გრესიო, პო არა გგონიათ, მარტოა ექიტომბა, ყველამ გაიხარო, ვიქნებოვართ ცეს შეღავათიო. აქაობასაც არ დააგდებენ უქმადო, ვადამთიელნი მომრავლდებიან, ხოლო ჩვენ აღარა, ნწ, აღარაო, ჩვენ აღარ ვიქნებით, გამგებიც არ იქნება, გამგები თუ იქნა, მთქმელი არ იქნება, მთქმელი თუ იქნა, გამგონე არ იქნება, გამგონე თუ იქნა, ძალის გამოძენი არავინ იქნება, უძალოდ რაო, უძალოდ — ფაფუ... და დაბოინობს არწივი ცაში, ნუ გეგონებთ, დანებივრობსო, ნუ გეგონებთ, ყაშყაშებს, ბზინავს კლანჭები დააღმასებული კუქუს მოეგეთ ყმაწვილებოო, აპა, ინიშნეთ ნიშანი, — ჩაგქრეს, ჩაგქრეს, მეტსაც ველარას მოეწვევით, ნუ ეთამაშებით ბედისწერასო. თუმცა ამოოდ არ ჩაივლისო, არც ისე უბრალოა თქვენი წამოჭოჩრა, დიდი რამაა, დიდიხანა გაუგონარია; ცხრასსხუთი რო ცხრასსხუთია, ისიც არ იყო ამოდენაო, ანთუ რა იყოო: უცებ შემოგროვდა პადა აპა ორმოცდათიოდე კაცი ზემელის აფთიქთანაო, ვილაცამ ტარი მოიყოლა, ვილაცამ დროშა ამოაძვრინა უბიდანა, ვილაცამ შესძახა, ძირს მეფე და მალლა მუშაო, ეგრეც დაიძრნენ, ეგრეც წამოვიდნენ ემაგ დროშითა და ემაგ ძახილითა, ეგრე მოატანეს ოპერის თეატრამდისა, მოატანეს და გამოენთნენ ცხენოსანი ყაზახ-რუსები, მათრახშემმართულნი გამოენთნენ და გააფანტეს ერთ წუთშია, — ფაფუ... მორჩა, მოთავდა მართლაც ერთ წუთშია, ოღონდ და რაო, გამოძახილი დიდი დაიყოლა, დიდი ხმა გაავრდა, დიდი ამბები წამოიკიდაო; ესეც არ ჩაივლის ამოდო, ამჯერად მაინც დაიშალენით, დაშალეთ და დაიშალენით, რამდენიმე დღეა თქვენს ნებმას ხართ, რამდენი ხანია თქვენსას გაიძახით, იქმარეთ, გეყოფათ, დაშალეთ და დაიშალენითო. გარდუვალობამ თავისი იცის, დიდსაც გამოარკვევს, თავისას გაიტანს, ივლის თავისი დაუცადი გზითა, თქვენ უკვე გეყოფათ, თქვენი აღასრულებთ, არც ძალადით მერე, არც საჭირია აწ და ამჟა-

მალა, გაიყრიფენით, განიფანტენით დიდთა თუ მრავალთა გამორყვევამდისა, მანამდის გეყოფათ, გაღეჭით მანამდისა, ნუ მოინდომებთ ნულარცთუ შუქურებსა, ნულარცთუ მიჯროფონებსა, ნურც რალაც ისეთსა, ტყვია რო გავარდეს, საბაბს ნუ მისცემთ, ნუ მისცემთ, ნუ მისცემთ, ჰკუას მოვეგეთ, ბრმა ბედისწერას ნუ მიენდობითო. — ასე ქადაგებდა გაცხარებული, ზედ გადასწოლოდა თავის რუკასა, ვერც გადასწვდენოდა, ვერ დაეფარა მთლიანადა,

ხელებს ამიტომ დააცურებდა უფაფეთურებდა, აფაციფუცებდა მანამდისა და თუ ვით დაეფარა, ერთბაშადა და ერთიანადა, ხანთუ საით გაუშისვლდებოდა, ხანთუ საითა, ვერ დაეთმო ვერცერთი კუთხეი, ვერცერთი წერტილი, ვერც დაეთმო და ვერც დაეფარა, ხან ერთი უსხლტებოდა, ხანთუ მეორეი, ხელიდან უსხლტებოდა, უსხლტებოდა და ცახცახებდა, ხმაყ ემსხვრეოდა, სდიოდა ცრემლიცა, კურცხალი ცრემლი, სდიოდა, სდიოდა ზედ თბილისზედა...

□დასასრული იმება□

მეზარ კვიტიანი

...

ხატო, მოლანდებულო,
გელათად და მცხეთად,
მიმხვედრე, რად ფასობ
სიცოცხლეზე მეტად.

ხაზო, ბედის გამყოფო,
გავლებულო ღიბზე,
გადალაზე საზღვარი,
სული ჩვენი იხსენ.

ბოლო შენგან მეღება,
შენ მამსგავსე შეშლილს;
ჭოჭოხეთიც, სამოთხეც —
ვინ დასტია შენში...

კენესამ საუკუნისამ,
ძვლები დამამტვრია...
შემარჩა ერთი სურვილი —
შევრჩე დროთა ტრიალს.

მეოთხე თვე

მეფერება ნოემბრის მზე —
სუსტი, მიღეული...
მიყვარს შუქი შემოდგომის,
მისი ტკბილეული.

დროც დამდგარა — მივეგებო
ქარიშხლის სისინს;
არ მაკვირვებს, არც მახარებს
წასვლა-მოსვლა მისი.

ეს ქვეყანა, თვალის ერთი
დახამხამებო,
შეხამება დილის მწუხრთან,
გაბმით წამებო.

ცხოვრობს ხალხი, ყველა მის-მის
ღალას მისეული...
სმენ, ღრეობენ. აღარ მესმის
ხმა მამისეული.

ქველი ფოტო

ერთი სურათი მატირებს:
ასე, საათის სამზე,
დგას მამაჩემი, დავითი,
შვილის სამარეს დამზერს.

მარტია. პალტო აცვია.
ჯვარს მერამდენედ აცვეს.

გული ფსკერამდე ჩაწვია.
განწირულია აწვე.

გავს შავი მიწა საფლავის
გაფხვიერებულ ნახნავს...
იმ შვილის გვერდით, გვემული,
თვითონ მარხია ახლა.

გოგონა თოვანში

არქონული
ნიგელიონე

შენ თვრამეტი წლისა ხარ...
ხტის თიეთიკის ბურთულა
თავზე. მუბლი არ გიჩანს —
წაბლის თმა გაბურდულა.

დასაგუნდავებელი,
შენ რომ ფეხქვეშ გიგია,
თუკი მოგაგონდება,
ეს თოვლიც თიეთიკია.

თოვლი ზნიქავს ნაძვის ტოტს,
ყველგან თოვლის ფერი დევს;
პრელი ქუდი, ნაქსოვი,
თმას, ჩამოშლილს, ვერ იტევს.

რასაც ჩაუქროლია,
მობრუნდება ის აღარ,
მიხრამუნობ თოვანში,
ჩემი გოგოს ხნისა ხარ.

სიზმარს დაეღარება
ამ ბურუსში ჩამზობა,
ავაშოროს გამჩენმა
გზის გადამკეტს, ჩამლობავს.

დაგაქვს ყელი საღერი,
გული — ნედლი, საღარი,
ვერ დათვალო, იმდენი
რამეა გასახარი.

ჩამქრობია დაშრეტილს
თვალი, ცეცხლს რომ ისროდა...
გასწი,
შენი ჭერიკა,
გავარდნილო ისრადა.

ანგელოზმა პირჯვარი
შენზე გადაისახა;
სხვა რა გინდა სიმდიდრე,
შენ თვრამეტი წლისა ხარ.

• • •

განცხრომაა უძირო —
თავს ბალიშზე დებდე;
იკოდე, რომ გეძინოს
და არ იღვიძებდე.

გაგცდეს ბედი — მზვერაფი,
ხეს წაქცეულს გაედე.

ვერ გხედავდეს ვერავინ,
ვერვის ვერ ხედავდე.

ჩრდილსაც გრძნობდე კარვისას,
დილა თვალს რომ ახელს...
ხმა გესმოდეს, არვისას
პასუხამდე ძახილს.

ნასრიბი

ასე ინება უფალმა, —
ყველა თავისთვის იყვესო;
პეპელა მიყვეს პეპელას,
იხვმა გაიგოს იხვისო.

წერომ, თევზმა თუ აქლემმა —
აქ მოითაონ ხანიო;
ცაში, წყალსა და მიწაზე
გაკიმონ ქარავანიო.

ღვთის ხატად ჩაფიქრებულს,
თვისტომო,
ძმაო,
მოყვასო —
არ შეგფერს და ნუ იკადრებ
შენ კიასავით ხოხვასო.

ნუ გიკვირს ბრძენის დუმილი,
ნურცა რატრატი ბრიყვისო,
ეტყობა, ბრძანა უფალმა —
ყველა თავისთვის იყვესო.

განსხვავება



ეროვნული
დემოკრატიული

დილა შენთვის სხვაა და
ჩემთვის — სულ სხვა არი, —
შუა, რაც მთავარია,
დიდი გვიძევს ზღვარი.

მიწას ფეხს რომ ვაბიჯებ —
ზარდაცემულს, ზიარს —
(შენთან ერთად), აოცებს
ლამეს ვარსკვლავიერს.

წახვალ, არც კი შეზედვ
ნუშის ყვავილს გაშლილს,
არც ის იცი — ნაძვის წვერზე
რას კახკახებს შაშვი.

მე ვარ ძირი, დედანი,
არ ვიქცევი ასლად;
შენი წასვლა სხვა არი,
სხვაა... ჩემი წასვლა.

შახმინება

სურვილმა ნახვის თუ მოგიარა,
ძველს რომ დახედო, თუ კიდევ იცლი,
წინ გიდევს ჩემი წიგნი კი არა,
აბოლებული გული და ღვიძლი.

ხელი უცხოსი არ შეზებია,
გავჭერ,

მე თვითონ ამოვირიდე;
ვერც იცნო იქნებ, ჩემი ხმებია, —
ამონათქვამი ჩემი პირითვე.

გადიხსნა მიწა, ხსნა არსაიდან.
სისხლის ღელეზე ვარ გალაჭული.
ყველას თავისი ცოდვა დაიტანს,
ვის შეუძლია — იყოს მსაჯული.

უცნაურობანი

თქვან — კრაზნაა ოქროს მტვერში
ვისმა ხელმა ამოგანგლა;
ან გაკვლეტილ,
ამყავებულ
ყურძენს როგორ მოჰყავს ქინქლა.

რას იაზრებს ტვინი კაცის,
საიდან და საით უხმო,
სად მოხვეტა ადრიანი
შემოდგომის სუნთქვამ რუხმა.

წითურები,
ერთი ბეწვა,
ტალღის ძაფზე ვინ აასხა,
გაადევნა ბროლის წკრიალს...
მწკრივი მათი შერჩა ცასლა.

ვინ გალანდოს ძირის ძირი
ან მიზეზი მიზეზთანი:

ზეზე ხმები, წყლულს გაუსხლავს —
გასისხლული შენი ტანი.

ვინ გაგემა გემო თაფლის
ან ყვავილი თეთრი ბლისა, —
თეთრად აფარფატებული
კაბა მისი ვინ დაპლისა.

ვერ ჩაწვდები,
ვერას ახსნი,
რაგინდ იყო განსწავლული;
ძლივს რო მოჩანს, სულ უბრალო,
დაგამუნჯებს სასწაული.

ვერ მოიკლა საწაადელი,
რაგინდ მალლა აჭრა სცადო;
მზე გაწყნარებს, შეიცადე,
ისეც მალე წახვალ ცადო.

საქტემაერი


 ქართველთა
 კავშირი

მათრობს მეტად ღვინოზე —
 ცა, სექტემბრის დილა;
 გაძედილი მტევნები
 ჩემკენ გამოწვდილა.

შორი გზა აქვს გამოვლილი
 ყვავილიდან ნაყოფს;
 ვიცი ხავერდგადაკრული
 კომში რით ამაყოფს.

გინდ ადგილზე გამაქვავე,
 გინდ მაქციე ხედა...
 სახე დასამარხავია,
 მზემ თუ არ დახედა.

მზე მახურებს,
 მახურავს
 ბროწეულის ჩერო,
 ლელვი მომჩერებია —
 მე მიგემე ჭერო.

ლუკმად ზომ არ შეყოფა,
 არც იქნება იჭრა,
 მზად ვარ — ერთი ლელვისთვის
 კლდეზე გადავიჭრა.

კმარა ერთი კაკალი,
 ავებლატო ხეზე,
 რაც ვიყავი, ვრჩები იმად —
 ურჩი მომიზეზე.

ერთი ქალის გულისათვის
 რას ჩავიდენ, ისეც
 ცხადი არი. ზნეა ჩემი,
 ნურვინ მკითხავს მიზეზს.

დაიხსომე, ახსენე,
 რასაც თვალი მოკრა,
 შეგანათებს დამსკდარი
 შავქლიავის ოქრო.

ველარ მოიგერიე.
 მოგერია ძილი...
 იზაბელა შავ-შავი,
 კიბეს დაგლეხილი.

მოდერილი სატევაარი...
 სიმინდების ჭარო,
 მიჭირს, როგორ შეგვეგებო
 ასე უაბჯარო.

ვაზს იხვევს მოაჯირი,
 მზე კეფაში მაკერს...
 ჭაფი ყელზე ევლევა
 ამღერებულ მაკარს.

გაიწებე... მერამდენედ
 ქუსლმა ჩემმა სრისა,
 დაბზარული ჩენჩოებად,
 სახე ბახუსისა.

ბანზე ბერტყვა — შავად, წითლად
 დაფერილი ნოხის;
 ბნელ დაფნასთან გოზვა ჭურის,
 მკვრივის და ამბოხის.

ცეცხლი უნდა დაინთოს,
 ქვაბიც უნდა დადგან...
 ვერ შეგხედავ უცრემლოდ
 მე დასაკლავ ბატკანს.

თვალი რამდენს უძლებს და
 რამდენს იტევს გული;
 არ მერევა ფეხი განგებ,
 დავალ დაბანგული.

მე კი მომკლავს (არ ვიცი,
 რას იზამენ სხვანი)
 სექტემბერი, ჭკუიდან
 ჩემი გადაწყვანი.

კოფრის გავლა



ტროამდელი ყორღანები,
ტროამდელი მდგლო...
გულო, ასჯერ გაგლეჯილო,
გულო შინც მთელო.

ცა ტირილი მოგინდება —
ტოროლებს ბინა...
მზე თამარის ბოლო სუნთქვა
ამ ველს მოეფინა.

ცაზე დამიზნებულო
ციხე აზეულა,
წითელ-ყვითელი ტყეების
ჯარი დასეულა.

მთა ყალყზეა,
გეგონება —
ელავს ცხენის გავა,
საოცრებამ არნახულმა
ენა ჩამიკავა.

მიზოზინობს, მიაქვს ზაფხულს
წელი ათრეული,
ლობე-ყორეს შემოდგომა
ლებავს ადრეული.

გადახრილა ჯმუხი მუხა,
ხმება ზეზეულა,
დაბეთქილი ეწვის ქერქი,
მუმლი შესეულა...

ტროამდელი ყორღანები,
ტროამდელი მდგლო...
გეკითხება მიწა — სანამ
გინდა ფეხით მთელო.

ტბის ლერწამიც გეკითხება:
სანამ გინდა მთალო,
მუქა-მუქა სიცოცხლეზე
ყელგაწვდილო, მხდალო...

დროა, აქვე დაიბარო
შავი დილიყანსი
და მყუდროში გადაყვანის
არ გაუშვა შანსი...

სხვას არ დარჩეს აზეულა,
ქართლის გზა და ეზო;
თან არ გამაყოლო ჯავრი,
ზღაპრის უმჯობესო.

მეხარ ნიჭარაძე

ფოთოლი

მუხის კენწეროს ერთადერთი
შერჩა ფოთოლი.
მკვნარი, სიცოცხლედაშრეტილი,
გამხმარი ყუნწით,
ძლივსლა ეკიდა განძარცულ რტოზე.
მოულოდნელად დაჰბერა ქარმა
და შემოდგომის მოჰიკანი
უკანასკნელი
ძირს წამოიღო ტრიალ-ტრიალით.
ხელისგულები შევეშვირე
დასავენებლად,
რომ ჰადესისკენ
სამუდამოდ მიმავალისთვის
მყუდრო ბინაში მიმეჩინა
ნავსაყუდარი.
რადგან მიჰივრდა
განშორება შემოდგომასთან.

მაგრამ ფოთოლმა,
მკვნარმა ფოთოლმა
ლამაზ ვიტრინებს
და დახუთულ ჰერბარიუმებს
მიწა არჩია, გალიგველი,
მაგრამ მშობელი.
მშვიდი გრაციით ჩაიფარფატა
და შეუერთდა თანამოძმეთა
დასაილუპავად განწირულ შვაგებს.
ხვალ ჩვენს ქალაქში აანთებენ
ყველგან კოცონებს.
დახუთულ სარკმლებში გაყონავს კვამლი
და თვით ყველაზე მზიარულ და
ულრუბლო სახლშიც,
მცირე ხნით მაინც,
ჩუმი სევდა დაისადგურებს.

რცხილა

რცხილას ჭაგები
შემოვუკაფე
და უმალ ტანი აიყარა,
უმალ დამშვენდა.
ერთხელ. როდესაც
მე ამ რცხილის
ჩრდილში ვიჭექი

უეცრად შემძრა
სინანულმა
იმის გამო, რომ
კაცი კაცისთვის
უანგაროდ
გზის გამკაფველი
კარგა ხანია
არ შემხვედრია.

სულის სიმალე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემს ბავშვობაში
ბევრჯერ მსურდა უშბაზე ასვლა,
ანდამატივით მიზიდავდა
მისი სიმალლე
ხშირად ვყოფილვარ
ცადატყორცნილ მწვერვალის ძირში,
ვწვევივარ შიბრას,
ტებდიაშიც მითიბავს ყმაწვილს.
მზის ამოსვლისას, თუ საღამოს
მღუმარ მიმწუხრში
დაქანლულ მითისთვის შემიხედავს
გოროზ სახეში,
როს იშვიათად იყო ხოლმე
ცა მოსარკული.
ო, როგორ მსურდა,
როგორ მსურდა,
რომ ერთხელ მაინც
უშბის დათოვლილ
კენწეროდან გადმომეხედა.
თვალი მომეგლო
მოშრიალე ტყეებისათვის,
ველმინდვრებისთვის,
სოფლებისთვის,
ქალაქებისთვის,
საქართველოსთვის მომეგლო თვალი.
ერთს დავკეკავდი ომანიანად,
ისე უბრალოდ გავძახებდი
სამშობლოს ქედებს:
ე-ჰე-ჰე-ჰე-ჰე...

და მერე კი ყურს დავუგდებდი
ყრუ ნაპრალებში გადაჩეხილ
ზევეების ჭახანს.
გამოხდა ხანი, და მე მიეხვდი
ერთ მშვენიერ დღეს.
ბევრი მთა თურმე
შეიძლება დალაშქროს კაცმა,
მაგრამ ყოველთა სიმალლეთა
შორის უმთავრესს
უნდა კესწრაფოთ უწინარეს
სულის სიმალლეს.
მხოლოდ მას ძაღუმს
ამ მშფოთვარე წუთისოფელში
ბნელსა და წკვარამს
შეაგებოს შუქი ცხოველი.
მაგრამ როგორ გსურს
შენი სული ისე ზარდო, რომ
უშბის ზვიად თბემს
მიალწიო და გაუტოლდე.
ყველა ვერ ავა, რა თქმა უნდა,
ერთ სიმალლეზე,
მაგრამ მრავალი რომ ასცდება,
ცოტად თუ ბევრად,
იმ საშინელ ზღვარს,
რასაც ჰქვია
ერთფეროვნება,
ცხოვრება უფრო ასატანი
განდება ქვეყნად.

პალაიან ჩაქურიშვილი

პალაის ბედი

მოთხრობა

ნაშალას ბანარით დაკლავნილ ბილიკზე მარიფათიანად მიდიოდნენ აბარგული ცხენები. საცაღფებო ბილიკი ზოგან პირდაპირ უფსკრულის პირზე კლდის ფხაზე გადიოდა. ღმერთმა ნუ ქნას იქ მგზავრს თვალი და გული შეუშინდეს. ფეხი აერგვა და შეკივლებას ვერ მოასწრებს ისე გაფრინდება ქვესკნელისაკენ. უფსკრულში ისე დაიკარგება, ყორნებაც ვერ მიაგნებენ იმის ძვალ-რბილის ნათოსს.

სადღაც ქვევით კლდეებში ჩაჭედვლილი მდინარე იბრძოდა და ღრიალებდა, მისი ქაფი და შეფეხი თეთრად იბნეოდა გალოკილ ლოდებზე.

ცივი ნიაფი ამოდიოდა ქვესკნელიდან.

თუმის ცხენები ძალზე ზუსტად ადგამდნენ ფეხებს იქ, სადაც შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ფლოქვი დატეულიყო. ზოგან კი ნახევარი ფლოქვის დაბიჯებითაც გადიოდნენ იოლად. მაინც მიდიოდნენ, არ ეშინოდათ, არაფერი ეშლებოდათ და თითქოს არც უჭირდათ.

ცხენებზე მეტად მგზავრებს უჭირდათ „ბენვის ხიდებზე“ სიარული. ამიტომ ირაკლი ელანიძე პირველი თვითონ გაიჩვენდა კლდის ფხაზე ჯამბაზივით, მობრუნდებოდა, სტუმრებს არყის ჯოხს გაუნოვებდა — ხელი მოკიდეთ, წონასწორობა არ დაკარგოთო. ქვევით, უფსკრულებში ნუ იყურებით, მარტო იმას უყურეთ, რაზედაც ფეხი უნდა დააბიჯოთო.

სტუმარი ორი იყო, ერთი მეცნიერი, მეორე — მხატვარი. თუშეთის შესასწავლად მიდიოდნენ. გზა არ იცოდნენ და კვალი. სამი დღე იტრიალეს ალვანში, მგზავრს ეძებდნენ, დაქირავება უნდოდათ. ვერაფერი ნახეს. მერე ირაკლი ელანიძემ რკისრა — ოღონდ თუშეთს რამე სიკეთე მოუტანონ და... როგორ არა მცალია, როგორ არ გავყვებიო.

საკმაოდ ბევრი ბარგი დაგროვდა. ეს საჭმელიო, ჩასაცმელიო; დასახურავიო, ველზე გასაშლელი კარკებიო... სტუმრების ბარგს ირაკლიმაც დაუმატა თავისა — ხუთი დღის საგზალი და ორი ტიკი. ერთი ახმეტური შავი ღვინით სავსე, მეორე — თუშური ალალა არაყით.

სამმა ცხენმა აიკიდა მთელი ბარგი. შედარებით სალთა ცხენებზე თვითონ შესხდნენ და გამთენიისას, ძაღლის ძილის დროს გავიდნენ ქვემო ალვანიდან.

ირაკლი ვარაუდობდა, ლეჩქურს რომ გაცდებოდნენ, მზეს მაშინ უნდა დაენათლა კიდუკის მთის წვერები. მაგრამ სტორის ხეობის სიღრმეში ისე შევიდნენ, დილის ბინდს ნათელი აღარ მიმატებია.

მთებმა ნისლის ჩადრები ჩამოიფარეს.

გაჯავრებულნი ჩანდნენ მთები, მრისხანე სახით ეგებებოდნენ სტუმრებს, რომლებსაც იმ ორ დღეში უნდა გადაეღახათ უღელტეხილი და გადასულიყვნენ შეთე გულუხაიძეს საგაზრდილოში, თუშეთში.

სვიანას ხეცს არ იყვნენ გაცილებულები, წინწყლვა რომ დაინყო. თანდათან მოუმატა და სულ მალე ისე დაასხა, ისეთი ქტქა-ქუხილი და მეხმერები ატყდა, ნარღვნა გეგონებოდათ.

„რას იხამ აქ ასეა, ხან წვიმს, ხან დარია“. — ირაკლი გუნებაში ებოდიშებოდა სტუმრებს და მაინც მიდიოდნენ.

დრო და დრო ცხენებს ამხნევებდა შეძახილით:

— ჰეჰა — ჰე! ჰეჰა — ჰე!“

ლუფხსა და ლიჭში კიდევ უფრო გამარფათიანდნენ კლდე-ღრეებში სიარულს მიჩვეული თუში და მისი ცხენები. სტუმრებიც ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ, მაგრამ ვაი იმ სიარულს. ამას უფრო ფორთხვა და ლოლილი ერქვა,



მხატვარი და მეცნიერი ალაგ-ალაგ ოთხით სიარულზე გადადიოდნენ. რა ფერის ტანსაცმელი ეცვათ, აღარც კი ეტყობოდათ.

— ირაკლი, ასეთ ცის ჩამოქცევაში მგზავრობა შეუძლებელია. სამშე დაბანაკდეთ! — ჩაილაპარაკა მეცნიერმა.

— რა თქმა უნდა, დაბანაკება აუცილებელია. შეიძლება მარცხი შეგვემთხვეს, — კვერი დაუკრა მხატვარმა.

— ჯერ არაა ჯერ ისე არა ჭირს! უნდა ვიაროთ, ორწყლამდე მივინც უნდა მივადნოთ. ასეთი ამინდი შეიძლება ორი-სამი დღე გაგრძელდეს, აქ ხომ არ ვისხდებით.

...და მიდიოდნენ ბილიკზე, რომელთაც მეცნიერი გულში საბედისწეროს ეძახდა, მხატვარი — რომანტიკით სავსეს.

რუბზე ღვართქაფად მოასკდა ნაწვიმი, თან მოჰქონდა ქვა-ღორღი, ფოთოლ-პალახი და ნათოსი, კლდეებში ჩაჭყდილ სტორს ძალღონედ ემატებოდა ნაწივმარი.

მდინარეში თანდათან ღრიალს უმატა. მერე ღაძრა ის ლოდები, რომლებსაც აქამდე ვერ ერეოდა და გაისმა ყრუ ჯახა-ჯუხი.

„რომც არ გადავიჩიხოთ, ასეთი სიარული რას გვარგებს, თუ არ აღწერე გზა, მთა, ხევი... ყველაფერი ის, რასაც ვხედავ ირგვლივ, ისე გინდა გადავსულვართ თუშეთში, გინდა-არა. ასეთ ამინდში ქალაქს და ფანქარს როგორ ამოიღებ კაცი ერთი თითის დადება არსად შემჩენია მშრალი“, — გულში ლაპარაკობდა მეცნიერი.

„ალბათ ზღაპრულად ღამაზე სამყაროში ვართ. შიზანი დარი რომ იყოს, რამდენ ჩანახატებს გაეკეთებდი“, — ფიქრობდა გულღანყვითლი მხატვარი.

— ცოტაც და ორწყალთან მივალთ, — სტუმრებს ანუგეშებდა ირაკლი ელანიძე.

დასხლტვით, ღაფა-ღუფა ბილიკზე სიარული თანდათან უფრო დაემსგავსა სიკვდილთან თამაშს. ცხენს, რომელსაც ხის ყუთი ეკიდა, ფეხი მოუცურდა და კინაღამ უფსკრულისაკენ გაფრინდა თავის ბარგიანად. ეს ყველაზე უშავლ ელანიძემ შენიშნა, ღვამს მოსწონია, შეუყვირნა და ვიღერ მეორე ფეხიც მოუცურდებოდა, ისეც ბილიკზე აიყვანა.

ექსპედიციის საარსებო სული იმ ხის ყუთში იყო. ის რომ გადავარდნილიყო, ყველაფერი წყალში ჩაიყრებოდა.

— ირაკლი, სიკვდილთან ასე ხელიხელ ჩაკიდებული სიარული როდემდე შეიძლება, სამშე დაებანაკდეთ! — ახლა უკვე კატბგორიულად მოითხოვა მეცნიერმა.

— ორწყლამდე ნახევარი კილომეტრია დარჩა. სიტყვას ნუ გამატეხინებთ. თან აქ აბა სად გავშალთ კარვები? იქ კარგი ადგილია.

— სადაც ამდენი, იქაც ნახევარი კილომე-

ტრი! — ჩაილაპარაკა მხატვარმა და მგზავრობა განაგრძეს.

ორწყალთან მართლაც მოსახერხებელი ადგილი იყო კარვების გასაშლელად. მხატვარმა კალსოფენა მოსწორებულ ადგილზე შეაჩერეს ცხენები, ბარგი მოხაფეს, მეცნიერმა და მხატვარმა კარავი გაშალეს. ბარგი შიგნით შეიტანეს, თვითონაც შეაფარეს თავი.

როგორც ეტყობოდა, მომთაბარე თუშები საერთოდ იქ ისვენებდნენ, აქა-იქ ნაცეცხლურები ჩანდა.

ირაკლიმ ცხენები ბალახზე მიუშვა. თვითონ მიტრიალ-მიტრიალდა, საიდანაც ხმელი, მაგრამ დასველებული ფიჩხი მოიტანა, დაღენა, კაჩავში შეიტანა. მერე სადღაც გავარდა. უკან რომ დაბრუნდა, უბეში მშრალი ფუტურო ედგა. თხის ტყავის სასაგზლე გუდას, პირი მოხსნა, ტალკეესი და აბედი მოძებნა. ჩააჩხლაკუნა, აბედი ააბოლა. აბედიდან მშრალ ფუტუროს გადასდო ცეცხლი. მერე მიადგა და იმდენი უბერა, ვიდრე წვრილი ფიჩხის ცეცხლი არ ააბრიალა.

ამ ადგილს ორწყალს იმიტომ ეძახდნენ, ორი ხევი, ორი წყალი უერთდებოდა ერთმანეთს — აბანოს ხევი და ეკპანის ხევი. ერთი მარჯვნიდან, მეორე მარცხნიდან. აქედან გზაც ორად იყოფოდა. ერთი დიდგვერდნაქერალას მთით მიდიოდა თუშეთისაკენ, მეორე — ეკპანით. პირველი შედარებით იოლი სავალი იყო, მაგრამ შორი. დილას სვიანასთან ბარს მიივალდა თუშები შუბედნენ. ირაკლიმ გზამგზავრობის ამბავი უკითხა.

— ნაქერალას გზით ნუ ნახვალთ, ძოღან ბარიდან მომავლები ვალაის გაუძარცვია, — უთხრეს მგზავრებმა.

— ისევ ვალაის?
— ისევ, ისევ!

ვალაი დიდოერი ლეკი იყო, ყოფილი ნაიბი და ნამამასახლისარი, ხანში შესული და მრისხანე. ახალ მთავრობაზე იყო განაწყენებული. ადგილ-მამულები და ცხვრის ფარები რომ ჩამოართვეს, თოფს დააძლო ხელი, მთავრობის კაცი მოკლა და ტყვეს მისცა თავი, თან ერთადერთი ქალიშვილიც თან გაიყვლია.

ვალაი ახლა დაღესტნიდან საქართველოს მთებში გადმოხვენილ ყაჩაღებს ბელადობდა, თუშეთის გზებზე ხალხს სძარცვავდა. თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუბედავდა, თვალის დაუხამხამებლად კლავდა. ამიტომ დაუნდობელის სახელი დაინათლა ვალაიმ!

შიში არაფერ შუაშია, მაგრამ ირაკლის მარინე არ უნდადა, რომ ვალაის სამშე გადაეყაროდ. მამა-პაპანი არა მყოლიან ჯობაწინი და პაპის პაპანი. ირაკლიც მათი „ჩამომავალი“ იყო. ლეკს ვერ გაეძარცვინებოდა. არა და მაშინ სისხლი უნდა დაღვრილიყო. მარტოკა

რომ მიდიოდეს ჯანდაბას, ან ისე იქნებოდა ან ასე. მაგრამ ახლა სტუმრებს რა უყოს? რაკი მათი მეგზურობა იყოს, მშვიდობით უნდა აიყვანოს თუშეთში არა და სტუმრები როგორ გააძარცვინოს ვალაის თუ ბალაის აღვანში ყველამ იცოდა ამ გზაზე რა ხიფათიც იყო მოსალოდნელი, იმიტომ ვერ ნახეს მეგზური, ყველამ რაღაცა მოიმიზეზა, საშაროდ არ გაიხადა საქმე.

ეს ამბავი ირაკლი ელანიძემაც ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ მაინც გაბედა. დაადგინებდა გზას და ახლა მარტო ღმერთმა იცოდა, როგორ დამთავრდებოდა მათი მეგზურობა.

თუშები უფრო მეტად დიდგვარდის გზით მიდი-მოდიოდნენ. ამიტომ ვალაიც უფრო მეტად იქ იყო ჩასაფრებული.

ირაკლი ორწელიდან გზის არჩევანზე და მოსალოდნელ ხიფათზე ფიქრობდა, ცეცხლთან მიფიცებულ მხატვარს ბლოკნოტი და ფანქარი ამოედო, ელანიძეს უყურებდა და ხატავდა. მეცნიერი თავისთვის იწერდა რაღაცას უბის წიგნაკში...

გათბნენ, გაშრნენ, საგზალი ამოიღეს და ქაშეს, თითო ქიქა „ალაღან არაყანიც“ გააჟაქრეს და ხასიათზე მოდგნენ.

ამსობაში მთებში ჩამოიბანეს გულმეკრადი, ჩამოიშრნენ. ნემიმამ გული იყვრა და გადაიღო.

ელანიძე წამოხტა, ცხენები კარვის კართან მოვარა, შეაგზო, აკიოედეს და გზას დაადგინებდა, გზას — კეპანის მთისას.

ასე გადაწყვიტა ირაკლიმ, რადგან იფიქრა, რაკი ცუდი გზაა და ცუდი ამინდი, ვალაი იფიქრებს, ამ გზით არავინ წამოვაო.

— ჩუმად ვიაროთ, მაინცდამაინც ნუ ვიხმარებთ, — გამოაცხადა მეგზურმა.

— რატომ ჩუმად? — იკითხა შემერთალმა მეცნიერმა და მხატვარმაც ყურები ცქეცია.

— რა ვიცი, თათი ძალდი და მამაძალი დაეხეტება მშიერ-მწყურვალი, — ისე სხვათაშორის თქვა ელანიძემ. არ უნდოდა სტუმრებს შეშინებოდათ. არა და გული სხვას უუბნებოდა ელანიძეს, ტანი უჭრანობდა, ხიფათი სადღაც ახლოს იყო, სულ ახლოს.

თუში თვალები სულ აქეთ-იქით კლდებზე-საკენ და ლოდებისაკენ გაუბრუნდა. ძალიან ცდილობდა ჩასაფრებულისათვის უმალ თვითონ მოეკრა თვალი. მაგრამ მაინც სადღაც ეშმაკის ხერხიდან გაისმა ბრძანება:

— „რუკი ვერხ!“

„ოხ, შენი დედა ვატირე!“ — ჩაილაპარაკა გულში ელანიძემ.

შეჩერდნენ და ასწიეს ხელები, მეტი რა გზა ჰქონდათ!

მოსახვევში ლოდის უკანიდან გამოფრინდა ჩოხის კალთებაკვალთული და მთლად გაწუნული, თოფმომარჯვებული ჭადარა ლე-

კი — ვალაი. სამი სხვაც გამოქოცხდა სხვადასხვა ლოდებიდან, ირაკლი დააკვირდა. ვალაი ბიჭის ტანსაცმელში გამოქოცხდილი ლეკის ქალი — ბელადის ასული. ისინი უფრო მარჯვედ ფეირა კარაბინი და თვალბში დაუნდობელი მრისხანება ედგა.

„რასაც ვერიდებოდი ვერ ავიცი!“ — გაიფიქრა ელანიძემ გუნებაში და თავის ბედს შეუკურთხა.

ახლა ამ საქმიდან მშრალად, სუფთად გამოსვლა შეუძლებელი იყო. ვალაი გაუძარცვავს არ გაუშვებდა ექსპედიციას, ირაკლი კიდევ ამას არ აპატიებდა.

— ვისა ხარ? — დამტყრეული ქართული იკითხა ბელადმა.

— მე აღვანელი თუში ვარ, ესენი ჩემი სტუმრები არიან. ერთი მხატვარია, მეორე მეცნიერი, თუშეთში მიმყავს.

— კოლექტია უნდა გააკეთონ? — მარცხენა ნარბი მალდა ასწია ვალაიმ.

— არა. ამათი საქმე არაა კოლექტივი. ამათ წიგნი უნდა დაწერონ.

— შენ ტყუილას აკეთებ!

— არ ვამბობ ტყუილს!

— ციხენების ზურგში კომერტიკას საქონელი არიან?

— არა! აქ ყველაფერი ჩვენია, საკუთარი.

ირაკლიმ თანდათან დაუშვა ხელები, შემდეგ დონიჯი შემოიყვარა და ბელადს ისე დაუნყო ლაპარაკი. ეს სითამამე არ მოეწონათ დანარჩენ ყაჩაღებს და უბრძანეს ხელები ისევ მალდა ასწიეო.

ელანიძემ ყურადღება არ მიაქცია მათ ნათქვამს.

განრისხდა ლეკის, ქალი, თოფის საკეტი ააჩაყუნა და მკერდში დაუმიზნა დიდგულა თუში.

— ხელები ასწიე, ისე ელაპარაკე ბელადს!

— უთხრა რუსულად.

ირაკლიმ მისკენ არც გაიხედა, არც ბრძანება შეასრულა. ვალაის ქართულად ჰკითხა.

— როცა ბელადები ლაპარაკობენ, დანარჩენები რატომ ერევიან საქმეში?

— არ ესროლოთ! — ლეკურად ჩაილაპარაკა ვალაიმ. მერე ირაკლის ისევ დამტყრეული ქართულით ჰკითხა:

— შენ ბელადი არიან?

— დიახ, მე ამათი ბელადი ვარ! ესენი პატროსანი და მშვიდობიანი ადამიანები არიან. გაგვიშვი ჩვენს გზაზე.

ვალაიმ მოითხოვა ცხენებისათვის ბარჯი მოეხადათ და ზურჯინებიდან ყველაფერი ამოეყარათ.

— კი ბატონო! — მხატვარმა და მეცნიერმა უმალვე დაიწყეს ბარჯის ჩამოხდა. ირაკლიმ აღარ უთხრა ნუო. იცოდა უამისოდ მაინც არ გაუშვებდნენ.

ვალაი გზაზე ამოყრილ ბარგთან მივიდა, დაათვალიერა: რაც კი მოუნონა ყველაფერი თოფის წვერით გადაუყარა ჯგუფის წევრებს.

— ფული!

ვალაიმ მეცნიერს ხელით ანიშნა ფული ამოიღე და მომეციოთ.

მხატვარმა და მეცნიერმა ჯიბეები მოიჩხრაკეს, რაღაც ოციოდე თუშანი აღმოაჩინდა თითოეულს და მორჩილად მიართვეს თბანერმომშვებულ ლეკს.

ვალაიმ დახედა ფულს და განრისხდა, ცრტაო.

მეცნიერმა ახსნა-განმარტება დაუნწო, ფული ჯიბით არ წამოგვიღია, ფოსტით მოგვცევა თუშითშიო.

ყაჩაღების ბელადი კიდევ უფრო განრისხდა და გადმოიკრა, მატყუებთო. არწივივით ანთებულ თვალებს ხან ერთს მიანათებდა, ხან მეორეს, ხანაც ირაკლის.

მეცნიერი და მხატვარი ვერ უძლებდნენ შიშის მომგვრელ თვალებს, თუში კი ოდნავდაც ვერ შეაკრთო ლეკის მრისხანე შემოხედვამ.

— ჩიქარა ფული, თორა სუყოლას მოკალები — ბღღვინავდა ვალაი.

— არა გვაქვს, იცით, არა გვაქვს, თორემ უღაპარაკოდ მოგართმევდით, — საშინლად გაბეჩავდა მეცნიერი.

— თუ არა გვერათ, მობრძანდით და გაგვსინჯეთ — ამოიწავლა მხატვარმა.

ვალაის მართლა არ სჯეროდა, გურჯებს ჯიბეში მეტი ფული რომ არა ჰქონდათ, ამიტომ მართლაც გადაწყვიტა თვითონ გაეჩხრაკა.

მართლაც ვერაფერი ვერ იპოვა მხატვრისა და მეცნიერის ჯიბეებში. გაჯავრებული ახლა დღინჯმეშოყრილი თუშისაკენ გაემართა. უნდოდა ისიც გაეჩხრაკა.

— ვალაი! — შესაბა ელანიძემ და ლეკის ბელადი წამით შეაჩერა. — მეტი ფული არა გვაქვს და ბელადი ბელადთან ახლოს ნუ მივა!

ეს გაფრთხილება იყო.

ვალაიმ არად ჩააგდო თუშის ნათქვამი და მანაც გაემართა მისკენ.

— ვალაი, ბელადს ბელადს არ განჩრევავს! — ეს უფრო მკაცრი გაფრთხილება იყო!

ელანიძემ თვალი თვალში გაუყარა ლეკს.

— იპ, თუშის ბელადი რა ბელადია! ლეკის ბელადი მაგარია!

მანაც ზედ მივიდა. როცა ხელი ირაკლის ჯიბისკენ წაიღო, ელანიძემ შეაჩერა.

— რაკი არ იშლი, მაშინ მე თვითონ... მე თვითონ მოგცემ!

თან აქეთ-იქით მიმოიხედა. მერე მარჯვენა ხელი მარცხენა უბეში ღრმად ჩაიყო. იქ კარგახანს წვალობდა, რაღაცას ეძებდა. ვალაი

დარწმუნდა მთელი ფული თუშს ჰქონდა, ამოიღებდა ახლა და მიართმევდა ყველაფერს — ლეკი გაგვიშვიო.

ენიზლინიძე

ელანიძემ უბიძან უცებ დაიძრო ნაგანი, ვალაის გულზე დაადო, ჩახხახი დააცმინა ერთხელ, მეორედ, მესამედ, მეოთხედ, მეხუთედ, მეექვსედ, მეშვიდედ...

...არცერთი ტყვია არ გავარდა.

ეს ისე სწრაფად, ისე მოულოდნელად მოხდა, ვერაინ ვერაფერი მოახერხა. თვითონ ვალაის კი ეგონა, მეშვიდე ტყვიამ გულში გამიარაო. ბოლოს მიხვდა რაც მოხდა, ხელი უტაცა უიმედო იარაღს და ააგლიჯა. მოსკოვდნად დაწარჩენილი ლეკის ქალმა თოფი დაუმიზნა ელანიძეს და თუ არ ესროლა მხოლოდ იმიტომ, რომ შეეშინდა, მამარეშსაც მოხედებო.

— არ დაქრათ! მე თვითონ! — დაიღრიალა გამოფხიზლებულმა ლეკმა.

თუშმა ახლა დაქარგა ფერი, ძნელია სიკვდილთან პირისპირ წარბეუზრეულად დგომა.

გაუგონარი ამბავი მოხდა, ენამწარე და ნუნკალი ქალის წყველა ახდა თითქოს — „მტრისათვის მოქმედი მახვილი ვადაში გადაგიტყდეს, მტრისათვის მიშვერილმა იარაღმა გიმტყუნოს“.

აკი წყველა არ ახდებო!

შაი დედასაა! სად უმტყუნა ბედმა! ფეხი სად დაუდო ბედისწერამ! თურმე ვისი ხელით სწერებია სიკვდილი!

— დამკარი... რაღას უყურებ, დამკარი! — დაუყვირა ელანიძემ ლეკს.

ვალაიმ წართმეულ ნაგანს დახედა, „ბარაბანი“ დაატრიალა, შეამონწმა, მართლა ენყო შიგ ვაზნები თუ ცარიელი იყო.

არცერთი ვაზნა არ იდო იარაღში. ელანიძემ უმალვე უბეში იჭრა ხელი და ჯიბიდან ამოიღო „ბარაბანიდან“ გადმოცევილი ვაზნები.

ელანიძემ სინანულით გააქნია თავი.

ვალაის ოდნავ გაეღიმა.

ასეთი რამ ზღაპრებში ხდება-ხოლმე! ეხლა მოხდა კიდევ, მაღალი ალაკი მფარველობს ვალაის, თორემ შეიფი სიკვდილის გამოღება თუშის იარაღიდან სხვას ვის შეეძლო!

რაკი საშინოვრებამ გადაიარა, ვალაის ახლა უკვე მოსწონდა თუშმა ნაგანი გულზე რომ დაადო და უსხლიტა. ვალაი არ განძრეულა. ეს გულადობით არ მოსვლია, შინისაგან გახიხდა. მაგრამ თუშმა ხომ არ იცოდა ეს. ამიტომ ლეკმა გულადობად გაასაღა.

— ლეკის ბელადი მაგარია! — თავს იწონებდა ბედის საქორწინე შემომჯდარი ლეკი.

— აქეთ გამოდი, უნდა ჩავაძლლო! — ლეკურად უთხრა მამას ბიჭის ტანსაცმელში გამოწყობილმა ქალმა.

— შენ არა, ბელადი თვითონ ბელადმა...



ეს უპირატესობა სიამოვნებასაც კი გვრიდა ვალაის.

ბილიკის ქვემოთ პატარა მოსწორებული ადგილი იყო, იქ ჩასვლა უბრძანა ბედის ნიხლებით გათვლილ თუშს.

„ჩასვლიც სიკვდილია, არ ჩასვლიც“, — გაიფიქრა ელანიძემ და ლეკს შეუყვირა.

- არ ჩავალ!
- თუშო, ჩავალ ქვემოთ!
- არ ჩავალ!
- თუშო, ჩავალ!
- არ ჩავალ!

— ვალაჰ, ჩავალ და იქ მოკალეები!
 — აი თუ ჩავალ და ნახავ!
 — მაშინ დაჩოქება გააკეთე, აი აქ! — თავის ფეხებთან ანიშნა.

— არ დაგიჩოქებ.
— დაუჩოქე, ირაკლი, დაუჩოქე, იქნებ გაპატროსი! — ემუდარებოდნენ აკანკალებული მხატვარი და მეცენიერი.

— დაჩოქილ სიცოცხლეს, ნელში გამართული სიკვდილი მიჩაგენია.

„კირკიტა კი ხარ თუშო, მაგრამ მინც დაგაჩოქებ და ისე მოგკლავო“, — გაიფიქრა გულგაბოროტებულმა ლეკმა.

„ადამიანმა სიკვდილიც თვითონ უნდა გაილაშხოს და სიცოცხლემ“, — გულს იმაგრებდა თუში.

- თუშო, მაშ, დაჩოქება არ გააკეთე?
- არა!

— გააკეთე დაჩოქება! — ვალაიმ საკეტი ააჩხაკუნა, თოფი ფეხზე შეაყენა.

ელანიძეს სხეული მოუდუნდა, მუხლებში ცხცახი დაუნყეს, მაგრამ მინც ცდილობდა არ ჩაეცილიყო, ხმაში ბზარი არ გარეოდა. მესროლედ, რაღას ელოდებოდა უნდა და ეთქვა, მაგრამ ძალა აღარ ყოფნიდა.

უცებ ზევით ცხენების ფეხის ხმა და შეძახილი გაისმა.

ყარალებმა ყურები ცქვიტეს.

— ვინ არიან? — ლეკურად იკითხა ვალაიმ ისე, რომ ელანიძისათვის არც თვალი მოუცილებია, არც თოფის ნიშანი.

— არ დაჰყრა, შენ გენაცვალე, არ ესროლო, შენი ჭირიმე, გვაპატიე ეს ერთი კაცი, გვაპატიე და როგორმე გამოვინსყიდო! — ემუდარებოდა მეცენიერი წვერმოშვებულ ლეკს.

იქვე, მოსახვევში, მგზავრებიც გამოჩნდნენ. ორმა ყარაღმა იმათაც ააწვიინეს ხელები.

ისინი მთიდან მომავალი თუშები იყვნენ. ერთმა ხნიერმა თუშმა იცნო ყარაღლების ბეღადი, ხელები ჩამოუშვა, მისკენ გაემართა და წმინდა ლეკურით მიესალმა.

— ვასალამ-აღვიქუმ, ვალაი! ვალაიმ პასუხი არ გასცა.

— გამარჯობა ირაკლი! — ახლა თოფის ნიშანზე დამდგარ კაცს მხედდა.

— გაგიმარჯოს! — უღალბოვნად ეგონა თუ ამ სიტყვას ბოლომდე ათქმევინებდა ლეკი.

— ვალაი, არ დაჰყრა, კაცი არ მოკლა! რას ემართლები, მე მოთხარი, იქნებ შევძლო გამოსყიდვა! — წმინდა ლეკურით ელაპარაკებოდა თუში.

მეცენიერმა სხაპასხუპით უთხრა იმ თუშს, რაც მოხდა.

— ალაჰს გაფიცებ, თოფი ძირს დაუშვი! რომ მოკლა, მაგას ღმერთი არ გაპატიებს.

— როგორ, მე დამნაშავე ვიქნები?
— იქნებო! ვალაი, იქნებო! ისედაც ცუდ გზაზე დგხარ და ალაჰს მტრად ნუ გადმოკიდებ.

— როგორ თუ მტრად? თითონ ალაჰმა ბრძანა, მტერს მტრულად მოექცეო.

— ალაჰმა ისიც ბრძანა, უსამართლო მტრობა შეეცოდე, რომელსაც არავის არ ვაპატიებო! მოდი, ვილაპარაკოთ, გავარჩიოთ, იქნებ სიკვდილს არ იმსახურებს. ხომ ხედავ დიდი ალაჰი შენ მხარეზეა, კაცმა უსამართლოდ მიინდომა შენი მოკვლა და ალაჰმა გადაგარჩინა. დიდი ალაჰი სამართლიანია, ახლა გცდის, შენ როგორღა სამართალს გამოუტან, უნდოდა, მაგრამ ხომ ვერაფერი ვერ დაგიშვა ამ კაცმა, შენ სასიკვდილოს რას ურჩი? ვაჯვაცია, თბვისას ეცადა, ალაჰმა დაგიფარა. ახლა შენ რა, ვაჯვაცობისათვის ჰკლავ? დაფიქრდი, კარგად დაფიქრდი, ვალაი, ეს უსამართლობაა! ალაჰი შენ ამას არ გაპატიებს, კიდევ ვინმე დაგადებს გულზე ნაგანს და აღარ დაგიფარავს.

— თუშო, შენ ძალიან ღამაზად ღამაზაკობ, მაგრამ ეს საქმე ეგრე ღამაზად არ გამოდის.

ეს სიტყვები და ტონი უკვე დათმობას ნიშნავდა. ყოველ შემთხვევაში ბედის სასწორმა ირაკლი ელანიძის სასარგებლოდ დაიწყო ქანაშობა.

— მაშინ, მეც ხუთჯერ დაუსხლტავ ჩემ თოფს და ეგ კაცი მართალია, ალაჰი მაგასაც გადაარჩენს.

— ვალაი, მე შენ ჭკვიანი კაცი მგონიხარ და ალაჰის საწყნს კი ღამაზაკობ.

— რატომ?

— შენ რა, დიდ ალაჰსა სცდი დაიფარავს თუ არა? შენ ვინ მოგცა ალაჰის გამოცდის უფლება? განა შენი პავშვია! ის კი დაიფარავს, როგორც შენ დაგიფარა, მაგრამ მე რა პასუხს გაცემ. შენ ხომ მინც უსამართლო იქნები, შენ ხომ მინც სასიკვდილედ დაუმიზნე და დაუსხლიტე ხუთჯერ. ესე იგი შენ მინც უსამართლობა ჩაიფინე, თანაც ალაჰი გამოსცადე. შენ გგონია გაპატივებს?..



ვალაი, დამიჯერე, ამ კაცს ახლა სიცოცხლე არუქე, დიდი ალაპი ამას მოგინონებს და სხვა დროს კიდე დაგიფარავს მტრის ტყვიისაგან. თუ არა და შეიძლება გაბოროტდეს, აქვე, ეხლავე, შეგიტრიალოს ბედი. არ დაგაეინყდეს, ის ღმერთია, შენ — კაცს ხარ!

— მაშინ, ჩემ წინ დაიჩოქოს! — დათმობაზე წავიდა ვალაი.

— დაიჩოქე, ირაკლი, დაიჩოქე, შენ გენაცვალე!

— დაიჩოქე თუ ძმა ხარ! — ეხვეწებოდნენ მხატვარი და მუცნიერი.

— არ დაეიჩოქებ! — თავი გააქნ-გამოაქნია ელანიძემ, რომელსაც გულში უკვე ჩასდგომოდა იმედის წვეთი.

— ვალაი, შენ რომ იმის ადგილზე იყო დაიჩოქებდი? — ისევ მოღვეურე თუშმა ჰკითხა.

— არა!

— ჰოდა, ეგვც ვაგვაცია, რატომ ეუბნები დაიჩოქეო?

— შენ ჩვენი ენა სად ისწავლე? — აშკარად მოღვა ვალაი.

— ბოთლიხში. იქ ბევრი ყოხალი მყავს.

ვალაიმ თოფი ძირს დაუშვა. ირაკლისთან მივიდა და თვალებში ჩახედა. თუშმა არც დაახამხამა თვალები და არც გვერდზე გაიხედა. ლეკმა ქამარში გარჭობილი წართმეული ნაგანი ამოიღო, ლულაზე მოკიდა ხელი და ტარით მიანოდა პატრონს, აი მიყურე, ლეკის ბელადი როგორიაო.

თუშმა ჯერ თვალებში შეხედა ლეკს, მერე ნელა გამოართვა მოღალატე იარაღი. ზიზღით დახედა და გამწარებულმა მოიქნია, კუპანის ხევში ეშმაკებს შესწირა.

— ფუ, ღმერთმა დასწყველოს მოღალატე ცოლი, ამხანაგი და იარაღი! — ჩაილაპარაკა ბედის წიხლებით განადგურებულმა თუშმა და შვებით ამოისუნთქა, თითქოს ყელში წაჭერილი ხელები გაუშვესო.



ორი მოთხრობა

მთა

პაერი დაიხუთა, ოთახში აუტანლად ცხებოდა. ყვაილების მძიმე სურნელი კიდევ უფრო გაუსაძლის ხდიდა იქ ჯდომას. მაინც ისხდნენ. ასე იყო საჭირო და იმიტომ...

მიცვალებულს ნაცრისფერი ედო. იწვა გულხელდაკრეფილი, უკვე იმქვეყნიური, იმდენად უცხო, რომ აღსაქმელად ძნელი და თითქმის მიუღებელი. აქა-იქ ტიროდნენ. ცოლიც ტიროდა. ალბათ ენანებოდა. თანაც, ასე იყო საჭირო და იმიტომ...

მძიმე ნაბიჯით შემოდოდა ხალხი. გარს უვლიდნენ კუბოს, ცოლთან მიდიოდნენ, ხელს ართმევდნენ, ზოგი კოცნიდა, ზოგიც ამ დროს მიღებულ და დანესებულ სიტყვებს ამბობდა და ასევე დინჯი ნაბიჯით გადიოდნენ ოთახიდან.

კაცი გაშეშებული იწვა. მისთვის უკვე ყველაფერი სულერთი იყო. მუსიკა უკრავდა. ვიღაცა სანთელთან მიდიოდა და ჩამწვარის ნაცვლად ახალს ანთებდა. ასე იყო საჭირო და იმიტომ...

ერთ კედელზე კაცის გადიდებული ფოტო ეკიდა. მოპირდაპირე კედელზე, მისი ბოლო ნაშუშეარი — უზარმაზარი, ნაცრისფერი „მთა“.

ცოლი ტიროდა და სხვა კაცზე ფიქრობდა — „მოვა თუ არა?“...

ქალიშვილი იცრემლებოდა და ხალხს ათვალიერებდა.

ვაგი ჯარისკაცით გაჯგვიმული იდგა და ოჯახის უფროსის ღირსებით ართმევდა ხელს მოსულებს.

რუხი ღრუბელივით პირქუში და უცხო იყო მიცვალებული.

ოთახში სახეების ახალი წყება შემოცურდა და ცოლმა იგრძნო, რომ გულს ყელში მოებჯინა, იოგებს აყუვა და სადაც არის, პირში დაინჯებდა ფართხალს. კანკალმა აიტანა, იატაკი ფეხქვეშ ეცლებოდა და სადაც, ბნელეთისკენ მივქანებოდა. თვალები დახუჭა.

ვიღაცამ აკოცა. უნდოდა კიდევ ერთხელ გაეხედა კარისკენ, მაგრამ ეშინოდა.

ოთახში ხომ ქმარი შემოვიდა. ცოცხალი. ისევ ისეთი, როგორც ბოლო დროს იყო — ნვერმოსვებული, მოუვლელი, თავჩაქინდრული.

ცოლმა თვალები გაახილა და დაინახა: სხვების მსგავსად ისიც მძიმე და დინჯი ნაბიჯით გარს უვლიდა საკუთარ ცხედას. მერე ოთახის კუთხეში დადგა გულხელდაკრეფილი და მას მიაჩერდა. რამხელა ტყვილი და ნაღველი ჩაეხვია კაცს თვალებში...

ხალხის ნაკადს კვლავ ბოლო არ უჩანდა. როგორ ერთნაირად იქცეოდნენ, როგორ ჰგავდნენ ერთმანეთს ტრადიციის, მოვალეობის, თუ ხათრის გამო ერთად შეყრილი და მწყობრი ნაბიჯით მიმავალნი, პლასტიკის იმ პატარა ფიგურებს აგონებდა, ბიჭი რომ ძერწავდა ბეჭეობაში.

კაცი, ყველასათვის შეუმჩნეველად, საკუთარი თავის ტირისუფლად იდგა.

ცოლი ისეთმა დაუოკებელმა რისხვამ შეიპყრო, რომ მზად იყო ფეხზე ნამომხტარიყო და ხმაურით, ჩხუბით, აურ-ზაურით გაძევებინა იგი ოთახიდან. რისთვის მოვიდა, რატომ? — კიდევ ერთხელ იმის დასამტკიცებლად, რომ მხოლოდ თვითონ არსებობდა და სხვა არავინ? — თანაც, როგორც ყოველთვის, გამაღიზიანებლად თავშეკავებული, ჩაფიქრებული და მარტოსული...

ხალხს გახედა. ისევ მოდიოდნენ და მოდიოდნენ.

კარებთან მაღალი ქალი იდგა. განზე, მარტო. კედელს მისჩერებოდა და იდგა. ნახატს შესცქეროდა — იმ აუტანელ, ცარიელ, არაფრისმთქმელ სურათს, ლამის მთელი ოჯახი რომ დაასწულა და დააივდა გაფართოებული, დამრგვალებული, შემინებული და თან, აღტაცებული თვალებით თითქოს ეძებდა რა-



ლაცას, თითქოს იმ სურათიდან ელოდა რამეს.

გამოფანა რომ გაიხსნა, იმ დღესაც იქ იყო ეს ქალი. მაშინაც სურათისადმი დაფინებული ინტერესით მიიპყრო მისი ყურადღება. დღესაც თითქოს მხოლოდ ამისთვის მოვიდა.

გამოფანა... საჯაროდ გამომწვეურებული და სხვისი გემოვნების აუქციონზე გამოტანილი წლების შრომა. ბოლო ხანებში აღარ ესმოდა ქმრის ძველი ნამუშევრები? მათ ყოველგვარი გაართულების და გაორების გარეშე იღებდა: წანები, მიწფერები, ზღვა, თოლიები, ადამიანები... ეს ყველაფერი მარტივად და ძალდაუტანებლად შედიოდა მასში. მერე არაფრისმომტანი წლები; უნაყოფო და ფუჭი დღეები; ზღმოდარული, რწმენადაკარგული მხატვრის მონოლოგები, საკუთარი გზის ძიება, კაცის აკვიტებული: „მე იმას მაინც დავხატავ“. და მისი „შედეგრი“ — „მთა“. ეს სურათი ქალს არ ესმოდა, ვერ იღებდა, რაც მთავარია — არ მოსწონდა. სურათს გახედა: უზარმაზარი, ნაცრისფერი მთა. მეტი არაფერი — სიყაროლე და ქალს შიში დაეატკრა. — შეატორტმანა, შეაქანა, შეაძრწუნა.

ორი ქალი თვალისმოუშორებლად მისჩერებოდა „მთას“. კაცი თავჩაქინდრული იდგა... ხალხი მიცვალებულს გარს უღლიდა და თავისი გზით მიდიოდა.

„რამდენადაც შეტად ვიხსნები სხვებთან, იმდენად უფრო ვიკეტები საკუთარ თავში. რამდენად შეტი ადამიანი ჩემს ირგვლივ, იმდენად უფრო მარტოდ ვგრძნობ თავს. არის რაღაც უხილავი ჩემსა და შენს, იმას, სხვას შორის, რასაც ვერასდროს გადაღახვ, ვერ

აიღებ, ვერ მოსინჯავ, ვერ მიიღებ და ვერც მასში შეხვალ. ფერი, ფერი შექმნილია და ვერც ვეძებ მხოლოდ. მე აუცილებლად დავხატავ ამას, რადგანაც მემინია ამის და ამიტომაც მიზიდავს ალბათ. როგორც ჩანს, თუ ერთხელ იგრძენი, მორჩა. იმის იქით გზა აღარა გაქვს...“

კაცის სიტყვები გაახსენდა, ერთადერთხელ, რატომღაც, მოულოდნელად ამოხეთქილი და მასში ასე უმიზნოდ, უაზროდ ჩაკარგული. მხოლოდ ახლა, ამდენი ხნის შემდეგ ამოტივტივდა მებსხიერებაში უზარმაზარი, ნაცრისფერი მთა — სიყაროლე, სინოტივე, საშუალოდ დაკარგული, აუხსნელი და სახელდაუარქმეველი სეფა. სიმყუდროვე.

ქმარს გახედა: ჯერ მწოლარეს, უცხოს, ვერმისალებს, მერე კუთხეში მდგარს, დაკარგულს, ვერგაგებულს.

ამ დროს ის ქალი კარის ზღურბლიდან დაიძრა და ხალხის ნაკადს გამოჰყვა. უცნაურად მოდიოდა. თითქოს სულ მარტო, ყელმოდებებული, გამართული, გაშლილი. მას მიუახლოვდა, დაიხარა და ცივად, მშვიდად, თითქმის ჩურჩულით უთხრა: „საოცარი სურათია, არა?“ — გაულიმა და ნაეიდა.

კაცს რომ გახედა, კუთხეში აღარ იდგა. იმ ქალს ამოსდგომოდა და ნელგამართული, თავისუფლად, ლაღად მიჰყვებოდა უკან, ამოიოხრა და ატირდა. ისევ გაივსო ოთახი ხალხით. ქმრის ცხედარს გახედა. კიდევ უფრო პირქუში და იმქვეყნიური მოეჩვენა. კილაც დაიხარა საკონცელად და მანაც უაზროდ შეუშერა სველი ლოყა. აქა-იქ ჯერაც ტიროდნენ. იშვიათად, ისე, როგორც ყველგან. ასე იყო საჭირო და იმიტომ.

„ალუშალა“

მზე ისე აცხუნებდა, რომ ქვებსაც კი ბული ასდიოდათ. ქალაქის თავზე უზარმაზარი; ჭუჭყიანი ცის თალი ქანაობდა. მოთენთილი და მოდუნებული გამელელები ბუფიანგრეული ჭიანჭველებივით დაბორილობდნენ.

დ ე ლ ა

ვერ გაიგებდი, ცრემლით ჰქონდა თვლები ხავსე თუ, უბრალოდ, ასე იყო და ყურება — სხვანაირად, სეფიანად, მომლოდინედ და თანაც, ჩუში, მოუხულოთებული დაუმორჩილებლობით.

სამზარეულოს კარს მიყრდნობოდა. ერთ ხელში დანა ეჭირა, მეორეში კი თავიგულით შეკრული მწვანის კობა.

პატარა, ცისფერკაბიანი გოგონაც თავიგულით იდგა რღონდ, ნამდვილი — ნითელი და ხავერდოვანი ვარდების თაიგულით.

კაცი აივნიდან გადაჰყურებდა სიციხისაგან მისაგათებულ ქალაქს. მშვიდად იდგა. მოდუნებული, დანყნარებული, სიმყუდროვისგან გაზარმაყებული მზერა ჰქონდა.

გაზქურა დაუღალავად ხარშავდა იმას, რაც სამივეს ერთ მაგიდას შემოუსხამდა და სულ ცოტა ხნით მაინც, ერთმანეთს ალაქმევიებდა.

გოგონა გვერდში ამოუდგა კაცს და ხელი შეახო. შარვლის ჯებამდე თუ სწეებოდა. დედა დაიძაბა. თვალის გუგები გაუმუქდა და ისეთი აუტიანელი მოლოდინი ჩაიგუბა, რომ თავადვე იგრძნო და თავი ჩაღუნა.

კაცმა გოგონას გაულიმა თბილად, ყოველდღიურად. გოგონამ გაბედა (შეძლება

ამ ღიმილის, ან სულაც, იმ წითელ-თაიგულის გამო) და წერლიო, კაცის სმენისთვის შეუმჩნეველი ხმით ჰკითხა.

— ჭერს მიწნელები? — დედის გუგები ჰქონდა.

— რა თქმა უნდა. — კაცი დარწმუნებული იყო რომ მიწნელებოდა. სხეული დაძაბა, ახტა და სამი თითი შეახო ჭერს.

გოგონას თვალებში აღტაცება არ დაეტია და მანაც დაუნანებლად, დაუფიქრებლად გაუნანოდა ყველას: დედას, კაცს, მთელ დასიცხულ ქალაქს...

— შენ შეგიძლია დათოზე ღონიერი იყო? — შემიძლია კი არა, ვარ. აბა მაჩვენე შენი დათო...

კაცმა სხეული შეკუმშა. მართალს ამბობდა — იგრძნო როგორ დაეძაბა და დაეჭიმა კუნთები.

— ჯერ ბაღშია. მოიყვანენ და გაჩვენებ, — დედის ამბით დაპირდა გოგონა და მხიარული კვილით მოწყდა ადგილს.

დედის თვალები შემოდგომის უქარო დღესავე მშვიდი და თბილი იყო.

კაცი ქალისკენ მობრუნდა და გაუღიმა. მანაც ღიმილით უპასუხა და სამზარეულოში შევიდა.

გოგონა კი, უკვე დამტრეწულ-დასახიჩრებულ თოჯინებით სავსე კალათას მოათრევდა.

— შეგიძლია მელიას ფეხი გაუკეთო? — ფეხი მომეცი და გაუკეთებ.

დედა სამზარეულოდან უგდებდა ყურს მათ საუბარს. ეწონოდა კაცის ხმაში მობზრების, დაღლილობის ან გაღიზიანების ნოტები არ იგრძნო. კაცი კი, ამ დროს მართლა თამაშობდა ისეთივე გატაცებით, როგორც გოგონა.

— შენ შეგიძლია ეს კალათი ერთი ხელით ასწიო?

— აბა რა... აი, ნახე...

კაცმა კალათა ხელში აიტაცა და თავს ზემოთ ასწია.

გოგონა აღფრთოვანებული ყოფილიყო და რბოდა მის ირგვლივ, ბედნიერი იყო. უცებ გაჩერდა, გაჩუმდა და კაცს ახედა. კაცმა კალათა ძირს დადგა, ჩაიმუხლა და ისიც გოგონას მიაჩერდა. გოგონა დუმდა. მხოლოდ უყურებდა თავისი შავი და უცნაური თვალებით. სიჩუმემ დედასაც ხელი ჰკრა, კვლავ კარებთან მიაცდო და კვლავ შემფოთებად ქცეულ მოლოდინად გაყინა.

— შენ ყველაფერი შეგიძლია? — ნიავეით ჩემი ხმით იკითხა.

— ყველაფერი? — კაცი დაფიქრდა — თითქმის.

— ალუბალაც?

— რა? — ჩაეკითხა კაცი.

— ალუბალა შეგიძლია მოიყვანო?

— შემიძლია. როდის გინდა?

— მოიყვანე, — გოგონა კრეჭულ-შესახვედრად მოეშადა.

— ხვალ დილით. გაიღვიძებ და ალუბალასაც მოიყვან.

— კარგი, — მაშინვე დაეთანხმა და ისევ თვალეში შეხედა. მერე შეტრიალდა და საქმიანი ნაბიჯით წავიდა ოთახისკენ. შემფოთებული დედა ფეხდაფეხ გაყვა.

კაცი ისევ ქალაქისკენ მიტრიალდა. აგრილდა... ქალი ჩემი ნაბიჯით გამოვიდა ოთახიდან, კარი გამოიხურა და ზურგიდან მოეხვია კაცს. კაცი გაუნძრევლად იდგა, მერე მოტრიალდა და ნაცნობ, გამთბარ თვალებს ჰკითხა:

— სად წავიდა?

— დასაძინებლად. დილით ალუბალას ელოდება. იცო, რა არი?

— არ ვიცი, მაგრამ მოუყვან.

— როდის მოხვალ? — ამ დროს ქალი ყოველთვის ცდილობდა თვალები მოეხუჭა, ხმა კი გლუვი და მოპრიანებული ზედაპირივით ჰქონდა.

— დილით. აუცილებლად.

ქალის კოცნაში მადლიერებაც იყო.

კაცი წავიდა. მორე დღე გაფუჭებული საათივით გაიწვია. დედა და ბავშვი თამაშობდნენ. დედა ბავშვი იყო, ბავშვი კი დედა. ნებისმიერ ხმაურზე ერთნაირად იძაბებოდნენ. ერთნაირად ეძებდნენ ერთიმეორეს თვალებს.

ბავშვმა ბევრჯერ აკოცა დედას, ხანამ დაიძინებდა.

— ჩემი პატარა დედიკო... — ამ სიტყვებით შეაქცია ზურგი და ხელი ლოყის ქვეშ ამოიღო.

ქალს ტირილი უნდოდა. დიდხანს იდგა აივანზე. ქუჩებში ფარნები ანთეს. ისევ ცხელი იყო. „იქნებ ისიც ზუმრობით თქვა, რომ მოვიდოდა? ზუსტად ისევე, როგორც ალუბალას მოუყვანა... არა, მაინც უნდა მოუყვანა. როგორ არ მოუყვანა?“

გოგონა

დიდხანს არ ეძინა. ფიქრობდა. ჯერ იმაზე, როგორ უნდოდა კიდევ ერთხელ ეკოცნა დედისთვის, მაგრამ ელარ ბუდებდა. მერე, როგორ შემოებრუნებინა ოთახში, რა მოეთხოვა, რომ დედა არ გაბრაზებულიყო. მერე ალუბალაზე...

დილით, როგორც კი გაიღვიძა, მიხვდა რომ ალუბალა იქ არ იყო. რომ ყოფილიყო, დიდი ხანია ოთახში იქნებოდა.

მერეც ელოდებოდა. ისე აღარ, მაგრამ მაინც. თანაც შეხედავდა თუ არა ხედებოდა, ისიც, დედაც, ელოდებოდა. დამნაშავედ

გრძნობდა თავს. სულ უნდოდა ეთქვა; „ნუღარ ელოდები. რაკი დილით არ მოიყვანა უცხო მამამ, ესე იგი, აღუბალა აღარ მოვა“.

უნდოდა, მაგრამ ვერ თქვა. ამიტომაც, ულაპარაკოდ, უხმოვ დაიძინა. თანაც, ხვალისდელი დილა თვითონ უნდა მოეყვანა. დედამ ხომ უთხრა, რაც ადრე დაიძინებ, უფრო ადრე მოიყვან დიდასო...

ქ ა ნ ი

სანამ სახლამდე მივიდოდა, კიდევ გრძნობდა გამოყოფილ სითბოს. სახლში ცოლი, შვილები, სტუმრები... დაღია. ბევრი დაღია. საღამო უნდა მოეკლა და თანაც, მასპინძელი იყო... დილით დაიშალნენ. ცოლი ქურჭელს რეცხავდა. ბავშვებს ეძინათ და მალე გაიღვიძებდნენ. დანვა და თვალები დახუჭა თუ არა, დაეძინა.

უცნაური სიზმარი ნახა:

სილაში ბავშვები თამაშობდნენ. ყველგან კი ცაში დაცურავდა როგორღაც ქაღალდის თელი ბურთი.

პატარა გოგონა უზარმაზარი სიღის კოშკს აგებდა, მაგრამ ეშლებოდა და გაუგონარი სიჯიუტით თავიდან და თავიდან იწყებდა. მერე ზემოთ აიხედა და ბურთს მიარერდა თავისი შავი თვალებით. თითქოს რაღაცას სთხოვდა დაჟინებით. კაცს უცნო ეს გამოხედვა, მაგრამ რას სთხოვდნენ, ვერ გაიხსენა.

გამოეღვიძა. ქალაქში უკვე საღამო იწვა. ძილიდან გამოუცნობი დაუცხყოფილებლობის გრძნობა და თავის აუტანელი ტკივილი გამოჰყვა. სააბაზანოში შევიდა. ცივი წყალი შეისხა სახეზე და სარკეში ჩაიხედა. გამზდარი და დაბერებული მოეჩვენა თავი. წვერი უნდა გაეპარსა... ხვალ სამსახურში უნდა დასულიყო... კაცმა ონკანი გადაკეტა, წყალი აღარ წვეთავდა...

შალვა მჭედლიშვილი

განვზორდით, მაგრამ მაინც ჩემთან წარ!

მიდამო ისევ ნისლით ივსება
კვალი კი კვლავ ჩანს მზიან ოცნების
თოვლაში უღვთოდ, კითხვის ნიშნებად
მოხრილან თეთრი კვიპაროსები.
განვზორდით, მაგრამ ეს თოვლის შუქი,
მარადიული ეს შუქიც მწვანე,
მუდამ ენთება შენს სპეტაკ სულშიც
თუმცა მრავალი დროვამნი წარვლენ!

* * *

ჩემი კუთვნილი სიყვარული
იმ შორეული ვარსკვლავების
ფერ-მიმკრთალი სხივია იქნებ,
ათასი წელი გზაში ყოფნა რომ უწერია
და დედა-მიწას ჩემი წასვლის შემდეგ მოაღწევს?

დღის მთვარე

მოსჩანს დღის მთვარე,
მთვრალი უნათლო და საბრალოსი,
დაძენილი ღრუბლის თეთრ ფთილებს შორის
და მთვარე თითქოს ნაფლეთია ჩემი სულისა,
რომელსაც ერთ დროს... შენი სპეტაკი,
შენი ლამაზი სიყვარულით აციხროვნებდი.

—•—

ღარაჯან ბატიასვილი

ღლენი ბაგეზე ღიმღლს ყინავენ
და სიღამაზე მაკლდება ქაღის.
შემეფეთება ეღდა მფრინავი
და სისათეთე მიღეულ მთვარის.

აღარ კოთხუღობს ჩემს ავანჩავენს
ღრუბღის კაღოდან მკაცრი მხედარი.

მეც მთვარესავით უმწეო ვჩანვარ,
ვინ შეიცხადოს სუღის ცხედარი.

ვის აკრთობს, წამი თუ დაიწვიღებს,
ან ბედისწერის ფერიცვაღება,
თვალს კვღავ შევჩაღევე ცრემღსა და
წვიმებს,
თუკი ღიმღლიც მომგვრის წამებსა.

მე თუ მკოთხავენ, სუღაც არ მინდა,
კიღან მიმზერდნენ ასე მიწვიერს,
მერყევემა ნისღმა და სიმწრის ბინდმა
თვალში სინათღე ვერ დამიქციეს.

სანამ ჩემს მთებზე ჩამობარდნიდა,
რა მომეღოდა, ვიცოღი ბარში,
სეტყვას დაასწრო ისევე აპრიღმა,
შინდმა ატეხა ისევე განგაში...

მე გავურბოღი მაცღურ სიმართღეს,
ბრკყვიღლა ფარღით დავებულ მახეს,
ახღა სიცოცხღეს ძაღით მივართვე
და ვიღაც ტოტებს სახეში მახღის.

და მე ცრემღები რაღად მეზრახვის,
რა ბედენაა, საღი კღღვე ტირის,
ამოვღებულა მთვარის ემბაზში
გასუღი ღამის ვეება ჩრღიღი.

კარიღლ სურვიღს ვინ ამივსებდა,
იმეღი ჩიტიღს რად ერქვა სხვისი,
რად ეფიციება სუღს, როგორც სევეღა
ფერი კაობის და ზამთრის სისხღი.

თითქოს ეს დიღა აღრეც გათენდა,
მზემ დამაყარა სხვიების ჭერი,
მე ვარ ჩიტიღით მზად ასაფრენად
და ვეღოღები აქნევას ხეღის...

დრო



ეროვნული
პენსიონატი

ვსულდგმულობ ჩემი საიმედოდან,
ცივ ნეტარებად მექცნენ ქარები.
ჩამოდვენთილი მწუხრის ერდოდან
ფლათეებისკენ მივექანები.

იკვლება დღე და ღამე ინთქმება,
გული აწყდება დაგმანულ კარებს,
დრო ხან იმსხვრევა ბროლის
წინწყლებად,
ხან ემსგავსება ჩამქრალ ვულკანებს.

იდარდოს ზღვაში ქვამ ჩაძირულმა,
მოკლებულია მზის სხივით ღზენას,
წამოვა წუთი, ვით ზეავის გუნდა
და სანთელივით ჩამიჭრობს რწმენას.

ჩემი მინდორი უკვე გათიბეს,
ვდგავარ, საკუთარ ლანდს ვეკრძალები,
შემომძარცვია ტანს სინატიფე
და ქარს მისდევენ ამორძალები.

16

17

18

აგზნაშამდე ან აგზნების შემდეგ

დღეს თქვენ, ყველას,

შენობით უნდა გელაპარაკოთ.
პირისპირ უნდა გაგიჩერდეთ
და შველა გთხოვოთ.

რა უფლებით.

მაგრამ მე თუ

ვარ შეშლილი და ეგოისტი,
თქვენ ხომ ნათელი,

განვრცობილი სულები გაქვთ,
თუ არ მიშველით,
სიმართლეს მაინც ნუ დამამაღლით,
მიპასუხეთ — შველა არსებობს?

შენ, სწორედ შენ,

დროდადრო რომ გირეკავ ხოლმე
და წესიერად ისიც არ ვიცი,
რას შემოგჩივი,

შენ რომ ამ დროს

წამოწოლილი სხეულს ასვენებ
და ნება-ნება შეექცევი ჩინურ პოეზიას,
რომ შეუბნები —

აღამიანო, ნუ ართულებ ასე
ყველაფერს,

რა იყო, რა გპირს,

მიიხედ-მოიხედე.

მშვენიერი ხალხითაა სავესე ქვეყანა.

...საშველო?

არის! მხოლოდ შენშივე.

მე, მაგალითად, მივალწიე
წონასწორობას —

უანგარიშოდ არ ვიხარებები,

რამდენსაც ვიღებ,

ზუსტად იმდენსვე გავიღებ ხოლმე.

...მაზე კარგი რა გასწავლო?

შენ, სწორედ შენ, გირეკავ დღესაც,
გადადე წიგნი,

საჩვენებელ თითს ნუ ჩააყოლებ,

ეგ თითები ახლა შუბლზე
შემოსაწყობად

დაგვირდება.

შველა მინდა!

დაანებე თავი ძველ ზღაპრებს,

დღეს ისეთი რამე მასწავლე,

მისხალ-მისხალ ანგარიში

რომ არ დამვირდეს.

თუ არა და პირდაპირ მითხარ —
შველა არ არსებობს!

შენ, ჩემო ექიმო, მიშველე რამე!

დღეს სიმართლისთვის მოვედი შენთან

და ის ფანდი აღარ გაგივა,

მთელ ქვეყანაზე აღრენილი რომ

შემოვფეთლები ხოლმე კარებში,

შენ კიდევ ადგილზევე გამაუფნებლებ

მაგ ჯადო ხმით და ჯადო თვალებით,

სხეულიდან სულს გველივით
ამომიწვართავ.

შემბარავად, შემბარავად მომეფერები,

შემბარავად შემბარცხვენ კიდევ.

დამამუნათებ,

მერე ისევ შემბარავად დამინანავებ,

გამაბრუებ და ჩამაწვეთებ:

...რომ გადაეხარშავ მე ამ

ტყვილებს,

ხალხს უარესიც გადაუხარშავს...

რომ დროა, ნებით დავადო ტაბუ,

რასაც აქამდე არ ვთმობდი ურჩად,

დავფიქრდე, იქნებ აღარც ღირს რამედ,

იმგვარ სიყვარულს რაც გადაურჩა...
 სიცარიელე ამოივსება,
 დრო უნდა მხოლოდ და მოთმინება,
 რომ ჩემში არის იმდენი ძალა,
 არ შემეშინდეს თვალის გახელის,
 და დავინახავ ნამდვილ სამყაროს,
 დაუბრუნდებათ საგნებს სახელი.
 რომ მე ვარ კარგი, ჭკვიანი გოგო,
 რომ შევძლებ, გავჩნდე ქვეყნად
 თავიდან.

რაც იყო, აღარ უნდა მახსოვდეს;
 და მოვა ჩემთან სიმშვიდე დიდი
 და არ დამტოვებს აღარასოდეს...
 მორჩა! დღეს ასე ნულარ შემხვდები,
 ნუ მომჩვენებ ჭინჭარს ვარდებად;
 მომბეზრდა უკვე
 მუქა-მუქა წამლების და ალერსის
 ბანგით

სიგიჟეების გადავადება.
 დღეს სიმართლისთვის მოვედი
 შენთან,
 ვილაპარაკოთ მხოლოდ მთავარზე —
 სიცარიელე არ ამოივსო,
 არც სიმშვიდე ჩანს,
 და ვერც ვერაფერს ტაბუ დავადე.

ველარც თავიდან დავიწყე რამე,
 არა მაქვს ალბათ მისხალი ძალაც,
 სიმართლისათვის მოვედი-მეთქი,
 მაგრამ სიმართლეს მაკრთობს და
 მზარავს.

ნუ მინანავებ, მე უქველად
 უნდა გავიგო დღესვე მთავარი.
 მე შევლა მინდა!
 თუ არ არსებობს, პირდაპირ
 მითხარ —
 შევლა არ არის!

შენ, მეგობარო,
 ერთგულებას რომ მეფიცები —
 ოღონდ მითხარი, რა გიჭირს და
 მე ვიციოდეთ...

შველა მინდა, მიშველე რამე!
 რომ მეხვეწები, მხოლოდ ის ვთქვა,
 რა მჭირს, რა მტანჯავს...

რა გიპასუხო.

შენ გგონია, თქვენს შორის
 შენ შეცბუნდი, განა ვერაფერი
 არ შეგიძლია, ასეთს მიშველო —
 უსახო და უსახელო სენით
 გათანგულს.
 თამამად თქვი — შევლა არ არის!
 მე ხომ შენში არ შემაქვს ეჭვი,
 მხოლოდ სიმართლის გაგება მსურდა.

მადლობელი ვარ.
 შეფარეთ, მაგრამ მაინც
 გამაგებინეთ.
 ზოგმა მითხარით —
 საშველი არის,
 მაგრამ შენ თვითონ უნდა ჰპოვო
 საკუთარ თავში,

უნდა როგორმე გაწონასწოროდე.
 ზოგმა მითხარით —
 გიშველი, მაგრამ
 თვითონაც უნდა დამეხმარო,
 დაიჭერო, რომ ძალა შეგწევს.
 ზოგმა —
 გიშველი.
 მხოლოდ სახელი მითხარიო შენი
 სენისა.

აი, ასე მიმაგდეთ ყველამ
 საკუთარი თავის ამარა.
 დამეხმარებით, რატომაც არა,
 თუკი მე თვითონ
 ვძლევ და ვირწმუნებ.
 და თქვენ ამას ეძახით შევლას?
 მე რომ რაიმე შევძლებოდა,
 თქვენ ხომ აღარ შეგაწუხებდით.

კარგია, როცა გადაწყვეტით რამეს
 გაიგებ;

ან აქამდე რისთვის მაწვალეთ.
 საშველი თუმცა არსად არ ჩანდა,
 სადღაც, სიღრმეში მაინც მჭეროდა,
 თანაც ტკბილ-ტკბილი ტყუილებით
 მიყოლიებდით,
 მეც ვაყოვნებდი წერტილის დასმას.
 საშველი კი არ ჩანდა მაინც.
 და ეს ჰგავდა

ნელ ცეცხლზე ტრიალს
და ძნელი იყო.

კარგია, როცა საბოლოოდ გაარკვევ
რამეს...

მე უკვე ვიცი —
შველა არ არის.

მორჩა იმედი და მერყეობდა
და ნელ-ნელა სხეულსაც ვარჯევ.

რომ მხნედ იყოს იმ წუთებისთვის,
ქლორეთილით რომ გამოვტყუებ
გაბედულებას

აკანკალებულ, მზიშარა მაჯებს...



და იქმნა პრი

რომანი

* * *

— ამბობენ ულამაზესი ქალი ჩამო-
გიყვანია იბერიიდან. — გაუღიმა ფარ-
ნავაზს დედოფალმა და მონა ქალს, რო-
მელიც სუფრას ემსახურებოდა, ყინუ-
ლის მოტანა დაავალა. — იმასაც ამბო-
ბენ, დედათა მონასტრის უფროს ქუ-
რუმს უსაუბრია მასთან და დაუჩემე-
ბია, უძველესი დედის გამოგზავნილია
ეს ქალი ჩვენს მიწაზე... დიდი გავ-
ლენა აქვს ქურუმთა მეთაურს და დიდი
ცოდნაც. შეუძლია მალე წავართვას, გა-
დაიბიროს შენი სატრფო. — ჭიჭებში
ღვინოს ასხამდა, ყინულის ნაჭრებს ვე-
რცხლის სახელურიანი ზის ორკაბით
იღებდა და თან ლაპარაკობდა... — სე-
ლევკის ჩემთან საიდუმლოდ დაფარუ-
ლი არაფერი აქვს ვიცი ვინცა ხარ და
ისიც, რომ ის ქალი, სილამაზის მიუ-
ხედავად, შენი საცოლე არ შეიძლება
იყოს. შენ ქალღმერთის ღირსი ხარ და
არა ველურის. — შესცინა და სიტყვის
თქმა კვლავ არ აცალა, ღვინიანი ჭიჭა
მიტანა ტუჩთან.

— რადგან დიდ მეფეს ისე მოეწონე,
რომ შენი შეუღობილად აღიარება გა-
დაწყვიტა, მეც ახლობლად ვითვლები
ახლა და მსურს ვიცოდე ყველაფერი
შენს შესახებ! — გვერდით მიუჯდა, გა-

შიშვლებული მკლავი მიაყრდნო მკერ-
დზე.

ძლივს მოაბრუნა ენა ჭაბუკმა.

— ქალებთან და განსაკუთრებით დე-
დოფლებთან ლაპარაკს ჩვეული არა
ვარ. თითქმის მთელი ცხოვრება მთისა
და კლდის საბრძანებელში ვავატარე...
არც კი ვიცი, შენი უნაზესი სმენისთ-
ვის საამო სიტყვის თქმას შევძლებ თუ
არა! — თითებით შეიგრძნო სპილოს-
ძვლისფერი კანის სინატიფე.

თითქოს სითამამე შეუქო სტუმარს
ქალმა...

— შენზე ბევრს ლაპარაკობენ სასახ-
ლეში, თუ მოინდომებ, საცოლეც ღირ-
სეულად გამოგიჩნდება და ქვეყნიერების
უმშვენიერესი ასულებს სოცვარული-
თაც დასტყებში! — მაინც უთბრა სათ-
ქმელი.

...ქარვისფრად მბზინავი თმა უცხო
სურნელებას გამოსცემდა...

— ქვეყნიერების უმშვენიერესი ნა-
წილის დევნას კაცთა მთელი ცხოვრება
არ ეყოფა, ზოლო მე მხოლოდ ერთი
სიცოცხლე მომანიჭა ღვთაებამ და ბე-
ვრი საზრუნავიც მარგუნა, არ ვარ ჩვე-
ული ღვთაების ურჩობას. შენ კი გატ-
ყვი, რომ რამდენი ლამაზიც არ უნდა
მოვიდეს სელევკის სასახლეში, ვერაინ
შესძლებს ასურასტანის დედოფალს
შეეცილოს პირველობაში, რადგან მას
ბევრი სიმდიდრე გააჩნია ერთად.



— სიმდიდრით როდი ფასდება ქალი —
— მაღალი შუბლი დაეჩრდილა, წამო-
იწია.

— ბევრი სიმდიდრე-მეტქი: სილამა-
ზე, სიბრძნე და დიდება. განა მოიძებ-
ნება ქვეყნად სხვა ქალი, რომელსაც
ყველაფერი ეს შენებრ უხვად ჰქონ-
დეს?

— აჟი თქვი, ქალებთან ლაპარაკს არ
ვარ ჩვეულო! — წაიჭურჩულა ქალმა.
ძნელად დასათმობი და მოკლე გამო-
დგა ეს ღამე ფარნავაზისთვის. მიინც
დილადრიან ისწრაფა წამოსვლა. ფეხ-
აქრფით მიუახლოვდა თავის ბინას. კი-
ბის თავზე მეტილა შენიშნა.

— ირე არ ჩანს შუადღის მერე! —
მოახსენა მონამ, — მზარეული ქალი
ამბობს, დედათა ქურუმმა გაიყოლა ალ-
ბათ, რადგან სწორედ იგი ეწვია და
დიდხანს ესაუბრაო... ყველანი შეშფო-
თებულები არიან, ვაჟიკა და ვაჩე სამ-
ლოცველოში წავიდნენ. ბევრი ეუშა-
ლუ, მაგრამ არ დამიჯერეს. იქ მისვლას
აქაურებაც კი ერიდებიან. ამბობენ, თუ
მამაყაცს ფეხი შეუტედა, სამლოცველო-
დან ძნელად თუ დააღწევს თავსო...
ირე აფროდიტეს მსახურად გაჩენილს
არ ჰგავდა.

ირეს წინაშე თავისი დანაშაულის
შეგრძნობამ გაახელა ფარნავაზი. სწრა-
ფად მოტრიალდა და დედოფლის სასა-
ხლისკენ გაეშურა. გრძელი მოეჩვენა
ახლახან ტბილ ოცნებაში ფეხით გავ-
ლილი გზა. ხმაურით მიადგა დედოფ-
ლის ბაღის კიშკარს. მებაღემ, რომელ-
მაც ერთი საათის წინ გააცილა სტუმარ-
ი, გაკვირვებული მზერა შეაგება და
უკითხავად მისცა გზა.

დედოფლის გამზრდელი გადაუდგა
დერეფანში. არ შეეპუა ქალარათმისანს,
არც მისი ლაპარაკი გაიგონა. ჩქორ მი-
ადგა მისაღებს და მჭნა ქალს უთხრა
სპარსულად:

— დაუყოვნებლივ უნდა ვნახო დე-
დოფალი!

მაღალმა ქალიშვილმა სავარძელი
მოართვა და უხალისოდ შეაღო ოთახის
კარი. მცირე ხანში დედოფლის სასახ-

ლის გამგებელი მიეახლა — რატომ
შეწუხებულა საპატიო სტუმრისა...
კითხა.

— დედოფალს ჩემი მოსვლა მოახსე-
ნეთ, მასთან მაქვს საქმე, — კბილებში
გამოსცრა.

— დედოფალი ნაშუადღევს იღებს
სტუმრებს. — მშვიდად მიუგო გამგე-
ბელმა.

თვითონ გაიწია საძინებლისკენ.
— არ ეკადრება დიდებულ სტუმარს
სასახლის წესის დარღვევა. — წინ გა-
დაუდგა გამგებელი. — ყოველ დილით
აფროდიტეს შესაწირს უძღვნის და
ლოცულობს დედოფალი, თვით მეფე-
საც კი არ დაურღვევია მისი მყუდრო-
ება ასეთ დროს.

შეჩერდა, უმწეოდ მიმოიხედა, რო-
ცა მიხვდა, ამ მუმიასავით უგრძნობ
არსებას ვერაფერს გააგებინებდა, გა-
მობრუნდა.

კომკართან მომლოდინე მეტილას უბ-
რძანა, დედათა საქურუმოს გზა მასწავ-
ლეო. მეტილამ სიტყვა ვერ შეჰკადრა
განრისხებულს და სირბილით წარუძღვა
წინ. კარგა დიდი მანძილი გაიარეს.

მონა უცებ გაჩერდა და მისკენ მო-
ბრუნებულ მხედარს კიბეებზე მიუ-
თითა. სამლოცველო რომ ვერ დალა-
ნდა, გაბრაზდა ფარნავაზი, ეს სად მო-
მიყვანაო.

— კიბის თავზე მოედანია შავი მარ-
მარილოსი, — წაილულულა მეტილამ,
— მოედნის ბოლოს კი ტაძრის შესას-
ვლელი. ტაძარი ამ გორაკის გულშია
მოქცეული და აქედან არ ჩანს.

სწრაფად აირბინა კიბე. ბრინჯაოს
მძიმე კარს მიადგა. უხმაუროდ გაიღო
კარი და ვრცელ, კედრის სუნით გაჟღე-
ნთილ ცარიელ დარბაზში შევიდა. იგ-
რძნო, როგორ დაიხურა კარები. მის
ზურგს უკან. დარბაზის ბოლოდან
ორი დედიშობილა ქალი გამოეგება,
ერთი ღამესავით შავი, მეორე დღესა-
ვით თეთრი. — ქურუმის ნახვა მსურ-
სო, — უნდოდა ეთქვა ამ ქალებით-
ვის, მაგრამ უცნაურმა შუქმა მოსჭრა
თვალი და გააჩუმა.

შეამჩნია, მესამე ოთახის კარი გაუღოთ მის წინ. ცეცხლის ალი გიზგიზებდა და უთვალავი სანთელი ენთო. ცეცხლის წინ ერთადერთ საეარძელში გაქიმულიყო თითისტაროვით წვრილი, გრძელცხვირიანი, ყვითელი ქალი.

— კეთილი იყოს იბერიის მომავალი მეფის სტუმრობა დიდი დედის სამლოცველოში.

მშობლიური ენის გაგონებამ უცებ განიაჩარლა ფარნავაზი.

— იბერიაში გაზრდილი ვარ და იბერულ სამლოცველოში ღვთის შესაწირად გამზადებული. დიდი დედის გამოგზავნილმა აქაურმა ქურუმმა შემისყიდა, რადგან მიხვდა, ადრე იყო ჩემი გამგზავრება ღვთაების შესახვედრად...

— სომხეთის საზღვარზე არის ასეთი ძველი სამლოცველო! — საკუთარი ხმა ვერ იცნო ფარნავაზმა.

ქალმა მიიმხედ დაუქნია თავი.

— არმენიიდან სპარსელებმა გადმოგვრევეს შენს ქვეყანაში, მონებად გავვინადეს მთელი ოჯახი. მამა მომიკლეს, ხოლო დედა, ხუთი უმწეო ბავშვითურთ, იმ პატარა სამლოცველოს ქურუმმა შეიერდომა და სამლოცველოს მომსახურედ განაწესა. ჩემი დამშვებიდან მე ამომარჩია და ღვთაების შესახვედრად დამიწყო წვრთნა.

— გეცოდინება, რისთვისაც მოვედი, ქურუმმა კვლავ დაუქნია თავი.

— შენი კაცები ქალებთან არ შევეუშვი, რადგან თვითონ არ ინდომებდნენ მერე აქედან წასვლას, განსაკუთრებით ახალგაზრდა. არ მსურს ჩემს დამხმარე ხალხს მეომრები მოეკლო, წესად არა მაქვს დიდი მიზნისგან ავაციდინო ადამიანი.

— დამიბრუნე ირე, სამაგიეროდ დიდძალ შესაწირს მოვართმევ ტაძარს.

— ამოდ გაქვს უმცროსი სელევიკისა და დედოფლის იმედი. არც ერთი არ გაიღებს ირეს გამოსასყიდ ფულს: დედოფალი — შენს გამო, ხოლო ტახტის მემკვიდრე არასოდეს ჩარეულა საქურუმოს საქმეებში, არც ახლა ჩაერევა.

არ გაანაწყენებს დიდ დედას, რადგან მისი იმედი აქვს მომავალში.

— თუ ირეს გაათავებ, მშობლებს მშობას მოგცემ: როცა იბერიის მეფე გაგზავნის დიდი დედის ხატს გაეძლიერებ, მის ტაძარს გავაფართოებ, ყოველწლიურად მივუძღვნი შესაწირს...

— უგუხურია ადამიანი, თვით ისეთი ბრძენიც კი, როგორც შენი გამზრდელია, რადგან შენში შიში არ ჩაუნერგავს და დიდი დედის თაყვანისცემა არ უსწავლებია. სამყაროს გამჩენს როდი სკირდება მოკვდავის დახმარება, ან კერა არის მისთვის მცირე შენობა და მისი მსახურნი, როცა მთელი ქვეყანა მისი ტაძარია, ხოლო ყოველი სულდგმული მისი შვილი?

— ვერ შეუყვარებიათ იბერებს შენთვის თავი. — დანანებით ჩაილაპარაკა ფარნავაზმა.

— დაგიბრუნებ იმ ორ კაცს, რომელიც შენი ქვეყნისთვისაა საჭირო. ამით დაეარღვევ წესს. სამაგიეროდ, ერთი კვირა დედის უბეში განმარტოებული, ბოძებულ სასჯელს დაველოდები თავად. შენს თავზე რატომ არაფერს მთხოვ?

ფარნავაზმა თავი მოაბრუნა და მიხვდა, რომ აქედან გასასვლელი მისთვის დაკეტილი იყო.

— რის ცოდნაც დაუკლია შენთვის აღონს, იმას შეგივსებს ამ ტაძარში ცხოვრება. სულ მცირე ხანში მიხვდები, რომ მე მართალი ვარ და სამყაროს შემოქმედის ნებით ემოქმედებ. ირე შენი აქ მოსვლის მიზეზი იყო მხოლოდ. ვიცი, ადრე თუ გვიან დიდი დედის ყოველისმომცველ სიბრძნეს უნდა ზიარებოდი. ხოლო როცა აღონთან წარსდგები, მას ეცოდინება, თუ რატომ გახდა საჭირო შენი ტაძარში ყოფნა.

— ასურასტანის დიდ მეფეს არ მოეწონება შენი საქციელი! — მაინც ჩაეკიდა ხავსს ფარნავაზი.

ლომილისმსგავსმა ჩრდილმა გადაუბრინა ქალს გრძელ სახეზე.

— ვერ ჩაერევა დიდი სელევიკი ტაძრის ცხოვრებაში. ამ სამი წლის წინ



მოინდომა, ერთი ქურუმში წაერთმია დიდი დედისთვის, დაისაჯა ამის გამო და სიყვარულის უნარი წაართვა სამყაროს შემქმნელმა. გიჯობს დაისვენო, უძილობა გონებას გირევს, როგორც შეგატყვე. სასმელი მიიღე და განისვენე.

დღესავით ნათელმა ქალმა ხის ჯამი მიაწოდა სტუმარს.

მაჯაში წვედა ქალს ფარნავაზი, სურდა სასმელი დაეღვარა.

ძლიერი მკლავი ჰქონდა ტაძრის მონას.

— ასეც ვიცოდი. რადგან სამყაროს მბრძანებლის მიმართ შიშს არ გრძნობ, იმიტომაც გეშინია სიკვდილისა. ნუ გეშინია, სრულიად უვნებელი სითხეა მაგ ჯამში. იმაზე მეტად უვნებელი, როგორც შეიძლება ასურასტანის სასახლეში შეგასვან. ერთი თვე ამ ღვთის სახლიდან ვერ გახვალ, ხოლო როგორ შესძლებენ ჩემი ქალები იბერიის მეფის მომსახურებას, თვითონ ნახავ. ხვალ დღლით შენი კაცები დაითხოვე და გააფრთხილე, არ გაამხილონ შენი სამყოფელი აქაურებთან. ირეს ერთი კვირის შემდეგ იხილავ, თუ ისურვებ. მე და შენ კი ბევრი გვექნება სასაუბრო...

ფარნავაზმა სასმისი დასცალა და მისი საქციელით კმაყოფილ ქალს უბასუხა.

— თუ კაცის ბედს უმაღლესი ღვთაება განაგებს, მის განაჩენს მაინც ვერასად წაუვა. გემორჩილები, რადგან მეტ გამოსავალს ვერ ვხედავ.

— ღვთაების ნება გარდუვალია! — მშვიდად წარმოთქვა დედათა ქურუმმა და ლამესავით შავ ქალს ანიშნა, ფარნავაზი მოასვენო.

ჭურღმულივით მცირე და ბნელ სენაქში ვიწრო საწოლი იდგა. ფარნავაზი საწოლზე დაეცა, ქალმა საწოლის თავთან მბუტბავი ერთადერთი სანთელი აიღო და გავიდა.

* * *

უმცროსი სელეკვი დედოფლის მისალმებ ოთახში წითელ სავარძელში ნე-

ბიერად გადაწოლილიყო და საბერძნეთიდან ახლახან ჩამოტანს სიკვდილის ქანდაკებას მისჩემოდან. დედოფალმა იგი ალექსანდრიის უძველესი ტაძრის შესასვლელში მდგარი გამოსახულების მიხედვით შეაქმნევინა ბერძენ მოქანდაკეს. ამონის ძედ გამოცხადებულ ალექსანდრეს ამიღებულ კაცის ღვთაებრივი ღმილი ეფინა სახეზე. მისი უზადო სხეული სიძლიერესა და სიმსუბუქეს გამოხატავდა ერთდროულად, მხოლოდ ძლიერ კისერზე გამობურცული მსხვილი ძარღვები მისი სრულყოფილების მიღმა დაფარულ ტკივილსა და კაცურ ტანჯვაზე მიანიშნებდა მნახველს.

ეს ქანდაკება დედოფალმა ანტიოქიის აფროდიტეს ტაძარში დასადგმელად შეუკვეთა, ხოლო როცა იგი იხილა, ვერ შეეღია და მისაღები დარბაზის მარჯვენა კედელთან დაადგმევინა. მერე ამ ქანდაკის შესაფერისად გადააყვით კიდეც აქაურობა, ჰერცი გაჭრა და მინით გადახურა, სინათლე არ მოაკლდეს და ამით მის დიდებულებას ჩრდილი არ მიადგესო.

თავისუფალ დროს დედოფალი უმეტესად ამ ქანდაკის წინ ატარებდა. ჰორიკანა ენები იმასაც ამბობდნენ, ამონის ღვთაებას, ალექსანდრეს გამო, ყოველთვისად დიდ შესაწირს უძღვნის ქალიო.

მისაღები კი ერქვა ამ დარბაზს, მაგრამ იშვიათად თუ ვინმეს მისცემდა აქ შემოსვლის უფლებას დედოფალი, განა თუ მხოლოდ მამა-შვილს, უფროს და უმცროს ანტიოქიოსებს.

უხმაურად შემოვიდა დედოფალი და მისალმების მერე სტუმრის წინ შეჩერდა ერთხანს. გრძელი ცისფერი ქსოვილი მაღალი მკერდის ქვემოთ ოქროს წვრილი ქამრით იკვრებოდა და უხვად ეფინებოდა იატაკს. მოღერებულ ყელზე ოქროს ძაფი ეკიდა, რომელზეც თხილისოდენა, მოვარდისფრო სამი მარჯალიტი ციმციმებდა. სადად ავიარცხნილ თმებს ფირუზისთვლიანი ბრტყელი სარჭი იმაგრებდა კეფაზე. აფრო-

დიტას მართლაც უხვად დაეფრქვია თავის სიკეთე ანტიოქიის დედოფლისთვის.

სელევკმა თვალი გააყოლა საგარძლისკენ მიმავალ დედინაცვალს.

— მართლაც რომ ულამაზესი ხარ დედოფალთა შორის, — გაუღიმა გერმამა, — ასე მგონია, ის კაცი უფრო სარცოდვია, ვისაც შენი სიყვარული ერგება, ვიდრე შენგან უარყოფილო, რადგან მერე ვერასოდეს ნახავს შენს შემცვლელს. მებრალემა ფარნავაზი.

— ამაზე უფრო სრულყოფილია იბერიის მომავალი მეფე. — ხელი გაიშვირა ალექსანდრეს ქანდაკისკენ დედოფალმა, — ხოლო შენი ნათქვამის საბუსუბოდ იმას გეტყვი, რომ არავინ უწყის, ვინ უფრო საბრალოა ჩვენ ორს შორის.

— იბერიიდან ჩამოყვანილი ქალისა ნუ გედარდება, — გააგრძელა სელევკიმ, — მცირე გავლენა აქვს ჭაბუჯზე, ასეც არ იყოს, დედათა ქურუმმა იცის თავისი საქმე. მისი ხლართებიდან თავის დაღწევა გამოცდილსაც გაუჭირდება, არა თუ ველურს. ბრძოლიდან დაბრუნებულნი, ჩემს სურვილსაც ავისრულებ და ირეს პართიის სასახლეში გაგატან მონად.

— ძლიერ შეგიპყრო იმ გოგოს სურვილმა. არა მგონია, ასე იოლი იყოს ფარნავაზის ჩამოცილება, რადგან ხუთი დღეა თავს არიდებს ჩემთან შეხვედრას.

— ამაზე მერე ვისაუბროთ. შენ ის მითხარი, რა გიპასუხა მამაჩემმა, ჩემი მეფედ კურთხევა რომ შესთავაზე?

— მეც ვფიქრობ მაგაზე, დავებრდი უკვე, მეფობა კი ძალასა და აზრის სილალეს მოითხოვს.

— მართალი უთქვამს. ქვეყანას ძლიერი ხელი სჭირდება. მამაჩემის სისუსტის ბრალია მითრიდატეს გაპარპაშება მცირე აზიაში. ქვეყნის შიგნითაც ვერ შევძელით წესრიგის დაცვა. ერთხელაც იქნება გაერთიანდებიან ჩვენი ქვეშევრდომები და ბოლოს მოუღებენ სელევკიანთა ბატონობას. ამ ბოლო დროს ეგერისის მთავარს უსმენს ყველაზე მე-

ტად. აქი, მისი აზრით მოქმედებდა, პართიასთან ომი რომ მსრუტუნდებოდა, რომ, რომ ასურასტანის უპირველესი მტერი ახლა პონტოს სამეფოა, რომელიც ჩვენს ქვეყნებს იპყრობს და იმორჩილებს, ათენისა და საბერძნეთის მხარდაჭერით სარგებლობს, ახლად აღორძინებულ რომს უმეგობრდება, რომელიც ხვალ თუ ზეგ-ყველა საქაოგნო გზას დაეპატრონება მცირე აზიაში, ესეც არ იყოს, დაპყრობილ ქვეყანათა მბრძანებლებთან კეთილი დამოკიდებულება გვმართებს. მე რომ მეფობა დროულად მარტუნოს, პართიის მბრძანებლად შენ დაგნიშნავდი, რადგან იქაური წარმოშობისაც ხარ და ქვეყნის გაძლიერების ნიჭიც უხვადა გაქვს მომადლებული. ტყბილი სიტყვა რომ ხშირად ხმაილზე და შუბისწვერზე ბასრი იარაღია, ამის სწავლება არ გჭირდება. ხოლო მამაჩემს ეს არ ესმოდა არასოდეს. მის ალექსანდრესეული პირდაპირობა და გამუდმებული ბრძოლა მიაჩნია იმპერიის ერთიანობის საფუძვლად. დრო რომ შეიცვალა და ქვეყანა ისეთი აღარ არის, როგორც მაკედონელის ბრძოლის დასაწყისში იყო, ამის გაგება არ სურს. უნდა ჩაავგონო ფარნავაზს, რომ მხოლოდ ჩვენთან მეგობრობა აღასრულებინებს თავის უპირველეს ოცნებას და რომ იბერიაში გაბატონების შემდეგაც ვერ შესძლებს იგი ძალაუფლების შენარჩუნებას ჩვენი დახმარების გარეშე.

— ისე შევატყვე, დიდი იმედი არა აქვს ჩვენი დახმარებისა ფარნავაზს, მაგრამ ქვეყანია და იცის, რომ აზონთან ბრძოლა მითრიდატესა და ბერძნული ქვეყნების გადაკიდებას ნიშნავს, ამიტომაც ეშურება სელევკთან მეგობრობას. ისიც კარგად გაუაზრებია, რომ მისი გამარჯვება ასურასტანის ვაჭრობას ააღორძინებს, რადგან უმოკლეს გზას გაუბნის ინდოეთისკენ და თვითონ მოითხოვს ალბათ სამაგიეროს.

— ჩვენი კეთილი დამოკიდებულები-სა და აღიარების გარდა, რა უნდა სურდეს? — გაუყვირა უმცროს სელევკის.

— როგორც შევიტყვე, მისი სურვილია, ასურასტანის მეფემ შეაგონოს მითრიდატეს და ბერძნულ ქვეყნებს, რომ ბრძოლაში არ ჩაებან აზონის სასარგებლოდ...

— ეს როგორ მოხდება?

— მე იმედი მაქვს, განაცხადა იბერიის მომავალმა მეფემ, ჩემი მეგობარი სელევკიანები და ჩემი მამობილი დიდი სელევკი, აზონის მომხრე ქვეყნებს გამოუტყალებენ, რომ თუ ისინი იბერიაში თავის ჯარს შემოიყვანენ, თვითონაც ჩაებნება ომში და ერთხელ კიდევ მოაგონებს ქვეყანას ანტიოქიის იმპერიის ძლიერებასო.

უმცროსი სელევკი ჩაფიქრდა: — ტყუილად კი არ ამბობდა მამაჩემი, ბრძენივით შორსმჭვრეტელია იბერიის სამეფო კაციო.

— უცნაურად მართალი და კეთილიცაა. ბევრჯერ შემისრულებია შენი დავალება, მაგრამ არასოდეს ასე არ განმიცდია ჩემი საქციელი. ვიცოდი, ქვეყნის ძლიერებასა და ჩვენს დიდ მიზნებს ვემსახურებოდი... მეამაყებოდა, შენს წინაშე თავს ვიწონებდი. ეს ათი დღეა სრულიად ამემღვრა გუნება. იმ მიაშიტ, გამოუტყდე, უმწიკვლო გოგონას ვეძებ ჩემს თავში, რომელიც ამ ათიოდე წლის წინ მოიყვანა სელევკიმ სასახლეში. ვეღარ ვპოულობ. ახლა იმასაც გეტყვი, რომ არ მსურს ფარნავაზის მოყვანილ ქალსაც იგივე ბედი ეწიოს, რაც მე. მამაშენთან ხლება და მისი ბებრული ალერსის მიღებაც მიჭირს...

უმცროსმა სელევკიმ წარბები შეჰყარა და გაბრაზებული წამოხტა სავარძლიდან.

— გეტყობა, ფარნავაზთან სასიყვარულო ლამეს ფრიალ გადაუღლიხარ, დედოფალო. კარგად მოგეხსენება, მხოლოდ ჩემთვის არ ვბრუნავ და მამაჩემივით მეგობრები არ მაიწყვდება გამარჯვების მერე. ხოლო, რომ გავიმარჯვებ, ამასი ეჭვი არ მეპარება. ამაღამ მოგელის მეფე ეცადე, ამ კვირაში ჩემი მეფობა საქვეყნოდ დაადასტურებინო და პართიასთან სულელური ომიც გა-

დათქმევენო. მამაჩემის ^{საუყვარულო} სასმელს დედათა ქურუმნი ^{საუყვარულო} ბელით მოგართმევს, როგორც ყოველთვის... ამჯერად ლოგინს მიეჯაჭვება მოხუცი... ხოლო სამ თვეში უკვე პართიაში გაემგზავრები მბრძანებლად. არ უნდა იყოს ცუდი გასამრჯელო ამ ათიოდე წლის წინ მოყვანილი მიაშიტი გოგოს სანაცვლოდ, რომლის ვითომდა სიკვდილს მე და ჩემს მეგობარ დედათა ქურუმს გვაბრალებ, როგორც ვატყობ. რაც შეეხება იბერიის მომავალ მეფეს, შეგიძლია შეწყვიტო მასთან მეგობრობა. მის გოგოს კი ნუ გადაეფარები, აღარაფერი ეშველება. უკვე, წაყვანილი ჰყავს დედათა ქურუმს თავის სამლოცველოში... ვფიქრობ მალე ჩემი მორჩილი იქნება შენსათვის... გაბსოვდეს, ჩემს მეფობას მამაჩემის კურთხევა და დალოცვა უნდა აკეთილშობილებდეს.

მა არ ამოუღია დედოფალს და გერის წასვლის მერე, საღამომდე არ გამოსულა მისაღებიდან.

ერთი კვირის თავზე იხილა დედათა ქურუმი ფარნავაზმა. დიდი დედის უბიდან მშვიდობით დაბრუნება მიულოცა და გვერდზე მისწია მისი შემოტანილი პური და ღვინო. — უკვე აღარც მჭყუხებს შიმშილიო, — მწარედ ჩაიღიმა.

— სავესე კუჭი გონებას აბნელებს და სულის მომარაობას უშლის ხელს. ხოლო განმარტოება და ღვთაებრივი სიჩუმე კაცის დანიშნულებაზე ჩააფიქრებს ყოველ მოცვდავს. შენთვის ორივე აუცილებელია. სიმაღლის დაპყრობა არწივის ხვედრია, მაგრამ ისიც იღუპება, თუ საზღვარს ასცდა. ქვეყნის გამგებელს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ იგი მხოლოდ კაცია და სხვა არაფერი და რაგინდ სრულყოფილიც არ უნდა იყოს, მხოლოდ განგების სურვილს ასრულებს თავისი მოღვაწეობით.

— მაშ, რად გამოგვარჩევს უმაღლესი ღვთაება ერთმანეთისგან მიზნის სხვადასხვაობით? განა დიდი მიზნის ასრულებას შესაფერისი კაცი არ სჭი-

რდება? სხვათაგან განსხვავებული და ძლიერი? — შეეკითხა ფარნავაზი.

— სწორედაც რომ ასეა, ერთი შეხედვით, მაგრამ განგებაც თავის სიბრძნეს სწორედ მას უნაწილებს, ვინც ჩანასახშივე აირჩია თავისი მისიის ამსრულებლად. ეს როდი ნიშნავს, რომ დაგავიწყდეს, ვისი ნებით მოქმედებ და რისთვის?

— მაშ, მაკედონელიც ბრმა ძალი იყო განგების ნათელი სიბრძნისა? მაშ აზონის სისხლიანი ხელი იბერიაში შემოქმედის ნებით დატრიალდა? რით შესცოდეს იბერებმა, რა დააშავეს? — სასოწარკვეთა ისმოდა ფარნავაზის ხმაში.

— კაცის ამქვეყნიური ცხოვრება მოკლეა და ცოდვებით სავსე. ხოლო ხალხისა — შედარებით ხანგრძლივი. ამ მიწაზე, რომლის სიღრმეშიც ახლა მე და შენ ვიმყოფებით, მრავალ ხალხს უცხოვრია. ყოველ მათგანს წინა გაუნადგურებია შემოქმედის ნებით და თვითონ დაუწყია ცხოვრება, დამონებულითა საუკეთესო ნაფიქრალსა და ნაშენებზე თავისი დაუმყნია და ახლებურად უცია თავყვანი შემოქმედისთვის. განა უზენაესისთვის შეიცვალა რაიმე? ადამიანი ეძიებდა მასთან მიახლოების ახალ გზებს. ხალხთაგან უკეთესს ეს შეუძლია, ისე როგორც შემერთა მოდგმას, ფინიკიელებს, ბაბილონელებს... მაინც ხანმოკლე გამოდგარა მათი სამსახური... ამას ვერ ვიტყვი იბერებზე. მათ ბედად ერგოთ ბოძებულ მიწაზე დარჩენა. ხოლო თვითგანახლების გზა როდია უფრო იოლი, ვიდრე ბრძოლა, დამარცხება და დამპყრობელის უღლის ქვეშ გმინვა.

— გაცილებით იოლია, რადგან სიამაყე ახლავს. სიამაყე იმის გამო, რომ შენ გარგუნა შემოქმედმა საკუთარი არსებობით დაადასტურო მისი სიდიადე, სიმაღლე და მარადიულობა.

— არა მართო იბერიისთვის, მეზობელი ხალხებისათვისაც საჭიროა ამის ცოდნა, რაც ახლა თქვი, — წამოდგა დე-

დათა ქურუმი. — გსურს ირეს ჩილვა?

ფარნავაზმა არაფერი უპასუხა.

შეთქმულივით გაუღმამქმამს წამწა. სასვლელად იბრუნა პირი. ერთი კვირის თავზე კვლავ შეგხვდებით ერთმანეთსო, დაუბარა, კვლავ ვერავინ დაარღვევს შენს მყუდროებას, ვიდრე ანტიოქიის ტახტის მემკვიდრე არ ინებებს მობრძანებასო.

არავის ნახვა და ლაპარაკი არ სურდა იბერიის მომავალ მეფეს, მხოლოდ არმასს მოუხმობდა მისი სული ორი დღე. ასე ეგონა, სიყრმის მეგობარი დაეხმარებოდა და ბევრ კითხვაზე, რომელიც აწვალებდა, პასუხს გააცემინებდა.

არმაზმა განდევილის ყველა სურვილი შეასრულა, ერთის გარდა. მისი წიგნების ყოველი ფურცელი სათუთად გაასწორა და დაალაგა, ხის ყუთში ჩააწყო და მონასტრის ეზოში მოთავსებულ დაბალ სენაკში გადაიტანა. სალოცავის კედლებიდან ფრთხილად ჩამოხსნა ძროხის ტყავები, კედლე ერთხელ შეამოწმა თავისი ცოდნა და როცა მიხვდა, რომ შეუტდომლად იყოდა ტყავებზე გაგლებული ყოველი ხაზის მნიშვნელობა, მათი ჩაწერა დაიწყო. აკვირებდა განდევილის გულმოდგინება: ვით შესძლო ამდენი ქვეყნის ძველი და ახალი რუკის შედგენაო, — ფიქრობდა და დღე და ღამეს ასწორებდა წერაში. მერე რუკები და იბერთა მიწის წიაღიდან ამოღებული, ისტორიის გამაცოცხლებელი წარწერიანი ქვები, ქვის ქანდაკებები, კოლხური ფულის მონეტები და მრავალი სხვა ნივთი ერთად შეახვია და მასთან ერთად მოხუცის პირადი ნივთებიც მოათავსა. იბერიის უძველესი დროშა უბეში ჩაიდო და მძიმედ შეუდგა უკანასკნელი სურვილის შესრულებას. საქვალეში გავიდა, თეთრი ქვის კუბოს მჭიდროდ დახურული სახურავი გადახადა და გაუყვირა, სამი თვის მერე რომ უხრწნელი დახვდა განდევილის ნეშტი. გადაიხარა. ფრთხილად



შეეხო ცვილისფერ სხეულს. ფრთხილადვე ამოასვენა და მონასტრის შუაგულში მის მიერ დადგმულ რკინის საწოლში ჩაუშვა. ერთხანს უცქირა. მოეჩვენა, თითქოს ამოწმებდა მის ყოველ მოძრაობას გარდაცვლილი.

გამზნარი ტოტები მოსწი-მოსწია და კედლიდან სანთელი ჩამოხსნა. ალი მკერდზე დაცემულ წვეთს მიუახლოვა და როცა ცეცხლი განდევილის ვულ-მკერდიდან თემბზე გადავიდა, ნაძვის ხმელი ტოტების ქვემოთ შეაგდო სანთელი.

დიდხანს იწვოდა სურნელოვანი ხის მორები, წითლად ეღვარებდა საწოლი და არმაზი გრძნობდა, მადლონას უზღიდა განდევილის სული მისი სურვილის შესრულებისთვის. თვალაპყრობილი შეპყურებდა გუმბათში გამოკიდებულ სარკმელს, ასე ეგონა, მის სულსაც დაეინახავ უქვევლადო.

მეორე დილით ფერფლი ძვირფასი თვლებით მოჭედო მუქისოდენა ყუთში მოაგროვა, პატარა გასაღებით ჩაკეტა და მკერდზე თოკით ჩამოიკიდა. ეზოში გამოვიდა, ტაძრის სამკუთხედ გუმბათს გახედა და დაენანა მისი ძველი კედლები დასაწყვავად. ერთხანს დაფიქრებული გაყურებდა სიფრცეს, მერე დაბალ სენაყში შევიდა, სახედარს ტვირთი გადაჰკიდა და მიძიმდ დაეშვა ბილიკზე. გუნებაში პატივბას სთხოვდა განდევილს, მისი უკანასკნელი სურვილი ბოლომდე რომ არ შეასრულა. — იქნებ მოვიდეს კიდეც ვინმე იბერიიდან აჲ, ამ კედლებმა შენსაგით შეიკედლონ და ცხოვრების მიზნის ასრულებაში მოეხმარონო, — იმართლებდა თავს გულზე ჩამოკიდებულ ფერფლთან.

განდევილის მიერ ნასწავლ გზას დაადგა. უღრან ტყეში დაუღამდა, სახედარი დაასვენა, დაარწყულა და წამოწვა, მოხუცის გახუნებული სამოსი მხრებზე გადაიფარა.

ესიზმრა: თავთან დასდგომოდა გარდაცვლილი. ამშვიდებდა, სწორად მოიქეცი, ტაძარი რომ არ გადაწვი, არც შე მსურდა მისი მოსაპობა, რადგან ერთ-

კაცის, თუგინდ ერთი თაობის საკუთრება როდია ქვის სადგურში დასვენებული ძალა გამოგაცდევინე ამ დანაბარებითო...

უცნაური სიმსუბუქე და სიხარული გაჰყვა ვალვიებულს. იგრძნო, ლაშვირას სამყოფელსაც მიაგნებდა უქვევლად.

მშვიდად დუღუნებდნენ მისი სავალი ბილიკის გასწვრივ მდინარის ტალღები და თითქოს აჩქარებდას სთხოვდნენ მგზავრობით მოღლილს.

• • •

სამი დღეა უკან მოიტოვა ჭოროხის წყალი და არტანისკენ მიმავალ გზას დაადგა. ველზე სიციოტლის ნიშანი არ ჩანდა. ჩამოხუთული პაერი მიძიმდ ეკვროდა ტანზე და მოძრაობას უნელებდა. საღამო ხანს ბორცვის თავიდან სოფელი დალანდა, გვერდი აუქცია და მარცხნივ გაჰყვა ბილიკს. სოფლიდან მოშორებით მცირე ნანგრევი გამოჩნდა და კიდეც მოესმა ძახილი:

— არმაზ!.. არმაზ! არმაზ!

ყური მიუგდო და როდესაც კვლავ განმეორდა უცნაური ხმა, ჩამოქვეითდა და სწრაფად გაეშურა იქითკენ. ციხის ჩამონგრეულ ქონგურზე გადმომდგარი შოსანი ქალი ეძახდა, ხელს უქნევდა და ციხის კარისკენ ანიშნებდა. სახედარი ეზოში ეულად მდგარ ხეზე მიიბა და ნანგრევებში გაუჩინარდა.

ნესტის უსიამოვნო სუნმა სუნთქვა შეუტრა. ძლივს მოიცილა თმებში გახლართული ღამურა. ჩამონგრეულ ქვებში გაიკვლია გზა და ერთადერთ კარს მიადგა. ფეხით შეაღო და გაშეშდა, ორ შავ გველთან მოთამაშე ჩამომხმარი კაცი რომ დაინახა. კაცმა ამღვრეული თვალები მიაპყრო შემოსულს და უახროდ გაუღიმა. მერე გველები დატუქსა და საწოლისკენ ფეხაკრეფით გაემართა. მინდვრის დედოფლის აბრეშუმოვით თმები ბინძურ იატაკზე ეფინა, პატარა გაფერმკრთალებული ხელი უმწეოდ ეკიდა საწოლის კიდეზე... ახლოს მივიდა, დააცქერდა... ტანჯვით შეპყვროდა ნა-

თელი შებლი. გაღულ ლაწებზე ცრემლის ნაკვალევი ემჩნეოდა. ხელი წაიღო ქალისკენ და შეაჩერა კაცმა. ლამზირას მარცხნივ გაწოლილ ქვეწარმავალზე მიუთითა. რომელმაც ზანტად გაახილა თვალი.

უჩვეულო ძალა იგრძინო უცებ და თავის ცხოვრებაში პირველად შეეხო ქვესკნელის მეუფის გლუვ ტანს. თავი წამოსწია და თვალბში მიაჩერდა თავხედს ქვეწარმავალი. ენა ასინსილა. ერთხანს გაუფლო კიდევ არმაზის თვლებს და მერე მორჩილად დაბარა თავი.

— გასცოდნი! — უბრძანა არმაზმა თვალბით. — ცოდვას არ დავიდებ, არ მოკვლავ.

აიწია. წამით ირგვლივ შემოველო ლამზირას და სწრაფად გადმოსრიალდა. კილიკეს ფეხებთან მოთამაშე შვილებს რაღაც დაუსსინა. ხოლო როცა წიწილები გაუჩინარდნენ, თვითონ მიეაღწია კილიკეს ფეხს. აკოცა და ტერფზე ნიშანი დაუტოვა. კილიკეს სიცილი აუვარდა და ტუჩთან მიიტანა ფეხი. შხამი გამოსწოვა და ხმაურით გადააფურთხა. მერე დედაკაცის მიწოდებულ თავსაფარი გადაიჭირა და როცა ხარხარით გული იჭერა, ლამზირას წინ დაეშვა პატარა სკამზე.

არმაზი ველარაფერს ხედავდა ლამზირას გარდა. შებლზე ხელი შეახო სასტრეელს... თვალი გაახილა ლამზირამ და დაიჩურჩულა: არმაზ!

— მოვიდა შენი არმაზი! ყოველ წუთში რომ დაგდაბოდი მიძინარეს, მოვამეთქი... ეს გოგოც ღვთის რჩეულია. ერთხელ არ დაკბინეს სრიალებმა... ხოლო ამ ეშმაკის კერძს ფეხზე ადგილი არა აქვს, დაკბენილი რომ არ ჰქონდეს. წაიყვანე ეს გოგო აქედან... ხოლო ეს დატოვე... — ლამზირ! ლამზირ! — ჩასძახა მერე დედაკაცმა. — ჩემი ქალიშვილების ამბავი კარგად გამოიკითხე, ხომ იცი. ოთხი მთვარეა, მათ ამბავს ველოდები შენგან.

ისევ დახტუა თვალი ლამზირამ და გადაიჩინა დედაკაცი. — ხომ დამპირდი,

როცა არმაზი მოვა — გაგიღვიბებო. მოგიყვანე არმაზი, ან შეგიშენებ, დაინახე. — დასწვდა უცებ და ისე ძლიერად შეანჯღრია, რომ კენეს აღმოხდა ლამზირას გაცრეცილ ბაგეებს.

კილიკე დედაკაცს ეცა — ლამზირას თავი გაანებეო. დედაკაცი თავდაშხმელს გაბურძნულ თმებში სწვდა და მიწაზე გაგორდა მასთან ერთად.

ლამზირა წამოაწია. არმაზის ხელებს დაეყრდნო და შიშით მიმოიხედა. სწრაფად დასწვდა არმაზი. ბავშვივით იტაცა. განდგვილის მოსასხამი ვადააფარა, რათა დღის სინათლეს თვალბი არ მოექრა ქალისთვის და კარისკენ სწრაფად გამოტრიალდა. ერთი კი მოხედა ერთმანეთის დაუნდობლად მიმომთრევ დედაკაცსა და კილიკეს, იმასაც მიხვდა, ქვეწარმავალი მის გასვლას ელოდა, რათა თვითონაც ჩართულიყო ჩხუბში, გამოვიდა და ფეხით მიხურა კარი.

თავხევისბერმა მოჩიკეს მადლი შესწირა და ხეცს ამცნო: — მზის მოველენილს მინდვრის დედოფალი მოჰყავს. გახსენით კარი, მოასხით შესაწირი, მადლი მიაგეთ გამჩენს მშვენიერების და ბრუნებისთვის!

ყვავილებით მოიჩითო სახლ-კარი, ყოველი კუნძული...

გაიხარეს მთიელთა. ლოცვა აღუვლინეს მორიგეს... გამოეგებნენ. მნათობის პირველ სხივებს შემოჰყვა ხევში მზის მოველენილი. მკლავებზე მინდვრის დედოფალი ესვენა.

ფრინველთა გუნდი მოაცილებდა ჭიკჭიკით. ყვავილთა ხალიჩა ემტებოდა ფეხქვეშ.

ნიავე ეაღერებოდა ლამზირას თმებს, ოქროსფრად ანანავებდა ყვავილთა ველზე.

ფეხშიშველი შემოხვდათ ანათა. მუხლი მოტყარა არმაზს, დალოცა მისი სავალი და დაუტოცნა ნაფებურები.

დედის ხმა შემოესმა, თვალი გაახილა მინდვრის დედოფალმა... ცას, მიწას და დედას შეხედა... გაიცილა.

იმედი მოიტანა ამ სიცილმა მთაში...

— მალე ფარნავაზიც მოვა, — სიქვა ლამზირამ და შუბლზე ეამბორა მზის მოვლენილს.

გასრულა წიგნი, შეიგრძნო, შეისუნთქა მისი სიკეთე. ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდელი კაცის სიმაღლეს მისწვდა გონებით. საყუთარი მიზანი და სავალი განსჭვრიტა, გუშინდელი ნამოქმედარიც შეაჯამა თითქოს კითხვისას... არმაზს გადახედა, თვალმოუცილებლად რომ დაჰყურებდა იბერიის უძველესს რუქას. ახლა ბოლოთქმას მიუბრუნდა, რადგან ეძნელებოდა განშორება ამ წიგნის შემქმნელთან. თავისდაუნებურად ხმაბლდა წარმოსთქვა წაკითხული.

...წლები და ათწლეულები ისტორიისთვის ისეთივე მცირე მონაკვეთია, როგორც ადამიანისთვის წამება და წუთები. ბევრჯერ უფრო მცირეც. ძლიერ ცოტა ხანს უწერია კაცს ისტორიის შემოქმედად ყოფნა, თუ მხოლოდ მის სიციოცხლეს ვიგულისხმებთ. მაგრამ რა არის სიციოცხლე ქმნადობის გარეშე. თავისი ცხოვრებით, თავისი ყოველდღიური საქმიანობით აშენებს მოკვდავი ქვეყნის დღევანდლობას და ამით წარსულისა და მომავლის შემაერთებლად გვევლინება. დღევანდლობა ხვალ ისტორიის კუთვნილება ხდება და ადამიანის მოღვაწეობაც იმდენადაა მომავლისთვის გამოსადეგი, რამდენადაც ისტორიისთვის აუცილებელი.

ამას ვამბობ ყველა კაცზე, რომელსაც ერთი ზე მაინც დაურგავს თავის მიწაზე და ერთხელ მაინც მოუყვანია მოსავალი. ზოლო იმ კაცის ცხოვრება, რომელიც სიციოცხლეშივე ისტორიის კუთვნილებად იქცა, ვითარცა აზრი, რომელსაც მომავალი თაობები დაეყრდნობიან, ვითარცა ძალა, რომელზედაც ზვალინდელი დღე აშენდება, უდიდესია და შეუფასებელი მოკვდავთა მიერ...

თუ შევადარებთ ქვეყნის ისტორიას ადამიანის სიციოცხლეს, მაშინ მისი

წლებისა და ათწლეულების სიგრძელსაც უნდა ჩავწედეთ, რათა აღვნიშნოთ მთელი ცხოვრება ერისა.

არიან ხალხნი, რომელთაც ახსოვთ დღევანდელ სამყოფელში თავიანთი მოსვლა. ახსოვთ სხვა მიწაზე ძველი ცხოვრებაც. ქართლოსიანებზე ამას ვერ ვიტყვი. ისინი ისევე უხსოვარი დროიდან სახლობენ თავიანთ დღევანდელ მიწაზე, როგორც უხსოვარი დროიდან არსებობს ეს მიწა. მათ სხვა სახლი არც ჰქონიათ და არც უძებნიათ. ჩვენი სამკვიდრო, დღიდან ჩვენი მოდემის გაჩენისა, აქ ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ ქართლოსიანები მათი ქვეყნის მიწასთან ერთად შექმნა უმაღლესმა ღვთაებამ. მხოლოდ იმედი იმისა, რომ უმაღლესი მოწყალებას მოიღებს და მის მიერ მოვლენილ ხალხს თავისი ამ ქვეყნიური დანიშნულების შეცნობაში დაეხმარება, მასულდგმულებდა, როცა იბერიიდან დაშორებულნი, კაცთაგან განდგომილი ღვთაების ნებით, ჩაეკოციტებდი გარდასულ დროებას, რათა მიეწყებინა მტერისგან ქართლოსიანთა ისტორია აღმედგინა. სიციოცხლე ჩემი ერთ ამოსუნთქვასავით გავიდა, მაგრამ კი არ გაქრა, არამედ ამ წიგნში გადავიდა. თუ ჩემი ნაღვაწი ერთი ადამიანის სულში მაინც აღძრავს სიამაყის გრძნობას თავისი მიწისა და ხალხის გუშინდელი ცხოვრების გამო, ვიტყვი, რომ ჩემი ვალი შევასრულე...

აღონმა სათუთად დაკეცა ძვირფასი ფურცლები და ჩამავალ მზეს გაუსწორა თვალი. ეშშვიდობებოდა მნათობი იბერიის მთებს.

— ასურასტანში გამგზავრება მოგვიწევს. ახალ მეფეს უნდა ვეახლოთ, მიუხულოცოთ და თავყანი ვცეთ, ერთგულება აღვუთქვათ კვლავაც და ჩვენი დაპირებებიც მოვახსენოთ... გზად იბერთა უძველეს სალოცავში უნდა გავიაროთ, ანათა და ლამზირა უნდა დავტოვოთ განდგეილის სავანეში. ანათამ მტკიცედ გადაწყვიტა დიდი დედის ძველი დანგრეული სალოცავი აღადგინოს და მლოცველები მიიზიდოს უძველეს

ეკრაზე. როგორც გამოვიცითზე, იქაური ქართლოსიანებზე დღესაც ეთაყვანებინა გამჩენი დედის ღვთაებამ. თანაც ფარნავაზიც მოხვს, მივხედოთ და ადგადგინოთ სალოცავი, როგორც წევძლებით. ასურასტანის დიდი დედის ტაძრის უფროს ქურუმს მოუწადინებია იქ დამკვიდრება. ანათაც ლამზირას გადარჩენას დიდი დედის სიკეთეს უმადლის და სურს რამდენიმე წელი მის სამსახურში გაატაროს ქალიშვილს გამოვლისას წამოვიყვანოთ იბერიაში. ასეც არ იყოს, მისი მარტო დარჩენა არ შეიძლება. კუბთა ახალგაზრდა მთავარი ლენე, ლანდოეთა ჰყავს ადევნებელი. ანათასთვის უთქვამს, — სწორედ ლამზირას გამო არ გავყვევი უცხო ქვეყანაში ფარნავაზსო, ხოლო, როცა სიანეთიდან აქ ამოვიდა, დიდხანს ეძებდა ქალი. ჩემი ბრაღია, რომ კილიკეზე ეჭვი არ მიგატანინეთ, მისგან წარმოუდგენლად რომ დავსახე ლამზირას მოტაცებო; ახლა დანაშაული იმით უნდა გამოვისყიდო, რომ ლამზირა კუბეთის დედოფალი გავხადო, ბედნიერებით განვუქარვო წარსულის სიმწარეო...

როგორმე უნდა დაბრუნდეს ლენე აზონის სასახლეში. ისეთი ტყუილი უნდა მოიგონოს, სიძარტლეს სჯობდეს, ფრიად სახედისწეროა მისი სიკოცხლისთვის ეს ნაბიჯი. ამიტომ ლამზირას ურჩივ, თბილად მოექცეს ქაბუქს, დაინახე მისი ბუნების სიკეთე... ურჩივო როდი იქნება მისი კუბეთში გადედოფლება.

— განა ლამზირას აღარა აქვს უფლება ის უყვარდეს, ვისაც მოისურვებს? განა არ იწვინა უკვე ძალადობის სიმწარე? — მოედრებულა არმაზს სახე. — იქნებ სხვაც შესძლებს ბედნიერება მოუტანოს მინდვრის დოდოფალს.

— შშვენიერება ხატია, რომელსაც ერთგული თავყანისცემა სჯირადება. ქალის სიყვარულიც ვერ ითმენს მეტოქეობას, თუგინდ ღვთაებასთან განაწილებულ გრძნობას. ერთი ადამიანის სიყვარულისთვის თავგანწირვა უბრალო მოკვდავის ხვედრია მხოლოდ, რადგან

იგი ზოგადის დიად ცნებას უტყუილი ხატვით ემსახურება, ზნეობისკენ თეულიდან ზოგადისკენ უნდა ვისწრაფოთ და გავამდიდროთ იგი, ამას უმაღლესი ღვთაების სამსახური ჰქვია. ზორცის ზეიმი ხანმოკლეა და უღლეური, ხოლო სულისა — მარადიული და უსაზღვრო. ზორცის მრთელობა წარმავალი ყოველდღიურობის აუცილებელი პირობაა, ხოლო სულის მრთელობა სამყაროს თვითგანახლების ბურჯი და ქვაკუთხედი... დროა დაფიქრედ და გარკვეო, რომლის სამსახურად ამირტადგომას, ოღონდ იცოდე, თუ დიდ მიზანს დანახავ, რასაც უმაღლესთან მიახლოება ჰქვია, საკუთარ გრძნობებზე და ტყვილზე უნდა ამაღლდე... რთულია ეს გზა, ძლიერ რთული, მაგრამ დიადის განცდის სიტკბოსკენ მიღის იგი. რაც შეეხება ლამზირას, იგი ქალის სახეში გამოვლინებული შშვენიერებაა მხოლოდ და ისე ემსახურება ღვთაების ნებას, როგორც ქალი. მისი სხეული მამაკაცის სიყვარულს ითხოვს თავისი ნიჭის სრულყოფილად გამოსავლენად; რათა სიღამაზე კვლავ განმეორდეს მისი გან შობილში, როგორც ანათა განმეორდა თავის ქალწულში, უფრო სრულყოფილად და ღვთაებრივად.

* * *

სასახლის ბაღში კილიკეს გაუთავებელი ხარხარი ისმოდა. აზონი ერთხანს უსიტყვოდ მიჰყვებოდა თავის პირველ ცოლს, მერე უცებ შედგა და თვალბეშო ჩახედა გამქოლად, ცივად და ისე საშიშად, როგორც მხოლოდ მას შეეძლო. ქალმა თვალეზი არ დაბარა, თითქოს გამოიჩვია აზონი.

— ამის შემდეგ კიდევ მოითხოვ, კილიკეს გადავცე ის ტაბტი, რომელმაც ჩემი ახალგაზრდობა და წამრთელობა შეიწირა? შენი გამდელისგან ვიცოდი, დამთხვეული რომ გყავდა დედა. როგორ დამავიწყდა, რომ შენი სისხლიც ტრიალებდა კილიკეს ძარღვებში...

— დროებითია ეს ავადობა. ათენიდან მოწვეული ექიმიც და ეგვიპტელი



სწავლულიც ომასვე ადასტურებენ. — არ შეეხება ქალი.

— მთელმა ქვეყანამ იცის კილიყეს დღევანდელი მდგომარეობა, ხალხი ასეთ რამეს არ იფიწყებს. რომც ავასრულო ჩემი ნაჩქარევი დანაპირები, ვინ გვითავმდებებს, რომ არ განმეორდება მისი დამთხვეულობა კვლავ?

— მუდამ ვგრძნობდი, რომ არ გიყვარდა ჩემი შვილი!

— ცოლს ტყუილად მწამებ, იგი მიყვარს და შეცოდება კიდევ...

— და, იმიტომ მიანდე სულელ სპიანდრეს მისი ბედი?

— სპიანდრეს სამყოფელში უკეთ იგრძნობს თავს კილიყე, როგორც ვატყობ, სიგიჟე სწორედ ქალის სურვილმა გამოაღვინა, ხოლო ვინ იყო ის ქალი, შენ გეცოდინება.

კილიყეს დედამ მწარედ გაიქნია თავი.

— არ გამიზიზილა, ხოლო იმდამინდელი მონადირეები ამტკიცებენ, ვიღაც ლამაზიანზე, მინდვრის დედოფალზე მოუყვია მთიულეთის ბარკთამკრეფიო... ის კაცი მკედარია... ლამაზია კი ვიღაცას მოუტაცნია და მერე ისევ მთაში დაუბრუნებია, ამბობენ, მომთაბარეებს პყავდათო... ახლა დედამისთან ერთად პონტოში წასულა სალოცავად და ღვთაებისთვის მადლობის გამოსაცხადებლად, ლამაზი ყოფილა ის გოგონა.

— თვითონ ვნახე ის დამთხვეული დედაყავი, ვისთან ერთადაც შენი ვაჟი იყო განმარტოებული დანგრეულ ციხეში... უფრო საზარელს ვერც იხილავს კაცის თვალი... ეტყობა, ერთმანეთში ვერ მორიგდნენ ბოლოს და კილიყემ მოჰკლა დედაყავი... ამოდ თხზავ ეოლაც ლამაზი გოგოს ზღაპრებს. კილიყე სასახლიდან უნდა წაივიდეს, ბოლოსდაბოლოს, მისი ხარხარის მოსმენა აღარ შემოძლია და არცა მსურს. კიდევ კარგი, რომ ისევ მეზრდება მემკვიდრე კანონიერი დედოფლისაგან. თუ გსურს, გაგაყოლებ შენს ვაჟს სალოცავში, სპიანდრე შენთვისაც გამოსძებნის გასართობს, ახალგაზრდა ხარ ჭერ კიდევ...

— ჩაიხიბითა და მხარზე დაიკო ჩელო.

— ცოვად მოტრიალდა ქალი და შეტრიალდა სამყოფელსკენ გაეშურა სწრაფი ნაბიჯით. შორიახლოს მდგარი მწითური მიუახლოვდა აზონს.

— ლენსაც უდევს წილი შენის სიგიჟეში, მეფეო!

— აზონმა ახლა მწითურს დაასო თვალები.

— მერე, მკედარს რა პასუხი უნდა მოვთხოვო? — დაიღრიალა. ყველაზე მეტად ის აცოტებდა, რომ ვერავის დასჯა ვერ მოახერხა კილიყეს სიგიჟის საზღაურად.

— ცოცხალი ყოფილა კუხთა ახალგაზრდა მთავარი...

— აზონი ყელში სწვდა მწითურს.

— მოგკლავ ხალხიშვილო, რამდენჯერ ავიკრძალე, ჭორებით ნუ იყვებები მეთქი! მაინც პბედავ!

— სპიანდრემ შემოთვალა, თრი კვირაა გამოიზნდა და სადღაც ისევ მიიზნალო...

— თუ სამ დღეში ლენე ჩემს ფეხებთან არ ენახე შეკოკილი, მიფრთხილდით შენც და სპიანდრეც! — ქაფი მოადგა ტუჩებზე.

მწითური უკან-უკან წავიდა და ნელა გაეცალა მბრძანებელს.

მეორე დღით ახალგაზრდა დედოფლის კივილმა შესძრა აზონის სასახლე. მეფის უმცროსი ვაჟი, ტაბტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე, გარდაცვლილი ნახეს თავის საწოლში.

ყოფმა დარია ხელი იბერიის მკურთხებელს. ამბის მომტანი, ბიჭის ორი მომვლელი და მზარეული იმ დღესვე დასაჯა სიკვდილით.

სალამოს მიცვალებულის პატარა ვუბოსთან გამმარტოვდა და მწარედ აქვითინდა, თავისი გვარის გამგრძობელს რომ ვერ ტოვებდა იბერიის სანუკვარ ტაბტზე.

დიდის ამბით დასაფლავა ბიჭი და იმავე ღამეს ეწვია უმცროსი დედოფლის მოსასვენებელს. გამწარებული დედის სარეცელი მისებური დაუნდობ-

ლობით შებღღა, ქალის ცრემლებსა და მუდარას ყურა არ ათხოვდა და მისთვისაც კი შეუფერებელი საქციელით კმაყოფილმა, დასტოვა დედოფლის სამყოფელი განთიადისას. მეორე ღამეს, როცა იგივე გზას დაადგა, დედოფლს პირისფარეში აუწყა: სამლოცველოში დაპოფს ერთ თვეს დედოფალი, ყოველდღიურად შესაწირს მიაართმევს გაის და ღამე გაიცის ფეხქვეშ ილოცებს, რათა გარდაცვლილ მემკვიდრეს სულთა საუფლოში კერპების ყურადღება არ მოაკლდესო.

გამობრუნდა აზონი და მეორე დღეს ეგრისის ქალბატონთან მსტოვარი აფრინა, დაუყოვნებლივ მსურს შენი ნახვაო.

* * *

მწითურმა გაკოქილი ლენე აზონის ფეხებთან დააგდო და თავში წაიშინა ხელი. — ეს რა უბედურება შეგვემთხვა, როგორ გამოგვეცალა ქვეყნის იმედა, ბელიდანო...

აზონს მწითურის წუწუნე თითქოს არც გაეგონოს, მისი მზერა ლენესკენ იყო მიპყრობილი. აუწყეს, ეგრისის დიდი ქალბატონი გეახლათო და, ახალი სტუმრის მოსვლით ამკარად კმაყოფილმა, მწითურს უბრძანა: — საპყრობილეში შეაგდე ეს უდღეური, თავად უდარაჯე და ზეღ დილით მომგვარეო...

* * *

— არ იდარდო, მეფეო, — დამშვიდა მცირე მოკითხვის შემდეგ აზონი ეგრისის ქალბატონმა, — ნურც უფროსი ვაჟის დამთხვეულობას იწყებ, ღვთის მადლით, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ. ისევ გაგონდება მემკვიდრე.

— ცუდი თვალით შემომხედა განგებამ, თავადაც არ ვიცო, რით გავანაწყენე კერპები... შესაწირი არასოდეს დამნანებია და ქურუმებსაც გამორჩეულად ეწყალობ.

— შენი ტახტის ღირსი, არ გეწყინოს და, არც ერთი შენი ვაჟი არ არის, — გააგრძელა სიტყვა სტუმარი-

მა, რადგან მიხვდა, რომ კმაყოფილი დარჩა აზონი მისი ნათესავებისა, ეგრესტრი და უხერხემლო იყო განსვენებული, უფერული და უხორცო, ხოლო კლიკე, ჯემდა საუბედუროდ, არც თავიდანვე ამკლავებდა მეფურ ბუნებას.

— ბევრჯერ მოთქვამს შენთვის, რომ უქვეიანესი ხარ ქალთა შორის. ხოლო შენი სურვილი, რომ ახალი მემკვიდრე გამოჩნდეს, განუხორციელებელია, რადგან ჯემმა კანონიერმა თანამეცხედრემ განდგომა და ლოცვა ამჯობინა საქვეყნო საქმეს.

— განუტევე, დიდო მეფეო, უღირსი ყოფილა დედოფალიც, — თავად გაუყვირდა საკუთარი თავბედობა ეგრისის ქალბატონს, მაგრამ როცა აზონის გაღიმებულ სახეს შეხვდა, მიხვდა, ამჯერადაც სწორად გაიგო ამ საშიში კაცის გულისნადებო.

— მაგას დრო უნდა, — თქვა აზონმა, — თუ ერთ თვეში არ მობრუნდა სასახლეში, ხალხს ვაუწყებ, რომ კერპის მსახურად რჩება. ოღონდ, ვინ უნდა დაეისვა დედოფლად? ორი დღეა ვფიქრობ 'ამაზე, ერთი კი ვიცო, იგი ქართლოსიანი უნდა იყოს, რათა მემკვიდრის სისხლში ამ მიწის მკვიდრის ნაწილიც ერიოს... რამდენი წლისაა შენი ქალი?

ეგრისის ქალბატონს მწარედ გაელიმა და არაფერი უპასუხა:

— მე ბევრჯერ მოთქვამს შენთვის, რომ უფრო ახალგაზრდა რომ იყო, შენ დაგისევამდი დედოფლად... მაგრამ ვაგლახ, რომ ვაყს ველარ გამოჩენ... ამიტომაც გადავწყვიტე, შენს ქალს მივანიჭო პირველობა და იბერიის ტახტის მემკვიდრის დედად განვადიდო. ვფიქრობ, უარს არ იტყვის იბერიის დედოფლობაზე. — გაუღიმა აზონმა ეგრისის ქალბატონს, რომელიც სწორედაც არ მოელოდა საუბრის ასეთ გაგრძელებას.

აზონი ფანჯარასთან მივიდა და თავის საყვარელ ძაღლს, რომელიც ნები-

ერად გაწოლილიყო ხალიჩაზე, შავად მშხინვარე თავზე გადაუსვა ხელი.

— კარგა ხანს ჩაფიქრებული იყო ეგროსის ქალბატონი.

— ქუჩი? — იკითხა წყნარად.

აზონი სწრაფად გამოეშურა მისკენ.

— თუ ორივეს ხელს გვიშლის, მივაკლევინებ ჩემს კაცებს მის სამყოფელს... არც ისე შორსაა სელევიცის სასახლე... ჩემმა წარგზავნილებმა ამბები ჩამოიტანეს, ცხენების გასაწვრთნელად იყენებს ანტიოქიის ახალი მეფე ეგროსის მთავარსო. — იცრუა აზონმა.

— დიხაც შეარცხვინა ქუჩიმ თავისი გვარი ურჩობით, მაგრამ მისი სიკვდილი არ მსურს, მიინდა იცოცხლოს და დაინახოს, რომ სუსტმა ქალმა, მისგან მიტოვებულმა და უარყოფილმა დედამ; შესძლო სამთავროს აღორძინება და უფრო მეტიც, იბერიის ტახტთან დამოყვრება. ჩემი ქალისა ნუ გეძარდება, განა ორივე შვილი ურჩი და უგუნური მყავს?! თანაც იბერთა უძველესი წესის თანახმად, ქალიშვილს როდი ეკითხებიან აზრს, ქალწულობაში იგი მშობლებს ემორჩილება, ხოლო გათხოვების შემდეგ — მეუღლეს. ეს წესი დედოფლებზედაც ვრცელდება, დიდო მეფეო! — გაიღმა, წარბი გახსნა, გამხიარულდა.

მიხვდა აზონი, რომ სამავიეროს მოითხოვდა სტუმარი და დაასწრო:

— ეგროსის გადასახადიდან გავანთავისუფლებ სამი წლით. ეს ამჯერად, ხოლო, როცა ჩვენი მიზანი ასრულდება და იბერიის ტახტის მემკვიდრეს მჩუქებს შენი ქალი, ნახავ, როგორი გულზევი ვარ ახლობლების მიმართ.

— წესი არ არის იბერთა გვარტომის ცოლის გვერდით საქალებოც არსებობდეს, ერთცოლიანობა ჩვენი უძველესი ჩვეულებაა. ქართლოსიანთა გულსაც მოიგებ, თუ მათ სისხლისმიერ დედოფალს ღირსეულად დააფასებ... არც ასაკი გიწყობს უკვე ხელს... ხუთი ათეული წელი სამი წლის წინ გააცილე, თუ კარგად მახსოვს. ასეც არ

იყოს, დაფართლად სხვა ქალის ტრფივალს მეფეს ვინ დაეშინებოდა? აზონს გაეცინა.

— რადგან იბერებს დაფართული სიყვარული უფრო მოგწონთ, იყოს ნება შენი...

ეგროსისაკენ მიმავალ დიდ ქალბატონს ძლიერ უხაროდა, რომ კლიცე სპიანდრეს მონასტერში გაისტუმრა იბერიის მკურობელმა, აქებდა საკუთარ თავს სიფრთხილისა და ჭკუის გამო. სწორედ მოვიქეცი, უმცროსი ბიჭის სიკვდილში მონაწილეობა რომ არ მივიღეო, — ფიქრობდა, ხოლო ის, რომ აზონის პირველ ცოლს თვითონ ჩაუწერა შვილისთვის ტახტის მეტოქის ჩამოცილების აზრი, არაფრად მიაჩნდა, თუმცა კი ისიც არ იცოდა დაბეჭითებით, მართლა მოკლეს თუ თავისით მიიცივალა ის გამწლელი ბიჭი.

* * *

შულამისას საპყრობილეში მალალი, უცნაური გაჩეგნობის ქალი ეწვია მწითურს. ცემისგან დაოსებელი ლენე ქვის იატაკზე მიგდებულყო და სიციცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ქალმა ყურადღებით გასინჯა შეპყრობილი და დამხედურს მკაცრად ახვდა.

— ეს რომ მოკვდეს, მე არ დამინდობს აზონი! — მძიმედ თქვა მწითურმა.

— ძლიერ გამოგილია ხელი.

— რაიმე იღონე, რომ ზეალამდე გაძლოს და არ ჩაძალდეს. მსურდა დამეფქვევიინებინა, სად იყო და რას აეთებდა, მაგრამ ვერაფერს მივალწიე.

— მარტო შელოცვა ვერ უშველის, წამალიც უნდა! — თქვა ქალმა.

— წამალი მიეცი, ლოცვის დრო სადა გვაქვს! — აწრიალდა მწითური, — შენთან სალაპარაკო მაქვს!

ქალმა ფუთა გახსნა და მკვეთრი სუნის მალამოთი დაუზილა ნაგვემი სხეული ლენეს. მერე მწითურის მოტანილ წყალში ფხვნილი გახსნა. ლენემ ხარბად შესვა მოწოდებული სითხე.

— თუ მოახერხებ და ზეალ საღამომ-

დე არ მიუყვან აზონს, სალამოსთვის ფეხზე დგომასაც შესძლებს, ოღონდ დაბინდული ექნება გონება სამ დღეს.

— ხვალ სალამოსვე ჩამოჰკიდებებს სასახლის წინ აზონი, მისი გონება ვის რაში სჭირდება. — გაეცინა მწითურს. — უკეთესიცაა, თუ ვერ იაზროვნებს... ასე მოთხრა: მეფეს ვეტყვი, როგორ გააგიყე კილიკო...

— უშნოდაც გაგიყებოდნა, აცი, როგორც კი ვნახე, მაშინვე ვითხარი. მაინც როგორ გააგიყეო?

— გარდაცვლილ ხარკთამკრეფს დავაგაღე, ლამზორაზე მონაჩმახი მისთვის მოეთხროო...

ქალი გაკვირვებული შეაჩერდა მწითურს.

— მართლაც ვუთხარი ხარკთამკრეფს, მთიულეთში წაიყვანე კილიკე, იქნებ იქაური ქალებითაც შეავსოს თავისი საქალებო-მეთქი, ოღონდ, იცი შენ, რაც მსურდა: ვფიქრობდი, გადაიჩეხებოდა კილიკე კლდეზე და გამყოლთან ერთად დაიკარგებოდა სამუდამოდ. მერე, როცა აზონმა პონტოში გაუშვა, მეც მივანებე თავი ამ საქმეს და შენი წინასწარმეტყველების ასრულებას დაველოდე. ასე რომ, მე არ გამოიგვიბია კილიკე, მაინც არ არის კარგი, ამ უგვანომ ჩემი სახელი ახსენოს მეფესთან. ახლა, როცა უმცროსი ბიჭი მოკვდა, მინდა, აზონს მეორე ძმის-შვილი შევრთო ცოლად. სამ დღეში აქ იქნება ქალიშვილი, უღამაზესია. ბევრად სჯობს თავის უფროს დას. მთავარი, აზონმა ერთხელ მოჰკრას თვალი.

— ცუდად მოუარეთ იმ პატარა ბიჭს. ერთხელ მაინც გენახებინა ჩემთვის. ამბობენ, გამწლული ყოფილა. არა მგონია, ჩემს წამლებს მისთვის სიცოცხლე არ გაუხანგრძლივებინა.

— ზოგჯერ იმასაც კი ვფიქრობ, იქნებ მოწამლეს მეთქი, მერე უკუვაგდებ ამ ფიქრს, რადგან დედამისი ერთი წამითაც არ იცილებდა პატარას, ისე მყავდა დამინებულა, რომ გამდელთანაც არ ტოვებდა არასდროს.

— დიდად არ უნაღლეუქი უნაღლეუქი მემგვიდრე, — გაეცინა მწითურს.

— ეგრისის ქალბატონი ეწვია ამ დღით. მეზობლება ეს ქალი. რატომღაც დაიახლოვა იგი აზონმა. ეჭვი მაქვს, მოყვრობის გაცრუების სანაცვლოდ, რაღაც შესთავაზა ეგრისის პატრონს მეფემ. უნდა წახვიდე სამთავროში და ამბავი მომიტანო იქიდან.

— ერთხელაც ძლივს დავუძვეერი აზონს ხელიდან. გამიგონია, ეგრისის ქალბატონი აზონზე გაიძვერა და ეშმაკიო, ხოლო რა საყენიკო მამაკაცთან ჰრის, ქალთან, თანაც ჭკვიანთან, უბრალო ქვიშად იქცევა ხშირად.

— გასამრჩელოსაც დიდს მიიღებ და შენ შეილსაც მიეუზღვე პატივს, განვადიღებ და, თუ ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც მსურს, დავიახლოვებ, ხოლო შენ უფროს ქურუმად გაგზავნა კიდე ერთხელ უნდა შეხვიდე აზონთან. ამჯერად პონტოდან უშვენიერესი ქალის ჩამოსვლა უწინასწარმეტყველე და უთხარი, რომ იგი გაუჩენს ღირსეულ მემკვიდრეს...

ლენემ დაიკვნესა და თვალი გააბილა. ქალი დაიხარა, შუბლზე დაადო ხელი.

— ესმის? — შეშფოთებით იკითხა მწითურმა.

— გვისმენს და ამიტომაც არ იმოქმედა წამალმა, დაძაბული აქვს ყურადღება. — მიუგო ქალმა.

მწითური შეინძრა.

— ახლა რომ ხელი ახლო, მოკვდება.

— უთხრა ქალმა მტკიცედ.

— კიდე შეასვი წამალი! — სთხოვა მწითურმა.

— საჭირო არაა, როგორც კი წავალ და სიჩუმე ჩამოვარდება, გრძნობა თანდათან მოუდუნდება და დაიძინებს. სამ დღეს არაფერი ეხსომება, ძილისკენ იქნება მიდრეკილი.

— რომ გაახსენდეს?

ქალმა დასამშვიდებლად გაუღიმა, მალამო დაუტოვა და დაარიგა, დილით ნესტოები და საფეთქელი დაუხილე ამ წამლით და-ნურადრის გეშინიაო.

კარგა ხანს იტხიზლა მწითურმა, მერე იქვე დათვის ტყავი დაიგო და ხერი-ნეა ამოუშვა.

მთელი ღამე თავს ებრძოდა ლენე. განთიადისას მიხვდა, რომ გაიძარცვა იმ უცნაური ქალის წამალზე. რადგან ნაგვეში სხეულის მწარე ტყვილი იგრძნო.

ახლა იმაზე ოცნებობდა მხოლოდ, აზონმა დილითვე ინებოს ჩემი ნახვაო.

მწითური განთიადისას დაადგა თავზე დაგამეტებით წასაცხო წამალი დატყვევებულს, დააკქერდა და, როცა ქალის ნათქვამის სისწორეში დარწმუნდა, არხეინად გააგრძელა ძილი.

ნასაუზმევს იბერიის მპყრობელმა ლენეს მოყვანა ბრძანა.

როცა ლენე მოათრის, აზონმა ყველას გასაკვირად დატყვევებულთან შერთო დარჩენა ინება.

— მეფეო, თუ სამ დღეს არ ჩამომხარჩობ და ჩემს სიცოცხლეს მწითურს არ მოასპობინებ, და არც არავის ეტყვი, რაც ახლა გითხარი, დიდ სამსახურს გავიწევ და შენს უდიდეს მტერს შეგამყრობინებ. წამალი მომცეს, რათა გონება ამრეოდა და ვერაფერი მეთქვა. სამ დღეში გაუფა ძალა ამ წამალს... — ძლივს წამოიღულულა ლენემ და მკვდარივით ჩაეძინა.

აზონმა ყურადღებით დაათვალიერა ლენეს იარები, მერე სავარძელში ჩაჭდა და დაფიქრდა. ვერ ჩაწვდა ლენეს სიტყვების აზრს, მაგრამ წესად ჰქონდა, მტრის სახელი აუცილებლად გაეგო, თუგინდ მოსგან განწირული კაცი-სგან.

ვევრდით ოთახში გავიდა. თავისი მოხუცი გამზრდელი გამოიყვანა და იმას ჩააბარა ლენე. — არავინ შეუშვა მასთანო, — უბრძანა და არც მოსცილდე სამი დღე-ღამე. თოკით გადააკარი ტახტზეო.

არეული დადიოდა მწითური, ადგილს ვერ პოულობდა. ბოლოს შეჰბედა აზონს: — სასახლე ლენეს დასჯას სულ-მოუთმენლად მოეღისო. გაეღიმა აზონს: — იგი ჩემთან შემოყვანიდან ორი საათის მერე მოკვდა, თუ გსურს, ჩემი

მოხუცი გამზრდელი მოგყვებო, მისი სიკვდილის ამბავს, როცა რაიმე მოხდება ლოდან დაბრუნდებო. *ამბავსიკვდილს*

გული დაიშვიდა მწითურმა, — როცა სპიანდრესთან გასაგზავნი კაცის სახეხავად წავედი, სწორედ მაშინ მომკვდარა ლენე. ალბათ აზონის ჯალათებმა დაუმატეს, რაც მე დავაკელიო.

სამი დღის შემდეგ გამზრდელის მომცრო ოთახში იბერიის მპყრობელი ლენესთან ჩაიკეტა და იმავე საღამოს მწითურის, სპასალარისა და სისახლის სალაროთგამგებლის შეპყრობა ბრძანა, ხოლო სპიანდრე ჭერჭერობით ხელუხლებელი დასტოვა.

* * *

ეგრისისკენ მიმავალ ქალბატონს გზად თავისი სასახლის ჯარის უფროსი შემოეყარა, ორმოციოდე მეომრით. ცუდი ამბავი აუწყა ჯარის უფროსმა. შენი წასვლიდან სამი საათის შემდეგ, შენმა მონებმა და მსახურებმა სასახლე დატოვეს და დედამუდღიანად ტყეში გაიხიზნენ, ორიოდე მოხუცებული თუ დაფრატუნობს ახლა სასახლის ეზოშიო.

— ჩემი ქალიშვილი? — იკითხა დიდმა ქალბატონმა.

თავი დახარა ხელქვეითმა.

— ციხის დარაჯებს დავსჯი შეუბრალებლად! ყველა მიფრთხილდით, არავის დაგინდობთ. — დაიყვარა ქალმა, რადგან ქალიშვილი კვლავ გატაცებული ეგონა.

ციხის უფროსმა რალაცის თქმა დააპირა.

— თუ ქალს საღამომდე არ მიპოვით, თავდაც არ დამენახო! ბერძენი კაცი ჩემი ჯარის მეთაურად არ უნდა დამენიშნე. შენთვის ფულია მთავარი და არა სამთავროს ბედი, ყველა ჩამოთრეული მხოლოდ ჯიბის გასქელებაზე ფიქრობთ...

ციხის უფროსმა ისევე დააპირა რალაცის თქმა, მაგრამ ვერ კი გაბედა, თუმცა ამჭერად ქალბატონი ნებას რთავდა.

— კიდევ კარგი, რომ სინდისი შეგრ-

ჩენია და თავს ვერ იმართლებ. შენ ქალის დაბრუნებაზე იბრუნე, შორს არ წავიდოდა. ისევე თავის ამორჩეულს გაეკიდებოდა. ხოლო ის ქაბუკი ჩემს ოჯახს უკადრისს ვერ შეტყობდა... მე კი პირდაპირ ტყისკენ წავალ. უფლისციხელ პერს ვინაზე და ხალხსაც დავაბრუნებ. ქვეშევრდომებს ურჩობას ბოლო უნდა მოვუღო, ხოლო როგორ შევძლებ იმას. რასაც ათასზე მეტი მეომარი ვერ აკეთებს, თავად დანახავ...

— შენი ქალიშვილი არსად წასულა. სასახლეშია!... — ამოიღუღღღა ჭარის უფროსმა.

გულზე მოეშვა დიდ ქალბატონს.

— ეგრე გეთქვა თავიდანვე. მითავარი ეს არის. დანარჩენი კი ისე მოგვარდება. როგორც ინებებს სამთავროსა და ქვეყნის მპყრობელი. მეც სასახლისკენ გავსწევი, იბერიის მომავალ დედოფალს უნდა ვეახლო უპირველესად. — სიამაყით წარმოსთქვა ბოლო სიტყვები და ის იყო მეეტლისთვის გამგზავრების ნიშანი უნდა მიეცა, ჭარის უფროსის ხმა მოესმა.

— თუ შენს ქალიშვილზე ამბობ, იგი ვერ შესძლებს იბერიის დედოფლობას. რადგან... — ენა დაება შემხედურს, მისმა სახემ დაასრულა თითქოს სათქმელი.

— ხომ არ მომიკლეს? — განწირული ხმით იკითხა ქალმა და თვალბად იქცა.

— თვითონ მოიწრაფა სიცოცხლე, ამ დღით თავის ნაწინავეზე ჩამოკიდებული იხილა პირისფარეშმა ციხეში...

— ვაი, შე უბედურს! — ამოიგმინა ეგრისის ქალბატონმა და ერთიანად მოეღრცა ზვიადი სახე. — დაიღუპა ყველაფერი, — ჩაილაპარაკა ძლივს გასაგონად და გულწასული მოესვენა ეტლის კიდზე.

ჭარის უფროსი და მოხუცი მეეტლე დიდხანს დასტრიალებდნენ თავს, ასულიერებდნენ ერთიანად გაციებულს. ძლივს გაახილა თვალი. როცა ეტლი ნელა დაიძრა და მის უკან მიმავალმა ჭარის უფროსმა ეგრისის გზას გახედა,

შეამჩნია, ცეცხლი ენთ ეგრისის დამცველ ბორცვზე. იწოდებოდა **ქალბატონი** **შენი** **ქალიშვილი**

* * *

მოლაღატეთა შეპყრობის მერე, აზონი სამი დღე არ გამოსულა სამეფო დარბაზიდან, არც ლუკმა გაუტეხია და არც თვალი მოუხუტავს. ნაბრძანები კჳონდა, სანამ იბერიელ მკითხვე ქალს არ მოიყვანენ, არავინ გახედოს ჩემს შეწყუბებო.

თავაწეული მიდიოდა უცნაური ქალი სასახლის დერეფანში, მთელი თავით მალალი, ზვიადან დაჰყურებდა თავის შემპყრობლებს.

მეფე ტახტზე დამჯდარი დახედა.

— ძლიერ ძვირი დამიჭდა შენი ხელმეორედ ხილვა. — გამოსცრა აზონმა კბილებში და კვლავ ვერ გაუსწორა თვალი ამ უცნაური ქალის მზერას. — სამი დღე იმაზე ვფიქრობდი, როგორი სასჯელი მომეგო შენთვის და მწითურისთვის, ბოლოს გადაწყვიტე: — შენ, ქართლოსიანთა უძველესი წესის მიხედვით, ძელზე გაგაკრა და ნელ-ნელა ჩამოგთალო ხორცი, კრილობაზე მარტილი დაგაყარო და მოგისმინო, როგორ მიჩვენებ იბერიის ტახტი დავტოვო და მწითურს ჩავუტეგო მმართველობა ხელში.

— ჩემი სასჯელის სისასტიკე ვერ შესცვლის შენს ბედს! — მტკიცედ სთქვა ქალმა, — მოგიწევს მაგ ტახტის დატოვება. ამჯერად იბერები შესძლებენ ამას.

აზონმა გაიციხა.

— ახლა საკუთარ ხალხს ეფერები, რადგან მწითურის აღზევების იმედი დაჰკარგე. არც იბერები გაპატიებენ ლალატს, არ დაგივიწყებენ, რომ ჩემი გადადგომა მათთვის კი არა, უცხო თესლის კაცის განსადიდებლად გასურდა. ამჯერად, შენს წინააღმდეგ ჩემს გვერდითაა შენი გვარ-ტომის ხალხი.

— დახაჯ მსურდა მწითურის განდიდება, რადგან ვიცი, კილიკე მალე გაგიუდებოდა, ხოლო შენი უმცროსი ვაჟი უდღეური იყო. მწითური კი უჩე-

მოდ ნაბიჯს ვერ გადადგამდა. იქნებ გამოვდგომოდი მერე მეც ჩემს ხალხს...

— თანამზრახველის მიმართ ერთგულებითაც ვერ დაიკვებნი. შენს ნახვამდე ვფიქრობდი, იქნებ არ იყოს დამნაშავე მწითლური, იქნებ ლენეს ღვარძლი და მტრობა ალაპარაკებდამეთქი. შენ კი ყოველივე დაადასტურე, იქნებ ისიც მართალია, რასაც სალაროთგამგებელი ამბობს: მწითლურმა ამთანის გამოგზავნილ კაცს დიდძალი ფული და ოქრო დასცინცლა და გადამალაო.

— არ უნდა გიკვირდეს ეს იმ კაცისგან, ვინც შენი განადგურება განიზრახა. ოღონდ სურვილი მეტი ჰქონდა მწითლურს ტახტის დაუფლებისა, ვიდრე შესაძლებლობა. მოუთმენელიც იყო და დაუფიქრებელიც. არ დამიჯერა და უდროოდ დროს მიბრძანა შენთან მოსვლა, მაშინ აღრე იყო და არც გასჭრა შენთან ჩემმა თათბირმა! — მშვიდად უპასუხა ქალმა.

— ახლა რაღას მიწინასწარმეტყველებ?

— ბედის განაჩენით საკუთარი გვარტომის კაცისგან გელოდებოდა განადგურება. ვიფიქრე, მწითლური იყო ის კაცი და მიტომაც დავებნარე. ახლა ვხედავ, რომ სწორად ამომიკითხავს შენი ბედი. შენი გვარტომის ყოველი განდიდებული, შენს მიერ იბერთა ბატონად დამსული ხელქვეითი შენი წინააღმდეგი ყოფილა. ახლა მათ სიკვდილი ელით. მემკვიდრეებიც პონტოელებმა მოგისპეს, ხოლო შენს მიერ ჩამოყვანილ ბერძნებსა და დაპყრობილ ქართლოსიანებს როგორც უყვარხარ, თავიდაც გრძნობ. მარტო დარჩე და განადგურდები კიდევ.

— ისე შემაბრალე ჩემი თავი, რომ ლამის ავტორდე, — გესლიანად გაიღიმა აზონმა, — ნუ ნაღვლობ, ჯარიც მრავალრიცხოვანი მყავს, ფულიც აურაცხელი და ტანმორთელობასაც არ ვუჩივი, ხოლო, რაც შეეხება პონტოელებს, სამი-ოთხი რეგენისთვის ყველას ნუ მოსთხოვ პასუხს, შეიბრალე! — ახლა ხმამაღლა გაიცინა აზონმა. —

საკუთარ თავზე და ვაუხე იფიქრე, უბედურო!

ქალს კვლავ არ დაუბრუნებია არც შესცვლია სახის იერი.

— განგების ნებას კაცის მონდომება ვერ შესცვლის. — მტკიცედ უპასუხა, — სიკვდილის ღვთაება გიდგას ზურგს უკან!

— მგვეთრად შეტრიალდა აზონი, თითქოს ღვთაების დანახვა სურდა. ჩუმად ჩაიცინა ქალმა.

— გაათრეთო! — იკვლა უცებ იბერიის ტახტის მპყრობელმა.

— ხელი არ მახლოთ, თვითონ წამოვალ! — მკაცრად გადახედა დამსჯელებს ქალმა და თავაწეული გაემართა გასასვლელისკენ.



მცირე სათათბირომ შეპყრობილებს სასიკვდილო განაჩენი და ოჯახიანად ამოწყვეტა მიუსაჯა. სპიანდრეს კუხეთის მიწები ჩამოართვა და საქურუმოს გასამკეცებელი გადასახადი დაადო, რადგან შეთქმულებაში მთავარი ქურუმის მონაწილეობის უშუალო კვალს ვერ მიაკვლია. ხოლო მერე სისხლს სისხლი მიუმატა და კვლავ გაიხსენა მივიწყებული ბრძანება, ყოველი მეათე ქართლოსიანის ჩამოხრჩობას რომ გულისხმობდა.

ლენე გაათავისუფლა და შეჰპირდა. — თუ კვლავ ასე ერთგულად მემსახურები და ჩემს მტრებს არ დაინდობ, ისე გაგამდიდრებ და აღვაზევებ, რომ ყოველ კაცს შეშურდეს შენით. ხოლო, როცა გაწეული სამსახურის სანაცვლოდ სათხოვრის შესრულებას დაჰპირდა, ჰბატუმა ეს უთხრა მხოლოდ: სამეფო ნაქრძალში ნადირობის ნება დამრთე. ძლიერ მომენატრა ჩემთვის ყველაზე სანუკვარი საქმე. შენი მონადირე ძაღლი და ჩემი გაწვრთნილი შევარდენი ერთ დღეში გამიქარვებენ მწითლურის მიერ მიყენებულ ტყვილებსო.

ახლალა მოაგონდა აზონს, რომ უკვე ერთი თვეა არ უნადირინა.

— ერთად ვინადიროთ! — მხარზე დაკრა ხელი ლენეს.

თავი დახარა ჰაბუტმა.

...ბედი გვწყალობს მეც და იბერიასაც, — გაიფიქრა თავჩალუნულმა, — თუ ძველებურად აზონმა ნადირობაში თავის მეწყველედ ამირჩია, აღონის დავალების შესრულება აღარ გამოჭირდება...

* * *

— რას აკეთებს? — შეეკითხა სპიანდრე დაწყველილი ტყიდან დაბრუნებულ ბიოსს.

— გეჟმა რა უნდა გააკეთოს, დარბის და იცინის...

— დღენიადაც აზონის დავალებაზე ვფიქრობ, ჩემი ვაფი მთვარის მთავარ ღვთაებას შესწორეო, რომ მიბრძანა. ისედაც ცუდი თვალთ მოყურებს პონტოელ შეთქმულთა დასჯის მერე. ხომ არ მცდის მეფე?

— გაიძვერა აზონი, არც შენზე ფიქრობდა, როცა მაგ საქმეს განდობდა, და არც კილიკეს სული ენადღვლებოდა, იბერების გულის მოგებას უფრო ესწრაფვის. ახლა მათი მხარდაჭერაც დასჭირდა, ავი სასახლეში ახალ მბრძანებლებად იბერი დიდგვაროვნები დანიშნა.

— ხალხს რომ სჯის უმოწყალოდ?

— ხალხი იმსახურებს კიდევ დასჯას. ვის უნდა მიანდო მსხვერპლის შესწორვა? მე ხომ არა?

— გული მეთანადრება. მიჭირს კაცის გაჭირვა, — ჩაილაპარაკა სპიანდრემ, — ნეტა რას უშლიდა მეფეს კილიკეს სიციცხლე, ყოფილიყო მისთვის დაწყველილი ტყეში, ზანდაზან საქმელს წაუღლებდი და ესაა... დედამისიც მეცოდება, იმედი აქვს, ჩემი ლოცვა უშველის მის ვაჟს. დიდი ღვთაების ღამეს როგორმე უნდა გავიტყუოთ ტაძრიდან აზონის პირველი ცოლი.

— ეჰ, ლეკას გული რომ არ გახეთქოდა ამ ხუთიოდ წლის წინ, იგი გვასწავლიდა ჰკუას. მაინც როგორ ეხერხებოდა ყველაფრის ღვთაების ნებად გა-

მოცხადება. არ ეშინოდა დაწყვეტის, ჩრისხვისა.

— არ სწამდა და იმიტომ!

— შენ კი გწამს?

სპიანდრემ უხერხულად მიაბრუნა თავი...

— არ გწამს. მე თუ მკითხავ, მართალიც ხარ. კაცის ბედს განაგებს მეფე და საკუთარი ჰკუა, სხვა არაფერი, — ბიო არხეინად ჩამოჯდა ქვის სკამზე.

— ღვთაება დაგსჯის თავხედობისთვის! — უთხრა სპიანდრემ ბიოსს, — ასეთი ლაპარაკი არ გეკადრება!

— შენთან ვამბობ. ისე კი, ჩემისთანა მორწმუნე სხვა რომელი გყავს? არავინ. შენი და შენი მეფის მიერ შეთხზულ სისულელებსაც. ისეთი მონღომებით ვასრულებ, რომ თვით ღვთაების მოკოქულს შემურდება. მართალი გითხრა, მე უკეთ დავხატავდი ახალ კერპს, ვიდრე თქვენ, მასში ძველი და ახალი, ბერძნული, ეგვიპტური, ინდური და იბერიული ისეა ერთმანეთში არეული, რომ კაცი თავგზას დასკარგავს.

— ასეა საქირო! თუ აღამიანი სიყვარულს ძლიერ ემონება, მისთვის იცოცხლებს კიდევ და იშრომებს თავდაუზოგავად.

— მამ აზონს ჩვენი ტაძრის იქით დამხმარე არც დასჭირვებია, ხალხიც კმაყოფილი ეყოლება და სალაროც აღვისილი. ასე რომ იყოს საქმე, საბრძობელებით არ აავსებდა ჰეყყანას.

— ტაძრის ჭარი მაინც ფხიზლად უნდა იყოს. არავინ იცის რას გვიპირებს მეფე.

— ამბობენ, შენი ყოფილი ცოლისმამა დაუახლოვებია ისევ. დიდი სამსახური გაუწევია ლენეს აზონისთვის, მოლაღატეებს სწორედ მან ახადა ნიღაბიო, გაიძახიან. ლენემ თუ შენთან ძველი მტრობა გაიხსენა?

— ორი ჰაბუტი მაახლა გუშინწინ, წიგნიც მიბოძა. მწერს: შენთან გასაყოფი რა უნდა მქონდეს, ორივენი აზონს ვემსახურებით და ჩვენი მტრო-

ბა მხოლოდ მეფის მოწინააღმდეგეებს გაახარებსო. იმის ნიშნად, რომ შენც ამ აზრისა ხარ, ეს კაბუტები კარგად მიიღე და შენი სიბრძნე შესწავლეო. ტაძრის გუმბათზე ისურვეს ცხოვრება, ნება დაერთო, თუმცა გამოიკვირდა; თუ ჩემი სიბრძნის შესწავლა უნდათ, რატომ ტაძარში, ჩემს გვერდით არ მოინდომეს ყოფნა-მეთქი?

ბიჩოს გაეცინა. განაწყენდა სპიანდრე, რადგან მიხვდა, რომ ბიჩო სწორედ მის სიბრძნეს დასცინოდა.

— მე რომ ლეკასავით ძლიერი ვიყო და მოწყალე გული არ მქონდეს, მოგკლავდი და შენს სიკვდილს ღვთაების ნებად გამოვაცხადებდი.

— სწორედაც ამიტომ არ მეშინია შენი და უფრო მეტადაც მიყვარხარ, ვიდრე ლეკა, თუმცა კი იგი უფრო გულუხვი იყო, ვიდრე შენ. რაც შეეხება ლენეს გამოგზავნილ კაცებს, მათ შენს მიერ შემოღებული ღამის ლოცვები და როკვები ვახილვინოთ და შენს სიბრძნესაც იოლად იწამებენ.

— უარი მითბრეს, შეფიცული გვაქვს ერთი წელი სიყვარულის სიტყვებითი არ დავტყბეთ, რადგან ცოდვა გვაწივს, ხარო შემოგვაკვდაო.

— მამ დარჩენილან უგუნურებად და ისაა. — გადაიხარხარა ბიჩომ.

სპიანდრეს ლენეს გამოგზავნილი კაცები არც აწუხებდნენ და არც სიბრძნის სასწავლად ეახლებოდნენ ხოლმე. ბიჩომ თქვა, მათი ყოფნით ტაძრის სანოვავეს ბევრი არაფერი აკლდება, რადგან ახალგაზრდობის მოუხედავად, მცირედით კმაყოფილდებიანო. ისიც დაუმატა, როგორც ჩანს, ისინი ვიღაცას ან რაღაცას ემალეებიან და დროებით თავი ტაძარს შეაფარესო. ხოლო, რადგან ლენემ მათი დახმარება ისურვა ჩვენც საქურუმოს სიბრძნის დასაუფლებლად გამოგზავნილებად მივიჩინოთ და გაგჩემდეთ. არავინ იცის ზვალ ლენე რა კაცი გახდება და რაში დაგვეჩრდებოა. ისიც სავარაუდებელია, ეს ბი-

ჭები აზონის ნებითაც იყვნენ მოსულნი, ამიტომ ნურაფერში ჩაქრულნი ვეშლით, როგორც უნდათ. — უცნაურად ერონ, რადგან არც თვითონ ჰყოფენ ცხვირს ჩვენს საქმეებშიო. ცოტა ხნის მერე მივიწყებს კდეც მათი არსებობა...

— ჩაეალ და ხალხში გავერვეცი. — მომართა უფლისციხელმა ბერმა არმაზს. — მომენატრა ხალხში ტრიალი და მისი ფუსფუსის შეგრძნება; აკი გეუბნებოდრი, საეროდ ვარ გაჩენილი და არა უმადლესის სამსახურისთვის-მეთქი.

— სწორედ ხალხი უნდა გიყვარდეს, რომ უმადლესის სამსახური შესძლო, — გაუღიმა არმაზმა და ტაძრის ფერდობზე შეფენილ მლოცველებს გადახედა. — ჩადი, ახლოდან უკეთესი დასაინახი იქნება უგუნური სპიანდრე, მის ქადაგებასაც უკეთ მოისმენ.

— განა სპიანდრეს საზეიმოდ ქადაგების მოსმენა არ გსურს თავიდაც? დაბალი ხმა შენამდე ვერც ამოაღწევს. — უთხრა უფლისციხელმა ბერმა.

— ვიცი რასაც იტყვის და მეცოდება უბედური.

— ღვთაების მგმობელს რა აქვს შესაკოდი? — გაუვიკრდა ბერს.

— უგუნურობით რომ დაისაჯა, იმიტომაც მებრალება. კარგს არაფერს უნდა ელოდეს განგებისგან...

— მთელი დღეა გიყის ხარხარი არ ისმის, ხომ არ მოუვიდა რაიმე, შენ როგორ ფიქრობ? — თითქმის კიბიდან მობრუნდა უფლისციხელი ბერი.

არმაზმა კვლავ გახედა მნათობს.

— კილიც დასჯილი იყო ღვთაების მიერ და სასჯელიც მოიხადა უკვე. ამაღამ გაათავისუფლებს მნათობი, რათა უმადლესი ღვთაების სამსახური შესძლოს მომავალში.

— პონტოელმა კაცმა ვით უნდა შესძლოს უმადლესი ღვთაების სამსახური?

— მხოლოდ მცირედ მორწმუნეს მიანიცა, რომ უმადლესი წარმოშობისა და



გვარტომობის მიხედვით ირჩევს მსახურს. იგი სულს სიწმინდისა და სიკეთის ნიჭის მიხედვით გამოარჩევს ადამიანს.

— მერე კილიყე?

— კილიყე ცოდვილია და შესაბრაალისი.

— მან მშვენიერებაზე აღმართა ხელი და განარისხა უმაღლესი. ასე ვარ მითხარი?

— მით უფრო ცოდვილია და მით უფრო შესაბრაალისი.

— მამ აზონი ცოდვილი და შესაბრაალისი ყოფილა, სად მოვა კილიყეს დანაშაული მამამისის ბოროტებასთან.

— შენვე უპასუხე შენს კითხვას. აზონი ბოროტების არდილია და ადამიანთა სისხლითა და ხორცით კვებავს უკეთურებას, ზრდის ბოროტებას, ამბერებს, ამკვიდრებს და იგი სამაგალითოდ დაისჯება კიდეც, ხოლო კილიყე საბრალოა. დაეხმაროთ, იქნება შესაძლოს ცოდვის გამოსყიდვა.

— შენ ამბობ რომ განსხვავებია ცოდვითა შორის? საპატიებლად და უპატიებლად იყოფა იგი? მაშინ შეცდომით, შეუგნებლობით ან სიბრყვიით ჩადენილი დანაშაული, რაგინდ მძიმეც არ უნდა იყოს, საპატიებელია ღვთაებისგან?

— პასუხი რომ ვაგეც, ახალ კითხვას გამოიწვევს შენგან, მართალი გითხრა, თავადაც კარგად ვერ გამიჩვენებია ეს განსხვავება. ერთს გეტყვი მხოლოდ, აზონი შემძლია დაესაჯო, ჩემი ნება თუ იქნება, ხოლო კილიყე მებრალება და რომ შემეძლოს, ცოდვასაც შევუმსუბუქებდი ჩემი თანადგომით. ასევე მებრალება ეს უგუნური სპიანდრე და ის ხალხიც, რომელმაც მისი სიბრყვე იწამა.

უფლისციხელი ბერის წასვლის შემდეგ არმაზი ტაძრის გუმბათის შვერილზე წამოწვა და მნათობის სვლას დაიკვირდა.

იციოდა არმაზმა ყოველი მოძრაობა მისი, ბრძნული, მარადიული კავშირი მზის ღვთიურ ცეცხლთან, მათი მოძრა-

ობის შემხვედრი და გადაწყვეტი ხაზების საიდუმლოების ახსნის მიზნით. მნიღ და კაცთა სადგომად განუცხადებლ მიწაზე, ამ საიდუმლო ხაზებისა და წერტილების ზემოქმედებაც. იციოდა ყოველივე ეს და უფრო მეტიც, ისიც იციოდა, რომ ყოველი სულდგმულისა და ადამიანის ბედი დაბადებამდე გადაწყვეტილი, განსაზღვრულია მისი ჩასახვის წუთიდანვე.

ყური მიუგდო ტაძრის ეზოდან ამოსულ ხმებს. იგრძნო ჩვეულებრივი მოყვადვის უმწეობა ამ სამყაროში და კვლავ სიბრაღულით აეცსო გული.

წამოდგა. შვერილის წვერთან მივიდა და მთვარის შუქით განათებულ ეზოს გადახედა. მუხის კენწეროს დასდგომოდა თავზე მნათობი... ტაძრის მთავარი შესასვლელის წინ ამაღლებულ მოედანზე სპიანდრე დალანდა. მნათობისკენ ხელაყრობილი.

— იბერთა უძველესო ღვთაებაც, მთოვარეც, შენ მოიღე მოწყალეობა და ნუ მოაკლებ ბედნიერებას შენზე მლოცველ ერს. დღე და ღამე განუყოფელია ერთმანეთისგან. მაგრამ დღე შრომისაა, ხოლო ღამე განცხრომისა...

არმაზის სმენამდე ნაწყვეტ-ნაწყვეტ აღწყვედა სპიანდრეს სიტყვები, მაგრამ გუმბათზე გადმომდგარი მიხვდა, რომ არც თვით მოქადაგეს და არც მის მსმენელ ხალხს ამ „სიბრძნისა“ არაფერი სწამდა. მკორე ხნის მერე შენიშნა კიდეც, როგორ ამოძრავდა და კვლავ აფუსფუსდა სპიანდრეს გამოჩენით ცოტა ხნით დაწყნარებული ხალხი. ერთხანს კიდე ისმოდა ქურტუმის ზმა და მოჩანდა მისი თეთრი ხელები მთვარის შუქზე.

არმაზმა მნათობს გახედა და დაინახა: მოღრუბლოდა სახე, ოქროსფერ დისკოს სილურჯე შერეოდა. სცილდებოდა ღვთაება საყუთარ ტაძარს. არმაზი ისევ ხალხისკენ შემობრუნდა და გაუკვირდა ეზოში ჩამოწოლილი სიჩუმე. სპიანდრეს გვერდით, ამაღლებულ მოედანზე ამჯერად კილიყეც შენიშნა.

— დიდი მნათობი იბერიის ტაძრის-

გან კაცის სისხლს ითხოვს, — გულში ისარივით გაუარა სპიანდრეს სიტყვებშია. — დაწყველილ ტყეში მნათობის დამიზნებელი და მისთვის შესაწირად გამორჩეული კაცი ცხოვრობდა რამდენიმე ხანს, იგი თვითონ გამომყვამცხეთიდან. მნათობი თუ კარნახობდა წმინდა გზას თავის რჩეულს...

— აზონის შვილი ვით შეიძლება წმინდა შესაწირი ვახდეს? — გაისმა ხალხიდან ძლიერი ხმა.

— იგი მთვარის დამიზნებელი კი არა, დამთხვეულია, რადგან დამთხვეულის თესლისგან შეიქმნა! — დაიძახა მეორემ.

— არ გაბედო ტაძარში ამ გიყის უწმინდური სისხლის დანთხევა. — წინ გამოვიდა თეთრწვერა მოხუცი, — ისედაც ბევრი სობინძურე დაუმკვიდრე იბერიელთა უწმინდეს ადგილზე, შენი ღამის ლოცვები და სულოერი ბოღვა დიდი ხანია აღსავეეთია, მაგრამ ვაგლახ, რომ იბერიას აღარც ვაქცაეებო და აღარც მორწმუნეები არა ჰყავს...

— როგორ ბედავ, სიტანას მოციქულო! — უმალ გაჩნდა ბიჩო მოხუცის გვერდით და ჯოხი აღმართა. მოხუცი მოქნეულ ჯოხს ჩაეკიდა და მასთან ერთად გაგორდა მიწაზე.

სულ ცოტა ხანში ტაძრის ქარი გარს შემოგრტყა ეზოს. გამხნეებულმა სპიანდრემ განაგრძო:

— სწორი სთქვა ამ გამოთავანებულმა ბებერმა, როცა ამ ადგილს უწმინდესი უწოდა. ამიტომაც დაუსჯელად ეტოვებ. ხოლო თუ ისევ ვაევიგონებ აზონის აუგს... შეხედეთ იმ მეომრებს, — გაიშვირა ხელი ქარისკაცებისკენ. — ისინი ღვთაების ბრძანებას ემორჩილებიან მხოლოდ და კარგ დღეს არ დააყრიან წესრიგის დამრღვევს.

— თუ მსხვერპლს კაცის სახით მოითხოვს ღვთაება, მე შემწირე, ოღონდ ეგ უწმინდური განაგდე აქედან. — წამოიწია მოხუცი და სპიანდრეს მოსასხამის კალთას წაეპოტინა.

სპიანდრემ ფეხი მოუქნია და, როცა მოხუცის აბლობლები მისკენ გამოქან-

დნენ, შემოიჭრნენ კიდეც. *ქრეფეს...* მორები მოძმეთა დასასჯელად. *დაიქმნა...*

შეიარაღებული, გაწვრთნილი ქარისკაცების შიშით, სალოცავად მოსული უიარალო ხალხი გაიტრუნა და სპიანდრემაც ბოლომდე ჩაათავა სათქმელი: ღვთაებამ იმიტომ აირჩია კილიყე წმინდა მსხვერპლად, რომ სურს აზონი და იბერია სისხლით დააკავშიროს ერთმანეთთან.

ბიჩოს ხელში მახვილი აელვარდა და გაისმა კიდეც გუმბათიდან არმაზის მკვეთრი ხმა:

— უგუნურნო, უმადლესის მგმობელნო, ვით ბედავთ, საკუთარ სურვილს ღვთაების ნებად რომ აცხადებთ. აზონის ავადმყოფი ვაჟი არც წმინდა მსხვერპლია და არც ღვთაების რჩეული, იგი ერთი უბედური, ცოდვიანი კაცია, რომელმაც ცოდვა ტანჯვით უნდა გამოისყიდოს. მასში გაწყალებულია მამამისის სისხლი და იგი უენებელია, ვითარცა მლილი.

გუმბათის შვერილზე გადმომდგარი არმაზი ღვთაების მოციქულს მიაგავდა აღნაგობით, ხმით და მეტყველებით. თავდაპირველად, როცა ლაპარაკი დაიწყო, მნათობი გვერდით ედგა და მისი სახე კარგად არც ჩანდა. ხოლო ცოტა ხნის მერე, როცა მთვარე მის ზურგს უკან მოექცა და თავზე წამოადგა, მლოცველ ერს აღტაცების ოხვრა აღმოხდა... ღვთაების გვირგვინი ასხივოსნებდა მოქადაგეს.

— ჩვენსკენაა ღვთაების თვალი, თავყვანი ეცით ღვთაების მოციქულს! — დაიძახა ახალგაზრდა კაცმა და წამში მთელი ეზო განერთა გუმბათზე აღმართულის წინ.

სპიანდრემ ერთხელ კიდეც აიხედა ზევით და შეშინებული დაეცა მიწაზე.

— დაიშაღენით! სანამ სპიანდრე თავის სულელურ ქადაგებას და სალოცავის შეურაცხყოფელ წესებს არ მოშლის, არც შესაწირი აძლიოთ და არც გაეკაროთ ამ ადგილს. მოვა დრო და კვლავ დამკვიდრდება სიწმინდე სალოცავში, ხოლო კილიყეს თავად წაეყვან.

მას სხვაზე მეტად მართებს ღვთაების სამსახური... ჯარისკაცებს კი ვეტყვი: უღრე დასარტყმელად მათრახს აიღებთ, ან განაგმირად მახვილს აღმართავთ, თვითუღლმა წამით გაიხსენეთ, რომ თქვენს წინაშე თქვენი გვარ-ტომი, თქვენნაირი აღამიანი დგას და მისი განსჯის უფლება მხოლოდ ღვთაებზეა აქვს.

სანამ ბიჩო გონს მოეგო და ავანჯალებული სპიანდრესკენ დაიხარა, სანამ უფროს ქურუმს შეასმინა, რომ ეს კაცი ღვთაების მოციქული კი არა, აზონის მტერი და თუ ხელიდან დაგვისბლტა, მეფე შზის სინათლეს არ გვანახებდსო, არმაზი უფლისციხელ ბერთან და კლიკესთან ერთად დაწყვედილ ტყეში გამოქვაბულისკენ გარბოდა.

სული რომ მოითქვეს, უფლისციხელმა კლიკეს გადახედა და არმაზს უთხრა: — მგონი მართლა მორჩა ეს უბედური, როგორც კი წაეჭურჩულე წამომყევი-მეთქი, იმ წამსვე წამოვიდა და თვითონ მასწავლა გზაც.

კლიკემ თავი ჩაჰკიდა და სპარსულად ჩაილაპარაკა: — არ ღირსვარ ღვთაების მოციქულის ყურადღებად, მაგრამ რადგან სიკვდილს გადამარჩინა, რომელსაც უკვე ვესწრაფვოდი და როგორც ღირსეულ სასჯელს, ისე მოველოდი, ალბათ ცოდვის სიმძიმის შესაფერის ტანჯვას მომივლენს კიდეც თუმც კი ძნელი ასატანია ჩემი სულისთვის ახალი ტკოვილი, მაგრამ მზადავარ, ღვთაების ნებას ღირსეულად შევხვდეთ.

— ბერად აღიკვეცე და განდგე კაცთაგან, ჩამოსცილდი ქვეყნის ტრიალს და საკუთარი ხელბით, სხვის დაუხმარებლად ალაშენე ღვთაების სამლოცველო, თუგინდ მკირე.

კლიკე არმაზის ფერხითი დავარდა და სიმწრით ატირდა.

— იბერთა წმინდა ქალწულის მიმართ მიმიძღვის ცოდვა, რადგან მშვენიერების დასაკუთრება მოვიწოდებ;

მომეცო უფლება, პატარა გორაკთან, საიდანაც პირველად ლამაზი მხედველი, სალოცავი ავაშენო და მასზე მსხვერპლმაში გამოვისუილო ჩემი ცოდვა.

თავი დაუქნია არმაზმა.

— მიწდვრის დედოფალი მოგონებაში გადავა მალე. — მიძიმე ჩაილაპარაკა და საცოდავად მობუზულ კლიკეს დახედა — იგი ჩვეულებრივ ქალად იქცევა და ისე მოემსახურება ქვეყანას, როგორც ქალს მოეზოვება. მის ძველ სამოყვებლში კი აღმართება მკირე საბლოცველო, რომელშიც მორწმუნეები მშვენიერებას დალოცვენ და შემოქმედს მადლს შესწირავენ მისი მოვლინებისთვის... აღაშენე ტაძარი. მხოლოდ სახელი შეიცვალე, რათა მამაშენს შენი კვალი დაუტარო.

— ივრისპირელი ბერი, აი რა გერქმევა შენ: ხოლო სახით ვერაინ გიცნობს, რადგან ამობენ ოცი წლით მაინცაა დაბერებული. თავის ასაკთან შედარებითო, — ჩაერთა ლაპარაკში უფლისციხელი ბერი, — ერთს მაინც გვითხაე, რაც არ მასვენებს და რის გაგებაც ძლიერ მწადია: მართლა არ ყოფილხარ ქეთიდან გადასული?

კლიკემ მწარედ ჩაიცინა.

— თავად განსაჯე: პირველად მაშინ გამეცინა საკუთარ სიბრძოვეზე, როცა მშვენიერებამ ზურგი შემაქცია და შეხედვის ღირსად არ გამხადა, ხოლო მერე, როცა ბოროტების მოციქულებმა ქვეწარმავლებმა — თავისიანად მიმიღეს და დამიზონეს; გუნებაში დავცინოდი ჩემს შიშსა და არარაობას. ბოლოს ღვთაებამ თავისი მოციქული გამოაგზავნა და დაიხსნა ხატი მშვენიერებისა, მე კი ერთი უბედური ავადყოფი შემომავცადა, სიმწრისგან გონება არეულს. როცა აზონის კაცებმა სასახლეში მომიყვანეს, სიცილი იმიტომ არ შემწყვიტე, რომ ჩემს ბედს დავცინოდი, მეფობა არ მსურდა და მაინც მისკენ მიმითრევდნენ... ხოლო, როცა მივხვდი, რომ მამაჩემისგან თავდასახსნელად მხოლოდ ჩემი სიცივე გამომადგებოდა, სიცილი ხარხარად ვაქციე... მე-

რე კი სიკვდილი მომესურვა, რადგან სიკოცხლემ ყოველი აზრი დაჰკარგა ჩემთვის და როცა სპიანდრემ შესაწირად წამომიყვანა, გამიხარდა... მეგონა ჩემს ტანჯვას ბოლო მოეღებოდა.

— შენ ძმავ, გიყვი კი არა ბრძენი ყოფილხარ! — გაოცდა უფლისციხელი ბერი, — როცა ყველაფერი ჩაწყნარდება და ქვეყანა თავისუფალი ცხოვრებით დაიწყებს აღორძინებას, აუცილებლად გეწვევი სალოცავში და მინდვრის ყვავილებსაც მოგართმევ ტაძრისთვის შემოსაწირად. — შენ კი, მართლაც ღვთის მოციქული უნდა იყო, როგორც ამან ვითხრა, — მიუბრუნდა უფლისციხელი ბერი არმაზს. — მიხარია, რომ შენს გვერდით რამდენიმე ხანი მაინც გავატარე, სწორედაც ჩამაფიქრა შენმა საქციელმაც და ადამიანის სიყვარულმა, რომელსაც სიბრალულს ეძახი, რატომღაც.

არმაზს გაეღიმა.

— თავდაც იცი, ალბათ, და მნათობმაც დაგვიდასტურა შენს მსმენელებს ეს ვარაუდი, როცა გვირგვინად დაგადგა თავზე. — დაასრულა ბერმა.

— მთვარე თავის უმაღლეს საბრძანებელში, თავის უმაღლეს მწვერვალზე აღის და გუმბათს უსწორდება დღესასწაულის ღამეს, ასეა მუდამ. — წარმოსთქვა არმაზმა მშვიდად.

იმ ღამეს კილიკე და არმაზი ერთად დაადგნენ მთიულეთისკენ მიმავალ გზას.

• • •

აზონმა რომ მთვარის მთავარ ტაძარში მომხდარი ამბავი გაიგო, ძლიერ გაუწყრა სპიანდრეს, როგორ ვერ შეიპყარი და ხელიდან გაუშვი თავებდებო. მერე ლენე დაიბარა და გამოჰკითხა, ვინ გაუგზავნე ქურუმთუხუცესსო. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა კუბთა ახალგაზრდა მთავარმა: — მტრები არ მასვენებენ, ჩემი ბედი შურთ და ჩემს სახელს ლაფში სვრიან, რათა შენ გამიბრახდე და დამამდაბლო... ან კი რატომ უჭერებ სპიანდრეს, ხომ იცი ჩემი ძველი მტერია, კუხეთის ხელში ჩაგდება-

ზე ოცნებობს... ზოლო ისე უჭყნე კლდეკეს მეგობრები იქნებოჯნენ: იქნებოჯნენ ისეე წააბრძანეს შენი შველი დროს სატარებლად პონტოში...

აზონი დაფიქრდა. ჰკუთაში დაუჯდა ლენეს ნათქვამი: — კილიკე დროებით გამოსულა დამთხვეულობისგან, როგორც ათენელი ექიმი ამბობდა, და თავისთვის უშველია, ან დედამისი დახმარებია ამ საქმეშიო...

სპიანდრე სამი თვით სასახლის საპყრობილეში ჩააგდო ზოლო ტაძრის ყურისგდება ბიჩოს დაავალა, თანაც უთხრა, თანდათან შეამკირე საქმიანობა ტაძარში, რადგან ეტყობა, დიდი კერპები გაგვინაწყენდნენ, პირველობა და უმთავრესობა მათ რომ არ ვარგუნეთო.

თავის პირველ ცოლს კი ბიჩოს ზელით ფული გაუგზავნა და უბრძანა, სამშობლოში დაბრუნდი და იბერიისკენ მომავალი გზა დაივიწყეო. ზოლო კილიკე საქვეყნოდ უარყო და შვილობის უფლებაც ჩამოართვა. ბრძანა: მწყურვალე რომ ნახოთ — წყალი არ დააღვენოთ, შიშველი რომ ნახოთ — სხეულის დასაფარად ნაგლეჯიც კი არ მისცეთ, ავადმყოფს, — წამალი არ მიიწოდოთ, გარდაცვლილს, — მიწა არ მიიყაროთო; თუ გავიგე ჩემი ბრძანება ვინმემ დაარღვია, განუსჯელად დავწვავ კოცონზე და ფერფლს ცხოველთა განავალზე გადავყრიო...

• • •

ანტიოქიაში გასამგზავრებლად გამზადებულ ადონს და არმაზს ჩიტრინე ეწვია.

ფრიად გაუკვირდა და გაუხარდა ადონს ქალის დანახვა, რადგან დიდად არ სჯეროდა, რომ ჩიტრინე ქვესყენელში გამოეკეტვას გაუძლებდა, ფიქრობდა, ცოცხლად დაიბარხა თავი ჩიტრინემ, დაილუბება მიწაში ცოცხლად ჩამარხულიო.

— უზენაესმა სამშობლოში დაბრუნება და თავისი თავდაპირველი განაჩენის აღსრულება მომთხოვა. ვერ წა-

ვედი შენს უნახავად. თანაც დუღეს სულმა დამავალა, რომ ფარნავაზისთვის გადამეცა, იბერიაში დაბრუნებულმა დედა გვერდიდან ამ მოციკლოსო. შენ გაბარებ დუღეს სურვილს. მე კი გზად აშთამსაც ვნახავ და საბოლოოდ დავტოვებ იბერიასა და კოლხეთს.

ყუთხეში ფუთასთან დაბრუნდნის მიუახლოვდა და ზურგზე გადაუსვა ხელი: — გახსოვდეს, სიყვარულის ღვთაება ყველაზე ძლიერია და ამით ინდოელთა რწმენა — უკვდავი ყოველივე ამოა გამოდგა ჩემი შენდამი სიყვარულის წინაშე. განდიდებაც, ფუფუნებაც, განდგომაც და მოწამეობაც, დუღეს სულმაც იგივე დამიდასტურა. შენს გამო ვერ ვიყვარებ ვერც დედოფლად და ვერც განდეგილად.

აღონს თავი არ აუწევია, რადგან თვალზე მომდგარი ცრემლებიანა შერცხვა. დაბინდულმა მზერამ მაინც გაარჩია აღდეს ხატება, ქოხის კედელზე წამით გაელეებულა.

— ტყუილად ეძებდი ფულს ჩემთვის მოსაცემად, — გაავრძელა ჩიტრინემ. აზონმა უხვად დამასაჩუქრა ამჟერად, სასახლეში დარჩენაც მთხოვა და, რომ არ დავეთანხმე, გზა დამილოცა. — მალე მომიღებენ იბერები ბოლოსო, — შემომჩივლა და მთხოვა, მის მაგიერ მდიდრული შესაწირი მიმერთმია ჩემი ღმერთისათვის. დაგვირდი და შევესრულებ კიდევ დანაპირებს, თუმცა ვიცი, არაფერი უშველის ღვთის დაწყევლას.

აღონმა მასთან ერთად გამგზავრება შესთავაზა ჩიტრინეს, სურდა კოლხეთამდე მაინც ყოფილიყო ძველი მეგობარი მის გვერდით.

— გახსოვს, რომ გითხარი, შენი სიტყვა ჩემთვის კანონი იქნება მუდამ-მეთქი? — გაუღიმა ჩიტრინემ და გაქალარაგებულ თმებზე ხელი გადაისვა, — ჩემი დაპირების სანაცვლოდ აზონმა საიდუმლო გამანდო: რადგან ბერძნების ძველი გვარდია დამიბერდა და ჭარი შემისუსტდა, მითრიდატეს დიდძალ თანხას ვუგზავნი, რათა ერთი თვის მე-

რე ორმოციათსაცაინი ქარი გამოიწიოს და იბერიაში სამუდამოდ ჩაიკეციოს გამოგზავნოსო. ბევრი ჭარისკაცი ნახიდი იქნება მონათა ბაზარში, ხოლო ბევრიც პონტოელიო... ეს საქმე შენს ძველ მეგობარს აშთანს მივანდე, რადგან თავი გამოიჩინა მომჭირნობითაც და ჩემი ერთგულებითაცო. აშთანისთვის ჩაუბარებია მთელი მისი საქონელიც. საკვირველი კაცია სწორედ, ვით ენდო აშთანს?

— სწორდაც ღვთაების გამოგზავნული ხარ იბერთა მიწაზე, — უთხრა ქალს აღონმა, — აზონის კარზე მყოფმა ჩვენმა კაცებმაც კი ვერ მოახებრებს იმის გაგება, რაც ახლა მითხარი. აშთანი რატომღაც დაიკარგა ამ ბოლო დროს, ორგულობას ვერ დავაბრალებ, თუმცა კი იმის შეუტყობელობა, რაც ახლა მოვისმინე, ლალატია და სხვა არაფერი!

— წინასწარ ნუ გასწირავ მეგობარს! — დიჩად წარმოსთქვა ჩიტრინემ, არავინ იცის, რატომ დუმს აშთანი.

— თუცე ახალი საფიქრალი გამოჩინე, მაინც დიდად მაღლობელი ვარ შენი, წასვლის წინაც რომ გაუწიე სამსახური ჩემს ქვეყანასა და ხალხს.

აღონი მუხლებზე დაეცა და ჩიტრინეს კაბის კალთას ემთხვია მოწიწებით.

* * *

ოცდახუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აღონმა, თავის ბერძენ მოძღვართან ერთად, ასურასტანში იმოგზაურა. აქაურ ზნეჩვეულებებს გაეცნო, სალოცავები მოინახულა და ანტიოქიის ყველაზე უხუცეს ადამიანთან ისაუბრა. უხუცესი თავს უბრძნესადაც თვლიდა, რადგან უძველესი სალოცავის საიდუმლოებებს ჰფლობდა.

მაშინ აღონი, როგორც შეგირდი სალოცავის სვეტებიან დარბაზში დასტოვეს და მხოლოდ არისტოფანე გაიყოლეს ჩაბნელებულ დერეფანში იღუმელი ადგილის მოსახილველად.

აღონმა მთელი ღამე მოსაცდელში, იატაკზე მწოლარემ გაატარა და დილით, როცა უძილობისგან თვალეზდა-

წითლებული არისტოფანე უხუცესთან ერთად იზილა, მიხვდა, რომ იმას, რაც იმ ღამით გაიგო მისმა მოძღვარმა, მისგან ვერასოდეს მოისმენდა.

— დიდი ხნის მერე ხელმეორედ მოხვალ ამ ტაძარში და, თუ უზენაესმა ინება, იხილავ იმას, რაც შენმა მოძღვარმა ნახა! — თითქოს მიუხვდა ფიჭვს უხუცესი.

და აი ახლა, არმაზთან ერთად ანტიოქიის უძველესი სალოცავისკენ მიმავალს, თვალწინ დაუდგა დაფიწყებული სახეები, სურათები და უჩვეულო მოლოდინს დამორჩილებული მიაბიჭებდა სიბრძნისა და რწმენის უძველეს მიწაზე.

ასურასტანის სატაბტო ქალაქი, რომელმაც ამ მეოთხედი საუკუნის წინ აღონი თავისი განუმეორებელი აღმოსავლური იერით მოხიბლა, ახლა ბერძნულია და ბაბილონურის უხეირო ნარევს წარმოადგენდა. მკაცრი, მიწაზე მკვიდრად განთხმული ყრუკედლებიანი საცხოვრებელი სახლების, პირქუში, გრანდიოზული ქვის სალოცავების გვერდით ჰაეროვანი თეთრი სვეტებითა და ქანდაკებებით დამშვენებული ტაძრები და ორსართულიანი აივნაიანი სახლები იდგა. ქუჩაც მოფუსფუსე და ხმაურიანი გამოხდარიყო. ამაყად დააბიჭებდნენ მკვედონელისდროინდელ მოკლე კვართებში გამოწყობილი ჯარისკაცები და მაღალი ვარცხნილობით ყელმოღერებული, მკერდმოღებული ქიტონებში გამოწყობილი ბერძენი მანდილოსნები. აქაიქ სპარსი ქალებიც გამოჩნდებოდნენ, მორიდებით გზას რომ უთმობდნენ მამაკაცებს. ქალაქის მკვიდრნი, რომლებსაც ძველებური ცხოვრება ვერ დაეუწყებინათ და სელევკის მიერ შემოტანილ ბერძნულ ყაიდაზე გადასვლაც ჭერჭერობით ვერ მოეხერხებიათ, აქაურობის მეპატრონეებს კი არა, სტუმრებს უფრო ჰგვანდნენ. ბერძნული ენა, ბერძნული ფული, ბერძნული აზრი და სული ძალუმად ტრიალებდა ირგვლივ.

— გამარჯვებული დამპყრობელი დაუნდობელია, — მიუბრუნდა აღონი მის

გვერდით მიმავალ არმაზს. — უხუცესი გუშინდელი კულტურა შენს ხელში აღმსრულებელი და უკეთესი ჰგონია, თუგინდ შენგანაც ჰქონდეს ნასესხები, ხოლო გუშინ შეძენილი ცოდნა — შენს უძველეს სიბრძნეზე აღმატებული. თვითდაჯერებულიცაა, რადგან ფიჭვობს, დიდ სამსახურს გიწვევს იმით, რომ თავის ენაზე გალაპარაკებს და გააზროვნებს, იმასაც გამადლოს გულში, რომ თავის ღმერთებზე გალოცვინებს და მათთვის შესაწირს მიგატანინებს. ბერძენმა უძველესი ხალხებისგან გაიგეს სამყაროს წყობა და ვარსკვლავთა ენა, ეგვიპტურ სიბრძნესაც დაუფლნენ, სპარსი მოგვეების წინასწარხედვა, ლევიტელთა ლოცვები გადაამუშავეს და ისე შექმნეს დღევანდელი ბერძნული კულტურა. ახლა სწორედ თავის მიერ გაძარცვულ ხალხებს დაეპატრონენ და დაივიწყეს კიდევ, რომ დიდია დაპყრობილთა წილი ბერძენთა დღევანდელ აღორძინებაში.

— რჩეულ ხალხს ძალუმს სწორედ ასეთი რამ, — უპასუხა არმაზმა და აფროდიტეს ტაძრის წინ შეჩერდა, — განა არ არის ეს ტაძარი მაღალი აზრის ზეიმი? აღამიანის ნიჭის გამარჯვება? თავისუფალი, ლეთებასთან მიახლოებული კაცის შესაძლებლობათა დასტურია? ალბათ. მისი ათენური ორიგინალი ბევრად უკეთესია ამაზე. შენგან მისწავლია, მშვენიერების შემეცნებისა და მისი ამეტყველების ნიჭი, რითაც ბერძნები სხვა ხალხებზე აღმატებულნი არიან, მათ უკვდავთა შორის მიუჩენს ადგილსო!

— სწორედ ასეა. ხოლო მიზეზი ბერძენების აღორძინებისა ხალხის სულიერი სწრაფვის მთლიანობაშია! — დინჯად მიუგო აღონმა.

— კიდევ აღამიანის თავისუფლებაში. მარტო წარსულზე მიჯაჭვული ხალხი, რარიგ დიდ სიბრძნესაც არ უნდა ფლობდეს, ღარიბია, ტყვეა თავისი წარსულისა და სამყაროს მრავალფეროვნების დღევანდელ ხედვას ვერ ურიგდება. ხოლო სიახლე აუცილებელია უმა-

ლესთან მიხლოების გზაზე. ეს სიბრძნე შენგან ვიცი. სწორედ შემოქმედების ნიჭისთვის მიყვარს ადამიანი და მენანება იგი, რადგან გამოცდა, რომელიც სულსა და ზორცის ჭიდილში მდგომარეობს, მას უდიდესი შესაძლებლობების გამოვლინების საშუალებას უსპობს ხშირად. ჩადენილი ცოდვა მის არსებას თრგუნავს და მონობისაგან უბიძგებს... ხოლო ცოდვად ითვლება მოკვდავისთვის აუცილებელი ცხოვრების წესი, თუ კი ადამიანს ხორცი მიანიჭა უმაღლესმა, კიდევ უნდა მიიღოს მისი ხორციელიც ისევე, როგორც სულიერს იღებს.

— შენ დაგვიწყდა, რომ უმაღლესი თავის რჩეულებს ამალეების უფლებას აძლევს! — უპასუხა ადონმა.

— და ეს ზდება დიდი ტანჯვისა და ტკივილის ხარჯზე.

— სწორია. ტანჯვა და ტკივილი აეთილშობილებს მოკვდავს, მასში არსებული სიკეთის გამოვლინებას უწყობს ხელს.

— მე კი მიმაჩნია, თუ ადამიანები ერთმანეთს ცოდვის ტკივილს შეუშუბუჭებენ, მეტს მიადწევენ კაცი!

— ეით შეიძლება ერთის ცოდვა მეორემ იტვირთოს?

— იქნებ არასწორად გვესმის მალალი ღვთაებისა, იქნებ ზოგანი კი არა, საერთოდ ადამიანი გამოარჩია მან და თავისი უბრძნესი აზრის აღმსრულებლად მოაქვინა? ხოლო თუ ბოროტება არ დაუპირისპირდა, სიკეთეც ვერ წარმოჩინდება სრულად... იქნებ ცოდვილიანი კაცოც ისევე სჭირდება უმაღლესს, როგორც უცოდველი? თუმცა კი, არ არსებობს უცოდველი კაცი! შენზე ბრძენი და ზორცის უარყოფელი მხოლოდ განდევლი თუ მინახავს, რომლის ფრფლი გულიდან არ მოგიცილებია, განა უცოდველები იყავით რომელიმე? შენ იცი, რომ ბრძოლა მოგველის იბერებს და ბევრიც დაიღუპება ამ ბრძოლაში, ბევრი სიცოცხლე მოისპობა და ბევრი სოფელი და ქალაქი განადგურდება. განა ცოდვა არ არის სურ-

ვილი კაცთა მოკვდინებისა? ხოლო განდევნილობა განა ცოდვაა? არა, როცა დიდი ადონის დახმარებით იბერთა შთავაჩტადროში არმოვიდა? ამქუარის გამო მოხდა სწორედ საქურუმოს დღევანდელი დაცემა და მის კედლებში ღვთაების შეურაცხყოფელი წესების დამკვიდრება.

ადონი დაფიქრებული მიპყვებოდა არმაზს გვერდით და უკვირდა, რომ კიდევაც ეთანხმებოდა გაზრდილს, თუმც მთელი ცხოვრება საწინააღმდეგოს ამტყიცებდა და ნერგავდა.

— ადამიანს დახმარება უნდა, რადგან ამქვეყნიური ცოდვა და საიქიოს შიში მას თავისუფლებას ართმევს... უმაღლესი ღვთაება თვითონ სიკეთეა, ხოლო სიკეთის თესლი, რომელიც კაცის არსებაშია ჩადებული, შიშით ვერ გაღვივდება, მას სათუთი მოპყრობა უნდა. თუ აუცილებელია ცოდვა და მისთვის ღვთიური სასჯელი, ვთხოვ უმაღლესს, იბერთა ცოდვა ჩემს მხრებზე გადაიტანოს, რათა ქართლოსიანთა ნიჭმა და სიკეთის თესლმაც გაიხაროს, როგორც ეკუთვნის. ამიტომაც ბაბილონთა და მათ წინაპარ შემერთა მიწაზე განემარტოვდები ჩამდენიმე ხანს, დიდი დედის უბეში დავიდებ ბინას, ვიცი, არ დამიშლის უმაღლესი, მოძმეთ ცოდვა შეეუშუბუჭო!

მალალი, თხელი მკერდგანიერი, ამაყ კისერთან დაცემული წაბლისფერი თმებით, სახის მკვეთრად ჩამოთლილი, სწორი ნაკვთებითა და ფართე ლაყვარდისფერი, ანთებული თვალებით არმაზი თვითონ იყო ღვთაების ხატი, რომელსაც თავზე სიკეთის შარავანდი ადგა.

— დედის უბეში მხოლოდ მოწიფულობის მერე შეიძლება განმარტოება, — ჩაილაპარაკა ადონმა. ასე ცხადად არასოდეს უგრძობნია არმაზთან მოსალოდნელი განშორების სიმწარე.

* * *

მღვიმემდე ციკაბო კლდეზე გამოჭრილი საცალფეხო კიბე ჩადიოდა.



ადონმა არმაზი უკან მოიტოვა და პირველი დაუყვა ჩასასვლელს. ფრთხილად ჩადიოდა, დაბლა არ იხედებოდა, ისე, როგორც დედათაქურუმმა დაარჩია, მხოლოდ კიბის მომდევნო საფეხურს დაჰყურებდა და ნელა მიიწევდა წინ, თან არმაზის მოძრაობას უღარაჯებდა.

ქვემოდან წყლის ხმაური შემოესმა. ალბათ მდინარე გადის ამ კლდის ქვეშო. — გაიფიქრა და კიდევ დააბოჯა ფეხი მიწას. ტანზე შემოხვეული ნესტი უსიამოდ მიიწევდა სხეულის სიღრმეში. გააერყოლა. არმაზისკენ მოსახმარებლად გაიწვინა ხელი და, როცა თავისი გაზოდროს თითების სითბო შეიგრძნო, დაშვიდდა სრულიად.

— 999 კიბე ჩამოვიარეთ, — წაიჩუჩულმა არმაზმა. — დავთვალე, მიწის სიღრმე წარმოსადგენად უფრო იოლი ყოფილა, ვიდრე სანახავად. ასე მგონია, გარდაცვლილთა სამეფოში მივდივარ სტუმრად. არ გამიყვირდება, აქ რომ კახთა ერისმთავარი შემოგვხვდეს და თავისი შვილოშვილის გამეფება მოგთხოვოს იბერიისში, ბოლო მერე განაწყენებულმა, თავისთან დაგტოვოს, უარის სანაგვიროდ.

— შენ კი აქ გინდოდა განმარტოება, — უპასუხა ადონმა — დაუფიქრებლად ნათქვამი სიტყვა აღარ შეგფერის უკვე.

— მე მტკიცედ მიწამს, რომ თვითონ დამტოვებს დიდი დედა თავის ახლოს, საიდუმლოსაც მაზიარებს, თავისიანად მიმიღებს და გამაძლებინებს კიდევ, რადგან ჩემი მიზანი ცნობილია მისთვის.

კაცის ყურისთვის უჩვეულო ბუტბუტი გაისმა უცებ, რომელიც თანდათან გუგუნიში გადაიზარდა. მღვიმეში ჩამოსულბმა იგრძნეს, როგორ შეტორტმანდა მიწა მათ ფეხქვეშ და ერთმანეთზე შიშით მიკრულბმა, სხვა ვერაფერი მოიფიქრეს, ისეე მიწას ჩაეჭიდნენ საშველად. რამდენიმე წუთის ბორკავდა ქვესკნელი, და მასთან ერთად ირწყინდნენ მისი სტუმრები, მერე მკვეთრმა სინათლემ გაჰკვეთა უკუნი და გაანათა მღვიმე. მიწა დაწყნარ-

და და დადგა, ბოლო სტუმრებში ერთო თუმც კი ცაცხვნიცლიწმწმწმ მოედანი მართკუთხედის ფორმისა იყო და უზუსტეს სწორ კუთხეებს ჰქმნიდა კლდეთა შეერთებასთან. ამ ადგილისთვის უცნაური სახილველი იყო მღვიმის იატაკი, ანუ ფხვიერი და შავი მიწა, რომლის მკერდზე მწვანე ბალახ ბიბინებდა და რამდენიმე უცხო ყვავილი ყვავოდა. არმაზი ყვავილისკენ დაიხარა და მღვიმის მარცხენა კლდის ძირში შეამჩნია გველივით გაწოლილი შავი ნაპრალი. გადაიხედა... შორს, სიღრმეში დანთებული მოგზავიზე ციცხლი წითელ ენებად მოიწრაფოდა მოსკენ. უღამაზესი სანახავი იყო ეს სასწაულებრივი ნათება, იგი იზიდავდა. თავისკენ ეძახდა მნახველს... გადაიწია არმაზი და იგრძნო, როგორ დასწია უკან ადონის ძლიერმა ხელმა.

ოდნავ გაფერმკრთალბებულმა სინათლემ ისეე იმძლავრა და უცებ გაფართოვდა ნაპრალის შავი ზოლი, ნელ-ნელა დასცილდა მღვიმეს კედელი, რომლის გასწვრივ ახლა მოვარდისფრო ფერფლი მოძრაობდა.

ვერც ერთი ვერ იტყოდა, თუ რამდენხანს გაგრძელდა ნათება და ეს საიდუმლო გუგუნი... თანდათან სინათლემ იკლო და მღვიმეს დაცილებული კედელი თავის პირვანდელ ადგილს დაუბრუნდა. როცა კვლავ უკუენთი ჩამოვდა და უჩვეულო ხმაე წყლის შხუილში გადაიზარდა, მღვიმეში სინათლის ალმა გაუბნდავად შემოანათა და ქალი შემოვიდა.

— კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა დიდი დედის უბეში! — თქვა ქალმა და სტუმრებს სთხოვა, გამოიყვიროთ.

ადონმა იცნო ეს ხმაე და ქალიც.

— ალღე! — წამოიძახა.

ქალი შედგა.

— ნუთუ კვლავ ეძებს ეს ბრძენკაცი თავის დაკარგულ ტოლ-სწორს? — იკითხა ისე, რომ უკან არც მოუხედავს.

— ეძებს — დაუდასტურა ადონმა ათრთოლებული ხმით, — ეძებს, რადგან ვერ მოიცილა მისი ხატება.

— იქნებ ქალმა არ მიატოვა იგი და სამუდამოდ მასში ჩასახლდა, — კვლავ არ მობრუნებულა, სანთლიანი ხელი ასწია თავსზემოთ, — მაგრამ ვინც შენში დარჩა, ის ძველს აღარ ჰგავს. — ...ქალბა ნაწნავი კეფაზე მოეხვია ვერცხლისფერ რგოლად. თავს ზემოთ აწმრთულ მკლავსაც დაჰკარგოდა ბრინჯაოს ფერი და სიყვითლეში გადასქმნილი, ასაკის დაუნდობელ ხაზებს დაეუსერა უმოწყალოდ.

გული ეტყინა ადონს. ხმა ვერ ამოიღო და იწანა, რატომ მივამსგავსე ეს ქალი აღდგსო.

— უძლეური ყოფილა ადამიანის გრძობა, თუგინდ ისეთის, როგორიც შენ ხარ! — თქვა ქალმა და ოთახში შეუთღვა სტუმრებს.

ტატი, სკამი, მაგიდა და კედელზე ჩამოკიდებული თარო. ყველაფერი ნაცნობი და ახლობელი იყო აქ ადონისათვის...

— გვერდით ოთახში სამლოცველოა, რომელშიც შენ და ეს ყმაწვილი გაჩერდებით რამდენიმე ხანს! — თქვა ქალმა და თაროდან ჯამი აიღო, პატარა შეშის ბოთლიდან რამდენიმე წვეთი ჩაასხა და ადონს მზაწოდა. დაუფიქრებლად დალია ადონმა სითხე და იგრძნო, როგორ გაუთბა სხეული, როგორ დაეწმინდა გონება და როგორ დაუბრუნდა დაკარგული სიმზნევე.

— ახალგაზრდას არ სჭირდება ეს სითხე, რადგან იგი სტუმრად არ მოსულა დედის უბეში. დასარჩენად მოვიდა და დარჩება კიდევ! — შემობრუნდა და არმაზისკენ გაემართა. დაკვირვებით დააკვირდა მის სახეს და, როცა მარჯვენა ყურის გასწვრივ შავი ნიშანი შეამჩნია, გაიღიმა:

— ამ ნიშანმა მოიყვანა იგი დედასთან. — დაუმატა და გაკვირვებულ ადონს თითქოს მოაგონა მომცრო თეთრი სამლოცველო ზღვის შუაგულში და შექცია...

— ღვთაებისთვის განკუთვნილი მუდამ მისკენ ისწრაფვის... გარდუვალია უმაღლესი ნება.

— ალდე! — კვლავ უნებურად წა-

რმოსთქვა საფიქარი სხეული აღწნა.

— ალდე აღარ არტყის უფლის უბის საიდუმლოთა მცოდნე მკვლევარ-თხველი ქურუმი ქალი. იგი ახლა შენს წინ დგას და ხედავს, რომ ძლიერ ბევრი ტანჯვა და ტკივილი გადახდენია ამ კაცს, ბევრი ფიქრით და საზრუნავით დაუძიმებია ცხოვრების გზა, გადაუხვევია საკუთარი სავალიდან სხვის სასარგებლოდ და თავისი სულისა და გონების საზიანოდ. გარეგნულადაც მოტეხილა, მხრები დამიძიმებია და მუხლიც აღარ უჭრის ძველებურად. ღვთაებრივის წინ ცხოვრების სიბრძნე დაუყენებია და იმედი აქვს, მის მიერ დაკარგულ მიზანს მისი გაზრდილი იპოვის და აღასრულებს.

არმაზი ერთხანს გაოცებული შესუქროდა ამ საოცარ ქალს და მერე წყნარად გავიდა სამლოცველოში.

— შენ ყოველთვის უშეცდომოდ გრძნობდი ჩემი ფიქრების მსგელოებას და სულის მოძრაობას, — თქვა ადონმა და უცებ იგრძნო, როგორ შეეხო მის მხრებს მტრედის ფრთასავით მსუბუქი ხელი. კვლავ სწვადნენ მისი თვალები, კვლავ იზიდავდა მისი ბრინჯაოსფერი სხეული და ცეცხლისფერი თიბედი... არა, ალდე არ შეცვლილა, იგი ისეთივეა, როგორიც იყო... იგი ისევ ის დაკარგული ნაწილია მისი, რომლისკენაც მიისწრაფვოდა და მიისწრაფვოდა, რაც თავი ახსოვს...

— შენ არ შეცვლილხარ, შენ ისეთივე ხარ, ალდე! — ვერ იცნო საკუთარი ხმა.

ცრემლი ნელა მოიკვლევდა გზას ნაკლებს შორის. დასტიროდა ადონის საოცნებო ალდე თავის დაკარგულ ყმაწვილქალობას, სილამაზეს და სიყვარულს.

ისევ უცნაურმა, ამადლებულმა განცდამ მიბაცილა ადონი ძილის საუფლომდე.

მეორე დღით აღარ იყო ალდე. იყო მაღალი, ტანსრული ქურუმი ქალი, რომელსაც შეეძლო დიდი დედის ყოველი საიდუმლო მოძრაობის ახსნა.

* * *

შეუმჩნევლად გავიდა დრო. ბევრი ახალი და გაუგებარი შეცნობილი და გასაგები გახდა აღონისთვის. შემერთა უძველეს ფორფიტებზე სამყაროს წყობის პირველყოფილი ცოდნა შემოეგება და სრულიად ახლებურად შეხედა იბერთა ისტორიასა და რწმენას. ბევრი საერთო აღმოჩნდა ამ ორი ხალხის კულტურაში, ენასა და ყოფაცხოვრებაში. გაახსენდა განდევილი და მისი წიგნი. მასში დარჩენილი, აუხსნელი წლები და საუკუნეები და გაეხარდა, რომ მიზანი კვლავ წარმოჩინდა მის წინაშე. იბერიის გათავისუფლების მერე, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ისტორიის უცნობი ფურცლების შევსებას, იბერთა უძველესი რწმენის გაცოცხლებას მოანდომებს თავის ცხოვრებას, ხოლო დიდი კოლხის სიბრძნეს ფარნავაზი და არმაზი გადასცემენ ქართლოსიანებს, ფარნავაზივე დაამკვიდრებს მშობლიურ ენას ქვეყანაში და ის იქნება ერთადერთი სალაპარაკო და საგანმგებლო ენა გამარჯვებული იბერიისა.

* * *

საშუალო ტანის, თეთრგვრემანი, შეახანს მიტანებული ქალი ყოველ დილას და საღამოს მიპყვებოდა მღვიმის დასავლეთის კედელს ქვესკნელისაკენ და დედის უბისთვის შესაწირი მიჰქონდა, რათა ცეცხლს მარად ეგვიზიზა და ძალა არ მოკლებოდა.

სოხოვა არმაზმა: — მსურს ღვთაებრივი ცეცხლის ახლოდან ხილვა და შენთან ერთად წამიყვანე, რათა უფრო ცხადად შევიგრძნო მისი ცხოველი სიმშვენიერო. გაუღიმა მსხვერპლის მიმწოდებელმა, — დრო მოვა და მაგ სურვილსაც აისრულებ, მანამ კი დიდი შრომა და ბევრი ცოდნის შეძენა დაგჭირდება. ხოლო თუ გსურს იცოდე, როგორ არ ვიწვი ღვთაებრივ ცეცხლში, ზეალ დილით შეგიძლიათ იხილოთ ეს შენ და შენმა მოძღვარმაო.

იმ დღიდან, რაც მსხვერპლის მიმტანის ცეცხლის აღში გაუჩინარება და

უცნებელი დაბრუნება იხილა, არმაზი გვერდიდან არ სცილდებოდა ცეცხლს. დოელთა საიდუმლო სრბობის დასრულებას ესწრაფვოდა.

— შეიდი წელი სწავლას დასჭირდება, ხოლო სამი ცოდნის გამოცდას. — უპასუხა თეთრგვრემანმა აღონს, როცა მან იკითხა, რამდენხანში დაბრუნდებოდა არმაზი სამშობლოშიო.

— დიდი, ძალზედ დიდი დროა ათი წელი მოკვდავისათვის. — ჩაილაპარაკა აღონმა მიიმედ.

— იგი უკვდავი გახდება, რადგან მარადიულ სიცოცხლესთან იქნება წილნაყარი. — დამაჭერებლად მიუგო ქალმა. — ნუ გიკვირს: ორ ათეულ წელზე მეტია ამ საიდუმლოს ვეუფლები და უკვე ისე დავეუფლე, რომ იმ ერთადერთ შეგირდს, რომელსაც ჩემი მონდომება და ცოდნა მარადიულ სიცოცხლესთან მიიყვანს, ჩემი გამოცდილება სწავლების სიძნელეს შეუღმსუბუქებს.

— შენ ამბობ, ერთადერთ შეგირდსო?

— სწორედ არმაზს. დედისთვის მუდამ ძნელია შეილის სიკვდილი, თუგინდ შეილი ღვთაებამ თავის შესაწირად გამოარჩიოს და აღამალოს. მე იგი უკვე შეილივით მიყვარს. — დაუმატა ქალმა, როცა აღონის ექვიანი მზერა იგრძნო.

— სრულიად პატარა, ერთი წლისა თუ იქნებოდა არმაზი, როცა იგი ჩემს ეზოში, კალათში მიძინარე ვიხილე. მის მერე არ მომცილებია და ფარნავაზის გვერდით გაეზარდე. გულის სითბო და სიყვარული, სწავლა არ დამიკლია მისთვის. ისე შევეთვისე; რომ ვერც კი წარმომიდგენია უმისოდ ცხოვრება. ხშირადაც უჩვეულო შიში დამუფლებია არმაზის გამო. მეჩვენებოდა, დროებითი იყო ჩვენი ერთად ყოფნა და ერთ მშვენიერ დღეს იმას იგივე წაიყვანდა, ვინც მისი აღზრდა მომანდო... — აღონი თავისად გასაკვირად ანდობდა ამ უცხო ქალს თავისი გულის უსათუთეს გრძნობას და, რაც ყველაზე უცნაური იყო, ლაპარაკობდა თავის მშობლიურ

ენაზე, თითქოს დარწმუნებული იყო, რომ ქალი გაიგებდა მის ნათქვამს...

არც ის გაკვირვებია თითქოს, კოლხურად რომ უპასუხა მსხვერპლის მიმტანმა.

არაფერი თქვა აღონმა და, როცა მსხვერპლის მიმტანის თვალეში ყველა დედისთვის დამახასიათებელი მზრუნველობა და ერთგულება დაინახა, მიხვდა, რომ მართლაც არაფერი გაუჭირდებოდა მის გაზრდილს ამ ქალის გვერდით.

დამშვიდობებისას ქალმა მადლობის ნიშნად აღონის წინ მუხლი მოიყარა და არმაზის გაზრდილთვის თაყვანი სცა. დაიბნა აღონი. დაიხარა. წამოაყენა და უნდოდა ეთქვა, მადლობელი მე ვარ, რადგან შედარებით გულმშვიდად ვტოვებ, შენი იმედით, ჩემს გაზრდილსო, მაგრამ შეამჩნია, არმაზისნაირი შვიდი ნიშანი აქდა ტაძრის მსახურ ქალს მარჯვენა ყურის გასწვრივ... და, ვერაფერი თქვა.

* * *

კახეთ-კუხეთის საზღვართან, იქ, სადაც მდინარე იორი მთათა შორის უღამაზეს ვაკეს ქმნის, ქართლოსიანთა უძველესი სალოცავის ნანგრევები მოჩანდა ქვის ფილებით მოპირკეთებული მოედნის ქვემოთ, რომელზედაც, ალბათ, სალოცავის წინა კედელი იყო დაყრდნობილი, იორს პატარა მდინარე უერთდებოდა და თითქოს წყალში საგანგებოდ გამოყოფილ მიწის ოვალურ ნაკვეთს ჰქმნიდა. მწვანედ ახასხასებულ ამ მიწოდორზე ძლიერი, მზარგანიერი მუხა შრიალებდა, გამჭვირვალე სივრცეს გრძელი ტოტებით ეუფლებოდა და მის ჩრდილში ამოსული უღონო, მაგრამ ღამაზყავილებიან ბუჩქებს ქარისა და წვიმისაგან იცავდა.

ეს ბუჩქები მას მერე წამოიზარდნენ, რაც აქაურობა ადამიანმა მიატოვა და თავისი დამაშვრალი ფეხი აქედან ამოიკვთა. მანამდე კი, მის ძირში ბუჩქი კი არა, ბალახიც არ ხარობდა, რადგან ადამიანი ეუფლებოდა ყოველივეს.

კვირაში ერთხელ მთელი სოფელი მოდიოდა აქ და ღვთაებების მიმართებას აღავლენდა ხოლმე, მოპყავდა ცხვარი და ხარი, მამალი, ფერად-ფერადი ძვირფასი ქსოვილით უმშვენებდა ტოტებს.

მერე ვიღაც უცხო ტომის, ცხენზე უუნავიროდ ამხედრებული, ნახევრად-შიშველი ადამიანების ძლიერი ტალღა მოვარდა და ერთიანად მოსრა ამ მთების კალთებზე შეფენილი ხალხმრავალი სოფლები, ბლავილით და ტირილით გაირეკა საქონელი, ქალები, და ბავშვები, ხოლო მოხუცებისა და ქაყკაცების სისხლის ტბები დააყენა. ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა, მაგრამ მდინარის წყალი აგერ ახლა დაიწმინდა სისხლისგან. შვებით ამოისუნთქა მუხამ, როცა წყლის ძველებური გამჭვირვალობა ირწმუნა და იმედიანად დაუწყო ცქერა გზას, რომელიც ახლა 'აყალღე-ხო ბილიკად გადაქცეული, მაინც აერთებდა ამ უკაცრიელ ადგილს ქვეყნის გულთან.

გაკყურებდა მუხა ხალხთან დამკავშირებელ ამ ერთადერთ იმედს და გული წყდებოდა, რომ იქ, ქვეყანაში, დაივიწყეს ეს ადგილი და ეს სალოცავიც... თვალეში გაუწყალდა ლოღინით, გადაწურა კიდევ იმედი და სწორედ მაშინ შენიშნა ცხენებზე ამხედრებული ორი კაცი რომ გადმოდგა ბილიკზე... ორივე კარგი ვაყკაცი ჩანდა, მაგრამ მარჯვენე მყოფზე მაინც უფრო დიდხანს შეაჩერა მზერა. მისმა არწივისებურმა გამოხედვამ და გაშლილმა ბეჭებმა მოხიბლა... მიხვდა, რომ ამოდ არ უცქერია გზისთვის, მეფე მოვიდა, მეფე... — წაიბუბუნა ტოტებზე შეეუქული უთვალავი ფრინველის გასაგონად... წადით, შეეგებეთ მეფეს! აქეთ წამოიყვანეთ! — უჩვეულოდ აფუსფუსდა, ტოტები დაიქნია... ფრინველთა სამკუთხედად შეკრული გუნდი მხედრებისკენ გაეპარათ.

ღომილით ახედეს ამ უჩვეულო შემხედურებს მგზავრებმა, ხოლო როცა ფრინველთა გუნდმა მათ წინ სამჭერ შემოიწერა წრე და მერე, ისევ ძვე-



ლებურად დაწყობილი, მუხის წვერისკენ გაემართა, მარჯვენა მხედარმა მარცხენას იარაღზე აუკრა ხელი...

— ვით გეკადრება კეთილ დამხვდურებს ისრით გაუმასპინძლდეო, — გაიცინა და მუხისკენ გააჭენა ცხენი.

მერე კი ღიწჯად ათვალიერებდა სალოცავის დანგრეულ კედლებს, მიწის სიმკვრივეს სინჯავდა, ფერდობებს გაჰყურებდა, ფიქრობდა, ზომავდა, წონიდა. მაღალ შუბლს ნაფიქრალი ნაოჭებად აჩნდებოდა და უფრო ასაკოვანს აჩნდა, ვიდრე სინამდვილეში იყო...

ბოლოს მუხასთან მივიდა, მის ბებერ ტანს მიეფარა, ზურგით მიეყრდნო და გაირინდა, თითქოს მისგან დახმარებას მოეღოსო.

მუხამ ზურგი გაუთბო და გაამხნევა.

— ერთი კვირის შემდეგ შეთქმულთა შეკრება უნდა დავნიშნოთ, ლენე. ვფიქრობ, კარგი იქნება თუ აქ მოვლენ შეთქმულები, ჯარის საწვრთნელ ადგილსაც დაათვალიერებენ... დიდი ხანია ვფიქრობდი, სად შემეყარა ლაშქარი... სწორი გამოდგეკი. ამაზე უკეთეს ადგილს ვერც ინატრებს კაცი. არცთუ შორია მცხეთიდან, მაგრამ დაეუღლია უგზობობით და უდაბურობით. მთის კალთებზე კარვების გამართვაც შეიძლება, ოღონდ ერთია საფიქრებელი, რა გზებით გადმოვიყვანთ აქ მხედრობასა და ფეხოსან ლაშქარს?

— კუხეთ-კახეთიდან, ჰერეთიდანაც მოდის აქამდე ძველი გზა, თუმც ჩახერგილი, მაგრამ არცთუ ძნელად გასაწმენდი და გამოსაყენებელი... ხოლო დურძუქთა და ალანთა გადმოყვანა უფრო გრძელი სავალით მოგვიწევს. მდინარის ხეობას ვერ გამოჰყვებიან მოლაშქრეები, რადგან სევსამორაზე გადის ის ხვეული და ამდენად ხალხისთვისაც და აზონის მსახურთათვისაც შესაძენევი გახდება. დაქირაებულმა ჯარმა ალაზნის ჰალა უნდა გადმოჰკრას და ისე იაროს, ვეჰვობ, იქაც შეუშინეველი დარჩეს მისი მოძრაობა, სამიზნე მიანც...

— მთიელები მირჩევდნენ კავკასიო-

ნის იწროებში გადაადგილებას. პიოტუში შესძლებს ჯარის მარცხენა მხრევილი დარტყმაც აქედან უნდა დაეჭმას აზონმა...

— ინანებს პონტოელი, თავის მიერ მონგრეული ზღუდეები რომ არ გაუშვარა მცხეთას... ნეტავ კი მალე დაიწყებოდეს ბრძოლა. შიშიც შემიჭდა ტანში შენს გამო. ცუდად არ დამთავრდეს შენი და მისი „მეგობრობა“.

ფარნავაზს გაეცინა.

— დიდი თვალეები აქვს შიშისო, რომ იტყვიან, მართალი ყოფილა. მე კი მგონია, რაც ორი ჯიხვი მოვაკლევინე და ქურციკზე მონადირე ძაღლი მიფუყვანე, შეეფუყვარდი პონტოელს და ამიტომაც არ მიცილებს გვერდიდან...

— ამბობენ, ძლიერ ჩამოგავხარ მცხეთის მთავრებს, განსაკუთრებით სამარას... ხოლო აზონს ნანახი ჰყავს შენი მამაცა და ბიძაც, შენზე გაფრცხლებული ხმაც მისწვდებოდა მის ყურს... აი, ამიტომაც მეშინია, როცა დაეინებით მოგჩერებია.

— შენ ფიქრობ, იცის მცხეთის ქვეყნის კანონიერი მბრძანებელი რომ ცოცხალია და უცდის, როდის მოვა და გადაგდებს ტახტიდან? ამ სამ თვეში, რაც მე მასთან ერთად ვნადირობ, ბევრჯერ მომიღებდა ბოლოს. მას ყოველი იბერიელი სძულს. ხოლო თუ ჩამოგვაბრძობს ან მოგკლავს, სწორედ იმიტომ, რომ იბერები ვართ და გარეგნულადაც კაცებს ვგავართ და არა ტურას, როგორც თვითონ...

— საბრძოლო ადგილი უკვე შესწავლილი გაქვს, მისი ჯარის განლაგებაც იცო, ბევრ ბერძენთანაც გააბი მეგობრობა და გადმოიბირე... ნულარ დაბრუნდები პონტოელის სასახლეში, კარგს არ მითქვამს გული, — მიანც შეევედრა ლენე.

— გატყობ, დედაჩემთან გისაუბრია! — გაიღიმა ფარნავაზმა.

თათბირი შუადღისას დაიწყო მთიულეების მიერ დადგმულ კარავში. შეთქმუ-

ლები ფეხზე იდგნენ და ადონის შემოსვლას ელოდნენ, ფარნავაზი და ლენე დაწყებულ საუბარს აგრძელებდნენ. დინჯად შემოვიდა ადონი. მთავარი ქურუმის სამოსი ეცვა და გულზე ოქროს ნიშანი ეკიდა. შეკრებილებმა თავიანი სცეს ღვთაებათა უმაღლეს მსახურს...

დინჯად მიუახლოვდა ფარნავაზს მოძღვარი, სამარას მიერ იმ სისხლიან ღამეს გამოტანებული მცხეთის დიდ მთავრის მოსახამი წამოაფარა მხრებზე და ლომის გამოსახულებიანი ოქროს დიადემით დაუმშვენა თავი.

— იდიდოს მეფე იბერიისა! — მარჯვენა ალაპყრო ადონმა.

— იდიდოს მეფე იბერიისა! — იქუხა კარავმა.

— გაგვიძებ, მეფეო, ქვეყანა დაგვახსენე! — კვლავ გაისმა ადონის მტკიცე ხმა.

— გაგვიძებ და გვაბრძოლე! — შესძახეს შეკრებილებმა.

ფარნავაზი წამოდგა.

— მტრის მახვილი ყოფილიყოს მოღალატის გულის მესაიდუმლე! — შესძახა ლენემ. — მიწამ შთანთქმას შენი ორგული, ფარნავაზ!

— მომეცი უფლება, მეფეო, ჩადენილი დანაშაული ბრძოლაში გამოვიწყიდო. მენდე და გამოიყოლე. შენდამი ორგულობა სამშობლოს ღალატია. ჩემი ჭარით ყველაზე მძიმე უბანზე მებრძოლე! — ჭაღარა მხრები მოიღრკია ბათენამ.

— მთიულებს ბრძოლის ველზე წაქეზება არ დასჭირდებათ, მეფეო, ისინი თავიანთ ფარნავაზს მტკიცე ზღუდესავით შემოერთყმინან ირგვლივ, თავს გასწირავენ მისთვის... — პირქუშმა თვალი გაუსწორა ბათენას, მერე მივიდა, მხრებზე დაადო ხელები, თვალებში მიაჩერდა და, როცა უფლისციხელი გოლიათის უბებში ცრემლის წვეთი შეინიშნა, მკერდზე მიიკრა და მხრები დაუჯოცნა.

ესამოვნა ფარნავაზს პირქუშის საქციელი, გაუღიმა და ამ ღიმილით მად-

ლობაც უთხრა. შეაქო კედელს და თითქოს გამარჯვებაც მიუღწერდა.

მხოლოდ იბერიის სამტრედიო მხედრებს შეეძლო ასე გაეღიმა თანამომის, თანამებრძოლის, თანამდგომელისა და უბრალოდ კარგი ადამიანისთვის. ეს ღიმილი ბევრსაც ჰპირდებოდა და სიკეთის ვალითაც ტვირთავდა კაცს, იმ სიყვარულის საპასუხოდ, რომელსაც თავად უხვად გასცემდა ფარნავაზი.

— სიცოცხლეს არ დაგვზოგავ იბერიის გამარჯვებისთვის, ხოლო აბლა გამარჯვება გარდუვალაია, ისევე, როგორც გარდუვალაი იყო მამინ იბერიის დაცემა, გათიშულობისა და ძმათა დაღატაკების გამო. ჩვენგან ქვეყანა გადაწყვეტ და ერთადერთ ბრძოლას ითხოვს. მან იბერიის თავისუფლება და მტრის უცილობელი სიკვდილი უნდა მოუტანოს... ხოლო ბრძოლა ბევრ საკითხს წამოსჭრის, რომელთა გადასაწყვეტად გიხმით დღეს ამ უძველეს სალოცავში.

ფარნავაზი დაჭდა და დაელოდა, თუ როდის დაიჭერდნენ თავიანთ ადგილებს შეთქმულები.

ძლიერ ააფორიაქა ლენე სასახლეში დატრიალებულმა ამბავმა და იბერიის მპყრობელის ახალმა ბრძანებამ, რომელიც ყოველი ოცდაათ წელს მიტანებული ქართლოსიანის შეპყრობას და მისთვის წარდგენას მოითხოვდა. ხოლო ის, ვინც წინააღმდეგობას გაბედავდა ან, ვისაც იარაღი აღმოაჩნდებოდა, იქვე უნდა მოეკლათ...

იმასაც მოჰკრა ყური ლენემ, რომ აზონს მთიულეთის ხარკთამკრეფები დაუბარებია და დაუვალებია, ყური მიუღვდეთ ჩემს საწინააღმდეგოს ხომ არ ფიქრობენ რაიმეს ხევშიო. ისიც უთქვამს: ციხის მშენებლობა რომ დამთავრდება, იქ პონტოელი ჭარისკაცები უნდა ჩავსახლო, ხოლო მთიულებს ჩემი ჭარის შესავსები მებრძოლები მოვთხოვო და ბარში ჩამოვიყვანოო. თუ არ დამთანხმდებიან, მერე ხევსაც და-

ვარბევ და არც კაცს და არც ცხოველს ცოცხალს არ დაეტოვებ მთაშიო...

ამ სამი დღის წინ ლენე შეეჩებო სასაბლოს ეზოში იბერიის მკურთბელს... აზონმა ერთხანს უყურა და მერე ეს წაისისინა: დაბეჯითებით რომ არ ვიცოდე შენი წარმომავლობა, ფარნავაზად შენ მიგიჩნევდი და მოგაკვდინებდლიო.

— ვინ არის ფარნავაზიო? — სიმწრით წარმოსთქვა ლენემ.

— იბერთა არარსებული მეფე... ასე ამბობენ, სამარას ძმისწული გადარჩენია თურმე ჩემს რისხვას... — გესლიანად გაიცინა აზონმა.

— ვინ დაიჭერებს ამ სისულელეს. — შეკლიმილა უკვე თავსდაუფლებულმა ლენემ. — თავადაც ხომ იცი, რომ სიმართლის ნატამალი არ ურევია ამ თქმაშიო...

— ვიცო... ამათ კი იმიტომ ვსჯი, რომ არ დაიჭერონ ეს მონაჩმაბი. პო, მართლა, შენი მეგობარი მესიზმრა წუხელ, ძაღლებს მისევდა და ჩემს ტანჯვას გულგრილად უცქერდა... თითქოს ვიცოდი, ჩემი სისხლის შესმა რომ სურდა...

ლენემ ნერწყვი გადაყლაპა.

— ძალი ადამიანის მეგობარია, ცხა. დმოც და სიზმარშიც... ხოლო სისხლი ავს ნიშნავს... ესე იგი, ბერას სურდა შენთვის ავი რომ ამბავი ან ავადობა მოეცილებინა, თავის თავზე გადაეტიანა... ავი მოგაცილა კიდევ წინა ნადირობის დროს გაგივებული დათვი, რომლის წინ სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდი. ცუდს ნუ ჩაიდებ ბერაზე გულში, იგი შენი ერთგულია, ისევე როგორც მე...

— მაინც მნახოს ამ საღამოს შენმა მეგობარმა... სიზმარში მისმა სახემ ერთი ძველი ნაცნობი მომაგონა... მინდა ვიცოდე ვისი შვილია.

— თავადაც არ ახსოვს თავისი მშობლები, დურძუკი უნდა ყარტლისკენს მამისი, როგორც კახეთში ამბობენ... ხოლო თვითონ ტყეში, ცხოველებთან, მათზე ნადირობაში გაიზარდა, დედაჩემი თუ შემოსავდა თურმე პატარას... მეტი პატრონი არ მახსოვსო, თვითონ ასე ამბობს.

— მაინც მნახოს. მის მიერ ნაჩუქარ ძაღლს რაღაც მოწყენილობას ვამჩნევ. შენ არ მითხარი ძაღლების წამლობა მასზე კარგად არავე იცის მთელს იბერიაშიო?!

* * *

ფარნავაზი ყურადღებით ისმენდა ლენეს მონათხრობს. — მოსკლდი მეფეო, მცხეთის მისადგომებს. ასე მეჩვენება, აზონმა იცის შენი ვინაობა და დროს უცდის, როდის მოგიღოს ბოლო.

— მართო შენი სიკოცხლე რომ იყოს საფრთხეში, არაფერს ვიტყვოდი, თუმცე კი სიკვდილზე მძიმეა ჩემთვის შენი უბედურება... გახსოვდეს, ფარნავაზ, შენი სიკვდილი იბერიის გათავისუფლების საქმესაც დაასაძარებს. დაუჭერე ლენესაც, მეც და, რაც მთავარია, შენს ბაბუსა, ჩემს მოხუც მამას... მას გავეყვით სპარსეთში. კვლავ დაიბრუნა ბაბუაშენმა ძველი პატრვი და ქონება. იქ არაფერი გაგიქირდება... — შეევედრა დედა.

— იბერია სისხლისგან იცლებოდეს და მე სპარსეთს შევაფარო თავი? — წარბი შეჰყარა ფარნავაზმა.

— შეტევის დაწყების დროს ჩამოხვალ და უხელმძღვანელებ ბრძოლას, როგორც დათქმულია. აღონიც ვნახე, შემოგიფელა. იქნებ უმჯობესი იყოს დედას დაუჭეროო. — შეაშველა სიტყვა მელაღეს ლენემ.

— ვიფიქრებ მაგაზე. ქუჩისგან ამბავი

მოვიდა, ოცდაათიათას კაცს გამოვიყვან დათქმულ დროს უფლისციხესთანო: რით უნდა ვკვებოთ ამოდენა ჯარი? აი, რაზე უნდა ვიზრუნოთ ახლა ყველამ. იარაღის ყიდვაც რომ შევძლოთ, მშვიერი მეომარი და ცხენი ომში არაფრის მაქნისია. სოანეთიდან თაფლი და ხორცი უნდა გადმოვიტანოთ, ხოლო პური მცხეთაში უნდა ვიშოვოთ. აზონის მოლარეები უნდა მოვიმხროთ ან ჩვენი ხალხით შევეცვალოთ.

— ყოველივეს შევასრულებ, როგორც მიბრძანებ, ოღონდ მცირე ხნით

გაეცალე იბერიას! — ექვთიმე მეფევეა ლენე და მტირალ მეფევეა თათართა ფარნავაზს.

ფარნავაზი წამოდგა, დედა მკერდზე მიიკრა და ჭაღარა თმაზე მიეფერა.

— ორი დღე მაცალე, დედა. მერე აღონთან ავიდეთ და თუ ისიც შენაირად მიჩქევს, გავეცლები ბრძოლის დაწყებამდე ქვეყანას. ჩემი სიკვდილი არც ჩვენთვის და არც ქვეყნისთვის ვარგა! — გაუღიმა, ცრემლები მოუწმინდა და დაამშვიდა დედა...

□ გაბრძნობა იქნება □

აღაზიანის ხმა

სცენის სივრცეში, დახატული წითელი ფარდების ჩარჩო შემოსახლურავს არასწორ კუთხეს, სადაც ქალის საძინებელი ოთახია განწყობილი. ოთახი ბნელია და მოღურჯო ტონები ციალებენ. მარცხნივ არეული სანოლი დგას, მარჯვნივ, ნახევრადგაღებული კარიდან თეთრი, გაჩახახებული სააბაზანო ოთახი მოჩანს. ცენტრში, უკან, რომელიმე შედევრის გადიდებული ფოტოსურათი ან საოჯახო პორტრეტი, მოკლედ რაიმე ავისმომასწავებელი სურათი კი დია.

სუფლიორის ჯიხურის წინ დაბალი სკამი და პატარა მაგიდა დგას. მაგიდაზე აწყვია ტელეფონი, წიგნები და ლამაზი, რომელიც ირგვლივ უღმობლად მჭახე შუქს აფრქვევს. ფარდის გადაწევაში საბურველი უნდა შემოაცალოს ოთახს, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს აქ შევლულობა მოხდა. სანოლითან, იატაკზე, გრძელ ღამის პერანგში გამონწყობილი ქალი მიცვალებულივით გაჭიმული წევს. პაუზის შემდეგ ქალი ამოძრავდება, პოზას შეიცვლის და ისევ გაშუშდება. ბოლოს წამოდგომას გადაწყვეტს, ადგება, სანოლიდან მანტოს აიღებს, მცირე ხანს ტელეფონთან შეჩერდება და კარისაკენ გაემართება. როგორც კი კარს შეეხება, ტელეფონიც აწყობილდება. ქალი მანტოს ააჯგუბებს და გამოიქცევა. მანტო ფეხებში გაებლანდება. ქალი მას ფეხისკერით მოიშორებს და ხელს ყურმილს დასტაცებს.

ამ წუთის შემდეგ ის ლაპარაკობს და პოზებს იცვლის: ფეხზე დგას, ზურგშექცევით დაჯდება, სახეს ან პროფილს დარბაზისაკენ შემოაბრუნებს, მაღალზურგაიანი სავარძლის უკან მუხლებზე დაეცემა და სავარძლის ზურგის კიდებზე თავს ისე ჩამოადებს, თითქოს თავი მოკვეთილი ჰქონდეს, სავარძლის ზურგზე მიესვენება, ოთახში წინ და უკან იღლის და ტელეფონის ზონარს თან დაათრევს და ასე ბოლომდე, სანამ სანოლზე მოკვეთილი-

ვით არ დაეცემა თავი ძირს გადმოკეცდება. ყურმილი კი ქვასავით გაუფარდება.

ყოველი პოზა ამ მონოლოგ-დილოგის თითო ფაზას (ძაღლის, სიცრუის ფაზები) ემსახურება. ნერვოზულობა გახედებული სიტყვებით კი არა, ამ პოზებით ვლინდება. თანაც ყოველი მათგანი უკიდურესად უხერხულ მდგომარეობას გამოხატავს. ღამის პერანგი, პენუარი, ქური, კარი, სავარძელი, შალითები, აბაჟური თეთრი ფერისაა. სუფლიორის ჯიხურიდან უნდა მოიძებნოს ისეთი განათება, რომელიც მჯდომარე ქალის გრძელ ჩრდილს მის უკან გაჭიმავს, აბაჟურის ჩრდილს კი უფრო მკვეთრად წარმოაჩენს.

პიუპის სტილი გამორიცხავს ყოველივეს, რაც „ბრიოს“ დაემსგავსება. მსახიობს, რომელიც ამ როლს ითამაშებს, ავტორი ურჩევს, მოერიდოს შეურაცხველი ქალის ირონიისა და გააყვების წარმოჩენას. პერსონაჟი მსხვერპლია, უსაზღვროდ შეყვარებული მსხვერპლი. იგი მხოლოდ ერთხელ ეშმაკობს. ცდილობს მამაკაცი გამოტეხოს, რათა სიცრუის ეს უხამსი მოგონება არ შემოიტოვოს. ავტორი ისურვებდა, მსახიობი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდეს თითქოს სისხლისაგან იცლება. თითქოს ყოველი მოძრაობა დაჭრილი ცხოველივით სისხლს აკარგვინებს. მოქმედების დასასრულს მთელი ოთახი თითქოს სისხლით უნდა იყოს სავსე.

პატივისცემით მოეპყარით ტექსტს, სადაც ყოველი შეცდომა, გამეორება, ლიტერატურული კონსტრუქცია და უგემოვნება გულდასმით არის მოფიქრებული.

ალო, ალო, ალო..... არა, ქალბატონო, ერთ ხაზზე შეუწინა ვართ ჩართული, დაკიდეთ..... ალო..... არა, ეს ბინაა..... ოჰ..... ალო!..... ქალბატონო, თვითონ დაკიდეთ..... ალო, ქალიშვილო, ალო..... გაგვითმეთ..... არა, ქალბატონო, არა ვარ ექიმი შიიდეტი..... ნოლ



რაც და არა სულ შეგდა... ალო... არა, ეს უკვე სასაცილოა... ჩემთან რკვევს, არ ვიცი (ვურჩილს დაკიდებს, ჩაგრამ ხელს არ აძლებს ტელეფონი დარკევს)... ალო... კი მაგრამ, მე რა გიშველოთ, ქალბატონო... ასე უკმხად რად მელაპარაკებით... როგორ თუ ჩემი ბრალია... არაფერიც... არაფერიც... ალო... ალო, ქალიშვილო... ეს-ესა დამირეკეს, მე კი ვერ ველაპარაკებო. ერთ ხაზზე ბევრნი ვართ ჩართულნი. ახლვეთ ქალბატონს, რომ დაკიდოს (ვურჩილს დაკიდებს ტელეფონი დარკევს.) ალო შენა ხარ?... შენა ხარ?... პო... ძალიან ცუდად შენის... ძალიან შორიდან მესმის, ძალიან შორიდან... ალო... რა სამონღებაა... რამდენი კაცი და პარაკობს ამ ერთ ხაზზე... თავიდან დარეკე... ალო! თავიდან დარეკე... ხელშეორედ დარეკე მეტი, გიიახარ... ოპ, ქალბატონო, დაკიდეთ ვურჩილო, ხომ გიიხარია, არა ვარ ექიმის შიდატყ... ალო... (ვურჩილს დაკიდებს ტელეფონი დარკევს.)

ოპ! როგორც იქნა... შენა ხარ... პო... ძალიან კარგად... ალო... პო... ეს რა წამება იყო, შენი ხმა ამდენი ხმის ჩაღმა მესმოდა... პო... პო... არა... შართლაც გამომართა... სულ ათი წუთი იქნება, რაც დაბრუნდო... დღეს ჯერ არ დაგირკევს?... პოპ... არა, არა... სხვაგან ვისაფილე... მარტასთან ვყავი... თორმეტს თხუთმეტი წუთი იქნება... სახლში ხარ?... მაშინ ელექტროსაათს შეხედე... ასეც ვფიქრობდი... პო, პო, გენაცვალე... გუშინ საღამოს? გუშინ საღამოს მაშინვე დავეცი, მაგრამ არ დამეძინა და დასაძინებელი წამალი დაველე... არა... მხოლოდ ერთი ცალი... ცნა საათზე... ცოტა თავი მტკიოდა, მაგრამ დავედივით მარტა მოკოდა. ერთად ვისაუბრებთ და საყიდლებზე წავედით. შემდეგ შინ დაებრუნდო, ნერვილები ყვიოვდ ჩანსათი ჩავანდე მერე... რა?... კარგად ვარ... გუფიცობ... არ შეკლია სიმტკიცე... შემდეგ? შემდეგ ჩავიყო, მარტამ გაბოშიარა და... ახლახან დაებრუნდი მშენიერი ქალია... ძალიან კეთილი და მშვენიერი ქალია... კი, გავს, მაგრამ ასეთი არ არის. როგორც ყოველთვის მართალი იყავი... ვარდისფერი კაბა, ბუნებით განუზობილი... შვიი ქუდი... პო, ქუდი ჯერ ისევ თავზე მახუარავს... არა, არა, არ კენჭვი. სულ სამი სიგარეტით მოვნივი... კი, მართალია... პო, პო... კარგი ბიჭი ხარ... შენც ახლა დაბრუნდი?... სახლიდან არ გასულხარ... რომელი პროცენი?... ა, პო... ალო! ალო! ნუ გაგეთიშავთ! ალო!... ალო! ძვირფასო, ალო... თუ გაგეთიშენ მაშინვე დამირკვე... ცხადია... ალო! არა... გისმენ... ჩანსა?... შენც და ჩემიც, ორივეს ნერვილები. როცა გინდა მაშინ გამოგზავნე ვინმე წასალებად...

შატბერდული და კელიშური ნუსხები განსხვავებას იძლევიან ერთმანეთისაგან კონსტანტინე მეფის მიერ ქრისტიანობის აღიარების თარიღში, მაგრამ თანხედებიან იმაში, თუ რამდენი წლის შემდეგ იყო ნიკეის კრება და ნინოს წამოსვლა საბერძნეთიდან. რამდენადღაც ნიკეის კრების დრო (825 წ.) არგადაა ცნობილი, ხოლო ეს კრება უფილა კონსტანტინეს მონათულიდან 7 წლის შემდეგ, კონსტანტინე მონათულია 818 წელს. სინტერესოა, რომ ეს რიცხვი ემთხვევა კელიშურის „სამას და ათუ რამეტსა“, რომელიც „ქრისტეს ამალღებთან“ არის წამოსვლით, მაგრამ აქაც „ამალღება“ შობის მაგიერ უნდა იყოს ნახშირი. რაც შეეხება თარიღს დასაბამითგან წელთა, აქ ორსავე ხელნაწერში გადამწერის შეცდომასთან გვაქვს საქმე. შატბერდულის 544 წ. დასაბამითგან შეუძლებელია. რადგან მას ვერ გამოაკლებს ქრისტეს მოსვლამდე აღდებული ვერცერთი პერიოდი, ვარდა ვესეთი ეხსარიულია (519 წ.), ამ უკანასკნელის გამოყენება კი 246 წელს გვაძლევს, რაც შეუძლებელია იმიტომ, რომ III საუკუნის პირველ ნახევარში ბერძენთა მიერ ქრისტიანობის მიღება და კონსტანტინეს მეფობა არ შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს. ვამოძის, რომ 544 წელი გადამწერის დროს დაშვებულ შეცდომას წარმოადგენს, ისევე როგორც კელიშური ნუსხის 544. ამ ორი რიცხვის შიშვადარების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ შატბერდულში ოთხასის ნაცვლად რვაასი, კელიშურის მსგავსად, ხოლო კელიშურში ბოლო ციფრად 4, შატბერდულის მსგავსად. ამაგარი დაშვების შედეგად ორივე რიცხვისაგან მივიღებდით ამოსავალ ნუსხში სავარაუდოდ 544-ს. რა მიზნით უნდა იყოს გამოწვეული ასეთი შეცდომა გადამწერის დროს? ოთხასისა და რვაასის აღრევა, ერთი მხრივ, ხოლო ოთხისა და ერთისა, მეორე მხრივ, შესაძარბებელ სიტუაცია მსგავს ბგერადობას, ცნადია, არ ემუარება. სხვა რა უნდა უფილიყო ისეთი, რაც 544-სა და 541-ს გამოავიყვანდა სავარაუდებელი 544-ისაგან? საფიქრებელია, რომ ეს რიცხვა თავდაპირველად მთავრული ამოებით იყო ჩაწერილი ტექსტში. ამის მაგალითები დაცულია ჩვენს ძეგლში. 544 ასე აქნებოდა ანბანურად: მ მ მ მ. შატბერდული ნუსხის დედაწიშე შესაძლოა ამომთავრული უ-ს ნაცვლად გრაფიურად მისი მსგავსი რაწერის, ხოლო კელიშურში დაბალეულიან მ-ის მარჯვენა მხარე გადამწილი იყო და ის პ-ს მიაგა-

და. ასე მივიღებდით შატბერდულს მ მ მ მ, ხოლო კელიშურში — მ მ მ მ. დაშვება რომ გამოართლებულა, მისი დაგვიდასტურებს დასაბამითგან გამოყვანილი არცვის დამოხვევა ქროტეს შობის (ხელნაწერის „ამალღების“) კელიშურ და შატბერდულ თარიღებთან.

თუ დასაბამითგან გასული იყო 544 წელი, ხოლო ამალღებიდან 318 ქროგორც ეს კელიშურშია, ამ ორი სხვადასხვა თარიღის ერთზე დაუვანა მხოლოდ პანოდორე აღიქსანდრიელის სათვალავის გამოყენებით შეიძლება: 544-5492=542. ხოლო 542 წელი ქრისტესშობიდან არის 818 წელი მისი ამალღებიდან, 542-34=518 (ნუსხაში „ამალღება“ წერია).

შატბერდული ნუსხა, რომელიც ანაინე აღიქსანდრიელის სათვალავს იყენებს, გვაძლევს 844 წელს (544-5490). ამ რიცხვს თუ გამოვკლებთ 38-ს („გარდაქმულა... წელი... ქრისტეს შობითგან ვიდრე ჭუარსუნამდე...“), მივიღებთ 811-ს, რომელიც წარმოდგენილია ხელნაწერში, როგორც წელთა რაოდენობა „ამალღებთან“. ამრიგად, თუ მკა ორსავე ნუსხაში „ამალღებაში“ ნაგული სხმევია შობა და თარიღი „ამალღებიდან“ სინამდვილეში არის თარიღი შობიდან, დასაბამითგან ი გამოთვლილია სწორედ ამალღების თარიღთან შიშართებით, რამდენადაც ქრისტემდე გასული წლების გამოკლება გვაძლევს არამოსალოდნელ შობის შემდეგ გასულ წლებს, არამედ ამალღების შემდეგ გასულ წლებს. მხოლოდ ასეთ ვითარებაში არის იდენტიური თარიღები დასაბამითგან და ე. წ. „ამალღებათგან“ ანუ შობიდან.

მიუხედავად უოველივე თქმულისა, თვით ნუსხათა ჩვენებებს შორის რჩება წინააღმდეგობა: 1. კონსტანტინეს მიერ ქრისტეს აღიარება 811 წ. და 818 წ.; 2. ნიკეის კრება მე-7 წელს — 818 წ. და 825 წ. როგორც ცნობილია, კონსტანტინე დიდი მონათლა ნიკედილას წინ, ხოლო 811 წელი არის ქრისტიანული აღმსარებლობის შემწყნარებლობის იდექტის წელი, რომელიც კისარ გაღერისთვის და კონსტანტინეს სახელმწიფო ატარებს. ამრიგად, „ქრისტეს აღიარება“, რომელიც ნახსენებია აქ, შეწყნარებლობის სირველ იდექტთან უნდა გვაიგივიოთ. ამ თვალსაზრისით, სხენებულ ადგილას შატბერდული ნუსხის ჩვენება უფრო შეესაბამება სინამდვილეს, ვიდრე კელიშურისა. მეორე მხრივ, კელიშურის ცნობა უფრო თანხმება ნიკეის კრების თარიღს, რადგან მას 818 წლიდან შვიდი წლის შემდეგ (825 წ.) გულისხმობს, განსხვავებით შატბერდულიისაგან, რომელიც 818 წელს

გაძლიერებს. 7 წლის სხვაობა, რომელიც შატბერდულ და კელიშერ ხელნაწერთა ჩვენებებს შორის არსებობს, პერპეტუალთ აუზსწელი რჩება.

6) სანტარესო, რომ შობის მაგიერ ნახშირია არა მარტო „აღმადლები“, არამედ „ქუარცუმა“-ც (მაგ. ძ., I, 125, 9-18).

ამ მონაცემების მიხედვითაც შატბერდული ნუსხა ჯიუტად იმეორებს კონსტანტინეს „მონათლის“ თარიღად 811 წ., რომელსაც აქ კელიშერიც უეჭვს მხარს. ამასთანავე, ამ თარიღს ორივე ხელნაწერი ჭრისტეს ჯვარცმადან ანგარიშობს, ე. ი. 844 წელს. მაგრამ, როგორც ვიცით, ჯვარცუმაში და ამაღლებამდე წლები უნდა გამოაყლდეს, ე. ი. აქ იხვე ტერმინოლოგიური აღრევა უნდა ვივარაუდოთ. სხვაგვარად წინააღმდეგობაში აღმოვჩნდებით ისტორიულ ფაქტებთან: 844 წელს კონსტანტინე ცოცხალი არ იყო.

აქ მოხსნილია წინა მონაცემებში დადასტურებული 811 და 818 წლები 7 წლის სხვაობა:

წინა ცნობით: 1. კონსტანტინე „მონათლა“ 818 წ. (კელიშური ნუსხა) და 811 წ. (შატბერდული ნუსხა).

2. ნიკეის კრება შედგა 7 წლის შემდეგ — 825 წ. (კელი.), 818 წ. (შატბ. 6).

8. მომდევნო წელს ნინო წამოვიდა ქართლში (826 წ. — კელი., 819 წ. — შატბ.).

ბოლო მონაცემით: 1. კონსტანტინე „მონათლა“ 811 წ.

2. თითხმები წლის შემდეგ ნინო წამოვიდა ქართლში (825 წ.).

სანტარესო ერთსულდობა ნინოს ქართლში წამოსვლის თარიღს თვალსაზრისით. პერყობა 1 წლის ფარგლებში — 826 — წინა ცნობით, 825 — ამ ბოლო ცნობით. შესაძლოა, მერყობა არც კი იყო, რადგან 14 წლის შემდეგ ნინვას 811+14=825-ის შემდეგ მომდევნო წელს, ე. ი. 826 წ.

ამრიგად, „ქართლის მოქცევის“ ზემოთ განხილულ მონაცემებზე დაყრდნობით ნინოს ქართლს წამოსვლა 826 წლით უნდა განისაზღვროს.

2. შუის დახვეწების იპოვნა

ნინოს ცხოვრებაში აღწერილია მირიანის წავლა სანადიროდ და თხოობის შიის ტყეში (კასპის რაიონი) ყოფნის დროს შუის დახვეწება, რომლის დროსაც შეწუხებულ მღვდელ ვერაფერი უშველეს მისმა კერაებმა და მხოლოდ დაშინ, როცა ის ქრისტეს შეეფიცა, გამოზრწინდა მზე. ამ სასწაულმა განაპირობა მღვდლის მოქცევა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. ეს მოვლენა ტექსტში დათარიღებული არაა რომელიმე წლით, მა-

გრამ აღნიშნული იყ, რიცხვი, დღე და შუაგლით საათი კი. მოვლენის [სტრუქტურა] აღვლილს, რომელიც სრულად უქტუდნი [სტრუქტურა] მხოლოდ კელიშური ნუსხას, შატბერდულს კი დიდი კლებით: ამიტომ მოგვაქვს კელიშური ტექსტი:

„და იყო დაღესა ერთსა, ეამსა ზაფხულისასა, თუესა ივლისისა კ. დაღესა შაფათსა აღმა მერე და გაწვიდა ნადირობად მუხნარით კერძო და მოვლო სანაბები მუხნარისა და განვიდა მათა ზედა თხოთისათა (ხელნ.: თხოთისათა) მადნართი, რათაჲცა მოხედნა ციხეთა შათ დიდთა ასადა დაკასადა და უფლისციხედ, და გაწვიდა თხეშა მის მთისასა. და შუა სამარს ოდენ დაბნელდა მის ზედა მზე და იქმნა ღამე უკურო, ბნელი ფრიად, დაფარნა ბნელმან არენი და ადგაღნი იგი. და განიხვიენეს ურვია მისგან და ჰირისა უოვეღნი ერნი მხანი და დარჩა მერე მარტო და იარებოდა მათა ზედა და მადნართა შინა შეწინებული და შეძრწუნებული. და დადგა ერთსა ადგოდა და წარწერია სასოუბაი ცხოვრებისა მისისა“ (მაგ. ძ., I, 134-135).

კ. კელიშიც, რომელიც საერთოდ უჯულებელყოფს „მოქცევა ქართლისა“-ს ქრონოლოგიას, შუის დახვეწების იპოვნად ხელსაყრიდალ მიიჩნევს სხვა ფილოლოგიური არგუმენტების გვერდით. თ. ოპოლცერის წინაშე¹ დაყარებით, რომელიც მას, როგორც ჩანს, სტეფანოსისა დახმარებით გამოუყენებია, იგი წერს, რომ მე-4 საუკუნეში მცხეთა-კასპის რაიონში რამდენჯერმე ჰქონია შუის დახვეწების ადგილი: 1) 818 წლის 8 მაისს, ხალაოს, 6⁶ საათზე, 2) 846 წლის 6 ივნისს, დილის 8 საათზე, 3) 848 წლის მოქტომბერს დილის 11 საათზე². შემდეგ იგი დასძინს, რომ შუის დახვეწების, რომელიც მცხეთა-კასპის რაიონზე გავრცელებულია, ადგილი ჰქონია აგრეთვე მან წლის 28 მაისს. იგი დაწუხებული დღის 6⁶ საათიდან და გავრცელებული 8 საათამდე. შუის დისკოს 5/6 დაფარული ყოფილა მაქსიმალური დახვეწების მომენტში — 7 საათზე.³ როგორც უკანასკნელი დახვეწების მაინარდობა გვიჩვენებს, ის არ იყო სრული დახვეწება, რადგან დაფარული იყო შუის დისკოს 5/6 და ამასთანავე დახვეწების სრული ფაზა მოცემულ პუნქტში შეიძლება გავრცელდეს არაუმეტეს 8 წუთისა.⁴ რაც შეეხება „ქართლის მოქცევაში“ აღწერილ შუის დახვეწებას, იგი უფრო სრულს წაგავს: „დახვეწიდა მზე და იქმნა ღამე უკუნი, ბნელი ფრიად, დაფარნა ბნელმან არენი და ადგაღნი იგი“. მიუხედავად ამისა, კ. კელიშის სხვა საბუთებს უფრო მეოთხე დახვეწების თარიღი ეთანხმება, რის გამოც იგი დაასკვნის: „825 წლის გაზაფხულზე მოქცეულა მირიანი და მასთან მისი ოჯახი და აღმათ ერის ნაწილიც... მოციქულების გამგზა-



ვრება-მოზრუნებას და სამღვდლოებს მოსკოვს ერთი წელიწადი მაინც მოუწოდებოდა, ასე რომ ახალმოქცეულთა მონათვლა უნდა მომხდარიყო 856 წლის გაზაფხულზე.⁶ კ. კეკელიძის აზრით, მისეულ დოქარადებს ითიქოს მხარს უჭერს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერთი „შეიძლება უნებლიეთ მასში შენარჩუნებული მონაცემი“. ლაპააკია ნინოს გარდაცვალების თარიღზე, რომელიც მომხდარა ქართლში მისი მოსვლიდან მე-15 წელს, ხოლო „ქრისტეს აღმადგენითგან“ 888 წელს. „აღმადგენა“ კ. კეკელიძის შესაძლებლად მიანიჭა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგოს, ხოლო „ქართლად მოსვლა“⁷ში იგი ქართლის მოქცევის გულისხმობს, ამის გამო, ნინოს გარდაცვალება მოდის 883+888=871 წელზე, ხოლო თუ ნინო მოსვლიდან მე-15 წელს გარდაიცვალა, იგი ქართლში მოსულა 871-15=856 წელს.⁸ იგივე თარიღი მოქცევის თარიღაც არის, ავტორის აზრით. ამგვარ დაშვებას ეწინააღმდეგება თვით წყაროს მონაცემები: 1. არ შეიძლება „აღმადგენა“ გაიგოს პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან მაშინ ის „დასაბამითგანს“ თარიღს არ თანხვედბა. თანხვედბა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ „აღმადგენაში“ შობას ვეგუდობს. მე-2. „მოქცევაჲ“ს მიხედვით, ნინომ მონიან შეფხვას არწმუნა თავისი ქართლს მოსვლიდან მე-7 წელს (იხ. ზემოთ). ასე რომ, ნინოს მოსვლაში ქართლის მოქცევის აზრის ჩადება შეუძლებელია, რამდენადაც ეს ორი მოვლენა კარგადაა გამოჩენილი ძველში; 3. 856 წლის დაბნელება, კ. კეკელიძის სიტყვებით, 22 მაისს მომხდარა, დილის 4:25—8 სს-ებს შორის, წყაროს მიხედვით კი მას ადგილი უნდა მქონოდა 20 ივლისს, დღის 12 საათისათვის. შეიძლება წყაროს მონაცემები იქნის ქვეშ დავაუფროთ, მაგრამ კ. კეკელიძე წყაროს ამ ცნობას მაინც უწევს ახგარის და აღნიშნავს, რომ 20 ივლისს შაბათი დღე მის წელს იყო.⁹ გაუგებარა, 856 წელს იყო შვის დაბნელება თუ 858 წელს. ამასთანავე, უნდა აღნიშნოს, რომ იმპოლიტროს ნაშრომის ჩუქებზე შვის დაბნელება ამ პერიოდისათვის საერთოდ არ გადის არათუ კაცკასიის, არამედ ვერკისა და აზიის მახლობელ ტერიტორიებზეც კი. რაც შეეხება შაბათ დღეს, იგი 20 ივლისს დაემთხვა არა მხოლოდ 856 წელს, არამედ 800, 817, 828, 828, 834, 845, 851, 862 წლებშიც რომელითაგან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 884 წელი. ცნობილია, რომ „შვის სრული დაბნელება დედამიწის ერთისა და იმავე ადგილად იქნა საშუალოდ ხდებდა სამოთხე ასეულ წელიწადში“¹⁰ დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე გამოცემის მიხედვით, „სრული შვის დაბნელებანი ჩანან მხო-

ლოდ მკორე ნაწილზე დედამიწის ქვედაპირისა, ამდენად მოცემული ადგილები უნდა იყოს მხოლოდ აზიისა და ხდება მხოლოდ ერთხელ 400 წლის მაძილზე“.¹¹ ამდენად, თუ დააბლოებით 400-წლიანი პერიოდს ავიღებთ სრულ დაბნელებათა ციკლისათვის, მე-20 საუკუნეში მომხდარ დაბნელებათა მიხედვით შეიძლება მე-4 საუკუნის დაბნელებათა გამოანგარიშება. მაგრამ ამას, ცხადია, მაინც მიაბლოებით თარიღის მოცემა შეუძლია. ამ თვალსაზრისით, უფროდღების იქცევა ზენი საუკუნის 80-იან წლებში მომხდარი დაბნელებანი. ე. ხარკის აზრით, „შვის სრულ დაბნელებათაგან განსაკუთრებულ ანტიტესს 1982, 1984 და 1988 წლის დაბნელებანი წარმოადგენენ“¹² ამ დაბნელებათა დროს დაკვირვება წარმოებდა შავი ზღვიდან მოყრდებული შორეულ აღმოსავლეთამდე. ასე რომ შეხვთა-კასპის რაიონზე ხდებოდა ამ ზონაში ამ თარიღებს თუ 400-ზე გავსული ნაშთად მივიღებთ შესაბამისად 882, 884 და 888 წლებს. ეს წლები ი. კავახიშვილის მიერ ნაგა, რაუდზე პერიოდში იქცევა (828-887 წწ.).

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ 884 წელი უფრო მეტი ნდობას ღირსია. ვეცდებით ამ მოსაზრების არგუმენტაციას:

1. წყაროს ზენებთ, ნინო ქართლს წამოვიდა ნიკოს კრების მეორე წელს (826), კონსტანტინე მეფის „მოქცევიდან“ 14 წლის შემდეგ 811+14=825 წ. მომდევნო წელს). ქართლში მოსვლამდე მას ერთი წელი გზაში შეიძლება დასჭირებოდა, ან შეფერხებულყო. ქართლში მოსვლის წლად თუ 827 წელს მივიღებთ, წყაროს ცნობით მე-7 წელს უნდა მომხდარიყო მირიანის სასწაული, შვის დაბნელება, ე. ი. 884 წელს.

2. 884 წელი ერთერთი ისეთი წელია მეოთხე საუკუნისა, როცა 20 ივლისი შაბათი დღეა. ეს წყაროს ზენებას უჭერს მხარს.

3. „მოქცევაჲს“ კელიშურ ნუსხაში აღწერილია სოჯი დედოფლის მოქცევა, რომლის დროსაც გაქრისტიანებული ებრაელი აბიათარს მთავარს ასტრონომის ეუწყება: დედისთვის ქრისტესამდე არაინა წელია სამასოცდაათოთხმეტე, ვინაითგან ღმერთან არღარა ყო მიხედვა ისრავლითა ზედა და ვიყავ დეკრებულ, რამეთუ არაინ იყო მოძღვარ და მსხენელ და მითხრებდა ამას ქუთუბანასა ეი დედისა მომდებ, ოდენა მოხედნა ღმერთან ქუთუბანასა ამას ქართლისასა, მოუვლინა დედაკაცი ერთი უბიწოა, მუუდროა მოსიშვებითა, უბრალოა, წმიდაა, დედათ შემოსილი წმიდაა ნინო, დედათ ჩუენე“ (მაგ. ძ., I, 103-104).

როგორც ტექსტიდან ჩანს, აბიათარის საუბარი ასტრონომთან ქართლის მოქცევის წელს უნდა მომხდარიყო, ხოლო მისი საუბრიდან

ქრისტემდე (შობამდე), აბათარის სიტყვებით, 384 წელია გასული. ეს ჩვენება მხარს უჭერს სხვა არგუმენტებს.

4. აბათარის მიერ ასტრონომიათვის ნათქვამი მხარს უჭერს მე-12 თავი (შატბერდული ნუსხით, მე-9 — კელიშურით) ნინოს ცხოვრებისა, სადაც აბათარი ამბობს:

„მე აბათარ მღვდელი ვყოფ წილით ზუღდრებული სამღვდლოსა ზედა მის წელიწადისასა, ოდეს-ესე ნეტარი დედაკაცი ნინო მოვიდა მცხეთად. მის უამსა ჩემ თანა წიგნები მოსრულდ იყო პროზით დედაკატად და ზაბილოვნით პურიათაჲ, მღვდელთაჲ და მწიგნობართაჲ, რომელსა წერილ იყო ესრეთ, ვითარმედ“... ანუ უკვე შე-ვიდრე-მე ვსცითი ნაწარველი-სა მის იესუსის სიკუდილსა, რამეთუ მხედვე პირველ, ოდეს მაათა ჩუენთა შესცოდან ღმერთსა და უოლადე დავიწუნინან იგი, მის-ცის კელმწიფესა ძლიერსა და ტუფობასა, ზოლო ოდეს მოიქციან და დღად-უვიან, მწრალდ განაჩინის იგინი ჭერისაგან. და ესე შედგნის ვიციტ წერილთაგან. ზოლო ვინათ-გან კელნი შეახნენ ძესა მას დედაკაცსა მწი-რისასა და მოკლეს, აღიღო ღმერთან კელი მისი ჩუენ ზედა, განხეთქა მეფობა და გან-გუაშორნა ტაძარსა ღმრთისასა და უაზღო-ბელს-ყო ნათესავი ჩუენი სრულიად. ზოლო არა სხვა საშასი წელი, ვინათგან არცა და უოლადეც ისმინა ვედ-რება ჩუენი, არცა უოლხინება. საგონებელ მიჩს, ვითარმედ ზე-ცით იყო კაცი იგი“ (შატბ. კრ. 346, 24-347,5).

როგორც წერილიდან ჩანს, იგი განცუთვნე-ბა 383-384 წლებს, რადგან ქრისტეს ჭკარცმი-დან გასულა 380 წელი, ასევე იბრძაღთა შერის-ხვისა უფლისაგან. ამ ადგილის შემდგომ მო-თხრობილია ამავე აბათარის მიერ ზეფლის შეცვლისა, რომელიც „მას ეამსა“-ვე მოხდა. შემდგომ ნათქვამია, რომ „მათ დღეთა შინა“ მოვიდა წერილები ნინოსა და მირიანის, მთლი-ანად ქართველი ერის მიმართ რომის წმიდა პატრიარქისაგან და რომ მოივიღნა ბრძთა მთავარდიაკონი ბრძთა მეფის წერილით, ნა-თქვამია, რომ მათ იერუსალიმიდან, რომიდან, კონსტანტინოპოლიდან გაგონალო ჰქონდათ რის „უქუყანასა მას ჩრდილოასასა მიუფინელ არს მწმ იგი სიმართლისანი, ნათლი, მამისა მიერ მოსრული — ქრისტე“ და უნდოდათ გაეგოთ სუტის საწაულები და სხვა საქმეები. რო-გორც ვხედავთ, ამ წერილების მოსვლის დროს არაუ მომხდარი იყო სუტოს აღმართება, არამედ უკვე უცხოეთშიაც იყოღნენ მის შე-სახებ. ეს წერილები შეიძლება დათარიღდეს მიახლოებით 384-385 წლებით.

აბათარის მიერ პირველი წერილების მი-ღებისთანავე იგი მიღის ნინოსთან, მისი მო-

ნათლის დროსათვის, უნდა ვიფიქროთ, რომ მირიანის ეპიზოდი უკვე მანამდე უნდა მოხდეს მირიანის 50 ხარაბიანს, რომელსაც მისწავლ-ნენ, უბოძა დაბა ციხედიდი „და იყვნენ დად წინაშე მეფისა და ქრისტანეთასა მადლითა ნეტარისა ნინოსითა და მოძღურებითა მისი-თა“ (შატბ. კრ. 347, 35-38).

5. სომეხი ისტორიკოსის მოხე ზორენაციის მიხედვით, სომხეთში თრდატ დიდის გამეფება მომხდარა დიოკლეტიანეს მეფობის მე-9 წელს,¹² ე. ი. 286 წ., ზოლო უმეღნა მას 56 წელი,¹³ ე. ი. გარდაცვლილა თრდატი 342 წ. რამდენადაც თრდატის მიერ სპარსელების და-მარცხება და ზავი, ავტორის მიხედვით, მომხ-დარა სომხეთში თრდატის, სპარსეთში შაჰუ-პის, რომში კი კონსტანტინე დიდის მმართველ-ლობის პერიოდში (რომელიც გარდაიცვალა 337 წ.),¹⁴ ზოლო ამ ბრძოლის მონაწილე ივე-რიის „მმართველი“ მირიანი, უკვე მონათლუ-ლია,¹⁵ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ბრძოლა მო-მხდარა 337 წლამდე, ზოლო მირიანისა და სრულიად ქართლის მოქცევა ამ ბრძოლის წინა პერიოდს განეკუთვნება. ეს მონაცემებიც მხარს უჭერს მოსაზრებას მირიანის საწაულის 384 წლით დათარიღების შესახებ.

6. კ კველიძის ქართლის მოქცევის თარი-ღად 355-56 წლების მიჩნევისას ერთერთ არგუ-მენტად მოაქვს გელასი ექსარქილის ცნობა იმის შესახებ, რომ ეთიოპიელები და იბერები თითქმის ერთსა და იმავე დროს მოიქცნენ ქრი-სტეს შველზე.¹⁶ მისი აზრით, ეს მოხდა 355-356 წლებში. საინტერესოა ამ მხრივ ათანასე ალექსანდრიელის „კონსტანტინე მეფის აპო-ლოგისა“ ერთი ადგილი, კერძოდ წერილი კონსტანტინე ექსარქისა, რომელთა ადრესატე-ბია აქსუშთა მთავრები აიძანა და საძანა. ა წერილში ფრუმენტოსი აქსუშთა ეპისკო-პოსად იხსენიება, კერძოდ კი ეთიოპიელებისა (პატროლ. გრეკა, 25, გვ. 838, § 81). კონსტანტინე მოუწოდებს აქსუშთა მთავრებს გაგზავნონ ფრუმენტოსის ალექსანდრიაში, სადაც მეორედ ეკურთხა ეპისკოპოსად ათანასე“. ამ ფაქტის კვალიფიკაცია მოცემული აქვს ე. ამელინოს, რომელიც წერს: „ეთიოპიელი ავტორები მათი ქვეყნის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქ-ცევის 388 წელს ხდებენ, რაც კარგად შეესაბა-მება სოკრატე სკოლასტის (388-450 წწ.) ცნო-ბას, სახელდობრ, რომ წმინდა ათანასე ზელმე-ორედ დაინიშნა ეპისკოპოსად, როცა მას ფრუ-მენტოსისა შეატყობნა ის, რასაც ადგილი ჰქონდა მისი ტყვეობის დროს ეთიოპიაში“.¹⁷

სწელია იმის თქმა, თუ რამდენად გამართ-ლებულია ეთიოპიელთა მოქცევის ქართლის მოქცევისთან დაკავშირება, მაგრამ თუ ეს ასეა, ეს უნდა მომხდარიყო 328-329 წლების პერი-ოდში,¹⁸ ზოლო ე. ამელინოს დაზუსტებით, —

228 წელს. ეს თარიღი ახლოს დგას ჩვენ მიერ ნაყარადღებ 224 წელთან.

8. „მოქცევაჲ მართლისაჲს ცნობათა ისტორიული ღირებულეჲსა“

რამდენადმე უცნაურად გამოიყურება ის ფაქტი, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, საქართველოს ისტორიის ყველაზე ადრინდელი წყარო, ჩვენი სახელოვანი მეცნიერების ი. ჭავჭავაძისა და კ. კეკელიძის მიერ შეფასებულა როგორც მდარე ხარისხის ნაწარმოები და ისტორიული თვალსაზრისით სრულიად ვაიუსაღმდეგოა თხზულება. ი. ჭავჭავაძილი მითითებს ამაზე, რომ „ყველა ეს ვითომდაც თვით ნინოს და მის თანამშრომლების ნაამბობი და ჩაწერილი მოთხრობები მართო უაღბსათაურიან ანუ ფსევდოჰაგრაფიულ თხზულებებზედა კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ თვით შინაარსიც, რამდენადაც იქ ახალი ცნობები მოპოვება ნინოს დედ-მამისა, მისი აღზრდისა და უმეტეს წილად მოღვაწეობის შესახებ, ნდობის ღირსი არ არის, რააგან ყველა ეს ცნობები მერტა შეთხზული და უაღბია. უურადღებების ღირსია, რომ ახალი აზრების გასავრცელებლად ასეთს ხერხს ხშირად ხმარობდნენ ბოლშე“.¹⁹

ი. ჭავჭავაძილი სხვაგან უურადღებებს ამაზე. ღებს იმაზედაც, რომ ვითომდაც „ბელოცნების მხრივ ეს ნაწარმოები მდარე ღირსების ნაწარმოებია“, რომ „უკვე არსენი კათალიკოსმა (XII ს.) შენიშნა, რომ წმინდა ნინოს შატბერდულ ცხოვრებაში მოჰყარებულა მრავალმეტყველება“²⁰ და სხვ.

კ. კეკელიძის აზრით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს და წმინდა ნინოს შატბერდულ-ქელოზური ცხოვრების ისტორიული ღირებულება მანცდამანც დიდი არაა, ისინი საგნეა ღედებებით, ანჰრონოზებით, ერთმანეთის საწინააღმდეგო ფაქტებოთა და თქმულებებით.²¹ კ. კეკელიძე თავის ზემოთდასაზღვრულ ნაშრომში სრულიად უგულბებულყოფს „მოქცევაჲს“ თარიღებსა და ცნობებს.

ამგვარ უნდობლობას, ერთი შემდეგით, „გამართლებაც“ კი აქვს, რადგან შატბერდული და ქელოზური წესებები, ერთმანეთთან შეუთანხმებლობის გარდა, ერთი ხელნაწერის ფარგლებშიც გარკვეულ შეუსაბამობას ავლენენ, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ერთი წესების შეგნით ამგვარი წინააღმდეგობანი რიც შემთხვევაში ტერმინთა ადრეაზეა დაფუძნებული, სხვა შემთხვევაში კი ასეთი რამ გვიანდელი რედაქციის შედეგი ჩინს. მათი რაცხეი არცთუ დიდია.

ი. ჭავჭავაძილი თვითონ მითითებდა შატბერდული და ქელოზური წესების შედარებითი შესწავლის საქართველაზე.²² ი. ჭავჭავაძილი, ნ. მარზე დამუარებით, ავითარებს აზრს, რომ

ღის მიხედვით ნინოს ცხოვრება თუ ღვათ საუკუნეში არაა დაწერილი. მეტყვე საუკუნეზე უწინარეთი მანიც არ უნდა იუოსო! ამის ერთ-ერთი საბუთად მის მოაქვს დამახინებულნი სანარსული წინადადება, რომელიც ქართულად არასწორი დანაწევრებით არის ჩაწერილი ნინოს ცხოვრებაში: „რაათმებოა ზოქათ სთაბანუბ რასულ ფსარზად“, და რომელიც ნ. მარს გაუწერსრებათა ახე: რასთ მეგოა ბოქასთა ბანუ რასულელი. ფსარელი [ქ]ადა... „მართალსა იტყუ ბედნიერო დედოფალო და მოციქულო ძისა ღმერთისაო“. აქ უურადღება გამჰხვილებულია არაბულ სიტყვაზე რასულ „მოციქული“, რომელიც IX საუკუნეზე ადრევე აღმოჩნდებოდა ქართულ ტექსტში. ჩვენი აზრით, ეს ფრაზა გვიანდელ ჩანართს წარმოადგენს ტექსტში, რადგან შინაარსის მხრივ აქ იგი სრულიად უცხოა გამოიყურება, რამც ილ. აბულაძის შემდეგი შენიშვნა გამოიწვია: „აქ ტექსტი ნაკულღევანი ჩანს, ბუნებრივი არაა გაგრძელება“.²³ შატბერდის კრებულის ზოლიან გამოცემაში შეორდება იგივე შენიშვნა: „აქ ტექსტს უნდა აკლდეს“.²⁴ მართალია, სპარსული ფრაზა აქ ჩართულია, მაგრამ ტექსტი ბელნაწერისა ნაკულღელი არ უნდა იუოს. საქართველოში აშოვიღოთ ზემოთ მოტანილი ფრაზა მისი თანმზლები ქართული თარგმანით, რომ თხრობა ბუნებრივი ჰდება. სპარსული ფრაზის წინ მთავრდება 229-ბ გვერდი ახე: „და დაარღუნა ზღუღენი იგი ქარმან სასტიკმან და შთაუარნა ივინი კლდესა, რომელსა-იგი თქუენსა ჰხედვეღით ანუ არა“ (შატბ. კრ., გვ. 229). შემდგომ ზოდის 230-ა გვერდი, რომელიც იწყება ახე: „და თქუა მეფემან ცრემლით: „3მ, 3მ რაათმებოა ზოქათ სთაბანუბ რასულ ფსარზად“. ზოლო თარგმანებმა ესე არს: „მართალსა იტყუ ბედნიერო დედოფალო და მოციქულო ძისა ღმერთისაო“. ამის შემდგომ ზოდის ბუნებრივი გაგრძელება შეწყვეტილი ებოზობისა: „და ვთარაო დასცხრა რისხვამ იგი, გამოყვედ კლდისა მისგან ნაპარლისა და ვსოვე თუალი იგი ბეარტიო, ადვიღე და წარმოვედ წინა კერძო დასასრულისა მის კლდისასა“ (შატბ. კრ. 230). როგორც ვხედავთ, ტექსტი ბუნებრივად გრძელდებოდა, მაგრამ ახალ გვერდზე გადასვლისას დასაწყისში უადვილოდ ჩანატებულია ზემოხსენებული ფრაგმენტის სპარსული სიტყვებით. რა თქმა უნდა, ეს ფრაგმენტი „ნინოს ცხოვრების“ დედანში არ უნდა ყოფილიყო. ქართლის ცხოვრებაში ამ ადგილას სხვა ტექსტია ჩართული: „ზოლო ღდესა მეორესა გამოვიდა მიჩარან მეფე და ყოველი ერთი ძიებდა ღმერთთა მათთა და არა პოვეს, რომლისათეს-იგი დაეცა მათ შინი და ძრწოლა. და იღლოდეს გულფობიღვი იგი იგი და იტყოდეს, ვითარმედა: „ქალღვეღელთა ღმერთი იორქან და ჩუენი ესე ღმერთი არმაჲ ყოვ-

ლადეჲ მტერ არიან: ამან ხაჲე მას ზედა ზღუა მოაქცია, და აჲ მან შურთ იძია და მას მიერ მოიწია ესე... ზოლო მასვე დღესა რისხვისასა, ოდეს დასცხრა სეტყუა იგი და ქარი სასტიკო, გამოვიდა წმიდა ნინო კლდისა მისგან ნაპრაღისა და პოვა თუალი იგი ბიერილი, აღიღო და წარმოვიდა წინა კერძო დასასრულისა მის კლდისა ცხერისასა... (ქ. ცხ., 81-82).

„ქართლის ცხოვრების“ ეს ფრაგმენტი, ჩვენი აზრით, ისევე უადგილოდ წართულია ძირითად ტექსტში, როგორც „მოქცევის“ სპარსული ფრაზა. საქმე ისაა, რომ კერბთა დახეტყვასა და დაღუწვას უშუალოდ უნდა მოსდევდეს ფრაზა, რომელიც სეტყვას დასასრულისა და ტექსტუბილის დაცხრომის ამსახველი უნდა იყოს, რის შემდეგაც ნინო გამოდის კლდის ნაპრაღიდან და მიაშურებს ნაქალაქარ აფგილს კლდის პირას, სადაც იდება „შუენიერი ზმ ბრინჯისაჲ“. მირიან მეფისა და ერის მეორე დღეს გამოხვლა კერბების საძებნად და მათი ვერპოვნა სრულიად არალოგიურია. მათ ზომ წინააღმდეგ თითონ იხილეს კერბების შემუსრვა ამის შემდეგ ხდებოდა მობრუნება ნინოსთან, რომელიც მერე აღსენდებოდა ავტორს და ამბობს: „მასვე დღესა რისხვისასა, ოდეს დასცხრა სეტყუა იგი და ქარი სასტიკო, გამოვიდა წმიდა ნინო კლდისა მისგან ნაპრაღისა... თავდაპირველ ტექსტში, ჩვენი აზრით, მირიან მეფის მეორე დღეს გამოხვლა და კერბთაძებნა, ავრეთვე კვალითკაცია ამ ფაქტისა, არ უნდა უოფილოურ. როგორც ირკვევა, „ქართლის მოქცევაში“ ჩამატებულია დაახლოებით 8-სტრიქონიანი მონაკვეთი, „ქართლის ცხოვრებაში“ კი — უფრო მოწრიდელი, რომლის ნაწილი გადმოტანილი უნდა იყოს „მოქცევის“ მე-8 თავიდან, სადაც მირიანი ნინოს ეუბნება: „იგი არაჲ და ქალდეველთა ღმერთი ორთუშანა უოვლადეჲ მტერ არიან, ამან მის ზედა ზღუაჲ მოადგიინს და მან ამის ზედა ერთი ანუ რამე მოაწიის“... (შატბ. კრ. 811).

საიდან მოვიდა „ქართლის მოქცევაში“ სპარსული ფრაზა ქართული თარგმანითურთ, ეს ჩვენივეს ნათელი არაა.

„ქართლის მოქცევის“ ტექსტში სხვა ჩანართებიც რომ უნდა გვქონდეს, ამას ადასტურებს ქართველ მეფეთა და კათალიკოსთა სია, რომელიც თ. გორდანიას მახვილი დაკვირვებით, განსხვავდება მეფეთა და კათალიკოსთა სახელების აქამდე დამატებული იქნისაგან: „ხასიათი ქრონიკისა სრულიად იცვლება, ისტორია მოულოდნელად წყდება, ამბების მაგიერ ცარიული სახელებიდაა, და კათალიკოსების სია, წინააღმდეგ მიდებულა რიგისა, გაუოფილია მეფეთა სიისაგან, რამდენთამე მეფეთა სახელები გამოტოვებულია და მხოლოდ მაგრატიონთა შტოს მისდევს“.²⁶ თ. გორდანიას წერს: „რის მომხსნავებელია უოველივე ეს, თუ არა იმისი, რომ ძველი დედანი ქართლის მოქ-

ცევისა და ზემოხსენებულის ბერძენი მეფეთა სიისა მოყვანილი უოფილა 715-717 წწ.წმუქელა დანარჩენი მერე შეუშისთა სხვა-სხვა წყაროებთა გან...“²⁶ თ. გორდანიას აზრი „ქართლის მოქცევს“ შესახებ განსხვავებულია ი. ჯავახიშვილისა და კ. კეცელაძის შეხედულებათაგან. მას მიაჩნია, რომ „ქრონიკა ქართლის მოქცევისა უნდა იყოს შემოკლებული პირი უძველესის საეკლესიო მატანისა... რომ ამ მატანის შემოკლებულ პირში, ანუ ჩვენს ქრონიკაში, უფრო დაწერილებითი და კრწმარტივი ცნობები იპოვება, ვიდრე „ქართლის ცხოვრებაში“ ძველ კერბებზე და კერბთმსახურებზე და ვერა იმ ციხე-ქალაქებზე, რომელშიც აღმართულია იუვენე უმთავრესნი საქმელ კერპნი. იმავე მიზეზით ამ საეკლესიო მატანას დიდი უფრადლება მოუქცევა წმიდა კონსტანტინე დიდის ქრისტიანობად მოქცევაზე. ქრისტეს ქვარის პოვნაზე და წმიდა ნინოს მიერ ქართულთა ცრში ქრისტიანობის შემოღებაზე“.²⁷ ავტორი იმ აზრს აეთიარებს, რომ თავდაპირველად ქრონიკა მთავრდებოდა მირიანის ცხოვრებით და ქართლ-კახეთის მოქცევით, შემდგომ მწერლებს გაუჭრძელებიათ თხრობა საქართველოში მაჰმადიანთა შემოსევამდე (716-717 წწ.), სადაც შეწყვეტილია მატანე, ზოლო მე-8 საუკუნის დასასრულს დაშის გაუჭრძელებია იგი და დაურთავს მოკლე სია ერისთავთა და მეფეთა თავის დრომდე. უკანასკნელ, შატბერდელ მწერლებს ეს სია X საუკუნეშივე მოუყვანიათ,²⁸ ვლიქრობთ, ეს მსჯელობა არაა მოკლებული და მჭერებლობას.

რომ „ქართლის მოქცევა“ მრავალგზისი გადამუშავების შედეგა უნდა იყოს, ეს გვეს გარწმევა. ძირითადი ფენა საგზაო სიძველის არის და, რაც მთავარია, ისტორიული ფაქტებიც საგზაოდ სანდოდ უნდა იყოს გადმოცემული. ამის არგუმენტიც გამოდგება: 1. კონსტანტინე დიდის „მონათელის“ თარიღი „მოქცევის“ ტექსტში. 811 წელი, ცხადია, კონსტანტინეს მონათვლის წელი არაა, მაგრამ ისაა დრო მის ხსენითან დაკავშირებული ედიქტისა, რომელიც ქრისტიანული აღმსარებლობის შემწყნარებლობას უწყებს (გაულორეს-კონსტანტინეს ედიქტი)²⁹ 2. მირიანის ნადირობისა და შუის დაბნელების ეპიზოდი. მისი მონათვლა და რიგი სხვა ფაქტი ნინოს მოღვაწეობისა მახსულია მოსე ზორნაციოს ისტორიაში, სადაც მირიანი იწოდება „იერიის მმართელია“ და „გუგარქის ბებნამე“.³⁰ მართალია, მ. ზორნაციო ავთანდილოსს ემყარება, მაგრამ ზოგან გვაოცებს მისი სიახლოვე „ქართლის მოქცევის“ კერძო ეპიზოდებთან. ასეთია შეკითხვა, რომლითაც მიმართავს მირიან მეფე ნინოს და რომელიც არსებობად მეორდება სომეს ისტორიკოსთან: „რომლისა ღმრთისა ძალითა იქმ საქმესა ამას კურნებისასა?“ (შატბ. კრ. 840, 28-29). არ არის



გამორიცხული, რომ მისე ზორენაცი ქართული ქრონიკითაც სარგებლობდებო. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, ძალზე ფრთხილი ვარაუდია. უოველ შემთხვევაში, მისე ზორენაცისთან არაერთხელ არის წახსენება შირიანი და მისი ქრისტიაობა. ამხელ პერაოდს ეძახებოდა თრდატ სომეხთა მეფისა და კონსტანტინე დიდის მმართველობა, რაც ქართლის მოქცევის ცნობებს მტ დამაჩერებლობას სძენს. მ. ნიკეის კრების თარიღი ჰელიწურ ნუსხაში ზედმოწვენიო ზუსტად არის მოწოდებული: 318 + 7 = 325; 4. განსხვავებით კ. კეკელიძის მისაზრებისაგან, რომ ქართლის მოქცევას ადგილი ჰქონდა არა კონსტანტინე დიდის, არამედ მისი ძმის კონსტანტი კესარის დროს, ქართლის მოქცევა გვიუნებო: „ფრთხედ ერთოდეს მეფესა კონსტანტინეს, ძესა კოსტანსსა“ (შატბ. კრ. 321, 38-34). რომ კონსტანტინე დიდის შამა იყო კონსტანტიუს ქლოარუსი, რომელიც ძველი იხსენიებო როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ფაქტია,²¹ რომელსაც ზვენი შატანის ავტორი სავანგებოდ აღნიშნავს, რაც შეტყველებს მის ცნობათა სანდოობაზე. ი. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ ქართული და ბიზანტიური წყაროები (გელასი, რუფინუსი და მათზე დამოკ. დებულო სხვა ავტორები) ერთხმად მოწმობენ, რომ შირიანის მოქცევის წელს ბიზანტიის იმპერატორად იყო კონსტანტინე დიდი, რომლის სამეფო ტახტი უკვე კონსტანტინეპოლში იყო,²² კონსტანტინეპოლი კი სატახტო ქალაქად 330 წლის 11 მაისიდან გამოცხადდა. ასე რომ, ქართლის მოქცევას ადგილი უნდა ჰქონოდა არა უადრეს ამ თარიღისა და არა უგვიანეს 337 წლისა, როცა კონსტანტინე დიდი გარდაიცვალა. მიუხედავად კ. კეკელიძის შეხედულებისა, რომელიც უარყოფს კონსტანტინე დიდის მეფობაში შირიანის მოქცევას, „ქართლის მოქცევის“ თანხმობა ბიზანტიურ და სომხურ წყაროებთან, ვფიქრობთ, ძველის მოწაყმობა სანდოობის მაჩვენებელია. არა უგულუდობისა უოფი, ვფიქრობთ, არც გიორგი მოწაწონის ხრონოღრაფის ცნობა, რომლის მიხედვითაც „შტის ნეტარისა მეფისა ზე (ლაპარაკია კონსტანტინე დიდზე — ბ. გ.) უშინაგანესსა ბინდონი და ქართველნი მოუქმებეს საღმრთოსა წათლს-ღებესსა“ (ხრონ., გვ. 262). ხრონოღრაფი ზომ თარგმნილო ძველია, რომელიც ადასტურებს ორიგენა. ლური ქართული შატანის ჩვენებას. ამას გარდა, ამ ძველში ლაპარაკია ბინდოსთა (-ეთიოპელთა) და ქართველთა ერთდროულად მოქცევაზე, რაც სხვა ბერძნულ წყაროებშიც გვხვდებო.

რაც შეეხებო ძველის ენასთან დაკავშირებულ საკითხებს, აქ ურადდება გვინდა შევარჩოთ ორ მათგანზე: 1. ძველის ენის მხატვრულ დონესა და 2. ძველის ენის არქაულ ბუნებაზე.

ჩვენი აზრით, არა დამაჩერებელი საკითხი შეილოს შეხედულება „ქარაქოქის მხატვრული თითქოს „ბელოცენების მხატვრული მხატვრული მხარე ღირსების ნაწარმოებია“. რომ აქ ადგილი აქვს „მრავალმეტყველებას“ და ა. შ. ძველის ზერელე გადაკითხვაც კი დაგვაჩაბებს, რომ „მოქცევა“ არაა მხატვრულ ღირსებებს მოკლებული ნაწარმოები, ფორა, პირაქით: იგი საკმაოდ მაღალმხატვრული თხზულებოა, რამდენადაც ეს შესაბამისებელი ისტორიულ მოვლენათა გადმოცემასთან. ზვენი დებულების საი. ლუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

1. და ათობთმეტისა წლისა შემდგომად მოივლინა ქუეყანასა ჩვენსა ქალაგი გეშმარტებისა ნინო, დედოფალი ჩუენი, ვითარც ბნელსა შინა შთიები რაა და მოქმედისა და ცისპათი აღლოა და მის შემდგომად აღმოვალნ დიდი იგი მფლობელი დღისაი (შატბ. კრ. 38, 28-37).

2. ზოლო ამას ქუეყანასა ქართლისასა იუცნეს ორნი შთანა და მათ ზედა ორნი კერასი — არმაზ და ზადენ, რომელნი იუროს დენსულ მურალობით ათასსა სულსა ურშისა პირიმშოკასასა (შატბ. კრ. 337, 37-385, 1).

3. ახულნი სარწმუნოვებისაო... გინებს გზათა ჩემთა ცნობა, გლაზაკისა მეველისა თქუენისათა და ვაუწყოცა. ესერა შოსრულთა სული ჩემი ქორკად ჩემდა. დამეძინებინ ძილოთა შით დედისა ჩემისათა მსაუკუნოდ (შატბ. კრ. 322, 19-21).

არაშეთათად ავტორი იყენებს ფსალმუნისა და წინასწარმეტყველთა ფრაგმენტებს და ორ. განულად სვამს შთა წაწარმოების ამა თუ იმ ეპიზოდში.

4. წულსა შას იორდანისასა, ზაქარიას ძისა განვლოდეს უოველნი ნათესავნი ისრაელისანი და შენი შამის დედის ძმა ილიოს თანავე იყო. და ამა ესერა ცაი ქუჭდა და ქუეყანასა იძრქოდა, შთანო ქეთხულობდეს, ბორცუნი იმდერდეს, ზღუაი დგა წულნი აღმართ დოოდეს, ზაქარიას ძმ ივლტოდა და ჩუენ უოველთა ზარი შერ. წუნებისა დაუეცა“ (შატბ. კრ. 338, 31-33). შდრ. 118-ე ფსალმუნის 3-4 მუხლები: „ზღუამან იხილა და ივლტოდა და იორდანე უკუნ-იქცა უოვლად. შთანო იხარებდეს ვითარცა ვერძი, და ბორცუნი — ვითარცა კრავი ცხოვრობანი“. როგორც ვხედავთ, საკმაოდ დიდი ვანსხვავებოა ფსალმუნთან, გამოზატულების თვალსაზრისით, თუმცა ეს ადგილი გაქეთებულია ფსალმუნზე დამყარებით.

ძველის მხატვრულობით არის გამოწვეული ჩვენი აზრით, ტმენების საკმაოდ დიდი რაოდენობა. ორიოდ მაგალითი:

1. რამეთუ აღმოადენს რულეყო



მეშ სიმართლისა და მო-ოდენ-ფენილი-ყო კე-
შმართი (შატბ. კრ. 265, 6-6).

2. შე-ვი-ღ-რ-ე-მ-ე-ვ-ს-ც-ე-თ-ი-თ ნაწარვე-
ლისა მისი იესუსის საყუდილსა (შატბ. კრ. 266,
24).

3. რამეთუ შე-ც-ა-შ-ე-ნ-ვ-ე-ვ-ა-ვ-ა-პ-რ-ე-ნ და
შენვე უაჲ ესე ჩუნე ზედა (შატბ. კრ. 229, 14).
ძველის ენობრივი ნორმები ძირითადად კლასიკური ძველი ქართულიდანაა. მაგრამ არის ცალკეული ფაქტები, ლექსიკური და გრამატიკული, რომლებიც მის არქაულობას გვაფარაუდებინებს:

1. სიტყვა საშდდელო, როცა ის ნახმარია არსებითი სახელის გაგებით და აქვს „ტაძრის“ ან „სამსახურებლის“ მნიშვნელობა, როგორც ამაზე მიუთითებს ს. ყაუხჩიშვილი, ძველი ვითარებისაა. ვაძმონაშთია. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ასეთი მნიშვნელობით საშდდელო („ტაძარი“) ორჯერაა ნახმარი ადიშის სახარებაში.³⁴ სინამდვილეში ადიშის ოთხთავში ნ მადალითაა აშვარი, როცა ქრტი-პარხლის ფორმის ტაძარი შესატყვისად საშდდელო იხმარება, ზუთივე შემთხვევაში მარკოზის თავში (მრკ. 11, 11, მრკ. 11, 15, მრკ. 11, 16, მრკ. 11, 27, მრკ. 12, 25). ერთზედ ამავე მნიშვნელობით ეს სიტყვა დაფესტურებულია სინურ შრავალთავში (28, 17). სამწუხაროდ, ხანმეტ ოთხთავში ეს ადგილები ამოკაბული არაა, რის გამოც ადიშის ჩვენებათა შემოწმება არ მოხერხდა. საშდდელო გვაქვს „ნიწონ ცხოვრებაში“:

მე, აბათარ, მდდელ ვაჲე წილით ზუდერ-
ბული საშდდელოსა ზედა მის წილიწა-
დისასა (შატბ. კრ. 246, 24).

2. საკმაოდ იშვიათია IX-X საუკუნის ძველ-
ბში მოპარვედრნი ქად-ძირთან, ე. ი. მო-
ქდა ფორმა „მოვიდა“-ს მნიშვნელობით. მოქდა (-მოვიდა) ფორმის სიძველეს მისი ტანური შესატყვისი მოხთ-უ-ც ამუდავნებს. აი ადგილი ქართლის მოქციედიან, სადაც ეს ფორმა დასტურდება: შამბავი მოქდა (შატბ. კრ. 227, 12).

გვივე ითქმის მოქდა ფორმაზეც, რომელიც ამავე სიტყვასთან გვაქვს ჩვენს ძველში:

და ვითარცა მიებაზნენ ვითარ ერთ დღისა
სავალსა, მოქდა ჰამაჲე ვითარმედ მერქ მო-
ვალს ცოცხალი და უთუენნი მოვარნი მის თა-
ნა (შატბ. კრ. 229, 27).

3. წილი-ს-გ-ან-გ-დ-ე-ბ-ა, წილი-ს-პ-რ-ა-
ძველ ქართულში ჩვეულებრივია ფორმებია, მაგრამ წილ-თ-ზე-ც, ჩვენი აზრით, — საკმაოდ იშვიათი. ეს ფაქტი შესაძლოა მის არქაულობაზე მიუთითებდეს. მაგალითი:

ქარს-ა-ღ-უ-ტ-ს და საშოსელსა მისსა ზედა
წილ-თ-ბ-ი-ნ-ე-ს (შატბ. კრ. 221, 14).

4. საკმაოდ უჩვეულოა წარმო-ზმონისინის
დაკავშირება ცად-ძირთან:

და ეს უოველი წარმოცადა პალატ...
(შატბ. კრ. 221, 17).

5. შატბერდულ და კელიუმში მონაწილეობა
თითო მაგალითი ისეთი ზმონური ფორმებისა,
რომლებიც ხანმეტობის გადმონაშთებს უნდა
წარმოადგინდნენ, ჩვენი აზრით. ეს ფაქტები იმ
ტიპისაა, როგორიც შემჩნეული აქვს ა. შანი-
ძის ადიშურ ბედნაწერში, მისი ქრტი-პარხლის
რედაქციასთან შედარების პროცესში.³⁵ საუ-
ბარია ზედმეტად ნახმაზ, დაქარაგმებულ 6
(= ხოლო) ელემენტზე:

შატბერდული ბედნ.: მაშინ მო-
ხ-ბ-უნ-ე-ს საწერელნი სალომე უფარმელან
და ზენიელმან პეროფარი.

კელიუმური ბედნ.: მაშინ მსწრაფლ
მოხ-ბ-უნ-ე-ს საწერელნი (აგ. დ. I, 106, 12).
როგორც ვხედავთ, შატბერდულ მოხ-ბ-უნ-
ე-ს ფორმას კელიუმურში მოხ-ბ-უნ-ე-ს შეე-
ფარდება. ეს ფაქტი, იმის გათვალისწინებით
რომ ხოლო ზრულიად უადგილოა ამ კონტექ-
სტში, გვაფიქრებინებს, რომ ის არის დედნი-
სეული უქარაგმობ — ობიექტური მე-მ პირის
ნიშანი, რომელიც ხანმეტი ნორმების არმყოფ-
ნივ გადამწერის დაუქარაგმებელი.

მეორე მაგალითი ამავე სახისა უაჲე კელი-
უმურ ბედნაწერში იჩინებს თავს:

შატბერდული ბედნ.: და მესურელად
მოიდეს ძელი და იწყეს შენებად.

კელიუმური ბედნ.: და მსწრაფლ მო-
ხ-ბ-ი-ღ-რ-ე-ს ძელი და დაიწყეს შენებაჲ ეკლესიისაჲ
(აგ. დ. I, 128, 12).

ის ფაქტიც, რომ ბ მოთავსებულია ი პრე-
ფიქსის წინ, ზმონისინის მომდევნოდ, სადაც
ჩვეულებრივ პირის ნიშანი არის მოთავსებული,
სხვა გარემოებებთან ერთად, იმაზე მივითი-
თებს, რომ ეს ბ, ოდინდელი პირის პრეფიქსი,
შერჩენილია გადამწერელ პირში და, ზუნებრი-
ვია, გადაზრებულა კიდევ გადამწერის მიერ,
რადგან მისი ფუნქცია უაჲე გაუგებარი იყო გა-
დაწერის დროს.

ბ-ს პირის პრეფიქსად შეფასებას შეიძლება
ენიანადმდებლობებს ის ცნობილი წესი, რომ-
ლის მიხედვითაც ობიექტური მე-მ პირის ნი-
შანი ზმნურ ფორმაში არ უნდა გვექონოდ წა-
რმოდგენილი, თუ შესაბამისი სახელი სახელო-
ბით პრუნვაში იდგა: მათ მო-ხ-ბ-უნ-ე-ს სა-
წ-ერ-ელ-ნი, ამრადგად, ამ წესის დარღვევაა.
მაგრამ ხანმეტი ტექსტების გამოკვლევების შე-
დედვ გამოვლინდა აშვარი სახელების აღნიშ-
ვნის არაერთი შემთხვევა ზმნურ ფორმაში
ოთხთავის ტექსტში. მოგვაქვს მაგალითები
ლ. ქაჭაიას მიერ გამოცემული ხანმეტი ტექს-
ტებიდან³⁶

ბ-თ-ქ-თ-ი (= ბ-თ-ქ-თ-ი — ბრძან. კ.) მო-
12, 12; მო-ბ-ი-კ-ი-თ-ბ-ე-თ-ი (ბრძან. კ., მო-
10, 12), და-ბ-ი-ყ-ა-რ-ე-თ-ი (ბრძან. კ., მო- 10, 12),
შ-ე-ბ-გ-რ-ა-გ-ნ-ა (მო- 27, 59), ბ-ი-ბ-ა-ნ-ა (მან

იგი. ლ. 11, 88). ხათოხიუო შამაან თქუ-
ენშან (ლ. 12, 82), არა განხ-უ-აძო (ო. 6, 27),
განხ-აძეს იგი (ლ. 20, 82), მი-ხ-იუვანის
(შთ. 7, 18), მი-ხ-ავორვა-ლოდა (შთ. 27, 46)
და სხვ.

ხანმეტური ფორმების არსებობა იმაზე მი-
ვანიშნებს, რომ „ქართლის მოქცევის“ დედანი
უნდა შექმნილიყო არა უგვიანეს მე-7 საუკუ-
ნისა, შესაძლოა, ვაცილებით ადრეც, ასე რომ,
ქართლის ისტორიის ეს კრონიკა უძველესია
თავის წარმოშობით და არაა ლიტონი განცხა-

დება ის ცნობა, რომელიც ამ თხზულებას
ბილოს ერთვის ანდერძის სახელწოდებით ქრუ-
ღისა „მოქცევისა, რომლითა აღმართან წათე-
ლი გამოაბრწინეა, და დასაბამი წმიდათა ეკ-
ლესიათა გამოაბრწინებოსამ, ძალთა ზეცისა
შეკლობელთა... ადუეაილდა უბიწოა სარწ-
მუნოებამ, შეუძრავი კედელი... ქრისტესა
ესე... ჩუენისა სულისამ, ვითარცა ტაღანტო
წინამძღვართაგან დაფარული, შემდგომად შრ-
ვალთა ეამთამ და წელთა ვხოვეთ“.

შენიშვნები:

1. თ. რ. თაბოლცერო, შტის დაბნელების
კონონი, ვენა, 1887 (გერმ. ენაზე).
2. კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის
მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკით-
ხები, მიმოიხილველი, I, ტფილისი, 1926, გვ-
38.
3. იქვე, გვ. 39.
4. ე. ხარაძე, შვე, თბილისი, 1950.
5. კ. კეკელიძე, დსაბ. ნაშრომი, გვ. 39.
6. კ. კეკელიძე, დსაბ. ნაშრომი, გვ.
30-40.
7. იქვე.
8. ე. ხარაძე, შვე, გვ. 135.
9. БСЭ, II изд., 1952, т. 16, с. 497.
10. ე. ხარაძე, შვე, გვ. 135.
11. ივ. ჭავჭავაძე, ქართველი
ერის ისტორია, I-III, ტფილისი, 1913, გვ. 241.
12. История Армении Моисея Хоренско-
го, Новый перевод Н. О. Эмина, М., 1893,
с. 127.
13. იქვე, გვ. 142.
14. იქვე, გვ. 134-135.
15. იქვე, გვ. 131.
16. კ. კეკელიძე, დსაბ. ნაშრომი, გვ.
39-40.
17. ე. ამელინო, კობტები და იბერთა მო-
ქცევა ქრისტიანობაზე, „ისტორიისა და რე-
ლიგიის ძურნალი“ (ფრანგ. ენაზე), პარიზი,
ტ. 69, 1914, გვ. 176-177.
18. ი. ჰოფნერი, კ. რანერი, თეოლო-
გიური და საეკლესიო ლექსიკონი (გერმ. ენა-
ზე), ფრაიბურგი, ტ. 1, გვ. 999-1000.
19. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი თო-
რმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 106.
20. იქვე, გვ. 110.
21. კ. კეკელიძე, დსაბ. ნაშრომი, გვ. 21.
22. ივ. ჭავჭავაძე, თხზულებანი,
ტ. VIII, გვ. 110-111.
23. ა. გ. ძ., I, გვ. 121 — სქოლიო.
24. შატბ. კრ., გვ. 315.
25. თ. ქორდანი, ქრონიკები, I, ტფი-
ლისი, 1892, გვ. 104.
26. იქვე.
27. იქვე, გვ. XXVIII.
28. იქვე.
29. საინტერესოა რომ გიორგი მონაზონის
ხრონოლოგიაში კონსტანტინე დიდის, მისი დე-
დის — ელენეს და წათესა-მეგობართა გაქ-
რისტიანება სწორედ ამ წელთან არის დაკავ-
შირებული (311 წ.). იხ. სიმ. ყაუხჩიშვილი,
ხრონოლოგიური გიორგი მონაზონისა, ტფილისი,
უნივერსიტეტის გამოცემა, 1920, გვ. 254.
30. История Армении..., с. 146.
31. ი. ჰოფნერი და კ. რანერი, თეოლო-
გიური და საეკლესიო ლექსიკონი. ტ. VI, ფრა-
იბურგი. 1961, გვ. 478.
32. კ. კეკელიძე, დსაბ. ნაშრომი, გვ. 31.
33. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი,
ტ. VIII, გვ. 110.
34. ს. ყაუხჩიშვილი. აღმოს. ხელნაწე-
რის ბერძნულში. ენიკის მოამბე, XIV, თბ.,
1914, გვ. 95.
35. А. Шанидзе, Переживания ханмет-
ных форм в грузинских рукописях IX—X—
XI веков, Сообщ. Груз. фил. АН СССР,
т. 1, № 3, 1940, с. 237—240.
36. ხანმეტი ტექსტები. ნაკვ. I, გამოსაცემად
მოამზადა, სიმფონია და გამოკვლევა დაერთო
ლ. ქაჭაიაშ, თბ., 1984.



ჯავახიშვილი ბატონი

განცდილი და გადატანილი

— ავთორი ნაბიჭვარო!

ამ სიტყვებით გამომადლიერეს და ჩემის ძლიერი ჩარტყმით ლოგინიდან წამომავდეს 1952 წლის იანვრის ერთ სუსხიან ღამეს, როდესაც საქართველოდან შუა აზიის უდაბნოებში ათი ათასობით ადამიანთან ერთად მთელი ჩვენი ოჯახიც გადაასახლეს.

შეშინაგან აცახცახებულმა დაფინახე სამხედროებით გარშემორტყმული, მუხლებზე დაცემული ჩემი სათაყვანებელი მამა, არეულ-დარეული ოთახი და ნახევრადჩაცმული, დაბნეული დედა, რომელიც ცალი ხელით ჩემს სამი თვის ძმას იხუტებდა, ხოლო მეორეთი სახელდახელოდ შეკრულ ფუთაში ცდილობდა ჩვენი ნივთები ჩაეტენა.

— შეილო, ჩაიცვი და მომეხმარე, ჩქარა! — შემომძახა დედამ.

მე ნაუცბათვად ჩავიცვი და პირსაბანი-საკენ გავემართე.

— საით, შე გველის ნინილო! — ამ სიტყვებით გადამელობა ჩაფსკენილი, შავულვამა კაპიტანი, რომელიც გასაღებების აცმის თითზე ტრიალით უდარდელად აღიღინებდა იმდროისათვის ყველასათვის ცნობილ მელოდის „მზიარულ ავგუსტინზე“ და ჩხრეკას ასე ხელმძღვანელობდა. სამი სამხედრო მხეცურად არბეედა წლობით შენაქენს. ერთი მათგანი ლეიტენანტი, ბალიშებსა და მუთაქებს სამართებლით ფატრავდა, მეორე ფარდებს გლეჯდა, მესამე ჩაქურჩით იატაკსა და კედლებს სინჯავდა, ხოლო ორი მათგანი კი. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, ყოველივე ამას გულდასმით უთვალთვალებდა.

— სად მალავ აკრძალულ ლიტერატურას, ნერილებს?! — ყურში ჩაუღრიალა მამას კაპიტანმა.

— არ ვიცი, რაზე მელაპარაკებით და საერთოდ რა გინდათ. მე თადარიგის შაიორი ვარ, მიომია, მიღებული მაქვს კონტუზია,

დაჯილდოებული ვარ ხუთი სამამულო ომის ორდენით, პარტიანი მაშინ შევედი, როცა სამშობლოს უჭირდა, გრცხვენოდეთ, მოგვექეცით ადამიანურად! — დაიყვირა მამამ ისტერიული ხმით.

— ყოველი თქვენგანი გაიძვრა და მოლაღატა, ცოტა გგლიტეთ ოცდაჩვიდმეტში... აი, როცა შენ და შენს ნაშიერს ციმიბრში ჩავალბობთ მაშინ გავციხსენებ.

— ამდენ უნესობასა და თავაშვებულებას სჯობს ჩხრეკის ორდერი გვიჩვენოთ და მოსვლის მიზანი გავციხართო — თქვა მამამ.

— უდიდესი სიამოვნებით. შენ და შენს ფრანს ამ ნაბიჭვართან ერთად ჯანდაბამი გაგამგზავრებთ. შეშეკითხებო, რატომ? ბატონი ბრძანდები, გიპასუხებ: — შენ დასვი კითხვა და შენვე უპასუხე, — დაცირვით დასძინა სტუმარმა კაპიტანმა; ხოლო რაც შეეხება ამ ახალშობილს, შეგიძლიათ დატოვოთ მას ჩვენს ფაიდაზე აღვზრდით.

— ნურას უკაცრავად! — შეჰყვირა სასონარკვეთილმა დედამ, — ჩემი შვილი ჩემთან დარჩება.

— JE! აზიელი! — ირონიულად ჩაიღიმა კაპიტანმა.

როდესაც გადასატრიალებელი, დასაჭრელი, დასაჩეხი აღარაფერი დარჩა და რაიმე საკომპრომეტაციო დოკუმენტი ან ნივთი ვერ მოიძებნა, მოსულებმა შეადგინეს რაღაც დოკუმენტი, რომელსაც, ლანძღვა-გინებისა და მუქარის მიუხედავად, დედ-მამამ ხელი არ მოაწერეს. განრისხებულმა „ღამის სტუმრებმა“ კინნისკერით გამოგვრგეს ქუჩაში და მუსტების ქნევით იქვე მდგომ დახურულ სატვირთო მანქანაში შეგვყარეს.

— მიიყვანეთ დანიშნულებისამებრ, — გაისმა სიბნელეში. თავით აგებთ პასუსს. ჩვენ კი განვაგრძობთ საქმეს. დღისათვის ყველაფერი უნდა დამთავრდეს.

მანქანა დაიძრა. ჩვენ სატივროს მანქანის კუთხეში პირდაპირ ფუთებზე მოვეწყეთ, ხოლო უკანა „ბორტზე“ ჩამოსხდნენ ჩვენი გამცილებლები — „ოსობისტები“, როგორც ისინი თავიანთ თავს სიამაყით უწოდებდნენ.

— ირაკლი, — მომესმა დედის ჩურჩული, — რა ხდება, ძვირფასო? ნუთუ რაიმე დამიმაღე?

— ეთერ, ლმერთმანი მე თვითონ არაფერი მესმის. თუმცა ერთი (უშინშენელო) პატარა ახრი მოვლავს თავში; მაგრამ არა, სისულელეა, ეს შეუძლებელია. რამდენი წელი გავიდა... ალბათ „დანოსია“. მგონი, ისევე ბრუნდება ძველი დრო; გახსოვს, ოცდაათიან წლებში ჩვენი მამები და დედები როგორ კანკალებდნენ? ისევე მხვდებოიან; ლმერთო ჩემო, რა დედამ შობა ესენი?

— ნეტა სად მივყავართ? ციხეში? — ნაი-ჩურჩულით დედამ.

— არა მგონია, ძვირფასო, ბავშვებით იქ არ მიყავთ, ალბათ თბილისიდან პერიფერიაში თუ გვასახლებენ, შეიძლება ზემო სვანეთშიც, ან ვინ იცის, კიდევ სად. — არა უშავს, გავუძლებთ.

— არა, არა, გული მიგრძობს, რომ საქმე უფრო ცუდადაა, ვიდრე ჩვენ გვგონია.

— ამაზე უარესი არაა უნდა იყოს, ქალო? დანებარდი და ჩათვლიმე როგორმე. ძალები ჩვენ კიდევ დაგჭირდება.

ჩურჩული შეწყდა. მანქანის რწევაში როგორღაც მეც ჩამქვინა.

გამთვინისას ჩვენ გორის სატივროს ბაქანზე ჩამოგვყარეს, სადაც ჯერ კიდევ რიყრატის ბურუსში შემზარავად გაისმოდა ზღვასავით აბოზოქრებული ხალხის ღმუილი, ტირილი, გოდება და მთელი ცხოვრების მანძილზე ჯერ კიდევ დაღად დარჩენილი სახარეული სიტყვა — „გვასახლებენ“.

ხალხს გარს შემოერტყნენ კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცები უზარმაზარი ნაგავებით. ბაქანზე „ოსობისტები“ გადასახლებულთა გვარებს კითხულობდნენ. მბგუსტავი ნათურების შუქზე მიმდინარეობდა უზარმაზარი სიების შედარება, ხალხის ჩჩრევა, პასპორტებისა და სხვა პირადი დოკუმენტების ჩამორთმევა, ობლიგაციების, ძვირფასი ლითონის ნაკეთობათა კონფისკაცია. ეს გველაფერი იქვე დიდ ყუთებში ინყოფოდა და ილუქებოდა. განსაკუთრებული ვაშმაგებით ნადირობდნენ პარტიულ ბილიტებზე, რის გამოც მამაკაცებს უფრო დიდხანს და განსაკუთრებული გულმოდგინებით ჩხრევდნენ. ნამდიაუნეშ გაიგონებდით ალღელებულ ნამოძახილებს — „პარტილეთს არ დავთმობ, ის შენ არ მოგიცნა ჩემთვის“; „არა გაქვს ამის უფლება, მე ის მთელ ომში გამოვატარე“; „არა უშავს, მოსკოვი გაიგებს და თქვენთვისაც მოიძებ-

ნება საშაროალი“ და ა. შ. მაგრამ ყიუხე-დავად ამისა, ძალადობა მანცა იმარჯვებდა, რის შემდეგაც მამაკაცებს და მათ უკაცხებს ნება ეძლეოდათ იქვე მდგომ სატივროს ვაგონებში ჩამსხდარიყვნენ.

მამის პარტილეთი — ეერ უნახეს.

— ნებით თუ არ მოგვემე, შენ — კატორ-ლაში, შენიანებს კი გადასახლებაში გავიშვებთ, — დაეშუქრა შემომჩნებელი.

— ჩემი პარტილეთი დედასთან დამჩრა. ნუხელ მასთან ვიყავი და პიჯაკი გამოვიცვალე, — იცრუა მამამ, რადგან კარგად მახსოვდა, ჯერ კიდევ სატივროს მანქანაში ყოფნისას როგორ გადასცა დედას ფარულად ცხვირსახოცში გახვეული რაღაც ოთხკუთხედი ნივთი და თან სთხოვა, საგულდაგულოდ შეენახა იგი.

აღნიშნული სცენის შემდეგ „ოსობისტებმა“ დედას ძვირფასი საყურეები ჩამოგლიჯეს, ხელიდან საქორწინო ბუჭედი ნაგლიჯეს და მხოლოდ ამის შემდეგ დაავრთეს ნება, ვაგონებში ჩავმსხდარიყავით.

მღელვარებისაგან დაბნეული, გულში ჩემს პატარა ძამიკოს მაინც მაგრად ვერავიდი, მაგრამ მოულოდნედა, ჩასხდომის დროს, ფეხი დამიცვდა და დევეარდა, უეცრად ნაგავმა დაიღრინა, ჩემსკენ გამოქანდა და თან ჯარისკაციც გადმოითრია.

მე შემინებულმა ნამოვიყვირე და უგონოდ დავეცი.

გონს მხოლოდ მოძრავ, ხალხით გადაჭედილ ვაგონში მოვედი. ჩემს ირგვლივ ქალები ფუს-ფუსებდნენ. დედა ტიროდა. საშინლად მენვოდა მარცხენა ფეხი. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ნაგავს ჩემზე კეთილსინდისიერად უმუშავია და თუმცა მას შემდეგ ოცდათხუთმეტ წელზე მეტმა განელო, ფეხი იმ ტრაგიკულ დღეებს, ყოველივე განცდილ-გაძაბილს მაინც მახსენებს.

ვაგონი მწუხარე განწყობილებას ქმნიდა. ფიცრის კედლები, საგულდაგულოდ ჩარახული კარები, ოთხი ვინრო, რკინის ჩარჩოიანი ფანჯარა, სახლდახლოდ დაჭედილი სამხართულიანი საწოლები, ჩასხდომის დროს გარდაცვლილი მოხუცი და... ქალების გაუთავებელი, ქეშმარიტად სამხრეთული მოთქმა სამუდამოდ ჩავტრჩა მე და ჩემს თანატოლებს მესხიერებაში. ჩვენ მშობლებთან და ახლობლებთან ერთად გადავიტანეთ ეს დაუვინყარი ტრაგედია, რამაც დიდი ხნით ნავართუგა რწმენა იმ ბედნიერ ხვალნიდელ დღესა და კავშამა მომავალზე, ასე ვაშმაგებითა და გახელებით რომ გვიქადაგებდნენ „ძლიერნი იმ ეპოქისანი“, რომელსაც „პიროვნების კულტისა“ და „სოციალისტური მონარქიზმის“ გაფურჩქნის ეპოქას უწოდებენ.

შუადღისას ხალხი დანყნარდა. თანდათან



მოწვევენ კიდევ ქალებმა ჩააცვენ მიცვალებულს, სანოლები სიღრმეში დასვენებს და გარემო ჩემოდნები და კალათები შემოუწყვეს. ასე რომ, უკეთესი შორგს ვერც მოიფიქრებდით, მით უმეტეს, რომ ვაგონში საკმაოდ ციოდა. შემდეგ კუთხის სანოლებზე შენრები დააგეს და ავადმყოფები დაანერეს. ისინი ოთხნი იყვნენ: ორი, თითქმის უკვე ცალი ფეხით სამარეში მყოფი ბერიაცი, ხან-შიშისული ქალი და სამი მცირეწლოვანი. ვაგონის ერთ-ერთ კუთხეში, საგანგებოდ ამოჭრილ ადგილას ჩამოკიდეს ნაჭური და ასე მოაწვეეს საპირფარეშო. აირჩიეს თავაკიც და სახელდახელოდ ნამოღებული სანოვანე მას ჩააბარეს. ნახევარზე მეტნი თბილისელები და ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი აღმოჩნდნენ. მათ შორის ჩვენი ნაცნობებიც იყვნენ. დანარჩენები იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებიდან. ბევრნი იყვნენ აგრეთვე ჩემი ტოლები და ჩვილები.

საუზმის შემდეგ, რომელიც თავაკცმა მოგვიწყო, გადასახლებულები უფრო გულახდილნი და მიმდობნი გახდნენ ერთმანეთთან. ბევრი მათგანი როგორც მამაჩემი, დარწმუნებული იყო, რომ მათ საქართველოს ფარგლებს გარეთ არ გაიყვანდნენ, უარეს შემთხვევაში, კავკასიის იქით მიიწი. ეს რწმენა დაფუძნებული იყო, ვერ ერთი, იმაზე, რომ თითო საქართველოში მრავალი აუთვისებელი რეგიონი იყო, რომლებიც მზრუნველ ხელს საჭიროებდნენ და მეორე — რომ არავითარი დანაშაული არ მიუძღოდათ სამშობლოსა და ხალხის წინაშე. ყოველივე მომხდარს ისინი აწერდნენ გაუგებრობას, ზოგიერთი კი ამას მთავრობაში საბჭოთა ხალხის მტრების არსებობით სწნიდა.

ბორძლების გამუდმებულ ხმაურში მიმდინარე ხშირი საუბრების დროს გადასახლებულნი უკვე მერამდენედ თხზავდნენ ვერსიებს იმ მიზეზების მოსაძებნად, რომლებმაც საბაზი მისცეს ვიღაც-ვიღაცებს ამ მოულოდნელი აქციის ჩასატარებლად, იმედოვნებდნენ, რომ უახლოეს მომავალში, როდესაც მთავრობა ჩადენილი უკანონობის საქმეზე შეიტყობდა, სასწრაფოდ აღადგენდა სამართალს და დასჯიდა დამნაშავეთ.

თანდათან გაირკვა, რომ იმ ტრაგიკულ ღამეს საქართველოს მრავალი რაიონიდან გასახლებული იყო ყველა ან თითქმის ყველა, ვინც სამშობლოს დაიცვისას ფაშისტთა ტყვეობაში ჩავარდა; ყველა ან თითქმის ყველა, ვისაც თუნდც ვინმე ოდესმე დევნილი ჰყავდა სახალხო ხელისუფლების მიერ და იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო, ყველა ან თითქმის ყველა ვინც დაბადებიდან რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში უკვე „მოასწრო“, შეეჭმნა წინაპირობა უნაღობ-

ლობისათვის და ამით „დაიმსახურა“ გადასახლება. მაგრამ მოუხედავად მჭერქუფუნელები ტიხილი უბედურებისა, უმრავლესობა ქრთმულ სწამდა ბოლშევიკების საკავშირო პარტიისა და თავიანთ იმედებს ამყარებდნენ საბჭოთა მთავრობაზე.

მატარებელი მიჰქროდა — ჩვენთვის გაურკვეველი მიმართულებით. ვაგონში სწრაფად ბინდებოდა. რკინის ჩარჩოიანი ფანჯრებიდან სინათლის სუსტი ჭავლი ისედაც ძლივს აღწევდა, ბოლოს კი სულ ჩამობნელდა. ვაგონში სიცივემ დაისადგურა. ახალმოსახლებებმა ფანჯრებზე ნაჭურბი ჩამოაფარეს, ანთეს ვიღაცის მიერ შემთხვევით სახლიდან ნამოღებული სანთლები და ადრინადა შეუდგნენ ძილისთვის მზადებას, რადგან ბევრ მათგანს სჯეროდა, რომ ალიონზე მატარებელი ჩამოგდებოდა თუ არა სამტრედიაში, მათ გამომობარგება და საქართველოს მალე მითინი, მეტწილად კი უკაცრიელ რაიონებში გადასასვლელად მზადება მოუწევდათ. ბავშვები უფროსებმა მეორე სათულზე დაანერეს, რადგან აქ შედარებით უფრო თბილოდა, ქვემოთ მოსავდნეს მოხუცები და ჩველმვილიანი დედები, ხოლო თვითონ მესამეზე მოთავსდნენ.

პირველმა ღამემ მშვიდად ჩაიარა, თუმცა ძალიან ცუდად მეძინა. მესიხმრებოდა კომპარები, ხანძარი, წყალდიდობა, უზარმაზარი ძაღლის ეშვები. რომ გავმთბარიყავი, ხან დედას ვუკრობდი, ხან კი ჩემს პატარა ძამიკოს. ძილებურანში ვგრძნობდი, რომ მატარებელი თითქმის მთელი ღამის განმავლობაში იდგა და მხოლოდ განათიანისას განავრძო თავისი გეურთი სედა. მოძრაობის ასეთი რეჟიმი დაახლოებით ერთ კვირას გრძელდებოდა და შედარებით ნორმალური გახდა მაშინ, როცა მუტნაკლებად მჭიდროდდასახლებული რაიონებიდან. გაგვიყვანეს. როგორც გვიან გაირკვა, დღისით ასეთი შეუჩერებელი მოძრაობა საჭირო ყოფილა მომხდარი აქციის შეკრებად გასაადგიმლოებისათვის.

მეორე დღეს ხალხს აფორიაქება დაეიტყო, თუ საით მიჰყავდათ, ისე გაურკვეველი რჩებოდა. სატიერთო ვაგონის „ბინადირნი“ ერთმანეთს აღარ აცდიდნენ ჩარკინებულ ფანჯრებში გახედავას, რათა ამოეკითხათ მატარებლის სვლის დროს გაცლებული რომელიმე დასახლებული პუნქტის სახელწოდება. ჩვენ მატარებლის მოძრაობის მიმართულების დასადგინად ვიღაცის მიერ სახელდახელოდ სახლიდან ნამოღებული რუკაც მოვიშველიეთ. გაირკვა, რომ უკვე ჩამოვიტოვეთ ჩრდილოეთი კავკასია და გეზი რუსეთის შუა ზოლისაკენ ავიღეთ. და მართლაც, მალე ფანჯარაში



გამორჩნდნენ ერთსართულიანი კობტა რუსული სოფლები, თოვლის მთებით საფარით დაფარული უსასრულო მდელოები და მიწელი ხროვა ყორნებისა, რომლებიც ავისმომანავებელი ჩხავილით აცილებდნენ ჩვენს მატარებელს.

მეოთხე დღეს პროდუქტის მარაგი დაგვიმთავრდა. ვაგონში დაიწყო შიმშილი. წყლის უზარმაზარი ბაკი თითქმის დაიცალა. დედაჩემს და სხვა მეჭუძუვე დედებს რძე უშრობოდათ. პატარა ნუგზარი მძიმე ჰაერისაგან და სისტემატურად რძის უქმარობით დღითიდღე თვალწინ გვიდნებოდა. იშვიათი გაჩერებების დროს მე და ჩემი ახალი მეგობრები ფანჯრებიდან ხელგანვდილნი ვხევენებოდით ვაგონების წინ ჩამწკრივებულ ჯარისკაცებს ცოტაოდენ პურს, მაგრამ ამის საკასუხოდ ისინი ზურგს გვაქცევდნენ და უფრო მეტი გააფთრებით, კონდახებით დევნიდნენ ვაგონებთან მოსულ მოსახლეობას, რომლებიც ცდილობდნენ ფანჯრებიდან მაინც შემოეყარათ პურის ნაჭრები, კარტოფილი, ტარხალი და სხვა სახის პროდუქტები. ვინაიდან ეს ძალზე მოსახებებელი იყო, ჩვენ ცდილობდით, რაც შეიძლება შორს გავგვენვადინა ხელები და ჰაერშივე დაგვეჭირა ჩვენთვის ძვირფასი პროდუქტები.

ჩემთვის და ჩემი თანატოლებისათვის, რომელთაც ზედმა გვარგუნა როგორღაც თავი დატვირდა ამ ჯოჯოხეთისაგან, დღესაც ამოუხსნელ ამცანად რჩება, თუ საიდან იგებდა რუსი მოსახლეობა კავკასიიდან მომავალი მატარებლის განრიგს და დიდი რისკის მოუხედავად, მაინც ცდილობდნენ ჩვენს დახმარებას. ეს ძალზე ამხნევებდა ჩვენს მამებსა და დედებს, რომლებიც ცრემლმორთული თვალებით უყურებდნენ იმას, თუ რაოდენი თანაგრძნობით შესტკეროდა მათ ტანჯვას უბრალო რუსი ხალხი და რამხელა სიბრალულის გრძნობა იყო აღბეჭდილი მათ სახეებზე.

მეხუთე დღეს, ერთ-ერთი იშვიათი გაჩერებისას ქრიალით გაიღო ვაგონის კარები და ორმა „ოსობისტმა“ გამოიძახა ჩვენი თავკაცი და ოთხი გადასახლებული, გაუკეთეს მათ წითელი სამკლავურები და მეატტომატითა თანხლებით ჩაიყვანეს პლატფორმაზე, სადაც დიდ ქვაბებში ოხშივარი ასდიოდა საქმელს. თითქმის ორი დღის შიმშილის შემდეგ დაიწყეს ჩვენი კვება. საქმლის დღიური რაციონი საკმაოდ „მრავალფეროვანი“ და „ბარაქიანი“ აღმოჩნდა. დღელამეში ერთ კაცზე მოდიოდა ორი ნაჭერი პური, ერთი მათლაფა გაუგებარი შემადგენლობის წვნიანი კერძი, ორი ჩაის კოვზი შაქრის ფხვნილი და მდულარე წყალი, ხოლო ძუძუმწოვარა ბავშვები, რომლებიც

ბიცი ვაგონში ოცამდე იქნებოდა, მათთაგანში არ შედიოდნენ.

მახსენდება, რომ ორმა მანქანამაგურითი წლის ბავშვთა დედებმა ისევ დაიწყეს ბავშვების ძუძუსთან მიჩვევა. მართალია, მზრუნველ დედებს რძე არ ჰქონდათ, მაგრამ თბილი, მშობლიური ძუძუ მაინც აკეთებდა თავის კუთილ საქმეს — შიმშილის დაოკების ილუზიას უქმნიდა მათ და მშვიდად აძინებდა.

კვებასთან ერთად, თუ შეიძლება ამას კვება ეწოდოს, დაიწყო გადასახლებულთა სულადობრივი შემოსევა. იმ დროისათვის უბედურ მოხუცს, რომელიც აგურ უკვე ერთი კვირის განმავლობაში უზრუნველად იწვა „მორგში“, კიდევ მიემატა ორი მიცვალებული — ავაღმყოფი ხანდაზმული ქალი და ბერიკაცი. როგორც უფროსებმა ახსნეს ისინი დეზინტერიით დაიხივნენ. როცა „ოსობისტებმა“ შეიტყვეს, რომ ვაგონში სამი მიცვალებულია, გვიან ღამით მალულად გადმოტვირთეს ისინი.

მამა შემდეგში მიყვებოდა, რომ ჩვენ დიდხანს ვიჯექით. ფანჯრებიდან ძლივს აღწევდა განთიადის საამო, დამამშვიდებელი სინათლე, რომელსაც სადღაც შორს — მიტოვებული სამშობლოსაკენ მიჰქონდა ტანჯვანაცვადელისაგან დაღლილი კაცის სევდიანი ფიქრები და ამითლა უქარწყლებდა თავსდატყბილ უბედურებას. მოულოდნელად კარი გაიღო და საუფროსოდ კარგად დაყენებულმა ხმამ დასტყდა:

— რაღა ნახევარ გზაზე მოუნდათ სიკვდილი ამ ძალღიშვლებს. გამოათრიეთ, დაყარეთ და რამე გადააფარეთ მესაფლავების მოსვლამდე. რამდენია ამათთან ერთად?

— ორმიცდახუთი — გაისმა სიბნელიდან. ოთხმა ვარისკაცმა იძულებით შიატანინეს გადასახლებულებს მიცვალებულთა გვამები ვაგონის კარებთან და შემდეგ ნიხლის კვრით ჩაყარეს ისინი მიწაყრილზე. ბედნიერები! მათთვის ყველაფერი ადრინადად დაშთავრდა: დამცირებები, შიმშილი, აუტანელი სიცოცხე, მოშავალი წონილი, რაც მთელი სისრულით ვერ აცრ იყო დაწყებულად და რაც გარდუვალად ელოდა ყოველ ჩვენთაგანს მომავალში. მხოლოდ ერთი რამ არ იყო შესაშური, რომ სამარადისო სასუფეველი ვერ ჰპოვეს მშობლიურ მიწა-წყალზე და რომ თანათი ხანგრძლივი და რთული ცხოვრებით არ იმსახურებდნენ ასეთ „საპატიო“ გაცილებას. იმ ფრაზიდან, რომელიც შემთხვევით დასცდა ოფიცერს რაღა ნახევარ გზაზე დაიხივნენო, ჩვენ დაეასკენით, რომ წინ ცოტა გზა როდი გვქონდა გასავლელი და ჩვენი წარმოსახვის ჰორიზონტზე სულ უფრო და



უფრო ნათლად აკოფდნენ აზიისა და ციმიზრის უცნობი მიდამოები.

მგზავრობის მეთოთხმეტე დღეს, გვიან ღამით ტრამალზე გადმოგვსეს. გადასახლებულებს დახვდა სატანკო ნაწილი და მუავტომატები ძაღლებით. საშინლად ციოდა. ჩვენ გვიძახებდნენ სათითაოდ. თხლად, სამხრეთულად ჩაცმულნი სიცოცხისაგან სულ ვჯანკალებდით. „ოსოპისტიბა“ ხმამაღლა, დინჯად და, ამავდ დროს, საშინელი დამახინჯებით კითხულობდნენ ქართულ გვარებს. მამამ ჩამოცალა ჩვენი ავლაფიფება და მიმართა გვერდზე მდგომ ოფიცერს:

— მე მათორის წოდება მაქვს. სამი წელი ვბრძოდით ფრონტზე, დაჯილდოებული ვარ ორდენებით. პატივი დამძეუთ და მითხარით, კაპიტანო, სად ვიმყოფებით?

— ხმა ჩაინჯვით, ძაღლო და ჩააჩუშე შენი თანამემამულენი, თორემ... — ხელი იარაღისაკენ გააქანა და ჩუმად დასძინა, — აზია! — აზია! ჩურჩულით გაიმეორა მამამ, — მაინც რომელი? დასახლებული თუ უცხოელი? — შორს გადმოუხდევართ ბედობლას.

— ამბობენ, რომ ზაფხულში აქ სიცხისაგან მიწა სკდება, ხოლო ყველაზე ცხელ დღეებში მზეზე ეროპოვერცის შენვაც კი შეიძლება, — დაუმატა გზაში მამასთან დამეგობრებულმა ლ. მგალობლიშვილმა, რომელსაც იშვიათად და ძალზე საინტერესო ცხოვრება აქონდა განვლილი — ლევანი ნახევარი წელი ტყვედ იყო ჩავარდნილი. სამჯერ გაიქცა, სამჯერვე ძაღლები დაადევნეს და მაინც დაატყვევეს. მეთოთხე გაქცევა უფრო იღბლიანი გამოდგა, რის შემდეგად დასაველეთში მოხვდა პარტიზანებთან. ორჯერ მძიმედ დაიჭრა. მის მკერდზე რვა საბრძოლო ჯილდო ამშვენებდა. ყველაზე გასაოცარი კი ის იყო, რომ ერთერთი ტყვია მას სხეულში, გულთან ახლოს ჩარჩენოდა. ამის მიუხედავად ლევანი მაინც მხნედ გამოიყურებოდა.

— თუ ზაფხული ასეთი ცხელი იცის, მაშინ ზამთარში რაღატომ ცივა ასე ძალიან? იგონებთა, რომ ორმოც გრადუსზე ნაკლები არ უნდა იყოს, — ჩაერია ლაპარაკში ა. ქავთარაძე, რომელსაც ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ქ. ვინიცასთან ბრძოლებში მარცხენა ხელი დაეკარგა.

— ეს იმიტომ, რომ აქ მკვეთრად კონტინენტური ჰავაა, — აუხსნა მამამ.

მართლაც, იქნებოდა არანაკლებ ოცდაათი გრადუსისა. უზარმაზარი მინდორი, რომელიც დღესავით იყო განათებული ტანკებზე დაყენებული პროექტორებითა და ცეცხლმოკიდებული საბურავების სინათლით, მთლიანად

ნად ორთვილით იყო დაფარული. კოკონებიდან წამოსული ორთქლი სიცივესაგან უმჯობესი ამოვლებული ჩურჩხელეფეფელე მუხრუხურებზე ყინულის ლოლუებად კვიდა. ვასთბობოდა ერთ ადგილზე ხტომისა და ბარძაყებზე ხედების დარტყმებისაგან ირგვლივ თავისებური გუგუნე იდგა. თენდებოდა, თუმცა სიცოცხე მონაც თავისი გაქპონდა.

გამთენიისას შემონმება და სიების შედარება დამთავრდა. მინდორზე შემოგროვებულნი სატიერთო მანქანები და დაიწყო დატვირთვა. ჩვენს გარდა მანქანაში ჩასხეს კიდევ ოთხი ოჯახი: ლ. მგალობლიშვილის, ო. ლორთქიფანიძის, ა. ქავთარაძისა და ი. ოსიპოვის ოჯახები. ჩემთან ერთად მგზავრობდნენ ექვსი მოზარდი და ოთხი ძუძუმწოვარი ბავშვი.

დილისთვის მზემ უცნაურად და უზნიშვნელოდ გამოანათა. აყრილ-დაყრილ გზაზე მანქანა გაურკვეველად მოგვაქანებდა, რომელიც მხოლოდ შენიღბებისას შეჩერდა და გვიბრძანეს გადმოხედომა. როდესაც მანქანიდან გადმოვხტი, შორს ვავარჩიე თოვლიში ნახევრად ჩაფლული ქოხმახები. როგორც შემდგომში გახდა ცნობილი, ამ პატარა სოფელში ჯერ კიდევ დიდ სამამულო ომამდე გადმოსახლებული კორეელების სამოცამდე კომლი ცხოვრობდა.

ჩვენმა მხლებელმა ოფიცერმა რამდენიმე ფრაზა ესროლა შესახვედრად გამოსულ ჯუჯა ტანისა და ვინრო თვალეზიან კორეელებს. საპასუხოად მათ ჩვენთვის გაუგებარ ენაზე სწრაფად მიიყარეს სიტყვები ერთმანეთს და ენერგიულად დაიწყეს თავების ქნევა. ოფიცერმა მოგვმართა:

— ჯერჯერობით აქ იცხოვრებთ და ილოცთ ჩვენს ჰუმანურობისა და კაცობიერებისაზე. სხვა დროს მე თქვენ — ხალხის მტრებს... ყოველგვარი თიბისა და სასამართლოს გარეშე კეჯელთან მიგაყუდებდით!

— დიახ, — ჩაიბუტბუტა მამამ, — სწორედ ამითუა ნათქვამი, ლმერთმა შექმნა და თვითონვე დაიდარდაო.

„ხალხის მტრები!“ ამ სიტყვებით ფარდა აებადა ჩემი და ჩემი თანამემამულეების, ნათესაებისა და ახლობლების ტრაგედიას, რომელთათვისაც აი, უკვე მერამდენედ დაიწყო გაჭირვებისა და განცდების ოდისეა, გამონვეული ვითომდა უბრალო მოკვდავთათვის გაუგებარი „მალაი“ პოლიტიკით. ოფიცრის მიერ ჩვენი მისამართით ნასროლი ეს საშინელი და დაუშახტრებელი სიტყვები მით უფრო მწარე და საწყენი იყო, რომ ისინი წარმოთქმული იყო სამშობლოს, მთელი ხალხის სახელით. ეს სიტყვები დღესაც ტკივილით მიღრღნიან გულს, მიფორიაქებენ ტვინს და მიყვევარ სასონარკვეთილებამდე, ინვევენ

1. აქ და სხვა შემოთხვევაში მოყვანილი გვარება შეცვლილია (ავტ.).

სინანულს გაუხარულ ქაბუკობაზე, დატანჯულ ახალგაზრდობაზე, სამუდამოდ დაკარგულ სიმშვიდესა და გადაუხდელ ვალზე...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და შეიძლება იმედი გვექონოდა, რომ გადატანილი დავიწყებას მივცემოდა, მეხსიერებიდან ამოიშლებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა, პირიქით, ყოველივე მომხდარი — ადამიანთა ტრაგედიები, გადასახლების წლებში დაუბრუნებელი დანაკარგები, უხეშობა, სისტემატური დამცირება, ძალმომრეობა, უმეტეს შემთხვევაში უდანაშაულო ხალხის მიმართ დღეს ისევე მკვეთრად შემორჩენია მახსოვრობას და ყოველწამიერად შეგვახსენებს იმ დროს, როდესაც ჩემთვისა და ჩემი თანატოლებისათვის ნათელი და განუმოკრებელი სიყმანეილის ხანა უნდა დაწყებულიყო.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა არა მარტო სამყაროში, არამედ ჩვენს ცხოვრებაშიც. დღეს იმ ჯოჯოხეთიდან დაბრუნებულ უკვე საშუალო ასაკის თაობათა წინაშე ხშირად წამოიჭრება ხოლმე უამრავი შეკითხვა იმის თაობაზე, თუ ვინ არის დამნაშავე? ვინ აგებს პასუხს მასზედ, რაც მოხდა? თუ დამნაშავეები საერთოდ არ არსებობენ? ხომ არ შეიძლება ყველაფერში მხოლოდ ერთი პიროვნება, თუნდაც დესპოტი მივიჩნიოთ დამნაშავედ? მიუხედავად არცთუ ისე ხანმოკლე დროისა, ომის დამთავრების შემდეგ ხალხი დღესაც არ პატიობს სამშობლოს მოღალატეებს, კანონის მთელი სიმკაცრით სჯის მათ და სწორედაც იქცევა რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, რატომ უნდა მივუტეოთ იმით, ვინც ასე განზრახ (რამიც უშიშრედელსა და მარნაშენებელია) დაუშვეს უხეში შეცდომები მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მართვის საქმეში და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენეს ხალხის ბედობლას, დაარღვიეს ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და ამით ბევრს შეურყიეს რწმენა ბედნიერ მომავალზე. ნუთუ მათი პატიება იმით შეიძლება, რომ ბევრმა მოთგანმა უკვე მოასწრო ამქვეყნიდან სამუდამოდ წასვლა და ბევრმაც მითი დაგვიტოვა საკუთარ ყოვლისშემძლეობაზე, კაცთმოყვარეობაზე, შორმსჭერეტელობასა და გენიოსობაზე.

ხშირად წამოიჭრება ხოლმე საუბარი იმ გარემოზე თუ შინაგანი ხასიათის ფაქტორებზე, რომელთაც ძირითადად განაპირობებს მოსახლეობის, მათ შორის ახალგაზრდობის, აღწარმოების დაბალი ტემპები. არ ივიწყებენ იმასაც, რომ დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში საბჭოთა არმიის რიგებში 700 ათასამდე ქართველი მეომარი იბრძოდა, რაც რესპუბლიკის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 20 პროცენტს უდრიდა და რომ უშიშრედელსა და თავი

გასწირა სამშობლოსათვის. მაგრამ არც თუ იშვიათად ავიწყდებათ ხოლმე, თუ დიდხანს ნელოვანი მიზეზები, რომელთაც ქართველებს ჯგუფური თუ ცალკეული გადასახლებები, სადაც დიდი იყო ადამიანთა სიკვდილიანობის დონე, ასევე მხედველობიდან რჩებათ ხოლმე ოცდაათიანი წლები? 1956 წლის გაზაფხულზე ქუჩებში ახალგაზრდობის მასობრივი დახვერტები, დამსხვერუელი იმედები და სხვა უზურპატორული ხასიათის მოქმედებანი, ყოველივე ამან საგრძნობლად დაამუხრუჭეს ქართველი ერის არა-მარტო რიცხოვნობი, არამედ, რაც მთავარია, „თვისებრივი“ ზრდის ტემპებიც.

მოხუცებმა დაიცადეს, ვიდრე სატივროთ მანქანა ოფიცერთან ერთად თვალს მიეფარებოდა, აიკიდას ჩვენი ტვირთის დიდი ნაწილი და დათოვლილი მიწვევრის გავლით ქოხმახებისაკენ გაემართნენ. გზაში მათ დამტყვევული რუსულით და სახის ენერგიული მიმოიკით აგვიხსენეს, რომ ამ დასახლებას ეწოდებოდა უტა, რომელიც რუსეთის შუა ტერიტორიებიდან 15 წლის წინათ გადმოსახლებულმა კორეელებმა დააარსეს. მაშინ მათი რაოდენობა ორასამდე აღწედა, დღეს კი მათგან ნახევარიც აღარ დარჩა, სულ დაიხოცნენ...

ჩვენ წილად გვერგო განაპირა ქოხი, რომლის უკანა მხრიდან თეთრი ბოლი ზღაზე ნით ამოდიოდა. ხმაურზე გამოვიდა დაბალი ტანის, ჩია ქალი, რომელსაც სათნო სახეზე წარსული სიღამაზის კვალი ჯერ კიდევ არ ნაშლოდა. მან თავი დაგვიკრა, ხელები გადაავჯარვდინა და მოლოდინით გაიჩინა.

ციან-ლი, — გაგვაცნო იგი გამცილებელმა, —

Хорош хозяйка. Муж нет, сын нет, один собака, невестка и внучек. —

დამტყვევული რუსულით დასძინა მან. მცირე ხნის ღაპარაკის შემდეგ, რომელიც ჩვენთვის გაუგებარ ენაზე წარიმართა მოხუცებს შორის, ციან-ლის აუტყდა ისტორიული ტირილი. ჩვენ მტისმეტად უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, რადგან ისულაბულნი ვიყავით შეგვეწინააღმდეგებინა ეს სათნო გულის ქალი.

— რა თქმა უნდა, ის მართალია, — აღნიშნა მამამ, — ამ თითისტოლა ქოხში არ გინდა კიდევ ოთხი ადამიანის შეკედლება?

— He, ne! —

გვიპასუხა გამცილებელმა, —

она жалко твой красивая жена и твой маленький. Когда ее привезли, она тоже была красива, два маленьких умер, муж тоже умер, сын нет, все работает. Здесь всегда холод, жара. Жалко Вас.

ყოველივე გაგონილის შემდეგ ადგილი ნარმოსადგენია, რა განწყობილებაზე შეიძლება დაემდგარეყავით. ამის მიუხედავად, მაინც საჭირო იყო, მოვწყობილიყავით და, ვინ იცის, რამდენი ხნით? შეიძლება ერთი წლით, ორით ან შეიძლება მთელი დარჩენილი ცხოვრებაც სულ აქ გაგვეტარებინა?

როდესაც მახსენდება ყოველი ჩვენთაგანისთვის მძიმე და აუტანელი დრო, დღესაც მაკვირვებს ციან-ლის ქოხში მოგვსუნე ფერის აგებულებას ემშაქური ტექნოლოგია. შესასწავლიდან დაახლოებით ორ მეტრში, სადაც აუცილებლად ფეხზე უნდა გაგვბადათ, იწყებოდა შემადლებული ადგილი — ღერწმისაგან დაწნული ქვეშაგებით დაფარული იატაკი. გვერდზე კედელთან, იატაკის ქვეშ შედგმული იყო რკინის ფეჩი, რომელსაც ახურებდნენ გამხმარ ფუნაში არეული ზვითი. ბოლი იატაკის ქვეშ გადიოდა და ათბობდა არა მარტო საერთო ოთახს, არამედ კიდევ ორ პანაწინა ოთახსაც, რომელთაგან ერთი ციან-ლიმ ჩვენ დაგვიტმო, ხოლო მეორეში ეძინა მის ოჯახს — რძალს, ექვსი წლის შვილი-შვილს ხუან ლის, ხუანიტოს, როგორც ჩვენ მას სიყვარულით ვუძახოდით. ღამის განმავლობაში იატაკი ბოლისაგან ისე ხურდებოდა, რომ ყველას გვეძინა ლეიბებისა და საბნების გარეშე და ზემოდან მხოლოდ ზენარი გვეფარა.

მეორე დღეს დილით სოფელში შემოგორდა ძლიერი, რკინით მოგვარყვული სტეკმანქანა, რომლის კაბინაზე დამონტაჟებული იყო უზარმაზარი ხმაშალალი — „ღრიანცელა“, — როგორც უფროსებმა შეარქვეს დიდ, რომბისებურ ყურს — რეპროდუქტორს, რომელიც გადასახლებულთა ტოტალური შეკრებისათვის გამოსცემდა ხან ღმუილის მავგარ, ხან გულისგამანერილებულ ხმებს, ხან კი მალაღებრდოვან მონოდებს. შემდგომში ეს მანქანა მრავალი თვის მანძილზე საჭიროებისათუ არასაჭიროების მიუხედავად, არა ერთხელ სტუმრირაობდა სოფელ უტაში და ხალხს აფორიაქებდა. მიუხედავად იმისა, რომ გადასახლებულთა მკაცრ დისციპლინას თანდათან ისედაც მიეცეოდა, ეს მანქანა ყოველდღიური ვიზიტის დროს მაინც გულანადა ყმუოდა და ნოოდა, — თითქოს ჩვენს ვინაობას და იქ ყოფნის მიზეზს გვახსენებდა. მაგრამ მოდით, ისევ იმ პირველ დილას მივუბრუნდეთ.

„ღრიანცელამ“ ნაშში შეკრება სოფლის დიდი და პატარა, ათი წუთით კიდევ გააგრძელა დადგენილი საღრიადლო დრო და ჩაჩუმდა. მოულოდნელად გაიხსნა ფოლადაგარეული ხმა: — მუდმივი ჩასახლების ზონაში ყველა ახალმოსულ შრომისუნარიან მამაკაცს გველებათ სასწრაფოდ გამოცხადდეთ კომენდატურაში, რომელიც თქვენი დასახლებიდან

ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. თქვენ გაგიძღვებათ მჭამსახლის...

წარმოთქმულის რეპრინოს შემდეგ „ღრიანცელამ“ ხმა ჩაიკმინდა და მანქანა დაიძრა. მაშამ სწრაფად დაღუტა ციან-ლის მიერ მზრუნველობით ხელში მიჩერებული პურის ყუა, კასრიდან დააყოლა მდნარი თოვლიანი წყალი და გაჰყვა მამასახლისს. დედამ მორთო მოთქმა, მეც ავტირდი. მაშინ მომიჩვენა, რომ მაშას ველარასოვებს ვიხილავდი.

სალამოს ციან-ლის ქოხში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ჩვენ პატარები, სოფლის თანატოლებთან ერთად მოვკალათდით ოთახის კუთხეში და უფრებდაცქვეტილი ვუსმენდით უფროსებს. სიტყვა მამასახლისმა აიღო:

— Вы прошел проверка у главни начальник. Все хорошо, Жит будем вместе. Пот — много, рук мало. Вы помогай много — хорошо, мало помогай — плохо. Начальник говорит надо стоит, склад надо, дети хлопок собирай.

— გვაჭმევენ მაინც? — შეეცოხა მას ა. ქავთარაძე. — ავადმყოფებს რაღა ეშველებათ? რას შეჭამს ჩემი მოხუცი დედა, ის ხომ ვერ იმუშავებს?

— Если начальник кушат не дай, ми помогай. Ты только работай, —

— ჩვენ კისერზე ხომ არ ჩამოგვკიდებით? ისედაც უნდავთ, რომ თქვენ თვითონ არაფერი გაქვთ საქმელი, — თქვა სიტყვაძუნება ი. ოსიოემა.

— Зачем я шее? Люди все братья. Сегодня ты помогай, завтра я помогай. Жизнь длини, всем хватит — помогай, — სიტყვა დაამთავრა მამასახლისმა და სახლიდან წამოღებული პროდუქტებით საესე ტომარას მოხადა თავი.

— დედაკაცო, მე სამშენებლო საქმეზე გამამწესეს.

— ეგ როგორ, ირაკლი, შენ ხომ მასწავლებელი ხარ? შენ ჯილდოები გაქვს, ბოლოს და ბოლოს წლების მანძილზე სკოლის დირექტორი იყავი, — ნუხილით წარმოსთქვა დედამ.

— ძვირფასო, ანას ყველაურს ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

— რატომ, სპეციალისტები ხომ ყველგან სჭირდებათ? თუკი ბავშვები არიან, მათ ხომ უნდა ასწავლოს ვიღაცამ?

— კომენდანტმა ამიხსნა, რომ არასაიმედო პირებს აკრძალული აქვთ სწავლება.

— ჩვენს ლევანს რაღა უთხრებს? ის ხომ უზარმაზარი მეურნეობის დირექტორი იყო,

— იკითხა დედამ მგალობლიშვილზე.

— მასზე და მის გამოცდილებაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდათ. როცა ლევანმა აუხსნა, რომ სამშობლოში საკმაოდ წარმატებითა აქვს

ჩატარებული ცდები ვაზის ჯიშების გამოყვანასა და ჩაის ფოთლის სელექციის საქმეში, იგი უპრალოდ გაამასხარავეს.

— ოსიპოვს რაღა შესთავაზებს? ის ხომ მხატვარია?

— ბრწყინვალე სამუშაო, — ჩაეცინა მამას, — დაავალეს გადასახლება ღორის პურისა და შაქრის განაწილება, — შენ მხატვარი ხარ, თვალის სიზუსტე გაგაჩნია, ასე რომ უსასწოროდაც არ შეგეშლება პროფექტების განაწილებაო.

— რა საშინელებაა, ირაკლი!

— რას იზამ, ჩემო კარგო, დეკაბრისტის ცოლები უარესს იტანდნენ, საჭიროა გაძღება, მოთმენა და ყველაფრის გადატანა. — მაშამ ცოტა დააყოვნა და შემდეგ დასძინა. — შენ იცი, ვის შეუხვედი კომენდატურაში?

— მაინც ვის?

— დე. ქორძებს. მან მიამბო, რომ იმ ღამეს ანუ ტახს ზარჯრებში სინათლე ერთი და ოთახში შავი ჩრდილები მოძრაობდნენო. თენიშობ, რომ არც დედას და არც ჩემს ძმას ენიჭივს არ ასცდათ ჩვენი ხვედრი. ნეტა რა ბედი ეწიათ ან სად არიან ახლა?

ციან-ლისთან შეკრებილმა მეზობლებმა მოიტანეს პური, ხახვი, ქიშმიში, ქაბაბი ჩიმრით (სქელად დასრესილი ბოლოკი წითელი წინაკით). მამასახლისმა უბის ჯიბიდან ამოიღო ლიტრიანი ბოთლი და ყველა მიიპატივა პური საქმევალად. მე მერგო რამოდენიმე გამხმარი გარგარი და შაქარივით ტკბილი შებოლილი ნესვის ნაჭერი.

ჩვენი მასპინძლები ძალზე ყურადღებიანი და გულკეთილი ადამიანები აღმოჩნდნენ. გადასახლებაში მძიმე ცხოვრების მიუხედავად, ისინი არ გამოვრდნენ, არ ჩაიკეტნენ თავიანთ თავში. დღითიდღე ვგრძნობდით მათ კაცთმოყვარეობასა და მეგობრულ დამოკიდებულებას. ყველა კონკრეტულ მომენტში გვეხმარებოდნენ, გვაშარავებდნენ ტანსაცმლით, გვაძლევდნენ საქმიან რჩევებს, ზრუნავდნენ ჩვენზე და ჩვენს პატარებზე. დედაჩემი განსაკუთრებით დაუმეგობრდა ციან-ლის და დეა მის მეზობელ ქვრივ ქალს ხუან-ცის, ისინი თითქმის ყოველთვის ერთად იყვნენ, ერთად მიდიოდნენ წყალზე, ერთად ამზადებდნენ საქმეებს. მეც დავემეგობრდი მათ ბავშვებს, განსაკუთრებით კი ხუანიტოს, სწორედ მასთან ერთად ერთხელ გაქვევაც კი მოვანყეთ.

* * *

ჩვენი ახალი „ცხოვრების“ პირველმა კვირებმა გაჭირვებასა და ტანჯვაში განვლეს. მაშა სხვა მამაკაცებთან ერთად ყოველ დღით კომენდატურაში დადიოდა აღსაღწინად და მშენებლობაზე გვიან ღამემდე მუშაობდა.

იქვე დღის ბოლოს თითო გადასახლებაზე აძლევდნენ 250 გრ. პურსა და 2 კილოგრამის ფხვნილს. ჩვილები სათვალავში ან ღებურადნენ. პური წყალწყალა მასთან წარმოადგენდა, ხოლო შაქარი მჭი სინესტისაგან სალათას დააგავდა. მე ამ სალათავში ვანობდი პურს და ისე ვჭამდი.

ჩვენს ბინაში ყოფნას „ოსიპისტები“ ღამ-ღამობით ამონებდნენ. მე ახლაც ვერაფრებს სინუნელს, ძილში ხშირად ვხედავ უმნიშვნელო ფაქტებსაც კი და გამოვლინებულს ყურში ჩამწმის. — ყველანი ადგილზე ხართ? და თვალწინ წარმომიდგება ხოლმე მაშა, ტანთ რომ იცმევდა აქტარებით და ჯარისკაცები ყოველგვარი მორადების გარეშე თვლებით რომ ჩხრეკდნენ იატაკზე გაშლილ ლოგინს, აკანკალებულ, ნახევრად ჩაცვულ დედას და ჩვენ... „ნაბიჭვრებს“.

ხალხს დიდახანს არ ეუბნებოდნენ გადასახლების მიზეზს. ჩვენ ვნერვიოთ ცალ-ცალკე და კოლექტიურ ნერილებსაც ყველა მაღალ თუ უმაღლეს ინსტანციებში. მათში ჩამოთვლილი იყო მამაჩემისა და ჩვენი მეზობლების დამსახურებები სამშობლოსა და ხალხის წინაშე. ვეხვეწებოდით, ვემუდარებოდით ავსხნათ ჩვენთვის, თუ „რისთვის“ ან „რამდენი ხნით“ გვარგუნა ბუღმა ასეთი გასაჭირი. მაშას ნერილებში მოჰყავდა თავისი ერთგულების დამამტკიცებელი ფაქტები ხალხისადმი, სოციალისტური სახელმწიფოსადმი, იხსენებდა დიდი ხნის პარტიულობის სტაგს, ფართო პედაგოგიურ მოღვაწეობას, ომში მონაწილეობას, კონტუზიას, დაჭრას, წერდა ორდენებსა და მედლებზე, თანამდებობებზე, რომლებიც ეკავა ომამდე და ომის შემდეგ, მოითხოვდა ზოგადად მაინც განემარტათ მისთვის გადასახლების მიზეზი, ემუდარებოდა მეცნიერლოვანი შედეგების გადარჩენას, რომელთაც არავითარი დანაშაული არ მიუძღოდათ ამქვეყნად. მაგრამ არც ჩვენს და არც სხვათა ნერილებზე პასუხი არავის გაუცია.

მიუხედავად იმისა, რომ ნათესავებთან და ახლობლებთან მიწერ-მოწერა სასტიკად გვერნდა აკრძალული, ჩვენ მაინც გამოვინახეთ ნერილების სამშობლოში გაგზავნის საშუალება. ეს კეთდებოდა კორეელების, ჩამოსული გერმანელების, ბერძნების, ებრაელების საშუალებით, რომელთაც გამოსასახლების დიდი ხნის სტაგი ჰქონდათ და ზონაში გარკვეული მიმოსვლის უფლებაც გააჩნდათ. მაგრამ როგორც მოგვიანებით გაიკვია, ნერილების დიდი რაოდენობა ვერ აღწევდა ადრესატამდე, ვინაიდან საქართველოდან გამომოსახლებულთა ნერილების ნაკადი მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული. ხელიდან „უსხლტებოდა“ მხოლოდ ისინი, რომლებსაც ჩვენი მეგობრები თავიანთი ნათესავების მე-

შეუბოთ საზახისტანის ფარგლებს გარეთ ფოსტით აგზავნიდნენ.

ჩვენი გადასახლების მიზეზი მხოლოდ რვა თვის ლოდინის შემდეგ შევსრულდით. მამას კომუნისტურმა ოფიციალურად ნაუკითხეს საბრალდებო დასკვნა, რომელიც ეწერა, რომ ოცნანი ნღების დასაწყისში მამამისი გაიხიზნა საზღვარგარეთ, რისთვისაც მას და მის შთამომავლობას სამუდამოდ ჩამოერთვათ ყოველგვარი სამოქალაქო უფლებები, მამა გარიცხეს პარტიიდან, ქონებას კონფისკაცია გაუკეთეს, ხოლო ჩვენ სასტიკად აგვეცადა გაცეცა სამუდამო საგადასახლებო ზონიდან; და თუ ეს მთინე მოხდებოდა, გვეშუქებოდა-ნენ ურანის მალარობებში გასახლებით ან დასჯის იმ ზომით, რომელიც სამხედრო დროს შეეფარებოდა.

აღნიშნულს გარდა ეს რესკრიპტი გვაუწყებდა: ჩვენ დაუზარალებით იმის გამო, რომ ბაბუაჩემი, რომელსაც საზღვარგარეთ წასვლისას სამშობლოში დარჩა ორი მცირეწლოვანი შვილი — უფროსი — მამაჩემი — ცხრა წლის და უმცროსი — 4 წლის, თავისი მოქმედებით „ხალხს დაუპირისპირდა“, ამიტომ ჩვენ, როგორც „ხალხის მტრის“ შთამომავალი უმკაცრეს სასჯელს ვიშასაზრებოთ, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე პუმანური სახელმწიფოს ძირითადი კანონიდან გამომდინარე, რომ შვილი მამის ცოდვებზე არ აგებს პასუხს, ამიტომ გვაპტიობენ და მხოლოდ საქართველოდან გვასახლებენ.

ჩვენთან ერთად გადასახლებულნი იყვნენ ემიგრანტის ყოფილი ცოლი — ბებიაჩემი, რომელიც ოფიციალურად მას ჯერ კიდევ ომამდე გაეყარა, მისი უმცროსი ვაჟი, ორივე რძალი და ოთხი შვილიშვილი, რომელთაგან ყველაზე უფროსს — მე ათი წელიც არ მექონდა შესრულებული, ხოლო უმცროსს კი — ოთხი თვე, — სულ ცხრა სული. ორი ოჯახი, რომლებმაც ლტოლვილის „თანხმობის“ გარეშე ვაბეგეს და დაინყეს დამოუკიდებელი ცხოვრება და რომლებიც მას კარგა ხნის გარდაცვლილად სთვლიდნენ, იტანჯებოდნენ მთელი თავიანთი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე. უკეთეს მდგომარეობაში არც სხვა გადასახლებულნი იმყოფებოდნენ. კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი ომის დროს ტყვედ ნამყოფი ადამიანები ჩვენს შორის მრავლად იყვნენ. ომი ომია და როგორ შეიძლება უკანდახევის, დაჭრის, დატყვევების, ტრაგედიისა და სიკვდილის თავიდან აცილება. სად, დღემდე ისტორიულად ცნობილ რომელ საზოგადოებრივ ფორმაციაში მომხდარა ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ლანძღვა-გინებითა და აბუჩად აგვებით აეყარათ მშობლიური ოჯახებიდან სამშობლოსა და ხალხის დამცველები გერციცხოთ

პარტიიდან, პარტიიდან, რომელიც გაქურდვების შემდეგ მათ უდარდელი, განუკერძოებელი ცხოვრება აღუთქვა, წაერთვათ მათთვის სწინხლით მოპოვებული რეგალიები, კონფისკაცია გაეკეთებინათ მათი ნაოფლარისათვის, მეტიც, მათთან ერთად ცოლები და შვილებიც კი გაესახლებინათ...

მამას ცუდად ეტყობოდა. „ოსობისტები“ ყოველნაირად ამცირებდნენ მას. როგორც ჩანს, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ უსამართლობის მიმართ შეურიგებლობის, ასევე ნაკითხობისა და განათლების გამო გამორჩეულად აითვალისწინეს. მამას, რომელსაც ორი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი ჰქონდა, აიძულებდნენ ეთხარა შინა, შეეკეთებინა ღობეები, დაესუფთავებინა „ოსობისტების“ ფეხსაღებში. სხვა სამუშაოს არ აკეთებინებდნენ. დედაჩემის დაფინანსებული მოთხოვნით, როდესაც ბაბის საკრუფში არ მივდიოდი, ხშირად დავუყვებოდი მამას კომუნისტურში და გვიანობამდე ვრჩებოდი მასთან ერთად სამუშაოზე. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ დედას ეწინააღმდეგებოდა მამაჩემის სასწავლებლისა. განსაკუთრებით აბუჩად იგდებდა მის კომუნისტურის უფროსი, უხეში, გაუთვლელი მამიკა ა. პოლხლება, რომელიც ყოველ დღით ასეთი ფრანით ხედელობდა მამას:

— აი, ინტელიგენციაც მობრძანდა და ისიც თავისი ნაშეივით.

მამა, რომელიც ცდილობდა თავი შეეკავებინა, შეუღერნდა ხოლმე:

— ცოდნის სიჭარბისაგან ჯერ არავინ დაზარალებულა, მაგრამ უცილობისაგან..?

— ოხ, შე ნიგნის ჭიავ, მე შენ გიჩვენებ...

და მე და მამას გვიხდებოდა ან „ავლადიდების“ გამოტანა ჯარისკაცების ფეხსაღებშიდან, ან დედასთან კუთვნილი უღუფის გარეშე დაბრუნება. ეს კი ნიშნავდა, რომ ოჯახი მეორე საღამომდე მშვიდი უნდა დარჩენილიყო. კომუნისტის შესახებ ხალხი ამბობდა: „მიუცი ანგელოზს ძალაუფლება — რქები გაეზრდებაო“...

ნამდვილად, ყველას როდი შესწევს უნარი ძალაუფლების კეთილსინდისიერად გამოყენებისა. ზოგი თავს არ დაზოგავს, ყველაფერს მისცემს ხალხს, ზოგი — ფორმალურად გამოეყობა, სარკის წინ დაინყებს საათობით ტრიალს, ესტრუქულაციის დამუშავებასა და ხალხის გაბეზრებას. ასეთი იყო „ჩვენი“ პოლხლებაც, რომელსაც გადასახლებულები დღემდე ზიზღით იხსენიებენ.

ეცხოვრობოთ იმით, რომ დედაჩემი კორუფციების მეშვეობით სახლიდან ნამოლებულ ზენრებს, საბნისა და ბალიშის პირებს სურსათისანოვაცეზე, საპონსა და მარჩილზე ცდილობდა.

და; ბაზარი მდებარეობდა მრავალი კილომეტრის დაშორებით, დასახლება სლავიანკაში, სადაც ჩვენი სახლის პატრონები მიემგზავრებოდნენ ორ კვირაში ერთხელ. როცა მათ უპართლებდათ გაცვლაში, მაშინ ჩვენს საცხოვრებელში „სიუხვე“ დაიმკვადრებდა ხოლმე და ყველა ნაყრდებოდა. თუმცა, ეს იშვიათობა იყო.

გავიდა დრო და მოწყალეობით დაგვრთეს ნება ახლობლებისათვის ჩვენი ახალი ადგილსამყოფელი შეგვეტყობინებინა. წერილების გაგზავნა შემდეგნაირად ხდებოდა: სამკუთხედი ბარათები სპეციალურად გამოყოფილ დღეებში ბარდებოდა კომუნდატურაში. ჩვენი წერილები აუცილებლად უნდა ყოფილიყო ხალისიანი. დანერჩილი რუსულ ენაზე, ვინაიდან კომუნდატურის თანამშრომლები და მათი უფროსი პოლხლება სხვა ენას არ ფლობდნენ. „უცხო“ ენაზე დანერჩილი, ან უბრალოდ „არასასურველი“ წერილები ნადგურდებოდა.

თუმცა, ორმხრივი კავშირი თანდათანობით მომწესრიგდა. საუკეთესო შემთხვევაში პასუხები ჩვენს წერილებზე მოდიოდა ორ, სამ თვეში ერთხელ. ბევრი ნათესავი, ახლობელი და მით უფრო ამხანაგი დუმილს არჩევდა, ან მოკლე ბარათს გვიგზავნიდა, რომ ჩვენ „ხალხის მტრებად“ ვართ გამოცხადებული და ამის გამო არათუ დახმარება, ჩვენთან მიმონერაც კი სამშობლოს ღალატს უდრიდა.

მასხოვს, გადასახლების 2,5 წლის განმავლობაში ოცამდე ასეთი წერილი მივიღეთ. ეს წერილები იყო ნათესავებისაგან, ყოფილი მეგობრებისაგან, ამხანაგებისაგან, იმათგან, ვინც ხშირად ყოფილა ჩვენს ოფებლაც ხევიან და პურ-მარლიან იჯახში, ვინც ხშირად გვეფიცებოდა მეგობრობას, სიყვარულსა და ერთგულებას. ამ მოღუშულ ცაზე ორად ორ ნათელ სხივად გვევლინებოდა ბებია დედის მხრიდან სონია, მისი და — პარტიის ექტერანი ფრონტელის ქვრივი, ვერკო ჯაფარიძე. სწორედ ისინი არა მარტო გვეყრდნენ, არამედ გაჭირვების მიუხედავად, ორ თვეში ერთხელ პატარა ამანათებსაც კი გვიგზავნიდნენ. მართალია კომუნდატურაში ამანათები ე. წ. „შემონწმებისათვის“ იხსნებოდა და რაც ყველაზე საუკეთესო იყო, გვართმევდნენ, ჩვენ მაინც გახარებულები ვიყავით იმით, რაც რჩებოდა. სურსათ-სანოვანის „ნამეცეები“, გამოყოფილი „ოსობისტების“ ვრცელ რიცგებს შორის, რაღაცნაირად გვიმსუბუქებდა არასახარბიელო ხედვრს და დროებით მხნეობას გვმატებდა.

არც თუ ისე ცოტა დრომ განვლო, სანამ შევეხვეთ და ვისწავლეთ, უდრტიწიველად შეგვეხედა ჩვენი ყოველდღიურობისათვის. ჩვენი დასახლების აბორიგენტთა ბავშვები სას-

ნაელებლად სოფელში დადიოდნენ. გზას ერთი საათი იქით ჭირდებოდაქუჩაქუჩა — აქეთ. სკოლა, რომელიც უჩინდებოდაქუჩის წარმოადგენდა, კომუნდატურის გვერდით იმყოფებოდა. მეცადინეობა ყაზახურ ენაზე რუსული ენის გაძლიერებული სწავლებით მიმდინარეობდა. ამ დროისათვის ჩვენ უკვე გვერკვეთ მრავალ სხვა ქართულ დასახლებებათა გეტრაფიაში. ამ ვითარების გამო ქართველებმა კოლექტიური თხოვნა შეადგინეს ქართული სკოლების გახსნის შესახებ რუსული ენის გაძლიერებული სწავლებით. არგუმენტად მოყვანილი იყო ის, რომ რიც გადასახლებულებს ჰქონდათ გარკვეული ცენზი, როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზე სწავლების საკმაო გამოცდილება და რომ ის საქმიანობა შეიძლებოდა ანაზღაურების გარეშე წარმართულიყო. თხოვნა ასეთი სკოლის გახსნის შესახებ არგუმენტირებული იყო იმითაც, რომ უმრავლესობა გადმოსახლებული იყო საქართველოს შორეული კუთხებიდან, სადაც იმ დროისათვის რუსული ენის ცოდნა ძალზე დაბალ დონეზე იდგა. მაგრამ „ზემოდან“ კატეგორიული უარი მივიღეთ. ჩვენ, მცირეწლოვანები, იძულებულნი გავხდით, ყაზახურ სკოლაში გვევლო. ყველანი ერთი კლასით „ქვევით“ დაგვსვეს. მეცადინეობა კვირაში ორჯერ მიმდინარეობდა. დანარჩენ დროს გახაზულზე, დილიდან საღამომდე, „ოსობისტების“ პირადი ბალ-ბოსტნების დასაბარად მიგვერკებოდნენ, ზაფხულში — ბამბის, შემოდგომაზე — ყურძნის, ხილისა და კარტოფილის საკრეფად, ზამთარში კი ნაქელის შესაგროვებლად, რომელსაც ბზეში ვურევდით, კედელზე გასახმობად ეკრავდით, და ზამთრისათვის „ფურების“ გასახურებლად ვამზადებდით...

სკოლაში მასწავლებლებად იყვნენ გერმანული კოლონიებიდან გადმოსახლებულები. ორ კლასში სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების 150-მდე ბავშვი სწავლობდა. აქ იყვნენ ყაზახები, რუსები, უკრაინელები, გერმანელები, კორეელები, ბერძნები, ებრაელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. „ოსობისტების“ ბავშვები ჩვენთან ერთად სწავლობდნენ, მაგრამ ისინი განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ: ხშირად გვეკონკრეტებოდნენ, სხვადასხვა დამამიცირებელ სახელებს გვიგონებდნენ, ზოგჯერ გვირცხავდნენ კედელზე. მასხოვს, ჩემს წინ იჯდა გარნიზონის კომენდანტის პოლხლებას ქალიშვილი ნიურა, სასიამოვნო გარეგნობის გოგონა. ჩემი უბედობისა თუ სხვა რაღაცა მიზეზის გამო, სწორედ მე მომაცქია განსაკუთრებული ყურადღება „გუბერნატორის ქალიშვილმა“, როგორც მას ზურგს უკან უწოდებდნენ მასწავლებლები. დასვენებაზე წამომიდებდა ფეხს,



მეტყველებოდა, გაკვეთილებზე კი მომიტრიალებოდა და თმასა მქაჩავდა, ხან ცხვირს მომიგრებდა. მე ყველაფერს დედას ვუამბობდი. ის კი მამშვიდებდა და მეუბნებოდა:

— შეილო, ასეთი ადამიანები სადისტები არიან, უნდა შოთომინო მამაშენის ხათრით. ხომ ხედავ, როგორ უჭირს მას?

მეც ვითმენდი, რამდენიც შემიძლო. მაგრამ ერთხელ, ყაზახური ენის გაკვეთილზე ნიურა ისევ ჩამწვდა თმებში, მთელი ბლუჯა მომაგლიჯა და კლასში სირბილი დაიწყო. მე ვეღარ მოვითმინე და დაეუყვირე:

— სადისტო!

— ოხ, შე მოლაღატის ნაშიერო! — დამიყვირა მან. სისხლი ამივარდა თავში, დავეხდი სამეღნეს და ვესროლე. შუშა მერს მოხვდა და, ნამსხერვეებად იქცა, ხოლო მელანი „გუბერნატორის ქალიშვილს“ სახესა და კაბაზე შეესხა. კლასში სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. შემცბარმა მასწავლებელმა დატოვა საკლასო ოთახი.

მეორე დღეს მამაჩემი კომენდატურაში გამოძიებულს.

— თუ კი თქვენ მეტად უძღურნი აღმოჩნდით იმისათვის, რომ საკუთარი კანონები შეგექმნათ, — ქირქილით წარმოსთქვა კომენდანტმა, — ხოლო ჩვენ ხალხთან ერთად შეეძელით თქვენი დაძლევა და დაგადგიოთ უღელი, კეთილი ინებეთ და ნუ ფაფხურობთ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში მთელს თქვენს შთამომავლობას გაანადგურებთ. რაც შეეხება მეღნით დასერილ კაბას, შენი ინტელიგენტური პერსონის მუშაობით აანახლდურებ მის საფასურს.

სალამოს მამა დიდხანს მამშვიდებდა:

— ძნელია, შეილო, მათი მოქმედებები შეაფასო. ისინი ლაპარაკობენ ერთს, აკეთებენ მეორეს, ფიქრობენ მესამეს. პიგმეების ბედნიერება მათ მუდმივ ცბიერებისეულ ძალადობაშია. გაივლის წლები და ისინი გადაშენდებიან, მოვლენ სხვები და მჯერა, რომ შენთვისა და შენი თანატოლებისათვის სხვა, უფრო ბედნიერი ფაზი დაადგება. რაც შეეხება იმას, რომ ღამით ორ-სამჯერ სამუშაოზე გასვლა მომიწევს, ნუ ნაღველობ, შენი გაბედულისაქცილი იმსახურებს ამას.

* * *

ხშირად, ციან-ლისთან შეკრებისას, უფროსები იწყებდნენ ლაპარაკს იმაზე, ბავშვები როგორ გადაერჩინათ, ეძებდნენ პატარების მძიმე ცხოვრებიდან თავდახსნის გზებს. ბევრი ნანობდა, რომ შეილები სამშობლოში არ დატოვეს, თუმცა მაშინვე თავს იმით იმშვიდებდნენ, რომ არავინ იცის, მათ იქ როგორი ცხოვრება ეწეებოდათ. ყველა ამ საუბარს გულდასმით ვისმენდი და გაქცევაზე, ყმანვილურ

პეროიკაზე, „პურიანი ქალაქებიდან“ მშობლებისათვის სურსათ-საინოვაციურ-ეკონომიკურ ვიცინებოდათ.

გენდლინიქა

ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ყოველივე ეს არაფრის მომცემი ბავშვური ახირება იყო. მე ყველას ვთავაზობდი გაპარვას. ბიჭები თავდაპირველად მთანხმდებოდნენ კიდეც, მაგრამ შემდეგ უარს ამბობდნენ. უფრო ხშირად კი ჩემს უახლოესს, ასაკით ჩემზე უფროს მეგობარს ლადოს ვეძალეობოდი, მაგრამ ის სიცილით მეუბნებოდა:

— სად გავიქცეთ? უსაზღვრო ტრამაღში? ბოლოს და ბოლოს, „ეშმაკური“ გეგმა შევიშუშავეთ.

აღიონზე ხუანიტოსთან ერთად გამოვედი სახლიდან. ფეხით ხუთი კილომეტრი გავიარეთ კომენდატურის მიმართულებით, ფეხაკრფით ჩავუარეთ მოხუც დარაჯს, საბარგო მანქანის ძარაზე ავძვერიოთ და მოკრეფილ ბამბაში ჩავიშალეთ. სუნთქვა გვიჭირდა. ნეღლი ბამბა ნესტოებში გვიძვრებოდა. სინესტისაგან გვატროლოვდა, მაგრამ ამ მომავალი თავისუფლებისათვის ყველაფერს მტკიცედ ვიტანდი და ვიცდიდი. როგორც იქნა, მანქანა აღმუვლდა და მეორე ზონაში მდებარე ბაშის გადაამუშავებული ფაბრიკისაკენ დაიძრა. დიდი ხნის ჯაყჯაყის შემდეგ, დარწმუნებულები, რომ შლაგაუმი უკვე შორს ჩამოგვრჩა, იდაყვი გავკარი ღადა, ლადომ — ხუანტოს, ბამბიდან ამოვიყვითი და ერთმანეთს სიხარულით გადავეხვიეთ. როგორი იყო ჩვენი გაკვირება და შიში, როდესაც ძარაში ორი ჯარისკაცი აღმოვჩინეთ, როგორც შემდგომ გაირკვა, ფაბრიკაში გოგონებთან მიმავალი.

როდესაც საყარაულო სამსახურის უფროსი მომიცალდა, საზე გახვეული მქონდა ცემისაგან, ხოლო ენით დაველეჯილ მტრძილებს ვტრძნობდი. ის დიდხანს იბანდა ხელებს, მერე კი თქვა:

— ოხ, შე ნაბიჭვარო, გემახსოვრება, როგორ უნდა დაქცევა!

გავიდა დრო. სამკურნალო ბარაკში სანიტარმა, რომელიც აბებს მამძლედა, დარწმუნებით უთხრა ამხანაგს:

— ამ ქვეყნად მაცხოვრებელი აღარ არის, მე შენთვის მითქვამს. ამასთანავე ამკარაა სრული დისტროფია.

ამ სიტყვების შემდეგ გონება დაგვარგე და გონს მხოლოდ ორი კვირის შემდეგ მოვედი. დამამახსოვრდა გულის ცემის ხანგრძლივი შეტრეხებები, ჰაერის უკმარისობები, მკერდიდან აღმოჩნდა ყუფისებური ხველები...

— მე მეგონა შენთვის უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო, — თქვა შავტუხა ვინროთვალებიანმა სანიტარმა — ყოჩაღ! აი, შენმა მეგობარმა კი სული განუტევა. მას

სუსტი ფილტვები ჰქონდა. კორეელი კი გადარჩა. ძაღლის ჯიშია!

ჩემი გამოჯანმრთელების შემდეგ ჩვენი ქობის კარზე ჯარისკაცმა მოაკაუნა და გადმოგვცა კომინდატის ბრძანება, რომ დილით მასთან უნდა გამოცხადებულყოფიყვი. დედამ ჩემმა შემოიპატივა ჯარისკაცი, მე მამასახლისთან გამგზავნა არყისათვის. დედა დიდხანს უმასპინძლებოდა მას, ეკითხებოდა ჩემი გამოძახების მიზეზს. ჯარისკაცმა გამოსცალა ძლიერი სასმელი და ხითხითით ნაუცხადა.

დილაადრინად გამოვემშვიდობე დედას და კომინდატურისაკენ გავემურე. ერთი საათის შემდეგ უკვე რკინით მოჭედვით კარზე დავაკაუნე. კაუნზე კომინდატურიდან ნამძინარევი ჯარისკაცი გამოძვრა.

— რა გინდა? — შეითხა მან და თან ჩექმასა და ჭუჭყიან სახვევს ატრიალებდა ხელში.

— გამომიძახებს.

— ახ, ეს შენა ხარ, გაქცეულს? ნადი კომინდატთან, სახლში, — მითხრა მან მთქნარებით.

მიუვახლოედი ორსართულიან სახლს. მცველს ვუთხარი, რომ დაბარებული ვიყავი. მან მიბრძანა დამეცადა —

საათნახევრის შემდეგ გაყარეს მოდარაჯე ძაღლები, ამიყვანეს მეორე სართულზე და პირდაპირ სასადილო ოთახში შემიყვანეს. არ შემეძლო მაგიდისათვის თვალის მოცილებვა. ოპ, რა ხანი იყო უკვე, ასეთი სიუხვე არ მენახა. აქ იყო შებოღილი შამში, სხვადასხვა ხარისხის ძებველური, ყველი, სოკო და ბევრი სხვა რამ.

— აბა, გამარჯობა! — მომმართა კომინდანტი, რომელიც პიჯამოსა და ფოსტლებში იყო გამოწყობილი. — უსიამოვნება მოგიყვია ჩემს ქალიშვილთან, გაქცევაც სცადე. მაგრამ რას იზამ, ვის არ დამართნია. ჩემი ნიურა ხომ მოგნონს: ხომ ღამაში გოგონაა? მე გავენითღებ და თავი დაგხმარე.

— აბა უშავს, შენ ასაკში ბუნებრივია. თუ ერიდა, შეგიძლია ჩვენთან იარო და იმეგობრო მასთან. პო, მან თქვა, რომ შენ ნამდვილი ვაჟაკი ხარ. დაჯექი და შედეცი. აი, ამ სასწილს დაგისხამ, ალბათ, სვამ, შენ ხომ კაცისივლი ხარ, ამბობენ ამას თქვენში დედის რქესთან ერთად იღებენო. პა-პა-პა.

ტორედ მობატყვება არ დაჭირვებია. დავახეცე ოღვე ხველაფერი, სვამის კიდეზე ჩამოაფერი და გემრიელად შევიქეცი.

— ჭამე და სახლშიც წაიღე. მისმინე, რატომ იკრიბებიან ასე ხშირად თქვენთან? ალბათ, მე მლანძღავენ, არა? შენ არ დაიჯერო მათი ნათქვამი, ყველა ისინი საბჭოთა ხელი-სუფლების წინააღმდეგნი არიან, არ უნდათ,

თქვენ — პიონერები ბედნიერად იყოს ცხოვრობდეთ, გემრიელად ჭამდეთ, სვამდეთ, სვირობდეთ, თამაშობდეთ. შენ ხომ პიონერი ხარ? მოდი ხოლმე ჩვენთან და გვიამბე, იქ რა ხდება. გავიგე, ამასწინათ თქვენთან შეზობელი ზონიდან ორი გამომსახლებული მოსულა. არ იცი? — დაეკრეებით დამაცქერდა ის.

მოულოდნელობისაგან ლუკმა გადამცდა. ნამდვილად, გუშინწინ ჩვენთან ორი კაცი მოვიდა და მამას მოუტანეს წერილი დედამისისაგან, რომელიც თურმე სლავიანკის დასახლებაში ჩამოსახლებათ.

— არა, არაინ არ ყოფილა, — ვიცრუე მე.

— როგორ არა, მე ხალხმა მითხრა, რომ ისინი ყოფილან, მაგრამ შერე უცერად სადღაც გამქრალან, თითქოს მინამ ჩაყლაპაო. შენ ნუ გეშინია, თქვი, გახსოვს პავლა მოროზოვი: აი, ისეთი უნდა იყო.

მე თავი დაუქნიე.

— პო და კარგი, მოდი ხოლმე, ნიურკას გაუსარდება შენი ნახვა.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ პოლხლებამ დაამატა, — მისმინე შეგობარო, რა იყო იმ წერილში, რომელიც მათ მოგიტანეს?

— არავითარი წერილი არ ყოფილა, არაინ არ ყოფილა, — ისევ ვიცრუე მე. ეს წერილი კი თითქმის ზეპირად ვიცოდი. მამამ და მისმა მეგობრებმა არაერთხელ გადაიკითხეს ის ხმა-მალა. ბებია აწერებოდა, რომ თუ მამა მოახერხებდა დაენერა და გადაეგზავნა გარნი-ზონის უფროსობასთან თხოვნა ჩვენი სლავიანკაში გადასვლის შესახებ, რათა დედასა და ძმის ოჯახს შეერთებოდა, მაშინ ის თბილისთან ჩამოტანილი ვერცხლის ჩანგლების, კოვჩებთან და ნიწლითის ბეჭდის საშუალებით ევდებოდა დადებითად გადაეტრა ეს საკითხი. კომინდანტისთვის არც ის არ მოთქვამს, რომ ღანის სტუმრებმა მამაჩემის თხოვნასთან ერთად წაიღეს სხვა გადასახლებულთა წერილებიც, რომლებიც ანალოგიურ თხოვნას შეიცავდნენ.

— შენ ჭამე, ძვირფასო, — განატრო მამორმა, — ილაპარაკე, მოაყვი, ალბათ მისწერეს, რომ ჩვენ თქვენს სისხლსა ვსვამთ, რომ აქ ცუდად ეხოვრობთ არა, არ იცი? არა უშავს. შემოიარე ხოლმე ნიურკასთან სათამაშოდ, — ისევ მიმობატყა მან.

დავემშვიდობე და, ნამოვდი. ეზოში ოთხფეხნი შეინძრნენ, ადრინდნენ. რომ არ შემეწუხებინა ისინი, ფეხაკრეფით გავიარე მოცემენტებული ბილიკო. ნამომენა კომინდანტის ხმადაბალი საუბარი რომელიღაც ქვეშევრდომთან:

— თუ ეს გველის წინილი გამოჩნდება, შემატყობინეთ. მაგრამ იცოდეთ, თბილად მოექეცი, არ დააფრთხო, მგონი ჩემია.

მაშინ მე მომხდარი ბოლომდე ვერ გავი-
ახრე. ვბრუნდებოდი სახლში, ვბარბოდი მზი-
ანი გაზაფხულით. გრძნობები სიმპათიური
ნორა პოლხლებას მიმართ სუნთქვას მიკ-
რაავდა, ჩემში რაღაც ჯერ კიდევ უცნობსა და
ტაბილს აღვიძებდა. მივაბოჯდები და ვული-
მოდი ტრამალის წიავს. ვოცნებობდი რამზე?
არ ვიცი, არ მაგონდება. ალბათ, მომავალზე
ვოცნებობდი, შესაძლოა — ახლო მომავალ-
ზეც! მე მეტყველებოდა, რომ მალე, ძალიან მა-
ლე უტყველო რამ მოხდებოდა. საკმარისი
იყო მხოლოდ მომენდომებინა...

სახლში დაბრუნებულმა მშობლებს ყველა-
ფერი მოუყვები. ისინი დიდხანს ჩურჩულებ-
დნენ რაღაცას. მერე მამამ გვერდით მომისვა,
მომეფერა და მითხრა:

— დამიხსნოვრე, შეილო, ნეტარი არის ის,
ვინც ფხიზლობს! ბედნიერია ის, ვისაც არ
სძინავს; საიზოვნება, რომელიც შენ შემოგ-
თავაზებს იაფფასიანია, მათი სიხარული კი
მოჩვენებითი. სამაგიეროდ მათი საფასური
ძვირად დაგიჯდება — მშობლებისა და ახ-
ლობლების ღალატი მიუტყვევებელი!

— პო, მამა, — ვუპასუხე მე.

— დედაცაყო, — მიუბრუნდა დედას მამა-
ჩემი, — ხომ ხედავ სადამდე მიიყვანეს ხა-
ლხი! სულ დაკარგეს სინდისი, ყველაფერზე
მიდნის, შეიღობსაც კი ამხედრებენ მშობლე-
ბის წინააღმდეგ. ადამიანებმა, რომლებმაც
ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს და თავიანთი
კულტურით ყოყოობენ, ქუჩებში იარაღით
სერირობენ, ტანკებისა და ქვემეხების დემონ-
სტრირებას ახდენენ, ხიშტით ჯარისკაცებს
ამარშირებენ, მათ არ განაჩინათ სირცხვილის
გრძნობა. რისთვის სჭირდებათ ეს იარაღი.
იმისათვის ხომ არა, რომ კონდახებით ღურ-
სმნები აქედონ, ან ხიშტებით მიწა თოხნონ?
ალბათ იმისათვის, რომ ცოცხალ ადამიანებს
გაურტონ და გაურტონ ისე, როგორც ამას
მთელი სამხედრო მეცნიერების გამოყენებით
ასწავლიან. რამდენი ბინძური და საზარელი
საქმეა ჩადენილი მსოფლიოში „კაცობრიობის
გადაარჩენის“ ნილით?! ყოველივე ეს კი იმი-
ტო ხდება, რომ ე. წ. „ელიტამ“ მშვიდად იც-
ხოვროს და გემრიელად იძინოს; ადამიანები
იმ ზომამდე მიიყვანეს, რომ ისინი საკუთარ
ბედსა და ხედვას თითქმის შეუსისხლებორც-
დნენ. მოხუცებს უამბინათ ჩემთვის: თუ გა-
წერთილი კაცკაციურ ნაგებს წერილ ძაფზე
გამოაბამ, შიმშილით მოკვდება და მაინც არ
გაგლეჯს მას. აი, ჩვენც ასე ვართ.

— პო, ძვირფასო, — დაეთანხმა დედა, —
ყველაფერი ეს სწორეა, მაგრამ სჯობს ვიფი-
ქროთ, რა ვქამოთ დღეს.

ორმა ხანგრძლივმა თვემ გაიარა მას შე-
მდეგ, რაც სლავიანკაში გადასახლების შე-
სახებ ჩვენი თხოვნა გაუგავანეთ. მაგრამ პა-

სუხი არ ჩანდა. კარსმომდგარმა შემოდგომამ
დაუნდობელი აზიური მზე კიდევ უფროს. შე-
ტად გაამწვავა და ბევრი სწრაფანსაც გაგა-
ჩინა: მამაჩემი დიდიხან გვიან ლამემდე
„ოსობისტების“ ბაღ-ბოსტნებში მუშაობდა.
მუშაობდა აგრეთვე ზამთრის სასაქონლო სა-
დგომების მშენებლობაზე; დედაჩემი დასა-
ხლების სხვა ქალებთან ერთად ცხვრისა და
აქლემის მატყლს ართავდა, ქსოვდა თბილ
წინდებსა და ხალათებს, მე კი სხვა მცირე-
ნალოვანებთან ერთად ვერფფდი ხამბას.

მასსოვს, გამთენიისას „ღრიანცელას“ ძარ-
დან გადამოხტებოდა ხოლმე ხანდაზმული,
წვერულვაშა ჯარისკაცი ელას პორფირიჩი,
რომელსაც მხარზე გადაკიდებული ქქონდა
ისეთივე მოძველებული ყაიდის თოფი, რო-
გორც თვითონ იყო. ბიძია ვასიკო, როგორც
ჩვენ მას სიყვარულით ვუძახდით, გაგვაშქრი-
ვებდა ხოლმე და გვიბრძანებდა:

— სწორდით! სმენა! არდამსწრენი არიან?!
აუადმყოფები, კოჭლები, ბრუციანები?! — და
პასუხის დაულოდებლად აგრძელებდა, — მარ-
ცხნისა-კენი ნაბიჯით — იარ!

ჩვენც გავისწორებდით ზურგჩანთებს და
„ნაჭედი“ ნაბიჯებით ჩავუძლიდით „ღრიან-
ცელას“, საიდანაც ზემდეგი და ოციცერი გვი-
თვალთვალდებდნენ. როდესაც ას, ორას მეტრს
გავივლიდით, ბიძია ვასიკო ხმადაბლა გვეტყ-
ყოდა ხოლმე:

— თავისუფლად, ბავშვებო, თუ არ ჩაგი-
ხედეფათ, შეგიძლიათ, მიირთვათ.

ბაბისის პლანტაიებისაკენ მიმავალთ მთე-
ლი ნახევარი საათის განმავლობაში გვიყვე-
ბოდა მხიარულ და ტყუის სასწავლ ისტორი-
ებს. ნაღლიანად იხსენებდა მშობლიურ კა-
ზაურ სტანიცას. ადგილზე მისვლისას ბიძია
ვასიკო პორიზონტისკენ მიმავალი პლანტაცი-
ების მწკრივებში ჩაგვაფრებდა და დასძინდა:

— აბა, ბოჭბო, შეუდეფეთ შრომას. გახსო-
ვდეთ, ვინც არ მუშაობს...?

— ის არ ტაშს! — ერთხმად ეპასუხობდით
ჩვენ.

— ღმერთი ჩვენსკენაა, აბა შევსიეთ, —
გვეტყოდა იგი და შუადღემდე ჩვენთან ერ-
თად ნელში გაუნსწორებლად მუშაობდა.

კარგად რომ ჩამოცხებოდა თავისთან გვიხ-
მობდა და გვეუბნებოდა:

— მზე უკვე ზენიტშია, შეგიძლიათ ამო-
ლაგოთ თქვენი ულუფები.

ვინ გამხმარი პურის ყუას ამოაძრობდა, ვინ
ბოლოკს, მწვანილს, ვინ ერთ-ორ გარგარს.

— ეჰ, ჩემო საცოდავებო, — დასძინდა ძია
ვასიკო და თავმობდილი ზურგჩანთიდან ამო-
ალაგებდა კიტრს, პამიდორს, ბულგარულ წი-
ნაკას, ჩიხ-ჩის, ნესებს. სადილის შემდეგ ძე-
ლი ჯარისკაცის ორგული მოვიკლათებდით
და იტერესით ვუსმენდით მის მონათხრობს

განვიღო ცხოვრებაზე, ძველ რევოლუციონერებაზე, კახაკების ვაგაკობასა და მის მშობლიურ უკრაინაზე.

მიუხედავად ჩემი და ჩემი მეგობრების მცდელობისა, დავხმარებოდი მშობლებს, ვერა და ვერ ვახერხებდით დღეში 10-12 კილოგრამზე მეტ „თეთრი ოქროს“ მოკრეფას, რაშიც ძველი კურსით სულ 3-4 მანეთი გვეძლეოდა. პატარა ხუვანიტო და მისი მეგობრები დღეში 20-30 კილოგრამს, ხოლო ადგილობრივი პროფესიონალი მკრეფავები კი ერთ ცენტნერს, ზოგჯერ კი მეტსაც კრეფდნენ. „თეთრი ოქროს“ კრეფა ძალზე ძნელი გახლავთ. უკვე ერთი საათის შემდეგ ზურგის არეში ძლიერ ტკივილს ვგრძნობდით, აუტანელი სისხლისაგან თავის ქლა გვეხდებოდა. თითუბიდან, რომლებითაც გამოხმარის ბაზის ტრასკელავისებური პარკებიდან თეთრ მასას ვღვავდით, სისხლი გვიჟოდა, გვანამებდა მუდმივი წყურვილი. მართალია პლანტაციებში წყლის ნაკლებობა არ იყო, მაგრამ ამ მაცოცხლებელი სითხის მიღება ნამდვილად გაჭირდებოდა. ასე თუ ისე, ყოველ დეკადაში, დაკავებების გარეშე 20-25 მანეთი გვიგრძობდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დროდადრო ჩვენს მეგობარ კორეელებს შესაძლებლობა ჰქონდათ გადასახლებულთა კოლონიისათვის დამატებით საჭირო პროდუქტები შეეძინათ.

გვიან შემოდგომაზე ტრავიკულად დაიღუპა ლევან მაგალობლიშვილი. ერთ საღამოს ჩვენთან მოიბრინა ლევანის ატირებულმა მეუღლემ — დეიდა ტასიკომ და გვიამბო, რომ ლევანი ერთი დღეღამის განმავლობაში სახლში არ მოსულა და რომ მას „ოსობისტები“ ეძებენ.

— მე თვითონ მიხდოდა შენთან მოსვლა, — უთხრა მამამ, — როდესაც ლევანი არც კომუნდატურაში გამოცხადდა და სამუშაოზეც არ მოვიდა, აფფორიაქდი, მაგრამ ხომ იცო, სამუშაოს მიტოვების უფლებას არავინ გვაძლევს.

— იცო, ირაკლი, ლევანი ისე მოუთმენლად ელოდა პასუხს ჩვენ ნერილზე სლავიანკაში გადასვლის შესახებ, ისე იმედვანად იყო, რომ მგონი ვერ მოითმინა და მაღლად წავიდა იქ ამბის გასაგებად. ღმერთო ჩემო, მას ხომ დაიჭერენ? რა ეშველება? — ქვითინებდა დეიდა ტასიკო.

შუალამისას „ოსობისტებმა“ ყველაფერი გადაატრიალეს, სათითაოდ დააკითხეს ყველა გადასახლებული, მაგრამ ვერაფერი რომ ვერ შეიტყვეს, ძებნა დღიისათვის გადასდეს იმ იმედით, რომ სად წავა, ირგვლივ ტრამაღლიაო.

დილით „ღრინანცელას“ გამოსვლის შემდეგ ბიჭები ბიძია ვასიკოსთან ერთად სამუშაოდ გავემგზავრეთ. შუა გზა რომ გავიარეთ, შორს,

იქ, სადაც პორიზონტი დედამისთან ერთად ბოდა, ერთ ადგილზე მოტრეყველ უხვფლავი ყვავების გუნდი შეენეშნებოდნენ.

— ამა ბიჭებო, გაეარდით და ნახეთ რაზა საქმე, — აღუღებით გვითხრა ბიძია ვასიკომ.

სამასიოდ მეტრი გავირობინეთ და დავინახეთ საშინლად დაკლავნილი, გაბურღილი და ჩაშავებული ადამიანის გვამი.

— ფრთხილად! არ მიუახლოვდეთ! — შეგვძახა ბიძია ვასიკომ.

— მანდ საშინელი აზიური გველი იქნება. ზოგჯერ იგი საათობით უყარაუღდება მსხვერპლს. ასე რომ არ ყოფილიყო, ყვავები დიდი ხანია შეესეოდნენ ნეშტს.

როდესაც ცხედირო გადავაბრუნეთ, ამ გოლიათში ძლივსა შევიცანიო ბიძია ლევანი. მისი სახე, რომელზედაც რაღაც არაადამიანური განცდები იყო აღბეჭდილი, საშინლად ჩაღურჯებულიყო, ხელით სიმწრისაგან მინიდან ამოგლეჯილ ბაღახებს ჩაბლაუჭებოდა. როგორც შემდგომ კორეელებმა აგვისხნეს, ნელინადის ამ დროს მცოცავი უხსენებელი ყველაზე საშიში ყოფილა. ალბათ, შუალამისას, როდესაც ჩვენი თანამგებამულე ტრამალით სლავიანკისაკენ გაეშურა, მცოცავი ვერ შეამჩნია და საშინელი სიყვადლით დაიღუპა. ეს აუნახლურებული დანაკარგი მწარე დაღად დევსა ყველას. მზიარულ და კეთილ ლევანს ყველა პატივს სცემდა და უყვარდათ, მისი „ოსობისტებსაც“ კი ერთდებოდათ. ყოფილი ფრონტელი დასახლებასთან ახლოს კორეელთა სასახლაოზე დაასვენეს.

რა უცნაურია, სადაურს სად წაიყვანს ხოლმე ბუდისწერა. საფლავზე ქართველებმა უზარმაზარი ბოძი დაუდგეს ლევანს, ზედ ჯვარი მიაკრეს და წაანერგეს: „აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგაგდესა“.

* * *

ამ ტრავედიაიდან ერთი კვირის შემდეგ ოფიციალური ნებართვა მივიღეთ ჩვენი სლავიანკაში გადასვლის შესახებ. პოლხლუბამ უჩვეულო თავაზიანობით მიიღო მამაჩემი და სკამიც კი შესთავაზა მას.

— ჩემო მეგობარო, — დანიყო კომუნდანტმა. — მაღალი უფროსობისაგან ვერ-ვერობით მიღებულია ნებართვა ორ ოჯახზე — შენი და მაგალობლიშვილის ოჯახებზე. პო, მართლა, გული მწვედება შენს თანამგებამულეზე, ერთ ცვლაში ორ და მეტ ნორმას იძლეოდა. არ გაუმართლა...

— მაგრამ, სლავიანკაში გადასვლას პირადად შენ ვერჯერობით ვერ მოახერხებ, — „გახარა“ მან მამა, — ნუ დაშემდურები, გეთავყა. რა ვქნა, მუშახელი არ მყოფნის. დაამთავრე სანოემბრო სამუშაოები და მერე

ჯანდაბის იქით ნასულხარ, — მაინც ვერ შეიკავა თავი პოლხლებამ. — შენთანები კი შეგიძლია ხეაღებ გაამგზავრო.

— კი მაგრამ, ურემოდ, როგორ იქნებიან იქ? — შეეითხა მამა.

— ეს საკითხი შეთანხმებულია. გამოგოცოფთ მანქანას, გაგიფორმებთ საბუთებს, თანაც შენი მეგობრის ოჯახს დაეხმარები მომზადებაში, მეტი რაღა გინდა?!

— როგორ იქნება იური ოსიპოვიცა და ალიოშა ქეთათარაძის საქმე? — იკითხა მამამ.

— ამის შესახებ არავითარი მითითება არა მქვს. შემდეგშიც ჩემთან მოხვდეთ „მოღვაწეობა“, — ჩაიცინა პოლხლებამ.

დედაჩემმა და დედა ტასომ კატეგორიული უარი განაცხადეს გამგზავრებაზე. პირველს არ უნდოდა დაეტოვებინა მეუღლე, ხოლო მეორეს — საყვარელი ადამიანის საფლავი. მაგრამ დიდი ხნის აგიტაციის შემდეგ, რომ მთავარია ბავშვების გადარჩენა და რომ იქიდან უფრო ადვილად მოხერხდება სხვა დანარჩენების გადაყვანაც, ისინი დათანხმდნენ. პოლხლებამ მხოლოდ მესამე დღეს შეასრულა პირობა და გამოგზავნა სატიერთო მანქანა.

ჩვენ მთელი სოფელი გვაცილებდა. მე და ხუანიტო ვაკაცურად, ყოველგვარი ცრემლის გარეშე დავემშვიდობეთ ერთმანეთს და შეეფიცეთ სამარადისო მეგობრობა, თუმცა ცხოვრებამ სამუდამოდ დაგვამორა. ნეტა, სად არის ეხლა? ცოცხალია? ვახსოვარ თუ არა? უფროსები პატარა ბავშვებივით ტიროდნენ. განსორების მსუხარებას ისიც აძლიერებდა, რომ ხალხი როგორღაც გრძობდა, ისინი ერთმანეთს ველარასოდეს შეხვდებოდნენ. მანქანა გასცილდა დასახლების შემოგარენს, გაიარა „ოსობისტის“ მიერ ნინდანი გახსნილი შლაგბაუმი და მტვრის კორიანტილი დააყენა ტრამპალში.

ძველია იმის განსაზღვრა, თუ რას გვიქადდა მცირეწლოვან გადასახლებულებს მომავალი. მაგრამ გაივლის წლები, და ალბათ ვინმე, ვინც ამ ადგილებს ჩაუვლის, მანქანის ან ვაგონის ფანჯრებიდან თვალს შეაღებებს დაცარიელებულ „მიტოვებულ დასახლებასთან განმარტოებით მდგარ კადონსაც, რაც ოდესღაც იმას აღნიშნავდა, რომ ადამიანის ამ დროებითი სადგომიდან გამოსვლა სასტიკად იკრძალებოდა, ალბათ უამბობს რაიმეს ფანჯრის მიღმა გაღლებული წვიმისაგან, ფამთაცვლისა და უმოქმედობისაგან გახუნებული, სამუდამოდ გახსნილი შლაგბაუმი, უამბობს იმას, რომ ოდესღაც მონაწილე იყო ადამიანთა ახლა უკვე შორეული, მაგრამ საშინელი, შემზარავი ტრაგედიისა.

სლავიანკაში გვიან ღამით ჩამოვდით. ცენტრალური კომუნდატურის შენობასთან გადა-

მოგვხვეს მანქანიდან. ბებია, რომელიც ათქმის ორი დღე გველოდებოდა, „ქაქაქაქა“ გვეუბნებოდა და გვეაღერებოდა. მტვრის მანქანა ოფიცერს ჩვენი საბუთები წარუდგინა. აუცილებელი ფორმალბობის შემდეგ ავიღეთ ფუთები, სანოვაგით დატირებული კალათები, რაც ჩვენმა კორეელებმა შეგვიტოვეს სამგზავროდ და ჩაბნელებულ შარავჯას გაუფხვით.

ქობის ნათესავეები სუხარულით შევხვდნენ. დაგვაპურეს, დაგვაზინვეს, შემდეგ კი თავიანთი ისტორია გვიამბეს. ბებიასა და ბიძაჩემს ბეჭმა თურმე ჩვენზე მეტად „გაუღიმა“. ისინი სხვა შემადგენლობით მოჰყავდათ, რომელიც სამხრეთ ყაზახსტანის მიმართულებით მიემგზავრებოდა. დიდი ხნის გადასახლებისა და ტანჯვა-წავლების შემდეგ ისინი სლავიანკაში დაასახლეს. დასაწყისში უჭირდათ კიდევ, მაგრამ თანდათანობით შეეჩვივნენ და ახალი ცხოვრება დაიწყეს. ბებია, რომელიც სამ ენას თავისუფლად ფლობდა, მთარგმნელად მოეწყო კომუნდატურაში, ბიძაჩემს, ვინაიდან ომის დროს სარკინიგზო შემადგენლობებს ატარებდა, ნება დაართეს გარკვეულ ემუშავა, ხალხობა, რომელიც ერთ-ერთი მოდური მკერავი იყო თბილისში, ადგილობრივებს უკერავდა. სლავიანკა არ იყო დიდი. აქ ყოველდღე უნდა აღენიშნულიყო და დღიური უღუფა მიგვეღო. აქაც სატირო იყო ძლიერი, ღონიერი ცელები და გამძლეობა.

ნათესავეებთან რამდენიმე კვირის სტუმრობის შემდეგ, დედამ და დედა ტასიკომ გადაწყვიტეს, პატარა ხუხულა ქობი მაინც აეშენებინათ, ვინაიდან ამდენხანს ნათესავეების შეწუხება ეუხერხულებოდათ. ბებია მინის ნაკვეთის გამოყოფაში დახმარებას დაიბრძა. ურთ დღეს მან დედას გამოართვა გადასახლების დროს განდამალული ოქროს საყურეები, ტასიკო დედას ვერცხლის ძველებური გულსაბნევი — ერთადერთი დარჩენილი სამაისოვრო ნივთი დაღუპული მეუღლისაგან და კომუნდატურაში წავიდა. საღამოს მან გერბიანი დოკუმენტი მოიტანა: ჩვენ ორივე ოჯახს, გვეძლეოდა მინის ნაკვეთი სამას დესტტინას მოკვლამით სახლის ასაშენებლად და პირადი მეურნეობის საწარმოებლად. დღიით ყველანი ახალსახლობისათვის გამოყოფილი ადგილის სანახავად ვავუშურეთ. მინისშომეღმა ყაზახმა ჩვენი კუთვნილი ნაკვეთი ნაბიჯებით გადახომა, სარები ჩაართო, გასამრჯელო მიიღო და წავიდა. დედაჩემმა, რაღაც უცნაურად მიმოიხედა ირგვლივ, განვლილ ზაფხულის გვაღვისაგან დახეთქილ მიწაზე ჩამოჯდა და მწარედ აქვითინდა.

— ტირილის დრო არ არის, მალე აცივდება, — მკაცრად მიმართა ბებიამ, — პატარა

რძალს შიბარჯ, შენ კი დამბის კეთება დაიწყე და რაც შეიძლება სწრაფად ამუშე. ლერწამს მოგიტანენ, თხა კი, მიიხედ-მოიხედ, ყველგან საესეა, შენს ფეხ ქვეშაა. იცოდე, დამბა რაც უფრო მაღალია, მით უფრო საიმედოა, მაშინ სახლს ვერც კოიპაირული წვიმა დააკლბს რამეს (რაც აქ ხშირია), და ვერც გაზაფხულის წყალდიდობა გესმის? თუ რამე გაგიჭირდა, მოდი, დაგეხმარები...

მე და დედაჩემი ყოველ დილაუთუნია ვუზი-დობოდით მიწას ხევიდან. დედა ტასო ტუქუნდა დამბას. ერთ კვირამი მე და დედაჩემმა ორი ათასამდე ვეღერო მინა მოვხადეთ. დაქანცულობისაგან თვალები მიჭრეღვებოდა, კუნთები არანორმალურად მტკიოდა, მაგრამ დედაჩემისა და დედა ტასოს წვალეპას რომ ვუყურებდი, თავს ძალს ვატანდი...

მეშვიდე დღეს დედამ მითხრა:

— მორჩა, შვილო, მეტი აღარ შემიძლია ტასოსაც არაქათი გამოვლია.

დამბა მიწიდან დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლისა გამოვოდა, — ორი პატარა ოთახისათვის სამყოფი ფართობით. ბებიამ დანაპირები შეასრულა, მოიტანეს ლერწამი. შეეკარით ისინი ვერსო ძნელებად, რომლებსაც ერთი ბოლოთი დამბაში ვარტობდით, შემდეგ კი გარდუგარდში დატანებით ვამაგრებდით და გვალაფერ ამას თიხით ვლესავდით. ქოხი ცუდი არ გამოვიდა. საკვირაო ბაზრობაზე დედა ტასომ პატარა ოქროს ჯვარი „ფრზე“ გაცვალა და მალე ჩვენს ახალ საბინალოში სითბომ დაისადგურა.

* * *

დადგა 1953 წლის იანვარი. მამას ჩვენთან ჯერ კიდევ არ უშებდნენ. ხმები მოდიოდა, რომ დასახლება უტას მამაკაცები დიდი საზრუნავი არხის მშენებლობაზე გააგზავნეს. მის მოლოდინში დედა ხშირად ტიროდა ღამ-ღამობით, დღისით კი კომუნდატურაში ამბის გასაგებად მიდიოდა. დაიწყო შიმშილობა. დედის მხრიდან ბებიამ და მისმა დამ ჯერ კიდევ არ იცოდნენ ჩვენი ახალი ადგილსამყოფელი და ამიტომ საქართველოდან ამანათებს ვეღარ ვღებულობდით. დედაჩემმა, დიდი პრაქტიკის მქონე ექიმმა — გომოპატმა ბალახებიდან სამკურნალო ნაყენების დამზადება დაიწყო. მაგრამ ამ საქმიდან შემოსავალი თითქმის არ გვქონდა. ვისაც ბალახეულის ნაყენის სარგებლობა ესმოდა, ღარიბები იყვნენ, ხოლო ვისაც არ ესმოდა მათი მნიშვნელობა, შეძენის სურვილი არ ჰქონდათ.

დედა ტასოკ მეტწილად პატარების მოვლაში ატარებდა დროს, ქსოვდა შეძლებისდაგვარად, მაგრამ მატყლი ძალიან ძვირი ღირდა. სკოლაში სწავლისას გაკვეთილებიდან ხშირად ვიპარებოდი და ბაზრის მოუდანზე და-

ვყალობდი. თუ საქონლურ, ეკონომიკურ ტომრების გადაზიდვის ტრეზორში ვიყავი კარგი, თუ არა და ვშიშნობდით... ასე გაიარა იანვარმა.

მამა თებერვალში გამოუშვეს. ის ღამით მოვიდა, — გამხდარი, წვერმოშეებული, ქანც-გამოლული, მაგრამ ბედნიერი მისი ნაამბობიდან გავიგეთ, რომ იქ ჩვენი მეზობლებიც ასევე ცუდად ცხოვრობდნენ. ოსიპოს გარდაეცვალა უმცროსი ქალიშვილი, რომელიც ძია ლევანის გვერდით დასახლდა, ქათარაძის ცოლი ქლეტით დაავადდა, ციან-ლი გაცივდა და ფილტვების ანთებით ლოგინად ჩავარდა, პოლხუბა სხვა ზონაში გადაიყვანეს. ჩემთვის სასიხარულო იყო ხუნანის წერილი; რომელშიც ჩემი მეგობარი ახალ „ბიჭურ ამბებს“ მწერდა. მან საჩუქრად გამომიგზავნა ჯიბის დანა, რომელიც თვითონ დამაზადა მამასახლისის სამჭედლოში და რომელსაც დღესაც სათნოებით ვინახავ.

მეორე დღით მამა კომუნდატურაში წავიდა, წაიღო თავისი დოკუმენტები და თხოვნა სკოლაში რუსული ენისა და მათემატიკის მასწავლებლად მონაწილის შესახებ. მას აქაც უარი უთხრეს. მაგრამ სამსახური მაინც შესთავაზეს და რომელიღაცა დამზადების კანტორაში მწერლად მოაწვეეს. ამ სამუშაოში მამაჩემი ერთნახევარ ულუფას იღებდა. ნელ-ნელა „ოსობისტებმა“ ნახევარ-ნახევარი ულუფის გაცემა დაიწყეს ჩემს პატარა ძმასა და დედა ტასოს ორ მცირეწლოვან ბავშვზე. ასე თუ ისე, ჩვენი მდგომარეობა ცოტათი მაინც გაუმჯობესდა. მამა განუწყვეტლივ შოიბოვდა ოსობისტებისაგან, სპეციალობით ემუშავებინათ, წერილებს წერდა ზემდგომ ინსტანციებში.

დადგა მარტი. ცოტათი დათბა. ერთხელ გერმანული ენის გაკვეთილზე კარი შემოაღეს და ჩვენს მასწავლებელს გამოუძახეს. გაისმა ჩურჩული:

— მორჩა, ის აღარ არის.

— ღმერთო! — ხელები გააასესავა მასწავლებელმა, დატორტმანდა და ხელით კედელს მიეყრდნო. ასე გაიარა წუთი, მეორე... შემდეგ ის მძიმედ მოუახლოვდა მაგივას, დედაც სკამზე და აქვითინდა. ჩვენ ავფორიადით, რადგან ვიცოდით, რომ მას შინ მძიმე ავადმყოფი მამა ჰყავდა. დავინწყეთ მისი დაწყნარება. მან ცრემლებით დასველებული სახე ასწია და მოგვმართა:

— ბავშვებო, დიდი უბედურება მოხდა, სახლებში წადით, მეცადინეობა არ ჩატარდება.

ჩვენ ჩემად გავედით საკლასო ოთახიდან. ქუჩა უცნაური მოგვეჩვენა. ხალხი საითყენლავ მიიტაროდა, ზოგი ტიროდა, სხვები ცხარედ ბჭობდნენ.

— აბა, რა მოხდა? — ვკითხვთ სკამზე ჩამომჯდარ მოხუცს.

— უბედურებაა შეილებაო, სტალინი გარდაიცვალა!

ჩვენ თითქმის მები დაგვეცა. გავშრიით. ამ ადამიანის სახელი ხან მონიწებით, ხან შიშით, მაგრამ ყოველთვის ჩურჩულით წარმოთქმული უფროსების მიერ, ჩვენთვის — მცირენაწილათათვის, მიუწვედომლობის, რაღაც ზეციურობის გრძნობით იყო შემოსილი. ის ჩვენ ყოველისშემდეგ უკედავ პიროვნებად — პერსონალებად გვესახებოდა, რომელიც მუდამ ხალხის, განსაკუთრებით კი პატარების, ინტერესების სადარჯოზე იდგა. როცა გამოვეჩვიეთ, სახლებისაკენ გაიქცეთ. სახლიში მისვლისას ფეხდაფეხ მამაც და დეიდა ტასიკოც მომყვნენ.

— ეთერ, ჩვენ თავისუფლები ვართ უფრო სწორად, სულ მალე თავისუფლები ვიქნებით, — დაიფერა მამამ და მოგვეუბნა.

— რა მოხდა? — შეკრთა დედა.

— ის გარდაიცვალა, გარდაიცვალა, გაიგე? ჩვენ აუცილებლად გავანათავისუფლებენ! — წამოიყვირა დეიდა ტასიკომ.

— დედას მუხლი მოვეცეა, დაეშვა მინურ იატაკზე და ატირდა.

— ქალო, რა გატირებს? — მივარდა მას დეიდა ტასო, — ნუთუ შენს გაქვებულ გულში კიდევ დარჩა ადგილი სიბრალულისათვის? შერე და ვის მიმართ? მე იოტისოფენადაც არ მებრალება.

— რას ამბობ, ტასო! მან ხომ არ იცოდა, რომ ჩვენ აქ ვიმყოფებით. ეს ყველაფერი მის გარეშე მოხდა, უზურპატორი ბერიაა დამნაშავე.

— ქალო, როგორც ამბობდა პოლხება, — ორი ჩქმა — ნველიაო — თქვა დეიდა ტასომ. — როცა გავვათავისუფლებენ, დარწმუნდები, რომ ცდები. დროა ცხოვრების საღად შეფასება ისწავლო, დროა ჩადრი ჩამოიხსნა და ცხოვრებას საღი თვალით დაუნწო ცქერა.

მე და მამა გარეთ გავედით. გზაში მამამ მითხრა:

— დედაშენი ცდება. ასეთ ყაიდაზეა აღზრდილი. სიცრუიდან ვერას გამორჩები სიცრუის გარდა, ცხოვრებაში მთავარია სიმამაცე, სიმართლე და გარკვეულობა — ტერციუმ ნონ დატუმ — მესამე არ არსებობს და ამაში მალე ბეგრნი დარწმუნდებიან, შეილო.

* * *

1953 წლის 9 მარტის შემდეგ დაიწეს ხმაბალი ლაპარაკი, რომ როგორც კი დაიჭერენ ბერიას, და ამაში უკვე ეჭვი არავის ეპარებოდა, — მაშინვე ყველას გავგათავისუფლებენ...

ხალხმა დაიწყო ერთი მეორეზე გრანდიოზული გეგმების დაწყება. იმის შესახებ, თუ ვინ საით წაიფიქრდა დიდი ხნის წინააღმდეგობრივი განთავისუფლების შემდეგ. სლავებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, აზია დაეტოვებინათ, ოცნებობდნენ რუსეთში ვოლგისპირას დასახლებაზე, ქართელები — საქართველოზე, ბერძნები შავიზღვისპირებში გასამგზავრებლად ეზზადებოდნენ და სხვა. მაგრამ ყველას არ შეეძლო ასე მოქცეულიყო, რადგან ახალგაზრდობის სიტაბუკის ყველაზე მნიშვნელოვანი წლები აქ გაატარა უკვე აზიაში დამკვიდრდა: ქალიშვილების წაწილი დათხოვდნენ ადგილობრივ ბიჭებს, ყმანელები დაოჯახდნენ და მტკიცედ ჩაეჭიდნენ მიწას. სტალინის გარდაცვალების შემდეგ „ოსობისტიმი“ თითქმის აღარ გვანახებდნენ და ჩვენც კომუნდატურაში აღსანიშნად აღარ დავდიოდით.

ჩაიარეს სამაისო დღესასწაულებში. ჩვენი განთავისუფლების შესახებ ჯერ კიდევ არაფერი ისმოდა. დადოდა მხოლოდ ერთიმეორეზე დაუჯერებელი ხმები... ამბობდნენ, რომ იქ, უმალეს დონეზე იხილებოდა გადასახლებულთა მიერ ჯერ კიდევ შარშან გაგზავნილი წერილები და განცხადებები და რომ მთავრობის ერთ-ერთმა ლიდერმა თათბირზე წერილების დიდი დასტიდან შემთხვევით ამოიღო მამაჩემის თხოვნა-განცხადება განთავისუფლების შესახებ, წაუკითხა დამსწრეთ და დასძინა, თუ რაზე ან რისთვის იტანჯებოდა ეს უდანაშაულო ადამიანი. არ ვიცო, ასე იყო, თუ სხვაგვარად, მაგრამ ყველა კი გვილოცავდა, რომ პირველებს საქართველოში აღბათ ჩვენ გაგვმოხვდნენ.

ერთხელ სახლში ასეთ ლაპარაკს შევესწარი. იმაზე უუბნებოდა დედას, რომ სლავიანკაში გამორჩევა ვიღაც იაზა იაშალაშვილი, რომელსაც გვარიანი გასამრჯელოთი გადააყვანეს გადასახლებულთა შვილები სამშობლოში.

— შენ გინდა ჩვენი ბიჭი სახლში საერთო განთავისუფლებაშიდე გააპარო? — ჰკითხა დედას.

— განთავისუფლება შეიძლება გაჭიანურდეს. ხომ ხედავ, როგორც ცხოვრობენ ომამდე გადასახლებულნი? ისინი თითქოსდა თავისუფლები არიან, მაგრამ, ამავე დროს, არ შეუძლიათ რესპუბლიკიდან გასვლა სპეციალური ნებართვის გარეშე, სხვა უფლებებიც არა აქვთ. ბიჭმა მაინც იცხოვროს ადამიანურად.

— რომ დაიჭირონ, მერე?

— არ დაიჭერენ, მათ ახლა ჩვენთვის არა სცალიათ... იაზა, როგორც ჩანს, გამოცდილი კაცია, ეტყობა, პირველად არ ჰკიდებს ასეთ საქმეს ხელს. ფულს კი ვიშოვით. გაყვიდით მიწის ნაკვეთს, ვისესხებთ.

— კი მაგრამ, როგორ იცხოვრებს ის თბი-

ლისში? — შეაწყვიტინა დედამ.

— ნავა ნათესავეთთან, სოფელში, იქ ვინ მიხვდება, ვისი შვილია?

— როგორც გინდა, თავად გადაწყვიტე, მაგრამ იცოდე, ჩემს შვილებზე პირადად აგებ პასუხს.

— დამშვიდდი, ძვირფასო, ის ხომ ჩემი შვილიც არის.

გამომშვიდობებისას მამამ მითხრა:

— ქვეყანა დიდია, შვილო და ბევრი ხიფათი ელოდება მარტოხელა მგზავრს. ყველაზე დიდი ხიფათი მათ შორის — თავისუფლებიან დაკარგვაა. ამიტომაც, რომ ამდენ ძალ-ღონეს ვხმარობთ, რათა შენ თავისუფალი და ბედნიერი იყო. დაიმახსოვრე, ცხოვრებაში მთავარია ხალხის, სიყვითის სიყვარული და ბოროტებისადმი დაუმორჩილებლობა.

ჩვენ გადავეხვიეთ ერთმანეთს. მე შევამჩნიე, რომ მამას თვალებზე ცრემლი მოადგა, მეც ავტირდი.

— იყავი ვაჟაკი და ნუ სტირი გოგოსათვის, — მითხრა მან და ბიძია იაშასკენ მიბძდა.

დილით დავტოვეთ სლაფიანა. ჩვენი მარშრუტი, როგორც ეს იაშალაშვილმა მამას განუშარტა, ასეთი იყო: დასახლებიდან ჯერ ფეხით, მერე ნაცნობი მძღოლის სატვირთო მანქანით ტაშკენტამდე მიგვიყვანდა, იქ აეროპორტში ჩემს მეგზურს თავისი ხალხი აუჯდა, რომლებსაც ჩვენ თვითმფრინავით — მოსკოვში, იქიდან კი თბილისში უნდა გავემგზავრებინეთ.

უზბეკეთის დედაქალაქს მშვიდობით მივალნიეთ. აეროპორტში იაშა ბიძია მცირე ხნით ნათვდა და დაბრუნდა ტყავის ლამაზ სპეცტანსაცმელში გამოწყობილ მფრინავთან ერთად.

— ნახვალ ამასთან ერთად, — მითხრა ჩემმა მეგზურმა, — მე ავიღებ ბილეთებს, ვიყიდი საქმელს საგზაოდ და დაგეგნევი.

ჩვენ გავეშურეთ სატვირთო თვითმფრინავისაკენ, ავედიტ ტრამზე და ლიუკიდან შევძვერით მანქანის შიგნით. მფრინავმა მიმითითა რკინის მისადგმელ სკამზე. ბიძია იაშა არ ჩანდა. მაღე თვითმფრინავი ატვტუნდა, შეტყობდა და მძიმედ გასროილდა მინდორზე. ავფრინდით. თავდაპირველად ვფიქრობდი ჩემს მეგზურზე, სად არის ბიძია იაშა? რატომ ჩამოგვრჩა? მაგრამ თანდათან დამავიწყდა ყოველი. მანქანა ისე ქანაობდა, მეგონა, დაიშხვრეოდა და დავიღუპებოდი... როდესაც საპაერო ხომალდი უპაერობის უფსკრულში ტყვიასავით ვარდებოდა, სული მეხუთებოდა, გული მერეოდა და პირს მასაქმებდა. რამდენიმე საათის შემდეგ ძალ-ღონე გამოლეული ჩამოვეყრდი მოზანზარე, რკინის იატაკზე და მობუზული, სიცვიისაგან აკანკა-

ლებული ავტირდი, სამველად, ცუტმუკედ, ხან მამას, ხან ჩემს საყვარელ დედას და ბოლოს მანქანა რომელიღაც აეროდრომზე დაეშვა და გაჩერდა. კაბინიდან ორი მფრინავი გამოვიდა.

— ბიჭო არსად არ გახვიდე, ჩვენ ეხლავე დავბრუნდებით, — თქვა მალაღმა.

— სერგეი, ნახე რა ცუდად არის, — თქვა მეორემ, — მოიტანე ლაბადა, თორემ ვერ ჩაკვივანთ მოსკოვამდე.

ბრუნებტი გავეხვიე და ცოტა შევეთბი, მაგრამ პირღებინება არ შემჩრერებია. ასე თუ ისე, დედაქალაქამდე ჩამოველნიე.

— აბა, გადმოდი, ჩამოვედი, — მითხრა მალაღმა — უკვე მოსკოვში ვართ, შენ აქ დაგხვდებიან?

— არა. ბიძია იაშას უნდა ნავეყვანი.

მათ გადახედეს ერთმანეთს. მალაღმა თქვა: — ის სასწრაფო საქმის გამო დარჩა ტაშკენტში და ჩვენ გათხოვა ჩამოგვეყვანე. აბა კარგად იყავი, და არ გაბედო სადმე თქვა ჩვენზე რაიმე, თორემ გაქცევისათვის დაგიჭყენ, ხომ იცი?

მე თავი დავუქნიე. მან ხელი წაიღო გამოსასვლელისაკენ და ჩარახა ჩემს უკან ლიუკი. მე მიხვდი, რომ ჩემი თანამემამულე — მეგზური აფერისტი გამოდგა, ნაკვეთის გაყიდვით აღებული და შეზობლებისაგან ნასესხები ფული მიითვისა. მფრინავებს გროშები მიუგდო და მიიშალა. შემდგომში გაირკვა, რომ ის ნაძირალა დაბრუნებულია სლაფიანაში, უამბნია, ჩემს შშობლებისათვის, როგორ მოხერხებულად ჩამიყვანა თბილისში და მორიგი მსხვერპლის ძებნა დაუნყია...

როგორ მოვტყუელიყავი, რა მელონა? ბილეთის აღება თბილისამდე მე არ შემეძლო, რადგან შშობლებმა საგზაოდ მომცეს მხოლოდ რამდენიმე სამ მანეთიანი და ორი ხუთმანეთიანი — ბოლო, რაც გააჩნდათ. აეროპორტის ტუალეტში დავიმალე და დავიწყე მოსკოვში მცხოვრები ჩვენი ნაცნობების მისამართების გახსენება. დედაქალაქს საქმოდ კარგად ვიცნობდი, განსაკუთრებით მის ცენტრალურ ნაწილს, ვინაიდან თბილისში გადასვლამდე ჩვენ იქ ორი წელი ვცხოვრობდით და მამას შესამჩნევი თანამდებობა ეკავა. რამდენიმე მისამართი გავიხსენე, ჩავეყვი ქალაქისაკენ მიმავალ ავტობუსში, ორი-სამი გადაჯდომის შემდეგ პურის აღმართზე გადამოვედი და სამსართულიანი მეზონინიანი სახლისაკენ გავემართე. აქ ცხოვრობდა დედაჩემის აბლო მეგობარი, მარტოხელა მსახიობი ქალი ვ. კოლჩინსკაია. კომუნალური ბინის კარები დედა ვარიას მეზობელმა — მუდამ გაჯავრებულმა, უშრო სახის ქალმა გააღო.

— რა გინდა? — ვერ მიცნო მან.

— დეიდა ვარია სახლშია? — ეკითხე მე.

— ვარია ერთი წელია, რაც გარდაიცვალა. მოიცა, მოიცა! შენ ხომ მისი მეგობრის ვაჟიშვილი ხარ: საიდან გამოშვებხარ?

შემეშინდა, რომ გამოკითხვას დამინწყებდა და კიბეზე ჩავირბინე. გზაში სიმწრით ვისხუნებდი მამაშვილის სიტყვებს იმის შესახებ, თუ რაოდენ არასამართლიანია ეს ქვეყანა, ვინაიდან აი, უკვე მერამდენედ ჩემი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე კარგი ადამიანები უფრო ხშირად იხოვებიან, ვანა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მე და დედა მოვდიოდით ზოლზე აქ? კეთილი, გულისხმიერი ადამიანები აღარ არიან, სახლი კი ისევ ისე დგას, ისეთივე უჩვეულო, ღამაზი და ძველი, როგორც ხანდაზმული მზეთუნახავი ქალი უკანასკნელ მეფლისზე.

ორი გადაჯდომის შემდეგ სტოლენიკოვის შესახვევთან ჩამოვედი. აქ ცხოვრობდა სერგეევების ოჯახი. ზარზე გამოვიდა დიასახლისი — მამაჩემის ყოფილი ხელქვეითი და სახლში შემიძღვა. მე ვუამბე მას წინდაწინ შეთხზული ისტორია იმის შესახებ, რომ მე და დედა მატარებლით შინსკენ უნდა გაემგზავრებულიყავით, მაგრამ ქუჩის აურზაურში დავკარგეთ ერთმანეთი და ვთხოვე ფული ბილეთისათვის.

— მოიცა, მე გავიგე, რომ მამაშენი დაიჭირეს, ეს მართალია? — მკითხა მან.

— არა. — მოვიტყუე მე და გავნითლდი.

— მოიცა, ახლავე მოვიტან ფულს, — მითხრა მან, გავიდა მეორე ოთახში და კარები მიხურა.

ოთახიდან სატელეფონო საუბრის ნანყვეტები მოისმოდა. ვიგრძენი საქმე კარგად არ იყო, ფეხაკრეფით გამოვედი ბინიდან და გავქუსლდე. რჩებოდა ერთადერთი ადამიანი — მამაჩემის ფრონტელი მეგობარი, მაგრამ მისი ზუსტი მისამართი მე არ მახსოვდა, მახსოვდა მხოლოდ რაიონი. კარდაკარ სიარულით საღამოს მაინც მივაგენი ბიძია ოლეგის სახლს. ის სიხარულით შემხვდა, დამაპურა, მომათავსა დივანზე, დამანყნარა და მითხრა, რომ მან ყველა ჩვენი უბედურება იცის და მომხდარი ამბავი აღმაშფოთებელ სისაძაგლედ

მიაჩნია. დაწყნარებულმა ვუამბე ჩემი თავგადასავლის შესახებ და ვთხოვე მინდობა.

— რას მეხევენები, შვილებ! წაშენებოდა დაგეხმარები, — მითხრა მან — მე და მამაშენი მხარდამხარ ვიბრძოდით, თითქმის მთელი ომი ერთად გაეატარეთ.

დილით აეროპორტში გავემგზავრეთ, ავიღეთ ბილეთი. ბიძია ოლეგმა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ხელიდან ხელში გადაამტკბორტგამცილებელს, შრენამ ნორმალურად ჩაიარა. საღამოს კი უკვე ავტობუსში ვიჯექი და ბებიასთან მივემგზავრებოდი.

ორი თვის განმავლობაში სახლიდან გარეთ არ მიშვებდნენ, მშალავენენ, ეშინოდათ, რომ ეინმეს არ დაეებებლებინე. საღამოობით ბებიას ვერკოს მოჰქონდა საქმელი, მიყვებოდა ქალაქის ამბებს. ერთხელ ის გახარებულად მოვიდა და განაცხადა, რომ გამოვიდა დადგენილება გადასახლებულების განთავისუფლების შესახებ და რომ ყველა ისინი აღდგენილნი არიან თავიანთ უფლებებში, პარტიაში, ზოლო ჩამორთმეული ქონება ან დაუბრუნდებათ, ან მიიღებენ მის კომპენსაციას. სასიხარულო იყო ისიც, რომ მე უკვე შემეძლო ქალაქის ქუჩებში უშიშრად სიარული, ნორმალური ცხოვრება. ზამთრის ბოლოს დაიწყო ყოფილი გასახლებულების დაბრუნება. ბებია შეაგროვა ფული ჩემების გამოსამგზავრებლად და გაუგზავნა მათ, მისში ჩვენ უკვე ვეხვეოდით ერთმანეთს.

ყოველივე ზემოთ ნაშობი — ხალხის ტრაგიკული წარსულის წაწილია. მეხსიერება მას ზოგჯერ არაზუსტად ასახავს. დროთა განმავლობაში თანდათანობით, გვერდდება, პატარავდება ფართასელის მძიმე ტვირთის ქვეშ. და ისიც, რის გამოხმობასაც შეეცადა გარდასული ათწლეულების კვამლიდან, ხვალ კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდება, ვიდრე ჩემთან და ჩემს თანატოლებთან ერთად დროის უსასრულო მდინარებაში სამუდამოდ არ გაქრება. ამიტომ მივიჩნიე საეალდეულოდ ჩემს თანატოლებთან ერთად განცდილი და გაღატანილი ახლანდელი და მომდევნო ახალგაზრდა თაობებისთვის გამწვანარებინა.

ს. მიხაილიძე-ლორთქიფანიძე

ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი აფრიკის კონტინენტზე

ნიგერიელ პოეტს, დრამატურგს, პროზაიკოსსა და ლიტერატურისმცოდნეს ვოლფ შოინკას შეეცაო აკადემიამ 1958 წელს ნობელის პრემია მიანიჭა ლიტერატურის დარგში. იგი აფრიკის კონტინენტის პირველი წარმომადგენელია, რომელმაც ესოდენი პატივი დაიმსახურა. „ჩვენ ვანიჭებთ პრემიას მწერალს, რომლის შემოქმედებამ თავისი ფესვებით აფრიკულ ეროვნულ ტრადიციებს უკავშირდება“, — აღნიშნა შეეცაოს აკადემიის მუდმივმა მდივანმა სტერე აღენმა.

როდესაც შოინკამ, შეიტყო მისთვის ნობელის პრემიის მინიჭების შესახებ, განაცხადა: „ეს მთელი აფრიკის კონტინენტის პრემიაა, მე არასოდეს, არცერთ წუთს არ მიფიქვია, რომ როდესმე ასეთი პრემიის ღირსი ვავბედიოდი. არცერთმა აფრიკელმა მწერალმა, და საერთოდ არცერთმა მწერალმა არასოდეს არ უნდა იფიქროს შესაძლო ჯილდოებსა და პრემიებზე. ეს ზედს გიშლის იყო პატიოსანი. მე პირადად არ მჭერა მეტოქეობისა ზედოვნების დარგში“.

ვ. შოინკამ უპასუხა კითხვას, თუ რატომ დასჭირდა ამდენი დრო აფრიკის კონტინენტის წარმომადგენლებისათვის ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მინიჭებას და დაიხილეთ დასძინა: „ეს პრემია ჩვენ არ გვეყოფნის. ჩვენ ჩვენთვის საკუთარი პრემია უნდა დავაწესოთ. ეს წელი დაეცაოდეთ და შემდეგ მივანიჭოთ იგი ევროპელს“.

ვ. შოინკა უწყაადურია თავისი შემოქმედების მრავალფეროვნებით: მას არ სურს შემოაფარგლოს რომელიმე სტილის ან ენის ჩარჩოებით. იგი წერს ლექსებს, პოემებს, პიესებს, რომანებს, ესეებს. მის წარწარმოებებს ახასიათებს მეთაფიზიკური რიტორიკა („მთელი ლიტერატურა და აფრიკა“). ფარსის მანერა

(„ბერი იერონიმის ცოდუნება“) და ლარაული მისტიციზმი („იღარე“). ვოლფ შოინკა ბშირად სხვადასხვა სტილს აერთიანებს ერთსა და იმავე ნაწარმოებში, რეალისტურად დახატული გზირი უცებ სიმბოლური ხდება. „სტილისტური რეპერტუარის მრავალფეროვნება მას თანამედროვეობის უდიდესი მწერლების გვერდით აუენებს“ — წერს ნიგერიელი კრიტიკოსი ჯ. ბუტა.

შოინკაზე ქუევიან ლეგენდებს და, ამავე დროს, ცილს ზწამებენ, მასი შემოქმედებით აღტაცებაში მოდიან და თან „უნაყოფო“ მწერლად მიიჩნევენ, რომელიც იქ უფს ცხვირს, სადაც მისი საქმე არ არის“ (ჯ. ა. ფლინა). ენეიელი ლიტერატორის ნჯუგა ვა ტბიონგოს აზრით, „შოინკა არავითარ როლს არ თამაშობს მასების ბრძოლაში“. საზოგადოებრიობა მწერლის მონაწილეობას პოლიტიკურ აქტებში სხვადასხვააზრად აფასებდა, მაგრამ ერთი რამ კი ნათელია: შოინკას პიროვნება მკაფიოდ ვლინდება მის ნაწარმოებებში და თავის მოვალეობად მას ზალბის „სამსახური“ მიაჩნია, არცერთ ნიგერიელ მწერალს არ შეუქმნია ნაწარმოებები ასეთი დიდი რაოდენობით. ისინი ორიგინალური აზროვნებითა და აფრიკაში სოციალურ გაქაქებულთა აუცილებლობის მკაფიო დასაბუთებით გამოირჩევა. ამ ნაწარმოებებმა განამტკიცა შოინკას წამყვანი მდგომარეობა აფრიკულ ლიტერატურაში. მწერლის შემოქმედება იმდენად მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია, რომ უკველ ნაწარმში ლიტერატურათმცოდნეობას დარგში თანამედროვე აფრიკის ლიტერატურის შესახებ ერთი სიტყვად თავი მიიწე ეძღვნება შოინკას. „იგი უკვე კლასიკოსია, იგი უკვე მონუმენტია აფრიკულ მწერალთა პანთეონში“, — წერს ამერიკელი ლიტერატურისმცოდნე ბ. ლინდფორსი.

თავის შემოქმედებაში, შოიინკა ნიღბს ზღის „სამყაროს, რომელიც სიყვდილის ძალების ზეღშია. ეს ძალებია — უსამართლობა, ჩავერა, ექსპლუატაცია და უკვლისშემძლეობის წყურვალი“. ეს ტრადიციები იერდნობა დასავლეთ ნიგერიაში მუხოვრები იორუბის ზღის ფოღლორს. იორუბის ტომი ტრამიკული აფრიკის ერთ-ერთი უველაზე მდიდარი კულტურის შემოქმედია. იორუბის მითოლოგიამ, რელიგიურმა რწმენამ, ფოლოკორმა, ეთიკამ და მატრიალურმა კულტურამ დიდი ზეგავლენა მოახდინა მეზობელ ზღებზე. ეს გავლენა საგრძნობია თანამედროვე ნიგერიის საზღვრებს მიღმა.

იორუბის ისტორია საიდუმლოებით არის მოხილი. მას არ ვაჩნია ადგილობრივი ისტორიული პრონიები ან რაიმე წერილობითი წყაროები. ბევრი რამ, რაც ამჟამად ცნობილია, ლეგენდებსა და თქმულებებსა დაფუძნებული. მმართველთა კარზე უძველესი დროიდან იუვენ თავისებური ისტორიკოსები ე. წ. „არიკონები“, უძველესი ზეირი თქმულებების მცოდენი — მათ იკოდენ ლეგენდები იორუბის წარმოშობის, პირველი მუფეებისა და მათ სახელებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

ოღუფოლე აქინვარზე შოიინკა, — ნიგერიის ლიტერატურის უველაზე თავისაზირო ფიგურა, — თავისი ზღის კულტურის მემკვიდრეა და ნოვატორად ვვეღონება. იგი დაიბადა 1984 წელს სკოლის დირექტორის ოჯახში ქალაქ აბოკუტაში (დას. ნიგერია), რომელმაც დღემდე შემოინახა იორუბის ტომის ტრადიციული ცენტრის სახე. 1952 წელს შოიინკა სასწავლებლად საბელგანთქმული ნიგერიის სამთავროების კოლეჯში (ამჟამად აბადაინის უნივერსიტეტი) შევიდა. 1954 წლიდან შოიინკა სწავლობს ინგლისში, ლიდის უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე. აქ მას იტაცებს დრამატურგია. იგი ბევრს კითხულობს, განსაკუთრებით სპეციალურ ლიტერატურას, ეცნობა უახლოეს მიმართულებებს დრამატურგიაში, აქტიორულ და რეჟისორულ ზელოვებაში. 50-იანი წლების დამლევს იწყებს მოღვაწეობას ლონდონის თეატრში, — „როიალ კორტი“, — როგორც მხაბიობი, ამავე დროს წერს ლექსებსა და პიესებს.

1980 წელს შოიინკა ბრუნდება ნიგერიაში და არსებს იბადაინის უნივერსიტეტთან არსებულ თეატრალურ დასს „ნიღბები“; ამ დასში მონაწილეობდენ ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი. რომლებმაც დიდი ენთუზიაზმი და ერთგულება გამოიჩინეს თავიანთი თეატრის შექმნის იდეისადმი.

„ნიღბების“ პირველი სპექტაკლი იყო შოიინკას პიესა „ტუის ცეკვა“, მწკრფი შემოქმედებული უველაზე საინტერესო ნაწარმებში. ქრისტიანული კრიტიკოსების დაზნუდობა, ზოლო მყურებელთა აღტაცება და მოწონება დაიშაბურა. პიესაში შოიინკამ შემოიტანა მითოლოგიის ელემენტები. მოქმედ პირებად გამოიყვანა ლმერთები, სულელები, მიცვალებულთა სულელები; მავრამ გმირი წინაპრები, როგორც ირავება, არახრით სკობდენ ახლანდელ თაობას. ეს პიესა ასახავდა იმ სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციას, რომელიც ნიგერიაში დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ზრძოლის პერიოდში შეიქმნა. თავის ნაწარმოებში შოიინკამ სცადა პოლიტიკური და სოციალური რეაქციების ასახვა გამოვანილი მოქმედი პირებით. „ტუის ცეკვა“ არ არის ადვალდე საუბარი; შოიინკას, რომ გავუგოთ, იორუბის მითოლოგიის პანთეონის, აგრეთვე ზღის წარმოდგენებისა და ფოლოკორის დრმა ცოდნაა საჭირო...

„ტუის ცეკვის“ დადგამა შოიინკას მოუპოვებ ცნობილი დრამატურგის, რეჟისორისა და მხაბიობის (იგი ასრულებდა ერთ-ერთ როლს სპექტაკლში) სახელი მთელს აფრიკაში. ჭის დიდება იზრდებოდა უკველი ახალი ნაწარმოების გამოქვეყნებისთანავე. უკველი ახალი დადგმის შემდეგ შოიინკა ექსპერიმენტებს ატარებდა, იგი სპექტაკლებს დგამდა სხვადასხვა ენებზე. მათ შორის, იორუბის ტომის ენაზეც, ცდილობდა ინგლისურ ენაზე გადმოეცა იორუბის ტომის კულტურის სიმდიდრე. მან იორუბიდან ინგლისურად თარგმნა დ. ო. ფაბუნკას ნაწარმოები „ათასი სულის ტყე“. ეს ნაწარმოები ვეპებებს იტორიში ზოსიზისა და ბუთაველ-უფროსის ფერწერას, სადაც მთიი და ზღაპარი საზეიმოდ, დღესასწაულის მსგავსად იტრებიან ადამიანური ყოფის სინაშდეღიღეში.

80-იანი წლების შუა ხანებში მდგომარეობა ნიგერიაში სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. ქვეყანას არუედა სახელმწიფო გადატრიალენი. უველაფერი ეს არ შეიძლებოდა კულტურის გამოჩენილი მოღვაწის შემოქმედებაში არსახულოყო. საფრთხის ზოლოდინითა და მძიმე წინათგმწობებით არის აღვისილი შოიინკას ამ პერიოდის ნაწარმოებები. პიესა „გვა“ (1965) და რომანი „ინტერპრეტატორები“ (1965). შოიინკა ამ ნაწარმოებებში ვვეღინება სოციალურ მანკერებათა კრიტიკოსად და აღნიშნავს საზოგადოების გარდაქმნის აუცილებლობას: „რევილუციური მოქმედება არის ნების უმაღლესი გამოვლინება, ადამიანის ინსტიტუტის დამკვიდრება, როგორც მიწის, გარდაქმნათა, საკუთარი ბედის არჩევის იარაღისა“.

მოამლოებელი ქარიშხლის სუნთქვა იგრძნო-

ბა „ინტერპრეტატორების“ უცვლელ სიტყვაში (სსრკ-ში რომანი 1970 წელს გამოიცა). მანში შოიინკა ეტება საზოგადოებისა და პაროცების ურთიერთობის საკითხს. იგი აღწერს ინტელიგენციის ბედს ნიგერის საზოგადოებაში. გვიართა მისწრაფებებში, საკუთარ ხალხს ემსახურონ, გამოხატულება პპოვა მწერლის შეხედულებებში საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის შესახებ. მისი ნაწარმოები აქტივაციებს უპირინციპობას, ცინიზმსა და ძალმომროებას.

„ინტერპრეტატორები“ — ეს ახალი, აქტიური ინტელიგენციაა. საკუთარი ერის წარსულზე დაურდნობით, შოიინკა ინტერესით შეხუტრებს მომავალს, ხოლო აწმყოს აღქმა ტივილს ზადებს მასში. უველაფერი ეს გმირებისათვის ერთ მთლიანობად გადაიქცევა და ფაქტობრივად, ცხოვრების, ახალგაზრდების ბედის უკეთესი მერძისისათვის გარდაქმნის პირობად წვედინება.

1960 წელს სისხლისმღვრელი სამხედრო გადატრიალების შედეგად დამპყრო ნიგერის პირველი საშოქალაქო ბელისუფლება. შეთქმულებმა, რომელთა ზურგს უკან დასაუღეთის ნავთობის მონოპოლიები ადგა, ნიგერის აღმოსავლეთი ნაწილი ბიუფრის რესპუბლიკად გამოაცხადეს და აღნიშნეს, რომ იგი გამოდიოდა ნიგერის შესადგენლობიდან. გაჩაღდა საშოქალაქო ომი (1967-1970); „იგი მიიღე გამოცდა თუ მთელი ნიგერიელი ხალხისათვის. ვ. შოიინკა ამ მოვლენებისაგან განზე ვერ დაჩრბოდა. მწერლის შეშუთიება სამართლიანი თუ ნიგერის კაპიტალიზმი მთელი ფრინტით აწარმოებდა შეტევას, ცდილობდა დაემორჩილებინა სახელმწიფო მანქანა, ბელში ჩაეგდო საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების უველა სერო; მწერალი მოვლენების ცენტრში აღმოჩნდა. მისი პოზიცია ფედერალური ბელისუფლების უკმაურობებებს იწვიდა და მადე ვ. შოიინკამ ციხეში ამოჭყო თავი, სადაც შექმნა პუბლიცისტური ნაწარმოები — „ადამიანი მოკედა“. ვ. შოიინკა ვარკვევით აღნიშნავდა, რომ ომი ცრუ საფუძველებზე წარმოებს და ვერ გადაწვეტს ძირითად სახელმწიფო საკითხებს. ტანჯვა, რომელიც მან ციხეში განიცადა, სისხლისღვრისადაი ზილი გამოხატა პოეტურ კრებულში — „ადამიანი აკლამაში“.

1989 წლიდან, განთავისუფლების შემდეგ შოიინკა ეწევა პედაგოგიურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას. იგი დგამს პიესას „შეშლილები და სპეციალისტები“, რომლის წერა ჭერ კიდევ ციხეში დაიწყო. ამ პიესაში იგი ცდილობს გაიაროს საშოქალაქო ომის მნიშვნელობა, მისი ზეგავლენა ნიგერის საზოგადოებრივ აზრზე ომის შემდგომ პერიოდში.

ნიგერის ლიტერატურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა ვახდის ნიგერის რომანი „უკანონობის დრო“ (1978). უკიდურესად დამახული პრობლემები, რომლებსაც ავტორი ეტება, შორს სცილდება არა მარტო ნიგერის, არამედ მთლიანად აფრიკის ფარგლებსაც კი.

„უკანონობის დრო“ ნიღბის ახდა მთლიანად კაპიტალიზმისათვის. რომანში შოიინკა ავტიწერს კორუფციაში ჩაბრული პოლიტიკოსებისა და საქმისნების მიერ შექმნილი ტერორის რეჟიმი, ხალხის საწინელ ექსპლუატაცია და გახრწნა. „რომანი ასახავს შოიინკას უფრო მომწიფებულ პოზიციას პოლიტიკურ პრობლემებისადმი, მხატვრის კრიტიკულ დამოკიდულებას საზოგადოების მიმართ, გუთავაზობს პრაქტიკულ მოქმედებას. ეს პოლიტიკური რომანი ეს მებრძოლი წიგნია, რომელიც იარაღისაქენ მოვინოდებს“. წერს ნიგერიელი კრიტიკოსი ჭ. ბუდა თავის წიგნში „მწერლები და პოლიტიკა ნიგერიაში“.

ვ. შოიინკას პოლიტიკური ინტერესები არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი საშოქალაქო, პოემში „ოგუნი ამიზინაში“ (1976) იგი კვლავ უბრუნდება პოლიტიკურ თემას. პოემის თემა სამხრეთ აფრიკის განთავისუფლება, რაც მთელი „შავი“ ერის განთავისუფლების სიმბოლოა, აქ პპოვა გამოხატულება შოიინკას პოეტური კონცეფციის მთავარმა სახემ — ლებრთმა ოგუნმა ობრების პანთეონიდან. შოიინკა ოგუნის სახეს იყენებს არა მარტო როგორც შემოქმედის სიმბოლოს, არამედ როგორც განადგურების სიმბოლოსაც.

მისი, როგორც მხატვრის სიმწიფის ახალ ეტაპად იქცა პიესა „სიკვდილი და შეუის მეტინება“ (1976) და ავტობიოგრაფიული მოთხრობა „აქ, ბავშვობის წლებში“ (1981), სადაც კიდევ ერთხელ გამოიხატა ვ. შოიინკას პოეტური სული და დავირქებული თვლი, ხალხის უოცისა და საშუაროზე ხალხის წარმოდგენების ღრმა ცოდნა.

ვ. შოიინკა ბევრს მოგზაურობს ევროპაში და ამერიკაში, სადაც დგამს სპექტაკლებს, გამოსცემს წიგნებს, ეწევა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1978 წლიდან იგი კათოლიკობს შედარებითი ლიტერატურისმკვლევების კურსს იღებს უნივერსიტეტში, შემდეგ ბდება დრამატურგიის კათედრის გამგე.

1985 წელს მას ირჩვეენ იუნესკოსთან არსებული საერთაშორისო თეატრის პრეზიდენტად, გასული წლის სპექტმებრში კი — ხელოვნებისა და ლიტერატურის ამერიკული აკადემიის წევრად.

1986 წლის გაზაფხულზე ვ. შოიინკა ეწევა ჭყენს ქვეყანას. იგი მოიწევა სრულიად რუსე-



თის თეატრალურმა საზოგადოებამ. მისი ნაწარ-
მოებები გამოქვეყნებულია ჰაავალ კრებულ-
ში, აღმანახსა და ეურნალში, გამოცემულია
ცალკე წიგნბადაც. 1987 წელს გამოშვებულია
„რაფუგამ“ გამოსცა მწერლის რჩეული ნაწარ-
მოების დიდტანიანი ტომი, რამაც საშუალება
მისცა საბჭოთა მკითხველს უკეთ გასცნობოდა
ნობელის პრემიის ლაურეატის შემოქმედებას.
ნობელის პრემიის მიღების შემდეგ შოინკამ
დააწესა უოველწლიური აფრიკული პრემია
ლიტერატურის დარგში: პრემიას ეწოდა ნიგე-
რელი პოეტის ქრისტოფერ ოკიგოს სახელი,
რომელიც 1967-70 წწ. საშოკალაქო ომის დროს
დაიღუპა. იგი ცნობილია, როგორც აფრიკის
ერთ-ერთი უველაზე ლირიული პოეტი, რომე-

ლიც უმეტროდა კოლონიური ბატონობისაგან
კონტინენტის განთავისუფლებას. მისი ნაწარ-
მოა მიენიჭება რომელიმე პრეტენდენტს აფრიკის
მწერალთა სპეციალურ შეხვედრაზე 1987
წელს.

მწერალს სწირად ეკითხებიან, თუ როგორია
მისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და
მისი პასუში მუდამ უცვლელია: ვ. შოინკას
მწერალი მიაჩნია საზოგადოებრივ ფიგურად,
რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს თა-
ვისი ქვეყნის ცხოვრებაში, აქტიურად იბრძვის
მშვიდობისათვის; მწერალმა „თავისი წიგნებით,
თავისი ტალანტით უნდა დაამტკიცოს მშვიდო-
ბისათვის ბრძოლის აუცილებლობა“.



დედ ქორქუთის ეპოსი ქართულ ენაზე

შუა საუკუნეების თურქულენოვანი ლიტერატურის ერთ-ერთი უმშვენიერესი ძეგლია დედე ქორქუთის წიგნი, რომელიც შექმნილია ოღუზ ტომთა ენაზე. ესაა ექვლეუსი ფოლკლორული კმნილება, რომელმაც ჩვენამდე წერილობითი სახით მოაღწია. ეს ეპოსი, როგორც ანოტაციაში აღნიშნული, „გამსაკეთრებით საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისათვის იმ თვალსაზრისითაც, რომ თხზულებაში არაერთხელ დომინირებს საქართველოს გეოგრაფიული თუ ისტორიული არეალი, ხოლო შეცხრე თავის სიუჟეტი ემთხვევა ქართული „ამირანის“ თქმულებას. ანოტაციაში ისიცაა აღნიშნული, რომ „თხზულებას მნიშვნელობა ბევრად სცილდება მის მშატერულ ღირებულებას და მთელი რიგ საზოგადოებრივ მუცნიერებათა დისკალინებისათვის იძლევა შეუდარებლად უბე წყაროს შუა აზიის თუ აზერბაიჯან-თურქეთის პატრიარქალურ-გეაროენული წყობის ისლამამდელი თუ მისი შემდგომი პერიოდის კვლევისათვის“.

მთარგმნელებს მიერ შესავალს სახით დართულ ეპოქურად კომპეტენტურ და ლამაზარული სტილით დაწერილ წინასიტყვაობაში დედე ქორქუთის წიგნი, ანუ „წიგნი პაპაჩემი ქორქუთისა“ ყოველმხრივად დაბასათებელი. მკითხველებს გვაეცნობთ ძირითად მომენტებს:

ეპოსის წარმოქმნის თაობაზე ნათქვამია, რომ ის „შექმნილი უნდა იყოს ჩვენი მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის წინაპრების მიერ... ეს ეპოსი ძალზე პოპულარული იყო თურქულენოვან ხალხებში და თითქმის, ყველა მთავანი აცხადებს არცთუ უსაფრთხო პოეტურობას ამ ძეგლისადმი. ამიტომაც ყველა ამ ხალხს ეპოსის შექმნის სამშობლოდ თავის მხარე მიაჩნია“ (11). ჩვენ აქ შევიძლება ტიპოლოგიურ პარალელად მივიჩნიოთ წართების ეპოსი, რომლის მიმართ ჩრდილოეთ ვაკეშია ხალხები ცალ-ცალკე პოეტურობას აცხადებენ. მთარგმნელები სწორად მიუთითებენ, რომ დედე ქორქუთის ეპოსი „იქმნებოდა და ვრცელდებოდა ზეპირპირტყე-

ვიერი გზით, ზღებოდა ძეგლის სხვადასხვა ვარიანტული დამუშავება და მისი სხვადასხვა მიმართულებით გაერყელება... ეპოსის ცალკეულ თავი სხვადასხვა დროსა და გეოგრაფიულ გარემოში შეიქმნა... ემთა სელაში ეპოსმა განიცადა როგორც სტრუქტურული, ასევე თემატიკური ცვლილებანი... ენაც განიცდიდა გარკვეულ ევოლუციას... საფიქრებელია, რომ ეპოსის ზეპირი ვარიანტი ჩამოყალიბდა XI-XIV საუკუნეებში, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ხოლო საბოლოოდ წერილობითი სახე უნდა მიეღო XV საუკუნის დასაწყისში“ (გვ. 11).

კონ იყო დედე ქორქუთი? ამ ლეგენდარულ ოხანს (მომღერალს) ეპოსის თქმულებათა გავრთიანება-შექმნა მიეწერება. გარდა ამისა, ის ყველა „ლეგენდაში“ გვევლინება როგორც უმუალო მონაწილე აღწერილი ამბებისა, ყველას ჭეუის დამრიგებელი, ღზინისა თუ ჭირის მონაწილე, ნათელმზიდველი. მოტანილია ცნობილი მეცნიერის ვ. მ. ყირაშენსკის აზრი, რომ „ქორქუთი არის კრებითი სახე, რომელიც ხალხური გადმოცემებით იკვებება და წარმოადგენს შუა აზიის მომთაბარე ხალხების პატრიარქალური ხანის მნიშვნელოვანი მოვლენის ტიპურ სოციალურ განზოგადებას“ (გვ. 13). დედე ქორქუთი ხალხური სიბრძნისა და ზნეობის განმსახიერებელი ბრძენი მოხეტიაეპოსში თავმოყრილი ყველა ხალხური სიბრძნე და ანდაზაც მას მიეწერება. გარდა ამისა, დედე ქორქუთი არის მომღერალი, მგოსანი, რომელიც თხზავს და აღიდებს ოღუზი ფალენების საგმირო საქმეებსა და ბრძოლებს. ის კოფუზით (საქრავით) დადის და ოღუზ დიდებულისა მეფლიებს ამშვენებს. როგორც ავღღობი ბარდები, ტრუბადურები, მინეზინგერები, კობზარები, სკომოროხები, მესტიერები და სხვა, ოხანები იყენენ ოღუზელთა სახალხო პოეტრომომღერლები, რომლებიც თავიანთ პოეტურ კმნილებებს, საზოგადოების წინაშე სიმღერით ასრულებდნენ. როგორც შუა აზიის ბაშები და სხვა მომღერლები, ოხანიც წმინდანად ითვლებოდა, რადგან მისი პოეტური ნიჭი და აღმაფრენა გაგებელი იყო, როგორც შემოქმედღმერთთან საიდუმლო კავშირის შედეგი. ამიტომ ის შამანის ფუნქციებსაც ასრულებდა.

* დედე ქორქუთის წიგნი, ოღუზურიდან თარგმნეს, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთეს ელიზბარ ქავლიძემ და გიორგი შაუულაშვილმა, „საქმთა საქართველო“, თბილისი, 1987 წელი.

თუ როგორ უწყობდა მისი გვირგვინი „გიათრებს“, როგორ იპყრობენ ქალაქებსა და ციხეებს, როგორ ახერხებენ ეკლესიებს და მათ ნაცვლად აგებენ შენობებს (17).

მიუხედავად აღნიშნული ისტორიული რეალობისა, ეს ძველი შეყვთვება გვირგვინ ეპოსს, უფრო სწორად, „ის შედას მახლობელ აღმოსავლეთში ფართოდ გაერცხლებულ და ამჟღავნებულ ე. წ. დასტანურ ციკლში“ (18). დასტანები, რომელთა თემატიკა გვირგვინსა-თავგადასავლო ამბებზე იყო დაფუძნებული, პარობითად ორ ტიპადაა გაყოფილი: 1. ძირითადი სიუჟეტი ლექსითაა გადმოცემული; 2. უფრო გვიანდელი დასტანები ლექსანაირი პროზითაა შეთხზული. „აღდე ქორქეთი“ მეორე ტიპს წარმოადგენს (ასეთივე ფორმითაა გადმოცემული ქოროლის დასტანიც).

შესავალ წერილში ძალზე დამაჩრებლადაა ნახვებები, რომ „მხატვრობის თვალსაზრისით ყველა კარი თუ თავი ერთი სიძლიერით არ არის შექმნილი, მეტიც, ამ თვალსაზრისით ცალკეულ თავებშიც შეიძლება სუსტი და ძლიერი კონტრასტების თუ ადგილების მონაცვლეობა. მაგრამ ასეთი რამ ახასიათებს თითქმის ყველა ფოლკლორულ ძეგლს... მაგრამ ნაწარმოებებს კითხვისას საოცარი სიმძაფრით აღიქმება ის პოეტური სული, რომელიც ხილული თუ უხილავი ძაფებით აშლიანებს მას და ერთ შეკრულ მხატვრულ ორგანიზმად წარმოუდგენს მკითხველს... როგორც ყველა შესაბამისების „კლასიკური“ თუ ფოლკლორული ძეგლი, „აღდე ქორქეთიც“ იგივეობის ტიპის ესთეტიკის საფუძველზეა ამოზრდილი და მტკიცედ დასაზღვრული კანონიერი მეთოდებითა და წესებით არის შექმნილი“ (გვ. 19). ამ მჯელობას მოსდევს ფაქტების კონფინირებადი მოხმობით იმის მტკიცება, რომ ნაწარმოებში ამახტული შორტეები ინვარიანტული ხასიათისაა, ძეგლის მხატვრული სისტემაი ძირითადად პარადიგმულ სიდიდეებს ეყრდნობა და გამოხატვის თვალსაზრისითაც უმთავრესად მუდმივი, გაქვეყნებული ხატებით და საბეებით საზრდოობს. დახასიათებელია თხრობის დასაწყისის, დასასრულისა და ბრძოლის აღწერის სტრუქტურითივე. აგრეთვე შორტეათ განმეორება (შვილის დაბადება და საბელის დაქქევა, დედის მიერ შვილის დატრება, ბუნების აღწერა, დაჭრილის განკურნება და ხიზრის გამოცხადება, საბლის დარბევა და სახლულის ტყვედ წაყვანა; შერკონებები და ბრძოლის აღწერა და სხვ.). შეუვალაა მტკიცება იმის შესახებ, რომ „აღდე ქორქეთის“ მხატვრული სტრუქტურის ხერხემალს ქმნის „ინვარიანტული სიდიდეების მუდმივი და რეგულარული გამეორება, რაც შუა საუკუნეების მკითხველის გამეორებას და იმ დროს გაბატონებულ ესთეტიკურ კანონს ესადაგება“ (20).

აღნიშნული ეპოსის ენა გამაყვეთრებულ ეურადლებას იმახტრებს, იგი ზუსტყველ და გამკვირვალე, ბუნებრივად მკვლევარ და გვეცმს ათას საოცარ სურათს. „ამ სურათების ფერწყრული სტილიც მარტივი, კოველგვარ ხელოვნურ სამყარებს მიკლებულია“. ამაზე ხანგამა იმისთვისაც საჭირო, რომ უფრო „მოგვიანებით თურქულ ესთეტიკურ სამყაროში მთლიანად გაბატონდა ლეარქონი, ამაღლებული, არაბიზმებითა და სპარსიზმებით გაღებრიებული ენა“ (21).

საანალიზო ეპოსში გარკვეული ადგილი ეჭირავს სატირულ-იუმორისტულ ელემენტებსაც, არც თუ იშვიათად საოცარი უშეალობით იხატება კომიკური სიტუაციები, რომლებიც დღესაც მოთხვეულია გულწრფელ სიცილის იწყებს. წინაპრეფიკაციის ავტორები ფიქრობენ, რომ ეს ქანსალი სიცილი, ხალხური უშეალობით და გულბრყვილობით რომ საზრდოობს, გენეტიკურად უკავშირდება მახლობელ აღმოსავლეთში საყოველთაოდ ცნობილ ზოგჯ ნარკუდნის ნატეხ იუმორს (გვ. 22). ეს მოსაზრება ძალზე საინტერესოა და განახიარებელი.

შესავალი წერილის ბოლოს პროფესიონალურ დონეზეა განხილული პროზაული და პოეტური სტრუქტურათა რაობა აღნიშნულ ეპოსში. მკვლევარების აზრით, თხზწყარდს, რომელიც „თურქული ხალხური ლექსის საფუძველს წარმოადგენს“, „აღდე ქორქეთის“ ლექსი არ იცნობს. „აღდე ქორქეთის“ ლექსები თხზწვბოდა მაშინ, როდესაც ისინი იყო იწყებოდა პოეტური და პროზაული სტრუქტურების გამოიქვანა და დაპირისპირება, რაცა ზღვობდა ამ ორი კონტრასტების — პროზაულია და პოეტურის — განსხვავების გაცნობიერებას“ (23-24). ამას მოსდევს ეპოსის დონეზე ჩართული ლექსების სტეტიკური ნიშნების დახასიათება: ოზანი ამბის გადმოცემისას სხვა ტონით არტლებდა და ამღერებდა მას; „პოეტური“ კონტრასტის დაწყებას წინ უძლოდა სტეტიკური გამოთქმა; შეიძნეოდა გარკვეულ მონაკვეთში მარცვალთა რაოდენობის ტალობა; ზღვობდა სარითმი ერთეულების მარტივება; სემანტიკურად დაშორლებული სიდიდეების ბოლოს სიტყვების ან სიტყვათა ჩგუფის გამეორება, რაც სარითმი ერთეულის ფუნქციას ასრულებდა; მარტივებულია ფონეტიკური დონეც — ძალზე ხშირად ეხედებით ბგერათა გამეორებას; შეიძნევა მკვეთრი რიტმული ნახაზი, გამოკვეთილი პუნქტებით და მოწყნარებულბოლობა; პოეტურ ნაწილში მხატვრულ საბუთა გამოყენების გარკვეული სისტემა მოქმედებს (გვ. 24-26).

ეპოსის სხვა ენაზე მთარგმნელთა მიერ არაერთგვარ აღნიშნულია, რომ „აღდე ქორქეთის“ ლექსი ძალზე წააგავს თანამედროვე თავისუფალ ლექსს, ეს ბუნებრივიც არის, რადგან თანამედროვე თავისუფალი ლექსის სტრუქ-



ტერა მკჷმადღერად ეხლოვდება პროზაულს, ის შეგნებულად გურბის „პოეტური სამყარ-ლებს“ და უბრალოების ესთეტიკურ მკოვეს იღვას. „ჩვენი ღრმა რწმენით, — დასაკვირან წინასიტყვაობის ავტორებმა — დედუ ქორქეთის“ ლექსი, და არა მარტო ლექსი, მთლიანად ამო-ზრდილია სწორედ ამ უბრალოებისა და სიმარ-ტეის ესთეტიკურ პრინციპებზე. ამიტომაც არის დღეს ასეთი ახლობელი თანამედროვე მკითხველისათვის“ (გვ. 26).

როგორც ითქვა, ეპოსის მეტყბე თავი „ამო-რანინის“ თქმულებას ემთხვევა. ეს ანოტიაცი-აშიც მოითხოვებლია. მე რამდენიმეჯერ წაეკითხე ეს თავი და არსებითი ხასიათის დამთხვე-ვები ვერ აღმოვიჩინე, მართალია, სათაურში ნათქვამია — „ბეგელის ძის ამირანის ამბავი“, მაგრამ ტექსტში ეს ბეგელის ძე ორჯერვე „ემბრუნად“ (გვ. 144, 150) არის დასახლებუ-ლი. მართალია მას მაღალი ღმერთის ბრძანებით გაბრიელი (ანგელოზი) ორმოცი ვაეკაცის ღონეს აძლევს, მაგრამ ამით ამირანთან შიანც არ ჩანს რაიმე არსებითი სიტუეტური შვავისება. აქ მხოლოდ ამირანის სახელია გამოყენებული. ქა-რთულ „ამირანთანთან“, ჩემის აზრით, აქ რა-იმე სიტუეტური პარალელი საეჭუო უნდა იყოს. მაგრამ ამ თავში ძალემად იგრანობა საქართ-ველის სიახლოვე. საქართველო ბიანდერ ზანის მოხარე ყოფილა. „ცხრა დემენად დაყოფილი საქართველოდან ხარჭი მოვიდა“, ანდა, „ცხრა დემენად დაყოფილ საქართველოს საზღვარს მიადწია“ (გვ. 142) და სხვა.

ძალეუ საინტერესოდ მეჩვენა „დუმა კოქას ძის დელი ღმერთლის ამბავი“ (გვ. 104). აქ ასეთი რამაა მოთხრობილი: ოღუშში დუმა კო-ქას ერთი ვაგი ჰყავდა — დელი დემურელი, რომელიც ღმერთის მიერ გამოგზავნილ სიყ-დილის ანგელოზს წითელფრთხიან აზრაილს შეებრძოლა, მაგრამ მარცხდება. ღმურელი დემურის შეევედრა, თუ სულს წაღება გინდა თვით შენ წაიღე, აზრაილს ნუ დაანებებო. ღმერთს მოეწონა დემურლის ნათქვამი და აზ-რაილს უბრძანა, დემურელმა თავისი სულის სანაცლოდ სხვა იმოგოს, მაგას ზელი არ ახ-ლოო (გვ. 107). აქედან იწყება დემურლის მიერ სანაცლოდ ძიება ეპიზოდის. ქვრ მამას-თან მივღეს: „თუთრწვერა, ძვირფასო მამაჩემო... მამავ, დამითმე შენი სული, თუ არადა, შენი დემურელი დაიტრე, მამავ“. მამამ უპასუხა: „შვილო, შვილო, ვაო, შვილო, ჩემი სულის ნაწილო, შვილო... სულს ვერ გავიმეტებ ასე იცოდე ჩემზე ძვირფასო, ჩემზე საყვარელი დე-დაშენია. შვილო, დედაშენთან წადი. დედას ეტყევი: „მამას სული ვხოვე, უარო მითხრო, შენთან მოვედი, დედავ, აქნებ შენ დამითმო, დედავ“. დედამ ეთხრა: „ავ აღვიღებ მიდენი-ლხარ, შვილო, ძვერანა ტბილია, სული ძვი-რფასო, სულს ვერ გავიმეტებ, ეს იცოდე, შვი-

ლო“, ბოლის ცოლთან მივდივარ და ასე არის უბრძოლავ, თუ როგორ მოეგონება“ (გვ. 107) და ოჯახს: „ევიზედაც თვალს შეგეგონე, ემეც შე-ლით შეიგვარებ იმას გაქვევი, ამ ორ ვაგს კ ნუ დამიბოლებ“ (გვ. 109). ცოლი პასუხობს: „იმ შენ ზუხანათ დედ-მამას რა სული ჰქონ-დათ, რომ ვერ გაიმეტეს? ზევა მოწმედ ჰყავ-დეს, მეტყბე ცა მოწმედ ჰყავდეს, ღმერთი მა-ღალი მოწმედ ჰყავდეს, თუ ჩემი სული შენად არ მქონდება“. დემურელმა ცოლის სული ვერ გაიმეტა და ღმერთს შესთხოვა: „თუ წაღება გსურს, წაიღე ორივეს სული, თუ გსურს და-ტოვო, დაგვიტოვე ორივეს სული“.

ღმერთმა ორივე ცოცხალი დატოვა. ქართული ხალხური დრამატული პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუში ასეთ გაბაძებანს ვხვდებით:

— დედავ, დედავ დედ-შვილობას,
სიყვდილ მითხოვეს, მენაცვალე!
— მე შენ არას გენაცვლები,
მამა გყავს და ინაცვალე!
— მამავ, მამავ მამ-შვილობას,
სიყვდილი მითხოვეს მენაცვალე!
— მე შენ არას გენაცვლები,
დაი გყავს და ინაცვალე...

და — მასთან, ძმა — ცოლთან, ცოლი — საყვარელთან მიასწავლის, საყვარელი ეუბნება: „გენაცვლები შენსა მზესა, გზა საით არს, გა-მასწავლე“. ამ დრამატულ ნოქსა („მენაცვა-ლი“) ვრცლად განიხილავს ლეკაა მამასაძე (იხ. ქართული ფოლკლორი, ტ. XII, თბ. 1982, გვ. 90-105) და უძებნის პარალელებს როგორც ერთვულ ისე საერთაშორისო ფოლკლორში. „კავასთური ხალხური პოეზიიდან“ (მთარგმნე-ლი გ. კალანდაძე, 1959, გვ. 35). ასეთი ეპიკურ-ჩი ხასიათის ლექსია თარგმნილი „ბატონი ას-ლანი“. მამავ და გამედელ ასლანს გაბიოვლ მთავარანგელოზთან უხვდება ზრბოლა. გაბიო-ლი ამარცხებს და სულს წართმევას უპიოვას. ასლანი მამასთან მიდის და სანაცლოდ სულს სთხოვეს, მაგრამ მამა კატეგორიულ უარს ეუბ-ნება, დედა კი ასე პასუხობს: „ამაშია წლითა ვარ, ქმარი მყავს, სიცოცხლე ვეო არ მომწყე-ნია, შვილო, შენს საფიჯარდ ჩემს სულს ვერ დავთხოვ“. ასლანს ცოლის ამედე დარჩა, ცი-ლი ეტყვის: „ეგ რადი ვიციოდი, თუ შენის სანაც-ვლოდ ჩემს სულს დასაყრდებამ მზადა ვარ, ჩემი სული დღესვე შევთავაზო. გაყვირებული უფალი ასლანის დედ-მამის სულს წაიფყავს და ისლანსა და მის ცოლს ცოცხლად დატოვებს“.

როგორც უხედავთ „დედა ქორქეთის“ სიტუ-ეტური სტრუქტურა ზუსტად ემთხვევა კვკა-სიურ სიტუეტს. პლატონი „ნაღონი“ პოკეთ-ხრობს ასეთ ეპიზოდს: „აღვსიტრად, ჰელდაის ასულმა... მხოლოდ მან ირჩია სიყვდილი შეიუ-



ლის გულისათვის, თუმცა ამ უკანასკნელს დედ-მამა ცოცხალი ჰყავდა. მრავალ ვარიანტებს შორის, ქართულ „მენაცუალის“ დღეიდან გვერდში უნდა ამოუდგას „დედე ქორქეთის“ ვარიანტიც. თუ სესხებაზე მიდგება საქმე, საფიქრებელია, რომ ის ქართულ სამყაროში უნდა შემოსულყო კავკასიის მხრიდან, მაგრამ უფრო სავარაუდებელია ტაპლოგიური მსგავსების არსებობა. ყოველ შემთხვევაში აღნიშნული ფაქტის დადასტურება „დედე ქორქეთის წიგნი“ უაღრესად მნიშვნელოვანია. სხვა მოტივთა პარალელებიც შეიძლება წარმოგვედგინა, მაგრამ ამას სჭა დროისათვის მოვიტოვებთ და ამჟამად აღვნიშნავთ, რომ საბუკურ-ხიო კლასიკური ეპოსი თარგმნილია ქართულ ხალხურ მეტყველებასთან მისადაგებულ ძალზე ხატოვანი ლაპიდარული სტილით, არსად იგრძნობა ზედმეტი სიტყვა, მაგრამ აღმოსავლური დასტანებისათვის დამახასიათებელი მეტაფო-

რები ძალზე გულუხვად და ზედაში საცემად ვხიანენ. დატყვევებული მხარეების მიხედვით მას დედა ასე ლოცვით

ჩვენ წინ გაწოლო. შენი შავი მთები
დაქცეულ იყო, კვლავ აღმართა ბოლოს;
ჩამომდინარე შენი ლამაზი მდინარეები
დამშრალი იყო, კვლავ აშხრიალა ბოლოს;
შენი მძლე ზეები, შტოები და ტოტები
გამხმარი იყო, კვლავ გადამწვანდნენ
ბოლოს;

უნდა დაეკენათ, რომ დედე ქორქეთის წიგნის ქართულად თარგმნით ძალზე კარგი საქმე გაეთქვა. ამ მრავალმხრივ სინტერესო ეპოსის გმირთა საოცრად მიზიდულ თავგადასავალს ქართული მკითხველი დიდი გულისყურით გაეცნობა.

აპოლონ ტანაძე.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მაცნეების მნიშვნელოვანი შენახვა

სერიული ხასიათის დარგობრივ კრებულებს შორის, რომლებშიც რეგულარულად იბეჭდება საარქივო, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალები, სამეცნიერო გამოკვლევები და პუბლიკაციები, აღსანიშნავია „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“. მისი პირველი ნაკვეთი გამოქვეყნდა 1938 წელს, რომელშიც შევიდა აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა სასულეო ტექსტები ევრაზიის ბარდველით შესავალი წერილის თანხლებით. 1940 წელს გამოცემული მეორე ტომი დაეთმო XIX საუკუნის ცნობილი ეთნოგრაფის, ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ხიზანაშვილის (ერზნელი) პირველხანისთვის ეთნოგრაფიული ნაწერების პუბლიკაციას. იმავე წელს გამოქვეყნდა მესამე ტომიც, რომელშიც მოთავსებულია მედიანთა ბალიაურის, ნიკო მაკალათას და ალექსი ოჩიაიშვილის მიერ ზევსურეთში მოპოვებული მასალები მიცვალებულის დაკრძალვისა და გლოვის წესების შესახებ, აგრეთვე გამოჩენილი ეთნოგრაფის თედო საბოკიას ნაშრომი — „მიცვალებულის კულტი საქართველოში“. მეოთხე ნაკვეთში (1950 წ.) დაიბეჭდა სარა ბედუქაძის

„საკბორებელი ნაგებობანი ქართული ხალხური პოეზიის ნაბეჭდი მასალების მიხედვით“. ოთხი ნაკვეთის გამოცემის შემდეგ ფაქტიურად შეწყდა მასალების პუბლიკაცია, თუმცა ეს ოთხი ტომიც არა მარტო მასალებს, არამედ ეთნოგრაფიულ ნარკვევებსაც, მოიცავს (ნ. ხიზანაშვილი, თ. საბოკია, ს. ბედუქაძე). ამის გამო, კრებულის საბუნდობლად და მინაარსს შორის თავიდანვე შეუსაბამობა შეიქმნა, რაც კიდევ უფრო შეაფიქრებელი გამოჩნდა მომდევნო ტომებში. თუ წინა ოთხ ნაკვეთში მასალა და კვლევა შერეული სახითაა წარმოდგენილი, ყველა შემდგომი ტომი მხოლოდ სამეცნიერო შრომების კრებელია. მათ შორის, შერეულ ტომში თავმოყრილია უდროოდ გარდაცლილი ეთნოგრაფის ლევა ბოჭორიშვილის (1914-1952 წწ.) სიცოცხლეში გამოქვეყნებული შრომები. აღსანიშნავი გამოქვეყნებული 23-ე ტომი სერიული გამოცემისა — „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, მიუხედავად მისი ტრადიციული და თანაც აშკარად შეუსაბამო საბუნდობლად, 32 სტატიის, 2 კატეგორიისა და 2 ინფორმაციის მომცველ სამეცნიერო კრებულს წარმოადგენს. განხილული საკითხები დაგვიჩვენებდა ეთნოგრაფიის ძირითადი პრობლემებისადმი ეთნოგრაფების პრინციპით, რის შესაბამისადაც კრებულში გამოყოფილია ხუთი განყოფილება: I. სამეურნეო ყოფა, II. სო-

1. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIII, გამოცემულია „მეცნიერება“, თბილისი, 1957.



ცალღერი ურთიერთობანი, III. სულიერი კულტურა, IV. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, V. ქრონიკა და ინფორმაცია.

კრებულში მონაწილეობენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლები, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, რომელთა შრომებში განხილულია ქართული ხალხის ყოფისა და ისტორიის კონკრეტული საკითხები. კვლევის წყაროდ გამოყენებულია ავტორთა მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები, წერილობითი წყაროები და სპეციალური ლიტერატურა. აღწერილობასთან ერთად მიღებულია შესაბამისი დასკვნები და რიგ შემთხვევაში მოცემულია განხილავების ცდები. როგორც მასალის სიახლის, ისე კვლევის შედეგების მიხედვით კრებული ასარჩევლო შენაწინა ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის. პოლიგრაფიული გაფორმების მხრივაც ის მოწონებას იმსახურებს, თუმცა 1500 ცალი მეტისმეტად მცირეა მკითხველის მოთხოვნილებასთან შეფარდებით.

სამეურნეო ყოფის პრობლემას მივძღვნა ზეითი წერილი, რომლებშიც შესწავლილია საქართველოში მიწათმოქმედების წარმოშობის საკითხი (ნ. ბრეგაძე), ნიადაგების კლასიფიკაცია და დაცვის ტრადიცია საქართველოში (ლ. ბერიანაშვილი), ვახის ზოგი ჭიმის გავრცელების შესახებ იმერეთში (ლ. გაბუნია), ზის ქურჭლის-დამზადების წესები საქართველოში (მ. ხაზარაძე), ქართული ხალხური ჰიგიენის ისტორიიდან (ქ. სიხარულიძე).

ისტორიულ-ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ლინგვისტური და ბოტანიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნელი ბრეგაძის სტატიაში დასაბუთებულია, რომ საქართველოს მიწა-წყალზე ყველა წინაპრობა იყო კულტურული. ზორბლისა და შწამოებლური მებურთაობის (შესახვევისა და აგრარული ყოფის) ადგილობრივ ჩასახვა-აღმოცენებისა და შემდგომი სრულყოფისათვის, რომ საქართველო არის სამიწათმოქმედო კულტურის წარმოშობა-განვითარების ერთ-ერთი დამოუკიდებელი კერა (გვ. 8). ავტორმა განვითარა ადრე გამოთქმული შეხედულება, რაც მისი მრავალწლიანი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა. ასევე ბანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგებიდან სათანადო დასკვნებია მიღებული ლიანა ბერიანაშვილის ნაშრომში, რაც ძირითადად საქართველოს ერთი კუთხის — ქიზიყის ეთნოგრაფიული შესწავლის სურათს გვაქნობს. ნიადაგ-საცავი და ღვარსაწინააღმდეგო ხალხურ საშუალებათა შესახებ გამოშუქრებულ მასალას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეთნოგრაფიული კვლევისათვის, არამედ თანამედროვე სამეურნეო პრაქტიკისათვის, ხალხური ცოდნის დანე-

რგვისათვის, რომლის დაიწყებამაც „ეკოლოგიური“ ზონის მიაყენა ზოგიერთი კუთხის კვლევებში. სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი მნიშვნელობით საყურადღებოა ავტორთა წიგნი ვახუნას, მდონა ხაზარაძისა და ქეთევან სიხარულიძის სტატიები, რომელთა მეშვეობით ევენობით მევენახეობის ზოგიერთ თავისებურებას, ვახის ჭიმებას და იმერეთში მათი გავრცელების ფარგლებს, ზის ქურჭლის დამზადების ხელოვნებას ქართველ მთიელთა ყოფაში და საპნის წარმოების ხალხურ წესებს.

ქართული სამართლის ძეგლების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებში შენაწინა მიმართულებით უძრავდებებს იმსახურებს ვახტანგ ითონაშვილის გამოკვლევა — „ერთხელ კიდევ „ძეგლის დადების“ შედეგის მიზეზისა და მიზეზების ტერიტორიის შესახებ“. ამ ნაშრომის შექმნის საჭიროება განაპირობა ქართველ მთიელთა ყოფაში მოქმედი სოციალური ინსტიტუტებისა და ისტორიული პრაქტიკების, გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნის შესაბამისი პუნქტებისა და მუხლების უმართებულო ინტერპრეტაციის კრიტიკული გადასინჯვისა და მრავალ გაუგებრობათა — ახსნა-განმარტების აღკვეთილობამ.

მთიულეთსა და გუდამაყარში მოძიებულ ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით ბადრი გმელიძემ შეისწავლა შრომითი ურთიერთობის მარტების ტრადიცია მკაში, ხოლო ხენებულ კუთხეებში სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები აღწერა მიაი მოწერელიამ. ამ საკითხთან ახლო კავშირში გაიხარება სუფრის გაწყობის წესი შიდა ქართლის მონახლეობაში, რაც განხილულია გიორგი გოციროძის სტატიაში — „სახლ-დახლო სუფრა“. ერთი საკითხის შესწავლას საფუძველად დაედო საქართველოს სხვადასხვა რაიონებშია და ეთნიკურ გარემოში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები ქორწინების წესებისა და საქორწინო ურთიერთობის შესახებ, ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია თინა იველაშვილის სტატია — „ხალხური სანახაობითი წარმოადგენის ელემენტები საქორწინო რიტუალში“ და ზონა ჭიმებაშვილის წერილი — „პატარძლის წყალთან ზიარება ქართველ ებრაელთა საქორწინო რიტუალში“.

სოციალურ ურთიერთობათა შესწავლისათვის საყურადღებოა კახეთის ეთნოგრაფიული მონაცემები მევენახეთა შრომის ორგანიზაციის შესახებ, რაც გამოშუქრებულია ლია ტყონიას წერილში — „ხეარი და შეხვრის საქმიანობა გარე კახეთში“.

საქართველოს ცალკეული კუთხეების მასალებთან ერთად ქართველი ეთნოგრაფები სწავლობენ ქალაქების მონახლეობის ყოფას. პირველ რიგში აღსანიშნავია ნახელი აბქაძის მრავალრაცხივანი ნაშრომები, რომელთა სერ-



ან გახვეულებს ამ კრებულში მოთავსებულ წერილს — „ქარგლის ინსტიტუტის საკითხისათვის“. სხვა შეხედულებებისაგან განსხვავებით მასში გარკვეულია, რომ „საქართველოს ქალაქების ამჟამელი ორგანიზაციის სტრუქტურა წარმოდგენილი იყო არა მხოლოდ ისტატიით და შევირდით, არამედ ისტატიით, ქარგლით და შევირდით“ (გვ. 128).

ქართველი ხალხის საოჯახო და საზოგადოებრივი უფლის შესწავლა ითვალისწინებს ზოგად-თეორიული ასპექტების წარმოჩენასაც. ამ მხრივ საინტერესოა იოსებ გოგინაშვილის წყარო — „ელასთეფატორული ტერმინების წარმოქმნისა და რაობის საკითხისათვის“, რომელშიც ნათესაობის აღმნიშვნელი ქართული ტერმინები არსებულ თეორიებთან კავშირშია განხილული.

სარეცენზიო კრებულში დიდი ადგილი დაეთმო რელიგიის ისტორიის, მუსიკალური ეთნოგრაფიისა და ხალხური მედიცინის საკითხებს, რომლებიც გამოქვეყნებულია საქართველოს მისია და ზარის კუთხეებში თვით ავტორთა მიერ შეკრებილ მასალებზე დაყრდნობით. სტატიებში უმთავრესად კონკრეტული მოვლენებია განხილული და მოცემულია მეცნიერული განზოგადების ცდებიც.

მასალების განზოგადების ცდა განსაკუთრებით რელიგიურად გამოჩნდა ირაკლი სერგულის ვრცელ გამოკვლევაში — „სივრცობრივი ასპექტები ქართველთა რელიგიური და მითისური წარმოდგენებში“. ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და წერილობითი წყაროების ანალიზის, აგრეთვე საეტიკური გამოკვლევების გათვალისწინების საფუძველზე ნაშრომში გამოთქმულია მისაზრება, რომ „სივრცობით ასპექტები ვლინდება ელტერის სხვადასხვა სფეროში, მაგრამ მათი მოქმედება განსაკუთრებით აქტორია მითში“, რელიგიასა და სოციალურ ურთიერთობებში, რადგან მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ნიშნებით იყო შესაძლებელი სოციალურ ჩვეუთა ტერიტორიული, ეთნო-ელტერული და სოციალური ავტონომიის გამოხატვა“ (გვ. 159).

ქართველი სამკითხა ეთნოგრაფები კვლავ ინტენსიურად სწავლობენ აღმოსავლეთ საქართველოს მათელთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს, რასაც დიდი გიტაცებით იკვლევდნენ უფროსი თაობის წარმომადგენლებიც და უფრო ადრე XIX საუკუნის მოღვაწეიც. კრებულში დაბეჭდილი ერთ-ერთი სტატია — „აღმოსავლეთ საქართველოს მითიკების წარმართული საელტო მეტალების შესწავლის საკითხი ვ. ბარდველიძის ნაშრომებში“ (ავტო სოხაძე), სწორედ არსებული შეწყვიდრების ნაწილის ისტორიოგრაფიულ შეფასებას წარმოადგენს. ამასთან ერთად, გამოშუქებულია ცალკეული საკითხების კვლევის შედეგები, ანდრო ლეკია-

შვილი ცდილობს დაამტკიცოს, რომ „ქართული საველეთ საქართველოს მითიკის ერთ-ერთი უმთავრესი ლეითების — კრებულში მოცემული ზოგანი სახელები და ეპითეტები წარმოიქმნა ქრტიანულ წინადაგზე და იესო ქრისტეს აღგობობრივ ეპითეტებად და შეტახებულად გვევლენება“. ავტორის ვარაუდით, „ამ თეონამების წარმოშობის ზანა დაახლოებით XV-XVI საუკუნეებით განისაზღვრება“ (გვ. 173). აშკარა ვარაუდები კერ-კერობით შეუსაბამობაშია ქართველ მთიელთა რწმენა-წარმოდგენების შესახებ შეცნორებაში არსებულ შეხედულებებთან და, როგორც ჩანს, ავტორიც სამუშაო მიპოუბას გვათავაზობს. მიპოუბთას კი დებულების საზე მხოლოდ იმას შემდეგ შეიძლება მიეცეს, როდესაც ის დასაბუთებული იქნება მთის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიულ პროცესთან კავშირში.

ტრადიციული ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების გაგრძელებას ვხედავთ ნუნე ზინდაძის სტატიაში — „ქადაგობის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მითიკებში“. ავტორი უყრდნობს თინათინ ოჩიაურის, ვიოზგი შარაშიძის და სხვათა გამოკვლევებს, გვაცნობს საკუთარ მისილას და ავლენს როგორც რელიგიის აღრეული საფეხურების, ისე ქრისტიანობისათვის დამახასიათებელ რწმენა-წარმოდგენებს.

მითოლოგიურთან ერთად სოციალური მოვლენების გათვალისწინების საფუძველზე შარინე კანდელაკი განიხილავს არაგვის ერისთავების ზრბოლის პროცესს ფშავის მისახლობის დამორჩილების მიზნით და მასთან დაკავშირებულ მითოლოგიურ გადმოცემებს. ავტორის სამართლიანი შეხედულებით, ქრისტიანული რელიგია ფშავში ზედაპირულად იყო გავრცელებული და სულიერ ცხოვრებაში წინაქრისტიანული რწმენის შესაბამისი რიტუალები ფუნქციონერებდნენ. ამ შეხედულებასთან შეუსაბამობაშია ქრისტესთან კვირიას აღდგენილფიკაციის აზრი.

სხვადასხვა ეპოქაში მიყვლულ მასალებთან და მის საფუძველზე უფრო გამოკვეთებულ შრომებთან ერთად, რომლებიც მოცალეობლის გლობისა და დაყობალის წევებს გვაცნობენ, საუბრადღებოა დალი გიორგაძისა და გენრიეტა კოპალეიშვილის წერილები, რომელთაგან პირველს შეუსწავლია წარმოდგენები მიცალეებულზე აღმოსავლეთ საქართველოს მითიკებში, ხოლო მეორეს — „სამზუჯო“ და „სულეთი“ ფშაველ-ხევსურთა წარმოდგენების მიხედვით.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესწავლის მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული ნანული აბიურის ნაშრომში — „კოტორი, როგორც რიტუალური პერი თქმეთში“. ავტორი გვაცნობს არა მარტო მისი დამ-



ზადების წესს, არამედ საღებო თუ სამკლო-
ვიარო ვითარებაში გამოყენების რიტუალსაც.

საქართველოს არაერთი კუთხის ეთნოგრაფი-
ული მონაცემები გამოიყენა ქეთევან მირიანა-
შვილმა სათევზაო ბადეების რელიგიური მნიშ-
ვნელობის საჩვენებლად.

აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით
შუბლდღელი მოცულობითაა წარმოდგენილი
ნარკვევები დმასვლეთ საქართველოს შესახებ
სხვათა შორის, ასეთი ტენდენცია დამახასია-
თებელია ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის გა-
ნვითარებისათვის. დასავლეთ საქართველოს
ეთნოგრაფიულ შესწავლას შედარებით ნაკლები
უვრადღებია ექცეოდა. ამ თვალსაზრისით
აღსანიშნავია ნათელა კაპანაძის ნაშრომი —
„მშობიარობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეუ-
ლებანი სამეგრელოში“, რომელიც ნაწილია
მისი ეთნოგრაფიული გამოკვლევისა — „აღზ-
რდის ხალხური სისტემა დასავლეთ საქართვე-
ლოში“, ამავე რეგიონში კოსმოლოგიური სიმ-
ბოლოები შეისწავლა ნინო აბაყელიამ, რომე-
ლმაც გამოაქვს საკრალური ხისა და ფრინ-
ველის კოსმოლოგიური მნიშვნელობა. დასავ-
ლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ შესწავლა-
ში გარკვეული წვლილი შეიტანა კობე კახიან-
მა როგორც ადრე გამოქვეყნებული მონოგრა-
ფითა და ცალკეული გამოკვლევებით, ისე ამ
კრებულში მოთავსებული წერილით, რომელშიც
იმერეთის მასალების მეშვეობით გამოვლენილია
საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებული რწმე-
ნა-წარმოდგენები.

ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული მეც-
ნიერების განვითარების პროცესში გაფართოვ-
და ყველა-ძიება მესიკალური ეთნოგრაფიის
სფეროში. მას საფუძველი დაუდეს ივანე ჯა-
ვახიშვილმა და დიმიტრი არაყიშვილმა, მუშა-
ობა განაგრძოთარენ შალვა ასლანიშვილმა, გრი-
გორ ჩხიკვაძემ, თამარ მამალაძემ, ხოლო დღეს

ამ საქმეს ემსახურება ივ. ჯავახიშვილის საქე-
ლობის ისტორიის, არქეოლოგიის, ენოგრაფიის
ინსტიტუტის ექვსი თანამშრომელი.
მათ შორის კრებულში მონაწილეობენ მანანა
შილაყაძე, ქეთევან ჭითანავა და ქეთევან ნაყ-
შიძე.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით შედგა
ბურღულმა გამოაქვს ხალხური მკერძალობის
წესები და ცნობები სეან აქიმთა შესახებ, გვი-
ჩვენა, რომ საქართველოში დასტაქრობით ცნო-
ბილ არაერთ გვართან ერთად სეანეთში სახე-
ლი მოხვედრიათ გვიქიანებს, ხერგინებს და
მარგველანებს.

კრებულში მოთავსებული რეცენზიები და
კრიტიკა სასარგებლო ცნობებს გვაწოდოს ზო-
გაერთი წიგნისა და მოღვაწის შესახებ. ნანუ-
ლი აბესაძემ მიმოხილა ბულგარული მეცნიე-
რის ვასილ მარინოვის ნაშრომი — „სარაჯაობა
ბულგარეთში“ (სოფია, 1982 წ.), ხოლო ლე-
ვან ფრუძემ შეაფასა გარდაცვლილი ეთნოგ-
რაფის იოსებ ნანობაშვილის წიგნი — „ტყავის
დამუშავების ხალხური წესები საქართველოში“
(თბილისი, 1973 წ.). კრიტიკა და ინფორმა-
ციის განყოფილებაში შეტანილია გიორგი ჩი-
ტიას და ჭელიძე რუხაძის ორი წერილი,
რომელთაგან ერთში წარმოჩენილია პროფ. შა-
ლვა ინალიყას ღვაწლი დაბადებიდან 70-ე
წლისთავთან დაკავშირებით, ხოლო მეორეში
ნაჩვენებია 1984 წელს გარდაცვლილი მელანია
ბალიაურის, როგორც ეთნოგრაფიული მასალის
შემკრების, დამსახურება.

განხილული ნაშრომების დეტალური ანალი-
ზი უკეთესად წარმოაჩენდა თითოეული მათგა-
ნის მეცნიერულ ღირებულებას, მაგრამ ნათქვა-
მის მიხედვითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ
კრებული ახალი მნიშვნელოვანი შენაძენია ქა-
რთული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მეცნიე-
რებისათვის.

გურამ ბასიტაშვილი

● რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

● ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 98-55-11,
მთ. რედაქტორის მოადგილის 98-55-15, პ/მგ
შვიდნის — 95-55-18 და განყოფილებების —
98-55-15; 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 28. VI. 88 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 11. 08. 88 წ. ასაწყობის ზომა
7¹/₄X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფი-
ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნა-
ბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო
თაბახი 16,58.

უც 01450. ტირაჟი 30.000. შუკე. 1679. საქართვე-
ლოს კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

8360 80 333.

მნებ ზრ



«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ